

**შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ჰუმანიტარულ,  
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და  
მართვის ფაკულტეტის დოქტორანტის

**ლუბა ელიაშვილის**

სადისერტაციო ნაშრომი

**კულტურა, რელიგია და ტრადიცია მასობრივი კომუნიკაციის  
საშუალებებში**

სოციალურ მეცნიერებათა (PhD) დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
მედიის და მასკომუნიკაციის მიმართულების  
პროფესორი გიორგი ჩართოლანი  
თანახელმძღვანელი - ხელოვნებათმცოდნეობის  
დოქტორი, პროფესორი ლელა ოჩიაური

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისი 2015

## შინაარსი

შესავალი ----- 4

### თავი I

- 1.1. მედიაკულტურა, როგორც ფენომენი -----11
- 1.2. სიძულვილის ენა და ანტიდისკრიმინაციული კანონი-----18
- 1.3. სახელმწიფოში რელიგიის სამართლებრივი რეგულირების  
გავლენა მსოფლმხედველობის საკითხების გაშუქებაზე -----29
- 1.4. აუდიო-ვიზუალური ვირტუალური რეალობა – ახალი სამყარო-----31
- 1.5. სუბკულტურები პოსტმოდერნულ სამყაროში -----33
- 1.6. მედიაკულტურა და ტრადიციული კულტურა -----35

### თავი II

- 2.1. განსხვავებული მსოფლმხედველობების კულტურათა გააზრება ----- 38
- 2.2. პირველყოფილი კომუნიკაციისა და კულტურის წარმოშობა ----- 39

### თავი III

- 3.1. ბეჭდური პრესის დაბადება–ინფორმაციული ადამიანის ეპოქა -----44
- 3.2. იდეოლოგიები და რიტუალები აუდიო-ვიზუალურ მედიაში-----50
- 3.3. ქართული, როგორც ევროპული ტიპის, კულტურის განვი-  
თარება ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძველზე -----54
- 3.4. კულტურულ ფასეულობათა ჭიდილი ქართულ მედიაში -----56
- 3.5. განსხვავებული კულტურების ღირებულებათა კონფლიქტი  
და ტერორიზმის საფრთხე -----63
- 3.6. რელიგიისა და ტრადიციის კომპონენტი კულტურაში, მედია-  
კულტურის ჩამოყალიბების წინაისტორია -----79

### თავი IV

- 4.1. მედიაკულტურა ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ ეპოქაში -----83
- 4.2. კულტურა, რელიგია და მედია პოლიტიკური წნეხის ქვეშ -----84
- 4.3. თანამედროვე მედიაკულტურის ჩამოყალიბების ისტორიული წინამ-  
ძღვრები საქართველოსა და სხვა პოსტაბჭოთა ქვეყნებში -----94

|  |     |
|--|-----|
| 4.4. “ჯავშნოსანი პოტიომკინიდან” “მონანიებამდე” -----   | 113 |
| 4.5. XX-XXI ს.ს. მედიაკულტურაში თაობათა დაპირისპირებისა და<br>ფარული კულტურული კონფლიქტების ასახვის სოციალურ-<br>ფსიქოლოგიური ასპექტები----- | 118 |
| 4.6. ახალი ქართული მედია და კულტურა “მონანიებიდან”<br>“სიმინდის კუნძულამდე”-----   | 125 |
| 4.7. ქართული სამაუწყებლო მედია საქ. ტელე-რადიოკომიტეტიდან<br>სოციალურ ქსელებამდე -----   | 134 |

## თავი V

|   |     |
|---|-----|
| ექსპერიმენტული კვლევა, ჩართული დაკვირვება ----- | 156 |
| დასკვნა -----                                   | 173 |
| ბიბლიოგრაფია -----                              | 177 |

## შესავალი

### საკვლევი პრობლემატიკა

წინამდებარე ნაშრომის საკვლევი პრობლემატიკის მოსანიშნად აუცილებელია კვლევის შესაბამისი ეპოქის დახასიათება, რომლის კონტექსტის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია აუდიოვიზუალური მედიის კონტენტზე საუბარი. ნაშრომში ასევე აღწერილია თანამედროვე მედიაშემცველების მიმართულებები და მიღწევები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბოლო ორი საუკუნის დემოკრატიულ, პოსტმოდერნულ სამყაროში მედიაშემცვეართა უმეტესობა ყურადღებას ამახვილებს მედიაზე, როგორც კომუნიკაციის საშუალებებზე ზოგადად – კომუნიკაციის მთელი სფეროს ტექნიკური მხარის განვითარების ახალი ტექნოლოგიების პროგრესის შესწავლის მიმართულებით. ასევე ხაზგასასმელია ისიც, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი უფრო კონკრეტულად იკვლევს აუდიო-ვიზუალური მედიის განვითარების მიმართულებას, როგორც უახლეს, სწრაფად პროგრესირებად, მაღალტექნოლოგიურ, გლობალურ პროცესს (მათი აზრით, თავად ეს განვითარების პროცესია საინტერესო, როგორც ფენომენი). ცნობილია ისეთი მკვლევარებიც, რომლებსაც აუდიოვიზუალური მედიის ტექნოლოგიურ პროგრესზე უფრო მეტად აინტერესებთ ის, თუ რა გავლენას ახდენს ახალი მედიის ამგვარი ინტენსიური განვითარება პოსტმოდერნის ეპოქის ადამიანის ცნობიერებასა და მთლიანად საზოგადოებაზე. წინამდებარე ნაშრომის მიზანიც სწორედ ამ კუთხით კვლევაა. იგი ისტორიულ-რელიგიურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ტრადიციული კულტურისა და პოსტმოდერნული მედიაკულტურის შედარებით ანალიზს წარმოადგენს. კვლევა ასევე ეხება კულტურის, რელიგიისა და ტრადიციის კომპონენტს აუდიო-ვიზუალურ მედიაში.

ზემოსხენებული კვლევის განსახორციელებლად მედია გაანალიზებულია, როგორც ახალი მსოფლმხედველობის გამავრცელებელი ინსტრუმენტი; მიმოხილულია, თუ როგორ ენაცვლება მედია რელიგიურ ინსტიტუტებს, რომელთაც მსოფლმხედველობის შექმნის, ზოგადად კი ცოდნის

დაგროვებისა და გავრცელების ინსტრუმენტის ფუნქცია ისტორიულად ეკუთვნოდათ. სწორედ ამ ფუნქციების თანხვედრის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეირჩა საკვლევ თემატიკად კულტურა, რელიგია და ტრადიცია მედიაში ანუ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში. კვლევის ჩასატარებლად, თავდაპირველად, აღიწერა რელიგიის, როგორც ისტორიულად საზოგადოების მსოფლმხედველობისა და კულტურის, ასევე ყოფითი ქცევისა და ტრადიციების განმსაზღვრელის როლი; ნაშრომში ასევე გაანალიზებულია, დროთა განმავლობაში როგორ დათმო რელიგიამ მსოფლმხედველობის გამავრცელებლის ფუნქცია და როგორ იტვირთა ეს ფუნქცია მედიამ; დახასიათებულია სახელმწიფოსა და რელიგიის ინსტიტუტების ურთიერთობა სხვადასხვა ეპოქაში, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერიოდში და ასევე მიმოხილულია რელიგიის ინსტიტუტების მდგომარეობა საბჭოური ათეისტური მსოფლმხედველობის სახელმწიფოს წიაღში და ამ მდგომარეობის ასახვა სოციალისტური რეალიზმის პერიოდის კულტურასა და აუდიო-ვიზუალურ მედიაში;

დისერტაცია ეფუძნება რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სამართლებრივი საკითხების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, სამართალმცოდნეთა ნაშრომებს. ამ ნაშრომებისა და კვლევების ანალიზმა წარმოაჩინა, თუ როგორ ფორმირდებოდა ეს ურთიერთობები მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; დისერტაციაში ასევე განხილულია საზოგადოების მსოფლმხედველობისა და კულტურული ტრადიციების ფორმირების საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურა, პოსტმოდერნისტული მედიაკულტურის შესწავლის საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო, კულტუროლოგიური ლიტერატურა; გაანალიზებულია აუდიო-ვიზუალური მედია, როგორც ახალი სამყაროს კულტურული ფენომენი.

დისერტაციაში დამუშავებულია XXI საუკუნის ქართულ მედიაში კულტურის საკითხების გაშუქების შესახებ გამოქვეყნებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემები (ავტორი ნინო კვირიკაშვილი) და მიმოხილულია რელიგიის თემატიკის გაშუქება ქართულ მედიაში იმ გადაცემათა მაგალითზე, რომელთა ვებ-გვერდის სატიტულო ფურცელზე რელიგია გამოტანილია, როგორც ამ გადაცემების გაშუქების სპეციფიკური თემატიკა. ამ კრიტერიუმით არჩეულია გადაცემები: „საუბრები რელიგიაზე“

(ტელეკომპანია „ტაბულა“), „სხვა რაკურსი“ (ტელეკომპანია „იმედი“) და „საეკლესიო კალენდარი“ (საპატრიარქოს ტელეკომპანია „ერთსულოვნების“ გადაცემა). ნაშრომში წარმოჩენილია, თუ როგორ შექდება ტრადიცია და რელიგია ხსენებულ სატელევიზიო პროექტებში.

ამას გარდა, ნაშრომის მომზადებისთვის ავტორმა ჩაატარა სოციალურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი – "ჩართული დაკვირვება", რომლის მიზანი იყო, ექსპერიმენტზე დაყრდნობით, კიდევ უფრო ნათლად წარმოჩენა იმისა, თუ როგორი გავლენა აქვს აუდიტორიაზე იმ საბჭოურ კინოპროდუქციას, რომელიც ეკლესიის მსახურების (მღვდელი, დიაკვანი და სხვ.) გამიზნულად კომედიური, გაშარჟებული სახის დამკვიდრებით გამოირჩევა (შეგნებულად ავარიდუე თავი უხეში, საბჭოური, ანტირელიგიური პროპაგანდის ტიპურ, სოცრეალისტურ ხელოვნების ნიმუშებს). ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მსგავსი პერსონაჟი, ძირითადად, საეკლესიო რეფორმაციაგავლილი ქვეყნების კომედიურ ფოლკლორში არსებობდა, როგორც ეკლესიის მსახურის კომიკური ტიპაჟი. ვიზუალურად ამ პერსონაჟის ტიპაჟი ძალზე დამახასიათებელი იყო ასევე საბჭოურ სახვით ხელოვნებაშიც ანტირელიგიური სატირული პლაკატისა და კარიკატურის სახით<sup>1</sup>

კვლევა წარიმართა სამი მიმართულებით:

1.მედიის არსი და დანიშნულება;

2.კულტურის, ტრადიციისა და რელიგიის ისტორიულად დამკვიდრებული ურთიერთდამოკიდებულება;

3.კულტურაში ბეჭდური და აუდიო-ვიზუალური მედიის, როგორც ფენომენის გაჩენის შედეგად მომხდარი ცვლილებები;

### **სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა**

მასობრივი მედიის შექმნის ისტორია გუტენბერგის ბეჭდური რევოლუციითა და ევროპაში ქაღალდის წარმოებით იწყება. ნაშრომში დეტალურადაა მიმოხილული ელექტრონული და აუდიო-ვიზუალური მედიის ისტორია პირველი გაზეთის გამოსვლიდან, რადიოსა და ტელევიზიის გამოგონებამდე, ანუ იმ ეპოქამდე, როდესაც ფოტო (ფოტოგრაფია) და აუდიო ჩანაწერი, როგორც პირველი ტექნოლოგიურად ტირაჟირებადი ვიზუალური და აუდიო პროდუქცია, იქცა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებად. ამ ეპოქის განვითარების კულმინაციას კი წარმოადგენს სამაუწყებლო მედიის შექმნა,

<sup>1</sup> <https://fotki.yandex.ru/next/users/babs71/album/204089/view/898192>

რომლის განვითარებამ სატელიტური მაუწყებლობის შექმნამდე მიაღწია, რასაც პარალელურად მოჰყვა XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნეში თანამედროვე გლობალური ქსელის – ინტერნეტის შექმნა და საყოველთაო გამოყენების მასკულტურაში დამკვიდრება. ტექნოლოგიურ განვითარებას კი თანამედროვე მულტიმედიაკულტურის, (მათ შორის, სოციალური ქსელების მასობრივი მოხმარება, თვისობრივად და შინაარსობრივად სრულიად უახლესი ვირტუალური სამყაროს) შექმნა მოჰყვა.

ეკლესიის პროცესში გამოყენებულია სოციოლოგ ერის ფრომის შეხედულებები რეკლამის შესახებ, მისი წიგნები: „გაქცევა თავისუფლებიდან“, „ქონა და ყოფნა“ და რობერტ მერტონის ფუნქციონალიზმის სოციოლოგიური თეორია. ასევე ფილოსოფოს ჟან ბოდრიარის შეხედულებები და იდეები სიმულაციასა და სიმულაციების შესახებ. დ. უზნაძის განწყობის თეორიის ცნებები და ტერმინოლოგია. ცნობილი კანადელი მედიაანალიტიკოსის, ჰერბერტ მარშალ მაკლუენის მედიის ცნების განსაზღვრა, მისი ტერმინები: „გლობალური სოფელი“ და „ადამიანის გავრცობა“ (გაფართოება) და ა.შ. გამოყენებულია ასევე ფრედი პერლმანის ნაშრომი „ყოველდღიური ცხოვრების რეპროდუქცია“, ბერძენი მეცნიერის, ლიბერალი სოციალისტის, ტაკის ფოტოპულოსის ”ინკლუზიური დემოკრატიის“ თეორია, რუსი მკვლევარის, ნ. ბ. კირილოვას სადოქტორო ნაშრომის პროექტი „მედიაკულტურა მოდერნიდან პოსტმოდერნიზმამდე“. ასევე, ქართველი სამართალმცოდნეების მიხეილ სარჯველაძის და ირმა გელაშვილის ნაშრომი „სახელმწიფო და ეკლესია გუშინ, დღეს, ხვალ“, მარიამ ცაცანაშვილის ნაშრომი: „პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ“ და ნანა ფერაძის სტატია „რელიგია და დემოკრატია პოსტრევოლუციურ საქართველოში“. ნაშრომში გაანალიზებულია საბჭოთა კინორეჟისორების: სერგეი ეიზენშტეინის, გიორგი დანელიას, ელდარ რიაზანოვის, რეზო ჩხეიძისა და სხვათა მემუარული ლიტერატურა და გამოქვეყნებული ინტერვიუები, მოგონებები საბჭოური კინოწარმოების შესახებ. ამ და სხვა რეჟისორების კინოპროდუქცია გამოყენებულია ჩართული დაკვირვებისა და ექსპერიმენტის განხორციელებისათვის. ასევე ნაშრომში გაანალიზებულია მედიის რადიკალიზაციის ეკლესიის შედეგები, რომელიც ნ. კვირიკაშვილმა საქართველოს ტელემედიისა და პრესის მაგალითზე ორი თვის განმავლობაში ყოველდღიური ინტენსივობით ჩაატარა.

ნაშრომი მოიცავს კულტურის და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხებს, მათ გენეზისსა და ძირითად მახასიათებლებს, საზოგადოების განვითარების ისტორიაში კულტურის ისეთ კომპონენტებს, როგორცაა რელიგია და ტრადიცია. ნაშრომი მიმოიხილავს ასევე მედიას, როგორც ტრადიციულისგან განსხვავებული, ახალი კულტურის ფორმის – მედია-კულტურის შექმნის საფუძველს.

მედიასთან კავშირში მყოფმა კულტურამ, რელიგიამ და ტრადიციამ ადამიანური აქტივობის შედეგად XX საუკუნის განმავლობაში განიცადა მნიშვნელოვანი რევოლუციური მეტამორფოზა. სწორედ ამ სფეროებზე იქონია გავლენა საყოველთაო განათლების, კულტურული ტრადიციისა და, ზოგადად, მასკულტურის ფენომენის გაჩენამ. ამიტომ ამ საუკუნეში მათ განვითარებასა და გავლენაზე დასაკვირვებლად განსაკუთრებულად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა.

#### **მეთოდოლოგია:**

ნაშრომში კვლევის განსახორციელებლად მოძიებული და დახარისხებულია სამეცნიერო, ფილოსოფიურ-სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ლიტერატურა, რომელიც ეხება, როგორც კულტურის, ტრადიციისა და რელიგიის კვლევას მედიასთან, ასევე კონკრეტულად მასკომუნიკაციის, რელიგიის, კულტურისა და ტრადიციის საკითხებს. შერჩეული და მიმოხილულია ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო, ისტორიული, კულტუროლოგიური და იურიდიული შრომები და კულტურისა და მედიის იმ მოღვაწეთა მემუარულ-მხატვრული ლიტერატურა, რომელთაც საკუთარი პროდუქტის შექმნა უწევდათ იდეოლოგიური ცენზურის წნეხის ქვეშ საბჭოთა პერიოდის განმავლობაში. სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას უხვადაა გამოყენებული იმ ინტერნეტრესურსების აუდიო-ვიზუალური მასალა, რომელიც ითვალისწინებს როგორც XX საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოურ კინემატოგრაფს, ასევე შემდგომი პერიოდის სამაუწყებლო მედიას.

ნაშრომი ასევე მოიცავს მედიის საქმიანობის შესახებ თანამედროვე ბლოგერების სამეცნიერო, კულტუროლოგიურ და მედია-კვლევებთან დაკავშირებულ სტატიებს. ამას გარდა, ნაშრომში წარმოდგენილია, როგორც კულტურის საკითხების მედიაში გაშუქების აქამდე არსებული რაოდენობრივი

კვლევების, ისე საკუთრივ დისერტაციის ავტორის მიერ ჩატარებული ათწლიანი პერიოდის (2005-2015წწ) კვლევის ანალიზი, რომელიც შეისწავლის თანამედროვე ქართულ მედია-პროდუქციაში რელიგიის, ტრადიციისა და კულტურის გაშუქების ტენდენციებს.

ზემოაღნიშნული კვლევა ეფუძნება რამდენიმე ქართული ტელეარხის იმ სატელევიზიო პროექტებს (ტელეკომპანია „ტაბულა“ - „საუბრები რელიგიაზე“ და ტელეკომპანია „იმედი“ - „სხვა რაკურსი“), რომელთაც ციკლურ გადაცემათა თემატიკად რელიგია წამყვან სეგმენტად აქვთ გამოკვეთილი. კვლევა შეეხო საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო პროექტის - „კედელი“ - იმ გადაცემასაც, რომელშიც მოწვეული სტუმრების ერთი ნაწილი საკუთარ თავს რელიგიისა და ტრადიციული ღირებულებების დამცველებად მიიჩნევდა და საკუთარ პროტესტს ხსენებული გადაცემის წინააღმდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ გამართულ აქციაზე გამოხატავდა.

სადისერტაციო საკვლევი თემატიკის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, შემუშავდა სპეციალური ექსპერიმენტი და ჩართული დაკვირვება იმ საბჭოური ფილმების გამოყენებით, რომლებშიც გვხვდება ეკლესიის მსახურის იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი კარიკატურული პერსონაჟი. ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ 17-18 წლის ახალგაზრდები. მათი მონაწილეობით კი გვსურდა გაგვეჩვენა, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა თანამედროვე ახალგაზრდებზე რელიგიის მსახურთა მიმართ საბჭოურ ფილმებში გამოკვეთილ მკვეთრად ნეგატიურ აქცენტებს.

### **კვლევის მოსალოდნელი შედეგები**

ექსპერიმენტის პერიოდში დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდა საკონტროლო ჯგუფიც, რაც ხსენებული ფილმების ნახვის შემდგომ ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების შედეგების, საკონტროლო ჯგუფების შედეგებით გადამოწმების შესაძლებლობას იძლეოდა. ექსპერიმენტის მიზანი იყო გაგვეანალიზებინა, ამ ფილმების ნახვა თუ იმოქმედებდა ცდისპირების კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და ზოგადად, კრიტიკული დამოკიდებულების გაძლიერებაზე. რამდენად გაიზიარებდნენ ისინი კინემატოგრაფის შეთავაზებულ კლიშეებს და რამდენად თავისუფლები იქნებოდნენ რაიმე სახის მსოფლმხედველობრივი წნეხისგან.

ასევე საინტერესო იყო, რა გავლენას მოახდენდა საბჭოთა პერიოდის კინემატოგრაფის კომედიური შედეგები პოსტმოდერნული სამყაროს ახალი თაობის აღამიანებზე. მოსალოდნელი იყო, რომ მოცემული კვლევის ფარგლებში, მოძველებული საბჭოური პროპაგანდა, გამოხატული საეკლესიო პირების გაშარუებაში, ვეღარ „იმუშავებდა“ ისე, როგორც „მუშაობდა“ ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში.

ჩვენი აზრით, წინამდებარე ნაშრომი საინტერესო იქნება მედიამკვლევარებისათვის, რადგან მასში შეკრებილი და გაანალიზებულია მედიის გამოჩენილი მკვლევარების ფუძემდებლური ნაშრომები.

ნაშრომში მოყვანილი ექსპერიმენტის შედეგი საინტერესო იქნება მათთვისაც, ვინც შეისწავლის მედიაკულტურის გავლენას საზოგადოებაზე. ექსპერიმენტის შედეგად ნათელი გახდა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - ის ფაქტი, რომ მაყურებელს ამასხოვრდება მედიით ტირაჟირებული ფრაზები და კლიშეები, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ მოვლენამ მის მოტივაციაზე იქონია გავლენა და რომელიმე მიმართულებით შეცვალა მისი მსოფლმხედველობა.

ნაშრომი ასევე გამოადგებათ ჟურნალისტიკის არაპოლიტიკური გადაცემების პროდიუსერებს, პედაგოგებს, მედიის კანონმდებლობასა და ეთიკის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს კანონმდებლობისა და შიდასარედაქციო ეთიკის პრინციპების შემუშავება-დახვეწაში. ჟურნალისტებს, პროდიუსერებსა და სხვა მედიამენეჯერებს გაანალიზებული მასალა დაეხმარებათ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ, რათა თავიდან აიცილონ იმგვარი ინტერესთა ჯგუფების აგრესიული გავლენა, რომლებიც მანიპულაციის იარაღად მსოფლმხედველობრივ განსხვავებებსა და კულტურათა სიღრმისეულ კონფლიქტებს იყენებენ.

ჟურნალისტიკის პედაგოგებისათვის, საინტერესო უნდა იყოს ნაშრომში აღწერილი ე.წ. თავისუფალი დისკუსიის ჯგუფებთან მუშაობის რაოდენობრივი ასახვის გამოცდილება. ნაშრომი ასევე გამოადგებათ სოციალურ მეცნიერებათა, ჟურნალისტიკის, მასკომუნიკაციის და მედიის კვლევების მიმართულების ბაკალავრებს, მაგისტრებსა და დოქტორანტებს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო კულტურისა და რელიგიის საკითხების გაშუქების დისციპლინების მომზადებაში.

## თავი I

### 1.1. მედიაკულტურა, როგორც ფენომენი

თანამედროვე მედიაკულტურა და კულტუროლოგია კვლევის ინტერესს წარმოადგენს, თუ რა ნიშნით არის განსაკუთრებული და ტრადიციული კულტურისგან განსხვავებული „მედიაკულტურა“, რომლის საფუძველი სწორედ ახალი ტიპის ტექნოლოგიური კომუნიკაციის განვითარებაა. ამას გარდა, ზემოხსენებული ტექნოლოგიური განვითარების პროცესი, მკვლევარების მიერ, ასევე განიხილება, როგორც „ადამიანის გარე გავრცობა“ (გაფართოება). ეს უკანასკნელი ცნება და ტერმინი მედიის თეორიაში შემოიტანა და აღწერა კანადელმა ფილოსოფოსმა, სოციოლოგმა, კულტუროლოგმა და მედიის თეორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ჰერბერტ მარშალ მაკლუენმა (1911-1980 წ.წ.), რომელსაც ასევე ეკუთვნის ტერმინი „გლობალური სოფელი“. მან, ჯერ კიდევ გლობალური ქსელის, ინტერნეტის შექმნამდე 10 წლით ადრე, ამ ზუსტი ტერმინით აღწერა XX საუკუნის სამყაროს ტექნოლოგიური განვითარება და, შეიძლება ითქვას, იწინასწარმეტყველა XXI საუკუნის კომუნიკაციური სამყარო. მარშალ მაკლუენს, მედიის უნივერსალური თეორიის ფუძემდებელს, ასევე ეკუთვნის მოსაზრება, რომ მედია საინტერესოა თავისთავად, როგორც მედიუმი, ვინაიდან მედია არის ის „მედიუმი, რომელიც ასევე თავადვე არის მესიჯი“<sup>2</sup>. უფრო ფართო ისტორიულ-კულტუროლოგიურ კონტექსტში კი, მაკლუენის მიხედვით, ეს ნიშნავს, რომ კომუნიკაციური ტექნოლოგია განსაზღვრავს ისტორიული კულტურის ტიპს, მსოფლმხედველობასა და სამყაროს სურათს, ანუ მის შემეცნებას. ამავდროულად, ტექნოლოგიის ზემოქმედება ხორციელდება არა აზრისა და გაგების დონეზე, არამედ იგი ცვლის გრძნობით აპერცეფციებს, ანუ აღქმის მოდულებს, თანმიმდევრულად და წინააღმდეგობის გარეშე. ამიტომ, ამ ავტორის მიხედვით, ამა თუ იმ ეპოქაში,

<sup>2</sup> The Medium is the Massage: An Inventory of Effects (1967)

კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციის საფუძველს წარმოადგენს ის, თუ როგორია ადამიანთა შორის კომუნიკაციის სახეობა და მისი განხორციელებისას რომელია დომინანტური კომუნიკაციის არხი (სიტყვიერი, წერილობითი, ელექტრონული).

შესაბამისად, მაკლუენის პრინციპით განსაზღვრული პერიოდიზაციის ეტაპები კაცობრიობის განვითარების მეტად ვრცელ პერიოდებს მოიცავს, ამავე დროს, ძალზე ზოგადი და მრავლისმომცველია. იმ პერიოდისათვის, როდესაც კომუნიკაციის ტექნოლოგია არ იყო ისეთი გლობალური, როგორც არის იგი ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში; კულტურის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა კიდევ მრავალი გარემოება (მათ შორის გეოგრაფიული და კლიმატური ფაქტორიც კი, რისი შედეგიც იყო განსხვავებული ტემპერამენტისა და მსოფლმხედველობის ერების კულტურებს შორის მახასიათებლები). ამდენად, მაკლუენის პერიოდიზაციის ჩარჩო არ აღწერს ერთგვაროვანი კომუნიკაციური ტიპის დომინანტურობის ხანის კულტურულ მრავალფეროვნებას, კულტურათა განსხვავებულობას და მათი ინდივიდუალურად განვითარების მიზეზებს. ამ ფაქტორების გასაანალიზებელი კრიტერიუმების შემოსატანად საჭიროა, დაკონკრეტებული ნიშნით, ქვეპერიოდების გამოყოფა კულტურის განვითარების აღსაწერად და ამ ქვეპერიოდების დაკავშირება ადამიანის განსხვავებულ წარმოდგენებთან სამყაროს შექმნის, მისი აგებულების პრინციპების, ზომებისა და ფუნქციონირების კანონების შესახებ, ანუ იგივე რელიგიურ მსოფლმხედველობებთან, რომლებიც კონკრეტულად დროის მონაკვეთებზე მკაცრად არ არის მიბმული, თუმცა შედარებით მცირე დროის პერიოდებში იყო დომინანტური განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალებში და კულტურულ მრავალფეროვნებას მნიშვნელოვნად განაპირობებდა.

ცნობილია, რომ დღემდე კაცობრიობა სამყაროს შემეცნებაში ერთ, საყოველთაოდ მიღებულ პოზიციამდე არ მისულა. თანამედროვე გლობალურ კულტურაში იმ ტექნოლოგიური პროგრესის მიუხედავად, რასაც კაცობრიობამ ამ ეტაპზე მიაღწია, ერთმნიშვნელოვანი არ გამხდარა სამყაროს სურათი თითოეული ადამიანისათვის. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან დღემდე ნებისმიერი მეცნიერული ახსნაც, ისევე როგორც რელიგიური შეხედულება, სამყაროს შექმნისა და მისი ფუნქციონირების შესახებ, მხოლოდ ჰიპოთეზაა. შესაბამისად, იგი კვლავ მხოლოდ რწმენისა და ვარაუდის დონეზე შეიძლება

არსებობდეს როგორც მეცნიერებაში, ისე რელიგიაში. განსხვავებული რწმენების თანაარსებობა, მეცნიერულ შეხედულებებსა და წარმოდგენებთან ერთად, სრულიად ბუნებრივია. მთავარი განსხვავება ადამიანებს შორის კვლავ არის ის საკითხი, რის შესახებაც დაზუსტებული პასუხი კაცობრიობას არც გააჩნია და, განვითარების ამ ეტაპზე, არც შეიძლება ჰქონდეს. ეს განსხვავება სულის უკვდავებისა ან მოკვდავობის შესახებ ადამიანთა წარმოდგენებშია. იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანთა განსხვავებული რწმენის მქონე საზოგადოებების სამყაროსთან და ადამიანის დანიშნულებასა და თავისუფლების გაგებასთან მიმართებებს შორის სხვაობებს, ანუ გვაძლევს კომუნიკაციის კონკრეტული ტიპის ეპოქაში სამყაროს რადიკალურად განსხვავებულ სურათებს, რომელთა ურთიერთთავსებადობა თითქმის შეუძლებელია კონფლიქტის გარეშე. ეს ვითარება აისახება მედიასა და მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების გლობალური კომუნიკაციის ისტორიულ ეპოქაზეც და ამ კონტექსტის გათვალისწინების გარეშე კაცობრიობის კულტურისა და ისტორიული განვითარების პერიოდის დახასიათება სრულყოფილი ვერ იქნება.

კომუნიკაციის ტექნოლოგიური განვითარება თავისთავად წარმოადგენს ადამიანის გარეგანი გავრცობის რთულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პროცესს, რითაც იცვლება ადამიანიც და მისი სამყაროც. მაკლუენის მიხედვით, ამ პროცესთან გვაქვს საქმე კომუნიკაციის განხორციელების ნებისმიერ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, თუ როგორია გზავნილის (შეტყობინების) არსი და ბუნება. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რისი გამტარია კომუნიკაციის საშუალება: არის ეს, მატარებლით ან თვითმფრინავით მგზავრების გადაყვანა, თუ ტვირთის გადატანა, ან ინფორმაციის გადაცემა, ან თუნდაც, ელექტროენერჯის გადაცემა სადენებით, რისი შედეგიც არის ანთებული ნათურა, ან გამოსახულება და ხმა ეკრანზე, ან როდესაც კომუნიკაცია ხორციელდება ნებისმიერი სხვა ტექნოლოგიური საშუალებით. ნებისმიერ ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ადამიანის გარე გავრცობასთან, ანუ წვდომის არეალის გაზრდასთან, რაც თითოეულ ჩვენგანს ერთი დიდი, სამყაროსსეკლა „გლობალური სოფლის“ მცხოვრებლებად გვაქცევს. ჰერბერტ მარშალ მაკლუენის გენიალური ინტუიციით დანახული „გლობალური სოფლის“ სურათი და მისი შეხედულებები მაშინვე აღმოჩნდა ერთნაირად მისაღები და სასარგებლო კომუნიკატივისტიკის სფეროში მომუშავე განსხვავებული

სკოლის წარმომადგენელი მკვლევარებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლებს შორის ძალზე დიდია განსხვავება, როგორც კვლევის სფეროების, ასევე მათ მიერ კომუნიკაციის არსის გაგების პოზიციების მიხედვით. ამ განსხვავებებს მედიამკვლევარი რობერტ კრეიგიც აღწერს. მისი აზრით, მედიის მკვლევარების კვლევის მიმართულებების განსხვავებებს განაპირობებს ის, რომ კომუნიკაცია ადამიანური აქტივობის პრაქტიკულად ყველა სფეროს ეხება და მკვლევარებიც კომუნიკაციის ფენომენით ინტერესდებიან საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე. მან გამოკვეთა განსხვავებული მიმდინარეობები კვლევის სფეროების მიხედვით, როგორც არის: რიტორიკა (rhetorical), რომელიც განიხილავს კომუნიკაციას, როგორც დისკუსიის ხელოვნებას; სემიოტიკა (semiotic), რომელშიც კომუნიკაცია განხილულია, როგორც ნიშნების სისტემა; ფენომენოლოგია (phenomenological), რომელიც შეისწავლის კომუნიკაციას, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობების ორგანიზაციის საშუალებას; კიბერნეტიკა (cybernetic), რომლისთვისაც კომუნიკაცია არის ინფორმაციის დამუშავების და გადაცემის პროცესი; ასევე სოციალური ფსიქოლოგია (sociopsychological), რომელიც შეისწავლის კომუნიკაციას, როგორც ადამიანის ქცევაზე ზემოქმედების საშუალებას და იკვლევს ადამიანთა საზოგადოებაზე მედიის სოციალურ-ფსიქოლოგიურ გავლენას.

რობერტ კრეიგი მედიის საკვლევო სფეროების ამგვარ მრავალფეროვნებას იმით ხსნის, რომ მედიის კვლევით, საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე, დაინტერესდა ძალიან ბევრი, განსხვავებული პროფესიის მკვლევარი: ფილოსოფოსები, კულტურულელოგები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები. ყოველი მათგანისათვის მარშალ მაკლუენის მიდგომა უნივერსალურია სწორედ იმიტომ, რომ მან ყურადღება გაამახვილა კომუნიკაციის თავისთავად მნიშვნელობაზე, მისი კონტენტის მიუხედავად. მარშალ მაკლუენმა იწინასწარმეტყველა, რომ მედია, იმის მიუხედავად, თუ რა არის კომუნიკაციის კონტენტი, არის უფრო დიდი მნიშვნელობის თავისთავადი ფენომენი, ვიდრე უბრალო გამტარი, რომლის პროგრესის შესწავლაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო საკვლევი. მაკლუენის შეხედულების მიხედვით, კომუნიკაციის პროცესი, ერთდროულად, თავად არის შეტყობინების საშუალებაც და შეტყობინებაც. მედიას, როგორც მესიჯს, აღწერს იგი თავის წიგნში Understanding-media: the extension of man („მედიის გაგება: ადამიანის გარე გავრცობა“)

ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი მას კომუნიკაციის ტექნიკური მხარით ზედმეტ გატაცებასაც საყვედურობს.

მისგან განსხვავებით, ავსტრიელმა სოციოლოგმა და ფსიქოლოგმა, ერის ფრომმა თავის წიგნში „გაქცევა თავისუფლებიდან“ ყურადღება გაამახვილა სწორედ მედიის, როგორც ინფორმაციის მატარებლისა და ამავდროულად, როგორც ჰიპნოტური შთაგონების შესაძლებლობის ინსტრუმენტზე, ანუ კომუნიკაციის სუბესტიურ ხასიათზე. მან სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური პოზიციიდან განმარტა რეკლამის არსი და ასე აღწერა მისი გავლენა ადამიანზე: „რეკლამა, როგორც ნებისმიერი ჰიპნოტური შთაგონება, აპელირებს არა გონებით, არამედ გრძნობებით და ასე ცდილობს ობიექტზე ემოციურ ზემოქმედებას იმისათვის, რომ ამ გზით დაიმორჩილოს მისი ინტელექტი. ყველა ეს მეთოდი, თავისი არსით, ირაციონალურია და მისი კონტენტი არ ეფუძნება კრიტიკულ აზროვნებას. ისინი აძინებენ და აქრობენ მომხმარებლის კრიტიკულ დამოკიდებულებას პროდუქტის მიმართ და მიაწერენ პროდუქტს ისეთ ფანტასტიკურ თვისებებს, რასაც არაფერი აქვს საერთო მის ხარისხთან“.<sup>3</sup> ერის ფრომის ამ გამონათქვამს შეიძლება დავამატოთ, რომ ამა თუ იმ პროდუქტის რეკლამირებისას, უმეტეს შემთხვევაში, აქცენტირებულია არა პროდუქტის თვისობრივი მახასიათებლები, არამედ ის, რომ პროდუქტს საოცნებო გარეგნობისა და სტატუსის მქონე ადამიანები მოიხმარენ, ოცნებასავით მშვენიერ გარემოში. მედიის ამგვარ შესაძლებლობებს სხვა მედია მკვლევარებმაც მიაქციეს ყურადღება. სწორედ მედიის ამ მხარემ გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის მკვლევარების განსაკუთრებული ინტერესი. ამიტომაც არსებობენ ისეთი მკვლევარები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ კონტენტს და სწორედ იმას, რომ ელექტრონული მედია არის ე.წ. „ოცნებების ფაბრიკა“, რომელიც ადამიანს სთავაზობს გამოგონილ სამყაროს, თანაც ისეთს, რომელსაც ადამიანი იღებს, როგორც რეალობას. დიდი ხანია სოციოლოგები, პოლიტოლოგები, მედიის საზოგადოებაზე ზემოქმედების სხვა მკვლევარები და სამართალმცოდნეები, რომლებიც მედიის საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენის სამართლებრივ-ეთიკურ მხარეებს აანალიზებენ, აღნიშნავენ მედიისთვის ისეთი რეგულაციებისა და გარემოს შექმნის აუცილებლობას, რომელიც მედიას სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური, ასევე სხვა

<sup>3</sup> [http://www.e-reading.club/chapter.php/60813/8/Fromm\\_-\\_Begstvo\\_ot\\_svobody.html](http://www.e-reading.club/chapter.php/60813/8/Fromm_-_Begstvo_ot_svobody.html)

ინტერესთა ჯგუფების აგრესიული გავლენისაგან დაიცავს და უზრუნველყოფს მისი აუდიტორიის დაცულობას მედიის მხრიდან აკრძალული მანიპულირების ზემოქმედებისაგან. განმარტებისათვის, არსებობს ნებადართული მანიპულირება. მაგალითად რეკლამა, რომელიც რეგულირდება კანონით და მას გარკვეული სტანდარტები აქვს დაწესებული. აქვს როგორც საერთო, ასევე დამატებითი შეზღუდვები ეთერში განთავსების დროისა და სხვა მრავალი თვალსაზრისით, მათ შორის კონტენტთან მიმართებაშიც. არსებობს საერთო სტანდარტები. მაგალითად, ზოგადი სტანდარტი, რომელიც კრძალავს შეფარულ რეკლამას და ასევე რეკლამის დამამზადებლის მხრიდან იმავე ტიპის კონკურენტული წარმოების ბრენდის გამოყენებას, რეკლამირებული პროდუქტის უპირატესობის ხაზგასმის მიზნით. ასევე არსებობს დამატებითი რეგულაციის სტანდარტები (მაგ. ზოგიერთი სპეციფიკური პროდუქტის, მედიკამენტების, ასევე საბავშვო პროდუქციის რეკლამისა და პოლიტიკური რეკლამისათვის). ამგვარი რეგულაციების არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ მედიის ექსპერტებს კარგად ესმით, თუ რაოდენ სერიოზულია მედიის კონტენტის მნიშვნელობა და მედიის სუბესტიური ზემოქმედება ადამიანზე. მედიის გავლენის პოტენციური იმდენად დიდია, რომ დაუხვეწავი რეგულაციის შემთხვევაში, ამ პოტენციის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა სოციალური აფეთქების საფრთხის შემცველია. სწორედ ამგვარი გავლენის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე, შემუშავებულია რეგულაციის მეთოდები. შეიძლება ითქვას, საკანონმდებლობის ერთგვარი საერთო მონახაზი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში თავისებური ვერსიით გვხვდება, ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში დემოკრატიის დონის, კულტურული განვითარებისა და ტრადიციის თავისებურების, ასევე სხვა ისტორიული მოცემულობის შესაბამისად. საკანონმდებლო რეგულაციების გარდა, დემოკრატიული სამყაროს ბევრ ქვეყანაში, საზოგადოებრივი და პროფესიული შეთანხმებების დონეზე, მოქმედებს მედიის ეთიკის კოდექსი, რომელიც, პირველ რიგში, ინფორმაციის სიზუსტესა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გადაცემებში ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე, ასევე უმცირესობების და ბავშვთა უფლებების დაცვაზე ამახვილებს ყურადღებას. რეგულაციების დაცვაზე მონიტორინგს, ძირითადად, მესამე სექტორი ახორციელებს, ვინაიდან სახელისუფლებო ელიტებისათვის

დიდია ცდუნება გამოიყენონ მედიის გავლენა საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისათვის.

მედიაკულტურა ყოფითი ტრადიციების შექმნის და ახალი სამყაროს იდეოლოგიების დამამკვიდრებელ ინსტრუმენტადაც იქცა. ამ გარემოების შესაბამისად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ ხანგრძლივი დემოკრატიული განვითარების ტრადიცია და ის საზოგადოებები, რომლებიც უახლეს ისტორიაში გადატანილი დიქტატორული რეჟიმების გავლენით, ან რაიმე სხვა მიზეზით, დღემდე დიდწილად კონფორმული ადამიანებისგან შედგებიან, გამოირჩევიან რწმენისადმი, როგორც ღვთაებრივი ცოდნისადმი, ინფანტილური დამოკიდებულებით და აქვთ მიდრეკილება, პირველყოფილი ადამიანის მსგავსად, შექმნან კულტი გარკვეული ცოდნის ან ძალაუფლების მქონე ადამიანებისაგან. მაგალითად, რელიგიური ან პოლიტიკური ლიდერებისაგან, რომელთაც ქარიზმატულობის ნიშანს მიაწერენ. მათ ასევე აქვთ მიდრეკილება კულტად აქციონ აუდიოვიზუალური მედიის ბრწყინვალეობით შემოსილი ადამიანები.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ ის მრავალმილიონიანი საპროტესტო ტალღა, რომელიც ხანგრძლივი დემოკრატიული გამოცდილების მქონე საფრანგეთშიც კი Charlie Hebdo-ს რედაქციაში ტერაქტის საპასუხოდ პარიზის ქუჩებს მოედო. ეს იყო არა მხოლოდ ტერაქტით გამოწვეული აღშფოთება, არამედ, პროტესტის მასშტაბურობა განპირობებული იყო იმითაც, რომ დაღუპული კარიკატურისტები საფრანგეთში მეტად პოპულარული და ძვირფასი ადამიანები იყვნენ. მათი პოპულარულობა კი, ნიჭიერებასთან ერთად, მედიის განსაკუთრებული ხიბლის დამსახურებაც იყო. საქართველოს მაგალითზე შესაძლებელია გავიხსენოთ ყველასათვის ასევე საყვარელი ჟურნალისტის, გიორგი სანაიას ძალადობრივი დაღუპვა, რომლის თანმდევი პროტესტის ტალღა ისეთი ძლიერი იყო, რომ ქუჩაში გამოსული ადამიანების რისხვა ლამის სახელმწიფო გადატრიალებაში გადაიზარდა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს „ვარდების რევოლუციაში“ ძალზე სერიოზული ფაქტორი იყო ტელეკომპანია „რუსთავი 2“. შესაბამისად, საქართველოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მედიის ჩარევა პოლიტიკაში ძალზე გამოცდილი და ქმედითი გზაა საკუთარი პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი ინტერესის გასატარებლად. მაგალითად,

ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებიც ფრონტის საზოგადოებრივი აქტივობების აღმოჩენის შემდეგ 2007 წელს.

## 12. სიძულვილის ენა და ანტიდისკრიმინაციული კანონი

მიუხედავად იმისა, რომ მედიით მანიპულირების მთავარ ინსტრუმენტად მიჩნეულია სამაუწყებლო მედიის საინფორმაციო სექტორი, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების არანაკლები შესაძლებლობა აქვს შემეცნებით და გასართობ (მათ შორის, სატირულ და იუმორისტულ) გადაცემებს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი კულტურის, მეტადრე კი ადამიანის კულტურული ყოფის ისეთი კომპონენტების გაშუქებას ეხება, როგორცაა რელიგია და ტრადიცია. საზოგადოებისათვის ამ მეტად სენსიტიური თემების გაშუქების საკითხი, ჩემი აზრით, ისევე დაწვრილებით უნდა იყოს ეთიკის კოდექსით განმარტებული, როგორც ეს ბავშვთა ან უმცირესობების შესახებ ინფორმაციის გაშუქებისას არის განმარტებული დღეს არსებული საერთაშორისოდ აღიარებული ეთიკის ნორმებით.

ასევე კარგად უნდა განიმარტოს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სიძულვილის ენის გამოყენებად, როდესაც საკითხი რელიგიური ადამიანების გრძნობებსა და ამ გრძნობების მიმართ ჟურნალისტური ქმედებების ზღვრულ სტანდარტებს ეხება. ალბათ, ისიც უნდა დაზუსტდეს, რას ნიშნავს რელიგიური გრძნობები და რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ქმედება მათ შეურაცხყოფად. სხვა შემთხვევაში, ეს საბაზი მანიპულაციის იარაღად იქცევა იმათ ხელში, ვისაც აგრესიული ან ტერორისტული მიზნები ამოძრავებთ და რელიგიური გრძნობები მათთვის მხოლოდ ერთგვარი ინსტრუმენტია ანგარებიანი, აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად.

საინტერესოა ისიც, შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ წამებად ადამიანის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა იმის გათვალისწინებით, რომ რაიმე ქმედებით ამგვარი გრძნობების შეურაცხყოფად აღქმისას, მორწმუნე მზადაა გაწიროს საკუთარი და სხვისი სიცოცხლე. მსგავსი ფაქტები თანამედროვე სამყაროში მრავლად გვხვდება (კამიკაძე-ტერორისტები და ა.შ.). წამების

აკრძალვა, როგორც ცნობილია, ადამიანის აბსოლუტური უფლებაა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საზოგადოებები, რომლებშიც ირაციონალური კომპონენტი დომინანტურია რაციონალურთან შედარებით, ძალზე მოწყვლადია აგრესიული წრეების გავლენის მიმართ და საბოლოო ჯამში, მიზანმიმართული ეთიკური რეგულაცია აუცილებელია რათა, რომ ჟურნალისტისთვის (ზოგადად, შემოქმედი ადამიანისათვის), მშვიდობიან გარემოში პროფესიული საქმიანობა სიცოცხლის საფრთხის შემცველი არ აღმოჩნდეს.

ტუნისში „ღვარძლის გავრცელების“ ბრალდებით დაახლოებით 80 მეჩეთი დაიხურა. ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის (BBC) ცნობით, აღნიშნული გადაწყვეტილება ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ჰაბიბ ესიდმა მას შემდეგ მიიღო, რაც (Tunisia launches security clampdown after Sousse attack 2015.06.27) ტუნისში ტერაქტს 39 ადამიანი შეეწირა. მისი თქმით, მეჩეთები, რომლებიც სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარება, ღვარძლს ავრცელებს და ისინი დაიხურება. „ზოგიერთი მეჩეთი აგრძელებს პროპაგანდას და სიძულვილის გავრცელებას ტერორიზმის გასაღვივებლად“, – აღნიშნა ტუნისის პრემიერმა. გუშინ შეიარაღებულმა მამაკაცმა ცეცხლი გახსნა საკურორტო ქალაქ სუსიში მდებარე ორ სასტუმროში. დაღუპულებს შორის ტუნისელები, ბრიტანელები, გერმანელები, ბელგიელები, ფრანგები და ერთი ირლანდიელი მოქალაქეა. მომხდარზე პასუხისმგებლობა ეწი ისლამურმა სახელმწიფომ აიღო<sup>4</sup>.

მაინც რა არის სიძულვილის ენა და რამდენად სწორად არის იგი განმარტებული მედიაში? შეიძლება თუ არა სატირული კარიკატურა, როგორც ხელოვნების უანრი, რაიმე კონტექსტში ჩაითვალოს სიძულვილის ენად? ან სიძულვილის ენად მივიჩნიოთ საზოგადოების ერთი ნაწილის „ბნელება“ და „ჩამორჩენილება“ მოხსენიება, ან წარმოჩენა შემოქმედებით პროცესში? საჭიროა თუ არა, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა განიმარტოს, როგორც სიძულვილის ენა? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“ (№47 2009 წელს) გამოქვეყნებული წერილი „პოლარიზაცია“, რომლის ავტორი გიორგი მაისურაძე, რადიკალური ტერმინოლოგიის გამოყენებით მოუწოდებს

<sup>4</sup><http://www.bbc.com/news/world-africa-33297245>

საზოგადოებას ჩინური კულტურული რევოლუციის მსგავსი რევოლუციიკენ. ამონარიდი სტატიიდან: „სიბნელეს საქართველოში საბოლოოდ ვერაგინ დაამარცხებს, - ძალიან ღრმად გვიზის „ჯვანებში“, სულ ულტრამემარცხენე მთავრობაც რომ გვეავდეს, აი, მათ ძე-დუნის მსგავსი და „კულტურული რევოლუცია“ რომ წამოიწყოს. ამას წინათ სოფო ტაბატაძისა და ნადია წულუკიძის ერთი ძალიან მაგარი არტ-ვიდეო ვნახე: ნამდვილი ღიპიანი ქართველი ბიძა ზის საპარიკმახეროში, გასაპნული აქვს სახე და პარიკმახერი წვერს პარსავს. ამ დროს ამ კაცს ხელში უჭირავს „როკოკოს“ ღვინის ჭიქა და სიყვარულის სადღეგრძელოს ამბობს. ხოდა ამ ვიდეოს რომ ვუყურებდი, მართლა შემეშინდა, იმიტომ, რომ საქართველოს რეალური, აუთენტური სახე დავინახე, რომელსაც მე მგონი ვედარც კი აღვიქვამთ, იმდენად გვაქვს თვალი შეჩვეული. მაშინ ვიფიქრე, რომ ამ ფუნდამენტური სიყალბისა და სიბნელის დაძლევა ალბათ მხოლოდ მათ ძე-დუნის მეთოდებით, - „კულტურული რევოლუციით“ თუ იქნებოდა შესაძლებელი: აი, როგორც მათ ჩინელებს ფურთხება და ქალებისათვის ფეხების გაკოჭვა აუკრძალა...“.<sup>5</sup>

სტატიის ავტორის ამ პასაჟთან დაკავშირებით, უპრიანია გავიხსენოთ, რომ „კულტურული რევოლუცია“ ერთხელ უკვე განხორციელდა საბჭოთა კავშირში, შესაბამისად საქართველოშიც და ძალზე მძიმე პროცესი გამოდგა, როდესაც „პროლეტარული დიქტატურის მიერ მშრომელი ხალხის მხაგრულ არისტოკრატისა და რელიგიურ სიბნელესთან“ ბრძოლის სახელით დაისაჯა უამრავი ადამიანი, განადგურდა არქიტექტურისა და კულტურის ძეგლები. ამ კამპანიამ, ფაქტობრივად, კრახი განიცადა. რაც შეეხება ჩინეთის „კულტურული რევოლუციას“, ისიც საკმაოდ მძიმე იყო ქვეყნისთვის, რადგან 1966-1977 წლებში, ჩინეთში მიმდინარე იდეოლოგიურ-პოლიტიკურ კამპანიას, რომელსაც პირადად ხელმძღვანელობდა მათ ძე-დუნი, შედეგად მოჰყვა პოლიტიკური ოპოზიციის მთლიანი დისკრედიტაცია და განადგურება“.<sup>6</sup> „კულტურულმა რევოლუციამ“ გამოიწვია ინტელიგენციის ფართომასშტაბიანი რეპრესიები, კოლოსალური ზიანი მიაყენა კულტურასა და განათლებას. ფეოდალური გადმონაშთების განადგურების მოწოდების შედეგად განადგურდა კულტურის ძეგლები, შეიცვალა შიდაპოლიტიკური სისტემა.

<sup>5</sup><http://www.demo.ge/index.php?do=stat&id=521>

<sup>6</sup><http://www.britannica.com/event/Cultural-Revolution>

ვიდეოარტს (იხ.: <https://www.youtube.com/watch?v=dnJrAk0LjdQ>) და მასთან გიორგი მაისურაძის დამოკიდებულებას დაეუბრუნდეთ. ვფიქრობ, თავის რადიკალიზმში, რომელსაც იგი პოლარიზაციის მოწოდებასა და ამავე სახელწოდების სტატიაში ავლენს და ყოველივე ტრადიციულს ფობიებად მოიხსენიებს, „ტაბურეტის“ ნაცვლად კი ხელში კალამი უჭირავს, ძნელია გამიჯნო ერთმანეთისაგან ამ ერთი სტატიის ავტორი და ის ერთი ანაფორიანი მოძალადე „ტაბურეტით“ ხელში, რომლის ფოტოც ქართულენოვანი სოციალური ქსელების ჰიტად იქცა, როგორც 17 მაისის ანტიგმირის სიმბოლო (<https://www.youtube.com/watch?v=wwWQO27-fSc>). ვფიქრობ, არაფრით განსხვავდება ხსენებული ავტორი იმ „ბნელებისგან“, რომლებსაც თვითონ უპირისპირდება. რაც შეეხება „ლიპიან ქართველ ბიძას“, ავტორს, რომელიც შეპყრობილია რადიკალიზმით გამოწვეული სიძულვილით, ავიწყდება, რომ ღიპიანობა ეროვნული თვისება არ არის და თუნდაც, ცივილიზებული სამყაროს იმ ქვეყნებში, რომლებშიც ტრადიციულად იმართება ლუდის ფესტივალები, ამგვარ დღესასწაულებზე, ძალიან ბევრ ღიპიან ბიძას და დეიდას უჭირავთ ხელში ლუდის კათხა, რომელიც ღიდად არ განსხვავდება ნებისმიერი სხვა კიჩური სასმისისაგან, მათ შორის, არც სტატიის ავტორის მიერ ნახსენები „როკოკოს ჭიქისგან“. ცივილიზებულ სამყაროში არავინ წერს, რომ ლუდის კათხიანი ადამიანების სახე არის მათთვის ამა თუ იმ ქვეყნის აუთენტური სახის სიმბოლო, ისევე როგორც არც საქართველოს სიმბოლოდ არ გამოდგება რომელიმე რიგითი “ღიპიანი ბიძა” ღვინის ჭიქით ხელში. აქ მიხდა ხაზი გავესვა იმასაც, რომ ჭარბ წონას (ღიპებს) მთელი ცივილიზებული სამყარო დღემდე უშედეგოდ ებრძვის, ხოლო ადამიანის ფიზიკური ნიშნით დამაკნინებელ კონტექსტში მოხსენიება თანამედროვე სამყაროში დაუშვებლადაა მიჩნეული. ამ პატარა სტატიის ასეთი ფართო ანალიზი იმისთვის დამჭირდა, რომ წარმოემჩინა XXI საუკუნის ქართულ მედიაში გამოთქმულ პოზიციათა დაპირისპირებულობის სურათი.

ქართულ საზოგადოებაში პოზიციათა რადიკალურ დაპირისპირებას აღწერს ტელეწამყვანის, ლევან სუთიძის მიერ ჟურნალ „ტაბულაში“ გამოქვეყნებული წერილი „ყოვლისშემძლე მორალისტი აბეზრები“. „საქართველოში წლებია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ორი დიამეტრულად განსხვავებული პოზიციებისა და ინტერესების მატარებელი ჯგუფი ითხოვს. ერთს, საქართველოს საპატრიარქოს, რელიგიური ცენზურის

დაწესება სურს, ხოლო მეორეს, არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილს, სიძულვილის ენის კრიმინალიზება. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მოთხოვნას ეს უკანასკნელი, ქსენოფობიის გავრცელებისგან თავდაცვის მიზანზე აფუძნებს. მათ სურთ, სიძულვილით წარმოთქმული სიტყვა, სიძულვილით განხორციელებულ საქმედ არ იქცეს. შსს-ს მიერ მკრეხელობის წინააღმდეგ ინიცირებულმა კანონმა გვაჩვენა, რომ ამ უკანასკნელთა მოთხოვნები სწორედ საქართველოს საპატრიარქოს წისკვილზე ასხამს წყალს”<sup>7</sup> – წერს ლევან სუთიძე. ეს სტატია იმითაცაა საინტერესო, რომ მისი ავტორი ტელეკომპანია „ტაბულას“ ყოველკვირეული გადაცემის, „საუბრები რელიგიაზე“ ავტორი და წამყვანია. საერთაშორისო კონვენციებში „სიძულვილის ენის“ ზუსტი განმარტება ვერ მოვიძიეთ. თუმცა, ამ ტერმინს ხშირად იყენებს მედიაც და იყენებენ მედიის წინააღმდეგაც. არსებობს ზოგადი, არაოფიციალური განმარტება, რომლის მიხედვითაც „სიძულვილის ენა“ არის შეურაცხყოფისა და დამცირების მიზნით ვერბალური თავდასხმა კონკრეტულ პირსა ან გარკვეული სოციალური ნიშნით განსაზღვრულ ჯგუფზე. ევროპული სტანდარტით, არ შეიძლება „სიძულვილის ენის“ „გამოხატვის თავისუფლებასთან“ რაიმე სახით დაკავშირება. სიძულვილის ენის გამოყენება კანონით ისჯება. თუმცა, ამ ორი ცნების მკაფიო გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველა ცალკეულ შემთხვევაში, სასამართლო განსაზღვრავს რასთან გვაქვს საქმე – გამოხატვის თავისუფლებასთან თუ ძალადობის პროვოცირებასთან. საქართველოში 2014 წლამდე სისხლის სამართლის 142-ე პრიმა მუხლი ითვალისწინებდა პირის დასჯას დისკრიმინაციისათვის, 2014 წელს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცალკე ანტიდისკრიმინაციული კანონი. ამ კანონის მიღების პროცესისა და თავად კანონის ანალიზი გამოქვეყნებული აქვს ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალება – საქართველოს“. „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2013 წელს საქართველოს დაეკისრა ვალდებულება მიეღო კანონი, რომელიც დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების აღმოფხვრისკენ იქნებოდა მიმართული. კანონის პროექტზე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მუშაობა გასულ წელს დაიწყო და მთავრობას წარუდგინა. 2014 წლის აპრილში მთავრობამ პროექტი პარლამენტს

<sup>7</sup><http://www.tabula.ge/ge/story/78665-kovlisshemdzle-moralisti-abezrebi>

გაუგზავნა, რომელმაც ის 2014 წლის 2 მაისს მიიღო. 7 მაისს, პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი ოფიციალურად შევიდა ძალაში<sup>8</sup> – აღნიშნულია „საერთაშორისო გამჭვირვალება – საქართველოს მიერ მომზადებულ ანგარიშში სახელწოდებით „ანტიდისკრიმინაციული კანონი: მიღწევები და გამოწვევები“.

ეს ანგარიში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მედიის გახსნილობა და საზოგადოებრივი პროცესების გამჭვირვალება აუცილებელია იმისათვის, რომ არ გაჩნდეს უსაფუძვლო შიში და ასეთი მნიშვნელოვანი კანონის მიღების პროცესში მედია თავიდანვე იყოს ჩართული, მითუმეტეს, როდესაც საკითხი ეხება კულტურული ტრადიციით დამკვიდრებული დამოკიდებულების ლიბერალიზაციას. დიდი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, მსჯელობა გახდა საჯარო. საპროტესტო აქციების მიუხედავად, პარლამენტმა კანონი მიიღო. აი, როგორ აღწერს ამ წინააღმდეგობრივ პროცესს „საერთაშორისო გამჭვირვალება – საქართველო“: „დიდი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გთავაზობთ კანონის მიღებასთან დაკავშირებული პროცესების, შემოთავაზებული მექანიზმებისა და წარდგენილი რეკომენდაციების თუ კომენტარების მოკლე ანალიზს.

**მოსამზადებელი პროცესი** - საქართველოს მთავრობამ კანონპროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ იუსტიციის სამინისტრო განსაზღვრა, რომელმაც კანონპროექტზე მუშაობის პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობა უზრუნველყო. იუსტიციის მინისტრმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ კანონთან დაკავშირებით, მას შეხვედრები საქართველოს საპატრიარქოშიც ჰქონდა. იუსტიციის სამინისტროდან კანონპროექტის მიღების შემდეგ მთავრობამ მასში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. აღნიშნული ცვლილებების შესახებ სამოქალაქო საზოგადოებამ მხოლოდ კანონპროექტის პარლამენტში დარეგისტრირების შემდეგ შეიტყო. პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი გარკვეულწილად განსხვავდებოდა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული თავდაპირველი ვერსიისაგან, კერძოდ, სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი შეიცავდა სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციის ჩამდენი პირების დაჯარიმების მექანიზმს. ყოველივე ამის გამო, არასამთავრობო და რელიგიური ორგანიზაციების ნაწილმა

<sup>8</sup><http://transparency.ge/blog/antidiskriminatsiuli-kanoni-mightsevebi-da-gamotsvevebi?page=2#1>

გააკრიტიკა კანონპროექტში შეტანილი ეს ცვლილება და რეკომენდაციებით მიმართა ხელისუფლებას. კანონის გარკვეული ჩანაწერები ცალკეულმა სასულიერო პირებმაც გააკრიტიკეს. კანონპროექტის განხილვამდე საქართველოს მთავრობას არ განუხორციელებია კანონპროექტთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობადობის გაზრდა, რამაც შემდგომში პრობლემად იჩინა თავი. კერძოდ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცოდა კონკრეტულად რას ეხებოდა აღნიშნული კანონპროექტი და რა იყო მისი მთავარი მიზანი. ყოველივე ეს ბოროტად იყო გამოყენებული კანონპროექტის მოწინააღმდეგე სასულიერო პირებისა და პოლიტიკოსების მიერ.

**კანონპროექტის განხილვის პროცესი** – მას შემდეგ რაც კანონპროექტი პარლამენტს გადაეგზავნა, მის პირველ მუხლში ასახული დისკრიმინაციის ფორმები გახდა სწორედ ყველაზე დიდი ვნებათაღელვის საგანი. ცალკეული პარლამენტის წევრები, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები და განსაკუთრებით კი სასულიერო პირები ითხოვდნენ, კანონს არ დაეკონკრეტებინა დისკრიმინაციის ფორმები. განსაკუთრებით პრობლემური იყო ჩანაწერი სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე, რომელსაც სასულიერო პირები „სოდომური ცოდვის“ დაკანონებად მიიჩნევდნენ და აფრთხილებდნენ პარლამენტის წევრებს, რომ თუ ისინი კანონის ამ ფორმით მიღებას მისცემდნენ ხმას, მათ ხალხი მხარს აღარ დაუჭერდა.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, სადაც კანონპროექტის განხილვა მიმდინარეობდა, დეკანოზმა დავით ისაკაძემ განაცხადა, რომ „ჰომოსექსუალობის ნორმად ქცევა“ მიუღებელია და კანონპროექტის მხარდამჭერებს ანათემით დაემუქრა.

პარლამენტს მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემაც და მოუწოდა, კანონპროექტის მიღება გადაეღოთ: „ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ამ კანონპროექტში ცნებების „სექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ შემოტანა ხალხში დიდ ვნებათაღელვას იწვევს, რადგან ჩვენი მოქალაქეების პიროვნული უფლებები ისედაც თანაბრად დაცულია საქართველოში დღეს არსებული კანონმდებლობით. ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო წარმოდგენილი ფორმით

ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს თვლის ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად.“

განხილვის პროცესის მიმდინარეობისას ჩანდა, რომ ზოგიერთი დეპუტატისთვის სასულიერო პირთა პოზიციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გელევან ფოფხაძემ განაცხადა, რომ თუ სინოდი მხარს არ დაუჭერდა კანონპროექტს, ის, როგორც მართლმადიდებელი, კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებდა.

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებიც აქტიურად გამოდიოდნენ კანონპროექტის წინააღმდეგ, მათ შორის ჯონდი ბალათურია: „სავარაუდოდ, ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს მიიღებს პარლამენტი, იმიტომ, რომ სრულიად უკანონოდ, კანონის დარღვევით, საქმეში ჩაერია ბიძინა ივანიშვილი. ეს არის ძალიან უხეში, აშკარა კანონის დარღვევა, რომელიც აიძულებს დეპუტატებს ამ კანონპროექტს ჩქარი წესით დაუჭირონ მხარი. რაც შეეხება რეაქციას ჩემი და ქართული საზოგადოების - არ შევარჩენთ. უკან დასახვევი გზა არ გვაქვს. სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს. ხალხი გამოვა ქუჩაში. მოგუწოდებ ქართველებს, რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს: ყველამ ერთად, ახლა ჩვენს შორის ეთნიკური განსხვავება გვერდზე უნდა გადავდოთ. ყველამ ერთად უნდა დავიცვათ საკუთარი ქვეყანა და საკუთარი ოჯახები.“

პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე დისკრიმინაციის ფორმების დაკონკრეტებას ეწინააღმდეგებოდა: „ჩემი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ შეიძლება ხვალ-ზეგ ნებისმიერი ნიშანი გაჩნდეს, რომლის მიხედვითაც შეიძლება ადამიანი დისკრიმინაციას დაუქვემდებარონ. რა საჭიროა კონკრეტულად, როდესაც არსებობს დისკრიმინაციის ნებისმიერი ნიშნის მიხედვით აკრძალვა?!“

გარდა ამისა, პარლამენტის წინ პერიოდულად სასულიერო პირებისა და მართლმადიდებელი მრევლის აქციაც მიმდინარეობდა, რომლებიც მოითხოვდნენ პარლამენტისგან უარი ეთქვა კანონპროექტის მიღებაზე.

პარალელურად, დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა კონსულტაციები პარლამენტსა და სასულიერო პირებს შორის. კანონის მიღებამდე, მცირე ხნით ადრე, ხელისუფლებამ სასულიერო პირების გარკვეული ნაწილის დარწმუნება მოახერხა იმაში, რომ კანონის მიღება აუცილებელი იყო. კონსულტაციების დასრულების შემდეგ, მოლაპარაკებებიდან გამოსულმა სასულიერო პირებმა პარლამენტთან შეკრებილ ხალხს დაშლისაკენ მოუწოდეს. მათი განცხადებით,

ისინი დარწმუნდნენ, რომ კანონი მართლმადიდებლურ ფასეულობებს საფრთხეს არ უქმნის.

2014 წლის 30 აპრილს მნიშვნელოვანი და კონსტრუქციული განცხადება გააკეთა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა: „საუბარია იმ უფლებებზე, რაზეც საუბარია ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციაში. შესაბამისად, ამდენი საუბარი და ამხელა აუიოტაუი ჩემთვის პირადად, ამოუხსნელი და გაუგებარია. ეს არის ჩემი, როგორც მოქალაქის და ამავდროულად როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოზიცია და მოსაზრება. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ კანონს მივიღებთ და მინდა კიდევ ერთხელ მოსახლეობას განვუმარტო, რომ ჩვენი მთავრობა და პირადად მე ვართ პასუხისმგებელი იმაზე, რომ ჩვენ არასოდეს მივიღებთ ისეთ კანონს, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ეროვნულ უსაფრთხოებას ან ტრადიციებს და ფასეულობებს.“

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ჩართულობა პროცესში და კომენტარები: „საკითხი დგას ასე: მივდივართ ევროპისკენ და ვაღიარებთ იმას, რომ ადამიანებს ჯოხით არ უნდა გამოვკვიდოთ თუ ვრჩებით რუსეთში, სადაც იმ ხალხის ქალაქიდან გაყრავა შესაძლებელი, ვინც არ მოგწონს და საერთოდ [შესაძლებელია] წახვიდე და ის ტერიტორია დაიპყრო, რომელიც მოგწონს. ამ კანონზე მსჯელობისას ჩვენ ამ სიბრტყეზე უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. უნდა მივიღოთ ის გადაწყვეტილება, რაც ცივილიზებულ მსოფლიოშია მიღებული და არ უნდა დავრჩეთ არაცივილიზებულ მსოფლიოსთან.“

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის - ეკა ბესელიას შეფასებით: „ეს კანონი სხვა არაფერია თუ არა ადამიანის, როგორც მთავარი ფასეულობის აღიარება. კანონი ამბობს, რომ ნებისმიერ ადამიანს, როგორც არ უნდა იყოს იგი, არ უნდა მოვექცეთ ჩავგრიტ. თუ რომელიმე ჯგუფის გამოსატვის უფლება ეწინააღმდეგება საზოგადოების ზნეობას ან მის ინტერესს, შეიზღუდება“

პროცესი ასევე იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ როგორც საპარლამენტო უმრავლესობა, ისე საპარლამენტო ოპოზიცია ერთიანი იყო და მხარს უჭერდა კანონის მიღებას:

„ეს კანონი აუცილებლად უნდა იქნას მიღებული. პირველ რიგში იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ განმეორდეს ისეთი სამარცხვინო ფაქტი, როგორც არის

ჭელას მინარეთის დემონტაჟი. ჩემთვის უცნაურია, როდესაც ეკლესია, რომელიც მეოცე საუკუნის განმავლობაში განიცდიდა დისკრიმინაციასა და დევნას, ის შეიძლება იყოს წინააღმდეგი ანტიდისკრიმინაციული კანონის,“ - განაცხადა საპარლამენტო ოპოზიციის წევრმა, სერგო რატიანმა.

საინტერესო იყო დეპუტატ თამარ კორძაიას რეაქცია, სასულიერო პირების კომენტარებზე, საკომიტეტო მოსმენების დროს. მან განაცხადა: „თუ თქვენ ამ დარბაზში ჩემი ყოფნა გაღიზიანებთ, მე ამ დარბაზს დავტოვებ თქვენი სიმშვიდისთვის, მაგრამ ის, რაც აქ ტრიალებს, არის ძალადობა პარლამენტზე და ჩემთვის, როგორც პარლამენტის წევრისთვის, მიუღებელია“.

ასევე, აღსანიშნავი იყო დეპუტატ ნინო გოგუაძის გამოსვლა პარლამენტში, რომელმაც განაცხადა, რომ კანონის უზენაესობის დასამკვიდრებლად აუცილებელია კანონის წინაშე ყველა ადამიანი იყოს თანასწორი.

2 მაისს პარლამენტმა საბოლოოდ, მესამე მოსმენით, მიიღო კანონი. სასულიერო პირებთან დაუინებელი პროტესტის გამო, მე-2 მუხლს დაემატა დათქმა საზოგადოებრივი ზნეობის დაცვაზე (იხილეთ ქვემოთ).

ამავე დღეს გაგრძელდა საპატრიარქოს განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ საპატრიარქო საჭიროდ მიიჩნევდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მრავალმხრივ შესწავლას, რადგან „მდგომარეობა შეიცვალა“ და კანონის უარყოფითი მხარეები თვალსაჩინო აღარ იყო. საპატრიარქომ უარყო გაგრძელებული ინფორმაცია, თითქოს, ცვლილებების შეტანის შემდეგ, მისთვის უკვე მისაღები გახდა კანონი. გამოქვეყნებულ განცხადებაში, საპატრიარქო ასევე აღნიშნავს, რომ მას „ბოლო ვარიანტის გაანალიზების საშუალება“ არ ჰქონდა, ხოლო ასეთ სერიოზულ თემაზე „ნახქარევი შეფასების გაკეთება ეკლესიის მხრიდან მართებული არ არის.“

აღსანიშნავია, რომ კანონში კვლავ დარჩა კანონპროექტის პირველი მუხლი, რომელშიც დაკონკრეტებულია დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია, რაც შეიძლება ამ კანონის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეფასდეს.

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, როგორი მნიშვნელოვანია მედიის ჩართულობა სწორედ იმ საკითხების გაშუქებისას, რომელიც საზოგადოების მსოფლმხედველობას, კულტურას და ტრადიციას ეხება. კანონპროექტის მიღებამდე სათანადო მედია-ჩართულობის შემთხვევაში, მდელვარებები ქუჩაში არ გამოვიდოდა, მოპროტესტე მხარეები

ეთერში იდებატებდნენ და უკეთ ინფორმირებული საზოგადოებისათვის, უფრო მშვიდ ვითარებაში დადგებოდა იგივე შედეგი.

თანამედროვე დემოკრატიული სამყაროს პოსტმოდერნისტული დისკურსით შემოქმედების პროცესი და მისი პროდუქტი, თუ იგი არ შეიცავს კანონით აკრძალულ მოწოდებას ძალადობისაკენ და რაიმე სახის შუღლის გაღვივებისაკენ, სრულიად თავისუფალია ნებისმიერი ეთიკური და სხვა სახის ჩარჩოების, ტაბუებისა და დოგმატების გავლენისაგან ან რაიმე სახის ეთიკური ან საკანონმდებლო რეგულაციისაგან, საავტორო უფლების დაცვის გარდა. მაგრამ ყოველივესთან ერთად, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ხსენებული პოსტმოდერნული სამყარო, პირველ რიგში, არის მულტიკულტურული, იგი არაერთგვაროვანია პოლიტიკური მოწყობის თვალსაზრისითაც და დაპირისპირებულია მსოფლმხედველობრივადაც. თანაც, შემოქმედებასთან ამგვარ დამოკიდებულებას არ იზიარებს მასში შემავალი მრავალ განსხვავებულ კულტურათაგან (სუბკულტურათაგან) ზოგიერთი კულტურის საზოგადოება (გლობალური სამყაროს ერთიანი სოციუმის გარკვეული, საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელის მსოფლმხედველობაც ხშირად ზენაციონალურია და რომელსაც უმეტესად გეოგრაფიული საზღვრებიც არ აცალკევებს დანარჩენებისგან), მათ შორის არის რამდენიმე სხვადასხვა მიმართულების რელიგიურ კულტურაზე დაფუძნებული საზოგადოება და მათი რელიგიური ლიდერები. სწორედ ამიტომ გამოხატვის თავისუფლება ხშირად წინააღმდეგობაშია რწმენის თავისუფლებასთან, ვინაიდან ყველა დოგმატური სარწმუნოება, თავისი არსით, ხშირ შემთხვევაში ეთიკური და მორალური აკრძალვებისა და ტაბუების მყარ, საუკუნეების განმავლობაში უცვლელად შენარჩუნებულ სისტემას წარმოადგენს და არ აპირებს ახალი სამყაროს მოთხოვნილებების გათვალისწინებით ამ დოგმატების მიმართ დამოკიდებულების შეცვლას და რაიმე სახის რეფორმის გატარებას.

აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ გლობალურ სამყაროში გვხვდება ორი სრულიად განსხვავებული – რაციონალური და ირაციონალური აზროვნების ტიპის ადამიანთა საზოგადოება, როგორც მათ უწოდებენ ხოლმე “გულისა და გონების ადამიანები”: ასევე იგი შედგება უმეტესად განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანებისაგან, როგორებიც არიან ათეისტები, გნოსტიკოსები, აგნოსტიკოსები და მრავალთაგან რომელიმე რელიგიური კონფესიის რწმენის გამზიარებელნი. მათ ყველას ერთ გარემოში უწევთ

თანაარსებობა, თანაც ისე, რომ დემოკრატიული სამყაროს ფუნდამენტური პრინციპების მიხედვით, არც ერთის გრძნობები და მისწრაფებები არ უნდა იყოს დაკნინებული და შეურაცხყოფილი. ამ რთულ კითხვებზე პასუხის ძიების პროცესში საინტერესოა, თუ როგორაა მოგვარებული სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობა ხანგრძლივი დემოკრატიის გამოცდილების მქონე ქვეყნებში და მრავალი ნიშნით განსხვავებული ისტორიული გამოცდილების მქონე სხვადასხვა ტიპის ქვეყნებში როგორ არის განსაზღვრული რელიგიისა და ტრადიციული კულტურის კომპონენტის ადგილი მედიაში, ანუ როგორ რეგულირდება მედიაში ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის რეგულაციის განსხვავებული ტიპიდან გამომდინარე კულტურული და რელიგიური საკითხების გაშუქება.

### 13. სახელმწიფოში რელიგიის სამართლებრივი რეგულირების გაგენა მსოფლმხედველობის საკითხების გაშუქებაზე

საუკუნეთა განმავლობაში ერთპიროვნული მმართველები ძალაუფლებას მხოლოდ რელიგიურ ლიდერებს უყოფდნენ ხოლმე. ფარაონები – ქურუმებს, ბელადები – შამანებს, ბუდისტი ლამები – მეფეებსა და იმპერატორებს, ასევე ძალაუფლებას ინაწილებდნენ ევროპელი მონარქები და კათალიკოსები, კარდინალები, რომის პაპი და ა.შ. პოსტინდუსტრიულ და ინდუსტრიულ ეპოქებში, ბურჟუაზიული რევოლუციების შემდგომ დამკვიდრებულმა დემოკრატია ძალაუფლების სამ სხვადასხვა შტოდ დანაწილება მოიტანა და რელიგიას მხოლოდ ადამიანის სულიერი ცხოვრების წინამძღოლის ფუნქცია შეუნარჩუნდა, რაც ასევე გარკვეული რიტუალებისა და ტრადიციების დამკვიდრებასაც მოიცავდა. ამ ფუნქციაში რელიგიას ე.წ. „მეოთხე ხელისუფლება“ – მედია შეეცილა. ეს პროცესი ასე შეგვიძლია აღვწეროთ: თანამედროვე სამყაროში ადამიანების დიდი ნაწილი მედიის ვარსკვლავებისგან და საპნის ოპერებიდან სწავლობს ჩაცმას, საუბრის მანერას და ცხოვრების სტილს. ტოკ-შოუებიდან და შემეცნებითი გადაცემებიდან იგებს მოსაზრებებს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე.

ეთერში ხდება დამკვიდრებული ტრადიციული და კულტურული ღირებულებათა გაანალიზება და მათი აკარგიანობის შეფასება. მაგალითად, გადაცემაში „სხვა რაკურსი“ წამყვანი ადამიანური ურთიერთობების ამა თუ იმ ვარიანტის თანამედროვე სამყაროსათვის მიუღებელი და მისაღები, მართებული თუ უმართებულო ურთიერთობის ფორმების შესახებ საუბრობს მოწვეულ სტუმრებთან ერთად და ა.შ. (განხილული თემები: ქალიშვილობის ინსტიტუტი, წაწლობის ტრადიცია მთაში, ქართული ხალხური ანდაზის „შვილი მტრად გაზარდე, მოყვარედ გამოგადგება“-ს აქტუალობა ბავშვთა უფლებების დაცვის პოზიციიდან, ლგბტ თემის მდგომარეობა თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში და ა.შ.).

ისტორიულად რელიგიებსა და მის ინსტიტუტებს (ეკლესია-მონასტრებს, მეჩეთებს, სინაგოგებს, ბუდისტურ დაცანებსა და ა.შ.) ჰქონდათ ადამიანთა სამყაროს შესახებ წარმოდგენების, ანუ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების და ყოველგვარი ცოდნის დაგროვება-გავრცელების პრიორიტეტული ფუნქცია, ხოლო შემდგომ ამ ინსტიტუტებმა სხენებული პრიორიტეტი თანდათან დათმო და ეს მისია თავისთავზე აიღო ჯერ მეცნიერებამ, ხოლო შემდგომ ასევე მედიამაც. ამ პროცესში ზოგჯერ გამოხატვის თავისუფლება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების ტრადიციულ მორალთან ანუ რელიგიის მიერ შეთავაზებული ეკლესიური ზნეობრივი ცხოვრების ნორმებსა და საერო ცხოვრების ქცევის იმ ფორმებს შორის, რომელთაც გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე, აშუქებს მედია. ასეთ შემთხვევებში ჩნდება პროტესტი მედიასაშუალებების მიმართ. ამგვარი წინააღმდეგობების სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად თანამედროვე სამყარო გეთავაზობს სახელმწიფოს (საერო ცხოვრებისა) და რელიგიას (საეკლესიო ცხოვრების წესს) შორის გამიჯვნის სხვადასხვა სამართლებრივ ფორმას. ისტორიულ წყაროებში მოიძიება ცნობები და დოკუმენტები იმის შესახებ, რომ სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობა საზოგადოებრივი განვითარების განსხვავებულ ეტაპებზე ერთგვაროვანი არ ყოფილა და ხანგამოშვებით ცხარე კამათის და სისხლიანი ძალადობის მიზეზი ხდებოდა. სწორედ ამიტომ, ამგვარი საკითხების გაშუქებისას, მედია ვალდებულია გაითვალისწინოს ის სამართლებრივი ურთიერთობის ფორმა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ამა თუ იმ ქვეყანაში რელიგიასა და სახელმწიფოს გამიჯვნის სახით. ასევე, ისტორიულ მონაცემებზე

დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ რელიგიისა და სახელმწიფოს შორის გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით არსებობდა დიფერენცირებული მიდგომები და შეხედულებები, როგორც საზოგადოებრივი აზრის მხრივ, ასევე პოლიტიკურ-სამართლებრივი კუთხითაც.

სამართალმცოდნეები აღწერენ სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ისეთი გამიჯვნის ფორმებს, როგორც არის:

სრული გამიჯვნა, ამგვარი (მოდელია აშ.შ. ცხადია რომ სრული გამიჯვნის შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების ხარისხი მსოფლმხედველობრივი პოზიციების გაშუქებისასა მაქსიმალურად მაღალია.

კორპორაციული გამიჯვნა – ( მოდელია გერმანია);

რელიგიის პრიორიტეტი – (მოდელია იტალია ).

ისტორიული განვითარების განსხვავებულობიდან გამომდინარე, როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნებში, გვხვდება გამიჯვნის მრავალი მოდელი, რომლებიც მხოლოდ მცირე მნიშვნელობის ნიუანსებითაა განსხვავებული. დღევანდელ მსოფლიოში არსებულ გამიჯვნის სამართლებრივ ფორმებს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის უფრო დაწვრილებით შეგვიძლიათ გაეცნოთ ამ ნაშრომის ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში მითითებული წყაროებიდან, სამართალმცოდნეთა ნაშრომებიდან. ზედაპირული გაცნობითაც ცხადია, რომ რაც მეტად გამიჯნულია რელიგიური ინსტიტუტები სახელმწიფოსაგან, მით უფრო სწრაფად გადადის მათგან მსოფლმხედველობის შემოქმედ-გამავრცელებლისა და ყოფითი ადათ-წესების განმსაზღვრელის ფუნქცია მეცნიერული აზრისა და მედიის მხარეს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რელიგიურ მსოფლმხედველობასა და ინსტიტუტებთან ურთიერთობის სამართლებრივ მოდელს, თითოეული სახელმწიფო ირჩევს, მისი ისტორიული წარსულისა და საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული რელიგიური და ყოფითი ტრადიციების საზოგადოებაზე გავლენის, ასევე იმის გათვალისწინებით, რამდენად ღიაა ესა თუ ის კონკრეტული საზოგადოება სიახლის მიმართ, მათ შორის ტრადიციის ახლებური გააზრების და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ეს ყოველივე გავლენას ახდენს გამოხატვის თავისუფლების ხარისხზე მედიაში.

საგულისხმოა, რომ ამგვარი კანონმდებლობის მარტივი ექსპორტი შეუძლებელია არსებული მრავალფაქტორიანი მოცემულების გათვალისწინების და შესაბამისი ადაპტაციის გარეშე.

14. აუდიო-ვიზუალური ვირტუალური რეალობა, როგორც ახალი სამყარო გავიხსენოთ მსოფლიოში ჩატარებული პირველი კინოსეანსი, როდესაც ძმებმა ლუმიერებმა 1895 წლის დეკემბერში პარიზში, კინოსეანსზე, ფილმი აჩვენეს. მაყურებლებს შეეშინდათ მათკენ მომავალი მატარებლის ისე, თითქოს ეს ნამდვილი მატარებელი იყო. „კინოფილმმა უნდა დააღიწყოს მაყურებელს, რომ იგი კინოდარბაზში იმყოფება“<sup>9</sup>, – ამბობდა ცნობილი რეჟისორი რომან პოლანსკი და მართლაც, სულ მალე ადამიანის ცხოვრება ისე შეავსო აუდიო-ვიზუალურმა ვირტუალურმა სამყარომ, რომ ადამიანის ემოციური ჩართულობისთვის ხშირად განსხვავება აღარ არის სად მთავრდება ვირტუალური და სად იწყება რეალური სამყარო. აქვე მინდა გავიხსენო ისიც, რომ მაყურებელთა ნაწილს თავდაპირველად უჭირდა მონტაჟის ფენომენის გეშტალტური აღქმა და ვერ ხვდებოდა, როგორ შეიძლება ხაზოვანი დროის შეკუმშვა ისე, რომ კარში შესული ადამიანი უცბად აღმოჩნდეს ზედა სართულის ოთახში, ვინაიდან მათ აღქმაში დამონტაჟებულ დროს გეშტალტური მთლიანობის სახე არ ეძლეოდა, ამიტომ ეგონათ, რომ ნებისმიერი დამონტაჟებული კადრი ასახავდა ზღაპარს, რომელშიც ადამიანი უცებ ქრება ერთ ადგილას და სასწაულებრივად ჩნდება სხვა ადგილას, როგორც ეს მხოლოდ ზღაპარში ხდება. სულ ცოტა ხანში კი აუდიო-ვიზუალურმა მედიამ ისეთი დიდი ადგილი დაიკავა ადამიანების ყოფაში, რომ მისთვის საყვარელი სერიალების გმირების და რეალური ადამიანების პრობლემები ერთმანეთში აირია.

1990-იანი წლების ბოლოს თბილისში გავრცელდა ერთი ასეთი ანეკდოტური რეალური ამბავი: ერთი შუახნის ქალბატონი ნაცნობს შეხვდა და, როდესაც მან მოიკითხა, როგორ ბრძანდებითო, ქალბატონმა უპასუხა, როგორ უნდა ვიყო, ცუდად ვარ, შვილი უმუშევრად მყავს, მეც ჯანმრთელობა აღარა მაქვს, ყოველდღე წნევა მაწუხებს და ეს საზიზღარი ადვოკატი ტერაზინიც ახლა გამოვიდა ციხიდანო. იმ პერიოდში საქართველოს ტელევიზიით გადიოდა იტალიური კრიმინალური სერიალი „რვაფეხა“, რომელშიც უარყოფითი პერსონაჟი იყო ზემოხსენებული ადვოკატი ტერაზინი, სერიალის პერსონაჟის ციხიდან გამოსვლას და საკუთარ ყოფით პრობლემებს ქალბატონი

<sup>9</sup><http://stuki-druki.com/Aforizmi-Polanski.php>

ერთნაირად განიცილიდა. ასეთი შემთხვევა გამონაკლისი არ არის და სერიალის პერსონაჟებთან დაკავშირებული ტიპური ემოციაა.

### 15. სუბკულტურები პოსტმოდერნულ სამყაროში

შემოთ ვისაუბრეთ ანტიდისკრიმინაციული კანონის განხილვის პროცესის მიმდინარეობასა და იმ წინააღმდეგობებზე, რაც მოყვა ამ კანონის მიღებას. საკითხის სიღრმისეული განხილვისათვის საჭიროა განვმარტოთ, თუ რა არის სუბკულტურა და როგორ ესმის ტრადიციული და რელიგიური ღირებულებების შინაარსი პოსტმოდერნული ეპოქის მულტიკულტურული გარემოს პირობებში მცხოვრებთ, რომლებიც საკუთარ იდენტობას განსხვავებული კულტურული და რელიგიური ღირებულებების გამზიარებელ ადამიანთა დიდი და მცირე ჯგუფების ერთობის წევრებად შეიმეცნებენ („ერი“, „ეთნოსი“, „ერთმორწმუნე“. ეს უკანასკნელი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ზენაციონალური ერთობა. ასეთივეა ასაკის მიხედვით გაერთიანებული – „ერთი თაობა“, „ქალაქელობა“, „უბნელობა“, რომელიც სულაც არ ნიშნავს მხოლოდ ქალაქის ტიპის დასახლების მცხოვრებს და ბევრად უფრო ვრცელი შინაარსი აქვს, მათ შორის, ხაზს უსვამს ამ ნიშნით სხვებისგან გამორჩეულობას და, გარკვეულწილად, ელიტარულ მიკუთვნებულობასაც). ამგვარ ცნებებს, ასევე თან ახლავს „კაცური“ ღირსების კოდექსიანი „ვაჟკაცური“ გაგება, რომელიც პატრიარქალური, მასკულინური და სექსისტური დამოკიდებულებების სამყაროსთვისაა დამახასიათებელი. არსებობს ასევე „ქურდული გაგებაც“, რაც კრიმინალურ სუბკულტურულ ერთობას წარმოადგენს და საბჭოური ტოტალიტარიზმის ეპოქაში გარკვეულად „რეჟიმის დრაკონული კანონების წინააღმდეგ“ მებრძოლის რომანტიკული საბურველის მატარებელიც კი იყო. სინამდვილეში ეს ერთობა ბანალური, ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალური კარტელი გახლდათ და მაფიისთვის დამახასიათებელი უამრავი ნიშნით. ამას გარდა, არსებობს ასევე ამა თუ იმ არაფორმალური ნიშნით გაერთიანებული ერთობები, რომლებიც ნებაყოფლობით ერთიანდებიან საკუთარი შეხედულებათა დასაცავად. მაგალითად, „პარტიზანული მებრძოლები“.

გემოვნების ან გატაცებების შესაბამისად, რომელიმე მუსიკალური მიმართულების მაგ. როკის, ჯაზის ან მენისტრიმული პოპმუსიკის მოყვარულთა ერთობა, ამა თუ იმ საფეხბურთო გუნდის ფანები, ზოგადად ფანკლუბები და ა.შ., რომლებიც ასევე გამოირჩევიან ხოლმე აგრესიული ქცევით საყვარელი კლუბის გულშემატკივრობის დროს. ამგვარ გაერთიანებას სუბკულტურულ ერთობად ვერ განვიხილავთ, ვინაიდან არ გააჩნიათ გამაერთიანებელი იდეოლოგიის ჩანასახი, რაც აქვთ მუსიკალური მიმართულების ერთობებს, მაგალითად როკკულტურის და ფსიქოდელიური მუსიკის მიმდევრებს. ასევე სუბკულტურული გაერთიანების ნიშნები ახასიათებს სახელოვნებო ანდერგრაუნდს. საქართველოში უკვე არის გოტების, ემოების, როკერების და სხვა სუბკულტურების ჩანასახები. ასევე სუბკულტურის ნიშნები აქვს თანამედროვე ავანგარდული ხელოვნების მოყვარულებისა და მოდერნული ხელოვნების მიმდევარ ხელოვანთა გაერთიანებებს, მემარცხენე რადიკალურ ჯგუფებს. ადამიანები ასევე ერთიანდებიან, როგორც სექსუალური უმცირესობები, ასეთია, მაგალითად, სექსთან და სექსუალურ იდენტობასთან არატრადიციული ორიენტაციით გაერთიანებული ლგბტ თემი. საქართველოში უმცირესობა ასევე წარმოდგენილია ისეთი რელიგიური სექტებითაც, როგორც არიან; იეჰოვას მოწმეები, სტაროვერები, ბაპტისტი ევანგელისტები, მალაკნები, მუსლიმი ვაჰაბიტები და ა. შ. რომელთა უფლებები საქართველოში დაცულია ანტიდისკრიმინაციული კანონით. ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას სახელმწიფოსთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება – კონკორდატი, რითაც მიენიჭა უპირატესი უფლებები სხვა რელიგიურ მიმდინარეობებთან შედარებით. საქართველოს კონსტიტუციით ასევე დაცულია საქართველოში არსებული ტრადიციული რელიგიები – იუდაიზმი, სომხური გრიგორიანული ეკლესია და ისლამი. ქვეყანაში მოქმედებს კულტურულ და რელიგიურ ღირებულებათა და ტრადიციის დამცველთა გაერთიანებები, არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახით, მათ შორის „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“, რომელთა პოზიციებსაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და სხვა ორგანიზაციებიც, მაგალითად „ხრიდოლი“, „ჩოხოსანთა კავშირი“, „თავად-აზნაურთა გაერთიანება“ და ა. შ. ინტერესთა ჯგუფების სხვადასხვაობა და ადამიანების ამგვარ ჯგუფებში გაერთიანების სურვილი უფრო კარგად გამოიხატა სოციალური ქსელების შექმნის შემდეგ,

რომლებშიც ადამიანებს საშუალება აქვთ გაერთიანდნენ ინტერესების ან სხვა რაიმე საერთო ნიშნის მიხედვით ღია და დახურულ ჯგუფებში. ეს გაერთიანებებიც, უმეტესად, ზენაციონალურია, როგორც რელიგიური ან სხვა ნიშნით გამორჩეული ზენაციონალური ერთობები და ა.შ.

იმისათვის, რომ გაგვეანალიზებინა რელიგიურ და კულტურულ-ტრადიციული ღირებულებების დამცველთა ერთიანობაში შემავალი ადამიანების უფლებების მიმართ მედიის დამოკიდებულება, საჭიროა დღევანდელ აკადემიურ მეცნიერებაში კულტურისა და რელიგიის, როგორც დამკვიდრებული ტრადიციის ფენომენის ცნებების განსაზღვრა, ანუ ის, თუ როგორია აკადემიური მეცნიერების ტერმინებში კულტურისა და რელიგიის იმ სფეროების წარმოშობის ისტორია, რომლის საფუძველზეც ყალიბდებოდა ეროვნული ტრადიციული ღირებულებები.

## 16. მედიაკულტურა და ტრადიციული კულტურა

კულტურის ფენომენი განმარტებულია მრავალ სამეცნიერო ლიტერატურაში. შესაბამისად, ტერმინი „კულტურა“ ბევრი მნიშვნელობით გამოიყენება. სხვადასხვა ავტორები მასში განსხვავებულ აზრს დებენ. ამერიკელი ეთნოგრაფები ალფრედ ლუის კრიობერი (1876-1960) და კლაიდ კეი მებენ კლაკჰონი (1905-1960) წიგნში, რომელიც გამოვიდა 1952 წელს და ეწოდება „კულტურა – განსაზღვრებისა და განმარტებების კრიტიკული მიმოხილვა“ მოყვანილია კულტურის 150-ზე მეტი განსაზღვრება, რომლებიც ლიტერატურაშია მოხსენიებული ( რობერტ „ ლუცკოჰჰნ ჩლ. ჩულტურე. ჩრიტიცალ დევიეწ ოფ ჩონცეპტ ანდ ეფინიტიონ. ეწ ორკ, 1952). თითქმის ორი ათწლეულის შემდეგ, ფრანგმა მეცნიერმა, აბრამ მოლმა ნაშრომში „კულტურის დინამიკა“ (1969წ) დაითვალია კულტურის 250-ზე მეტი განსაზღვრება (Моль А. Социодинамика культуры. М., 1973. С. 35). ამ ვრცელ ნუსხას რომ არ დაემატოს ახლებური განსაზღვრებები, სჯობს გავყვეთ კულტურისა და რელიგიის წარმოშობის ისტორიის ისეთ ვერსიას, როგორც მიღებულია დღევანდელ აკადემიურ მეცნიერებაში, ვინაიდან ადამიანის

„გაკულტურულების“ ისტორიაც მრავალი, სრულიად განსხვავებული ვერსიით არსებობს. მაგალითად: უცხო ცივილიზაციების ჩარევის ვერსია, რომლის მიხედვით, თითქოს მაღალგანვითარებულმა უცხოპლანეტელთა რასამ მისცა ბიძგი ადამიანის მოაზროვნე არსებად ქცევის პროცესს და სწორედ ისინი მიიჩნიეს ადამიანებმა ღმერთებად, რაც არის კიდევ ასახული უძველეს მითოლოგიასა და ფოლკლორშიც. ასევე არსებობს მეორე, მსგავსი, მაგრამ ამჯერად მიწიერი წარმოშობის განვითარებული ცივილიზაციის ჩარევის ვერსიაც, რომლის მიხედვით იგივე ქმედება მიეწერება პრეისტორიულ ადამიანთა მაღალგანვითარებულ რასას. ამ ვერსიის მიხედვით, დედამიწაზე არსებობდა ძალზე მაღალგანვითარებული, წინაისტორიული, ჩვენთან შედარებით ტექნოლოგიურად ბევრად წინასწული ადამიანური ცივილიზაცია, რომელიც თითქმის მთლიანად განადგურდა კოსმოსური ან მიწიერი მიზეზით გამოწვეული უზარმაზარი დამანგრეველი ძალის კატაკლიზმის შედეგად. ეს კატაკლიზმი, როგორც წარდგნა, აისახა გეოგრაფიულად და კულტურულად ძალზე დაშორებული, განსხვავებული განვითარების, ერთმანეთთან კომუნიკაციის არმქონე ტომებისა და ხალხების ფოლკლორსა და რელიგიურ ცოდნაში. ამ დაღუპული ცივილიზაციის გადარჩენილმა, ჩვენთვის უცნობმა წარმომადგენლებმა მისცეს ბიძგი გონიერი ადამიანის განვითარებას. ამ ვერსიის მიხედვით, დაღუპული ცივილიზაციის გადარჩენილმა წარმომადგენლებმა საცხოვრებლად სხვადასხვა, ჩვენთვის ჯერ მიუწვდომელი ადგილები და არსებობის ფორმები აირჩიეს და დღემდე დროდადრო ერევიან თანამედროვე ადამიანის განვითარებაში. ამგვარი ვერსიები, რომლებიც თავისი შინაარსით ახალი რწმენების შექმნას ემსახურება და დღეს აღიარებული პარადიგმის ფარგლებში მეცნიერული დასაბუთების პირობებს არ აკმაყოფილებს, რათა მეცნიერულ აღმოჩენებად ჩაითვალოს და არც არის აღიარებული აკადემიურ სამეცნიერო წრეებში, ფართოდ შექცება რუსულ და სხვადასხვა შემეცნებით ტელეარხებზე. ჩვენ, კულტურის განვითარების შესახებ მსჯელობისას, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დამკვიდრებული ადამიანის წარმოშობისა და განვითარების ევოლუციური თეორიის ფარგლებში ვისაუბრებთ, ხოლო კულტურასა და ტრადიციაში გამყარებული ქცევების განვითარების შესახებ მსჯელობისას გამოვიყენებთ როგორც ჩარლზა დარვინის და ანტროპოლოგიური მეცნიერების სხვა წარმომადგენელთა შეხედულებებს, ასევე სოციოლოგების – რობერტ

მერტონისა და ტალკოტ პარსონსის ფუნქციონალიზმის თეორიის ცნებებს. აქვე იმასაც დავძენ, რომ საინტერესოდ მიმაჩნია გავიხსენო ქართველი საბჭოთა ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის მოსაზრება კულტურაში მემკვიდრეობითობის შესახებ.

ისეთი თეორიული კონცეფციის შექმნა, რომელიც დაახასიათებდა, გახსნიდა კულტურის განვითარების დინამიკას ისტორიული ტიპოლოგიის კონტექსტში, კონტექსტუალურ ერთიანობას ტრადიციასა და ინოვაციას შორის, ბევრისგან აღიქმებოდა, როგორც საყოველთაოდ აღიარებული, მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ისტორიულ-კულტუროლოგიური თეორია დღემდე არ არსებობს. როგორც მ. მამარდაშვილი წერდა, “კულტურას თავიდან შობს (ან არ შობს) ყოველი ახალი თაობა. იბადება, თუ იგი განახორციელებს გარკვეულ აქტს (ვეცდები განვმარტო ეს), რომელზეც იკვანძება ისტორია, ყოველივე რაც იყო მანამდე. ამის საფუძველზე ვასკვნი, რომელ ისტორიას მივუკუთვნებთ, რას განვაგრძობთ, რისი მემკვიდრე ვართ, ვინაიდან ამ აქტში იკვანძება კულტურის მემკვიდრეობითობაც. სწორედ ამგვარი აქტების შიგნით არსებობს კავშირი არსებითთან, ცოცხალთან. ეს არის კულტურული აქტის სიცოცხლის არსი, მისი აქტუალობა, ის, რაც აკავშირებს ამგვარი აქტის განმარტორციელებელს ყოველივე ცოცხალთან. ცოცხალი კი, როგორც დავრწმუნდით, ისაა, რაც პოტენციაშია ან რისი პოტენციური შესაძლებლობაც არსებობს შემეცნების ველში. აღქმის და ცნობიერების ცოცხალი აქტები, ცოცხალი აზრი და ა.შ. – ცოცხალია, თუ შემეცნების განვითარების პოტენციაში არსებობს”.<sup>10</sup> აუცილებელია გვახსოვდეს ისტორიულ-სოციალური კონტექსტის გაშიფვრაც. “იმისათვის, რომ შევძლოთ ფილოსოფიური აზროვნება, უნდა ვიყოთ აზროვნების ველში, მემკვიდრეობით და ტრადიციით”<sup>11</sup>.

<sup>10</sup> Мамардашвили М. К. «Эстетика мышления» из книги «Философские чтения». — СПб.: Азбука- классика, 2002. — 832 с [http://yanko.lib.ru/books/philosoph/mamardashvili-estet\\_mushleniya\\_from\\_ph\\_r-8l.pdf](http://yanko.lib.ru/books/philosoph/mamardashvili-estet_mushleniya_from_ph_r-8l.pdf) გვ 55

<sup>11</sup> იქვე გვ 132

## თავი II

### 2.1. განსხვავებული მსოფლმხედველობების კულტურათა გააზრება

ფრიდრიხ ნიცშეს აფორიზმს თუ მოვიშველიებთ, „კულტურა ეს მხოლოდ უთხელესი ვაშლის კანია გავარვარებული ქაოსის ზედაპირზე“<sup>12</sup>. ეს თუ ასეა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ყოველთვის, როდესაც კულტურა რყევებსა და ცვლილებებს განიცდის, გავარვარებულმა ქაოსმა შესაძლოა ვულკანივით ამოხეთქოს ზედაპირზე და გადაიყოლოს კულტურაც და კაცობრიობაც. ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ კულტურა და ტრადიცია სწორედ ისაა, რასაც ფრიდრიხ „სუპერ ეგოს“ (З. Фрейд Введение в психоанализ. Лекции. М. Наука, 1989) უწოდებს და რაც საშუალებას არ აძლევს ჩვენს ხარბ „ეგოსა“ და „იდის“ ანუ ქვეცნობიერის პირველყოფილ, ცხოველურ ენერგიას და ვნებებს (ლტოლვებს), შეიპყრონ ჩვენი არსება. იმისთვის, რომ აღვწეროთ აუდიო-ვიზუალური მედია, როგორც კულტურის ნაწილი და თანამედროვე კულტურის გაშუქება აუდიო-ვიზუალურ მედიაში, გვერდს ვერ ავუვლით ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა მედიაკულტურა, მოდერნულობა და პოსტმოდერნულობა. მათი განმარტებისათვის კი საჭიროა ავანგარდსა და ტრადიციულ კულტურას შორის ურთიერთმიმართება განვიხილოთ, როგორც კულტურის ევოლუციური განვითარებისა და მისი თანამდგევი რევოლუციური ცვლილებების ერთიანი პროცესის არსებობის წინაპირობა. ამ პროცესის ერთიან კონტექსტში წარმოსადგენად, აუცილებელია გავაანალიზოთ ურთიერთმიმართება ავანგარდსა და ტრადიციას შორის. იმისთვის, რომ ერთიან სისტემად განვიხილოთ, როგორც მასკულტურის, ასევე მაღალი ხელოვნების განვითარება, უნდა აღვწეროთ, თუ რა ადგილი უჭირავს ამ პროცესში ავანგარდს, როგორც მოდერნული და პოსტმოდერნული სამყაროს ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს.

ავანგარდი, როგორც მისი სახელწოდებიდან გამომდინარეობს, წინახაზზე ყოფნას იჩემებს. უსწრებს დროს და პირველ ეტაპზე ისევეა ამოგლეჯილი

<sup>12</sup>Ф. Ницше. сочинение в 2-х томах, т. 1. М.: "Мысль", 1990, 767 - "Злая мудрость, афоризм"м 304:

ტრადიციული მასობრივი კულტურული სხეულიდან, როგორც ვაშლის კანზე ნასეტყვი ლაქები. თუ ამ მეტაფორასაც გაიზიარებთ, შეგვიძლია უფრო შორს წავიდეთ და ვთქვათ, რომ ავანგარდს ანუ თავისუფლებას თავის უმაღლეს გამოსატყვამში, გარკვეულწილად მაგიური მედიუმის ფუნქციასაც მიაწერენ კოსმიურ მარადისობასა და ადამიანს შორის. ანუ მისი დანიშნულებაა განხორციელდეს ადამიანის ტრანსგრესია ნიცშეანური ზეადამიანისკენ. შეიძლება ითქვას ისიც, რომ ავანგარდს აქვს ის ფუნქცია, რაც თავის დროზე კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში ყოფითი კულტურისგან, დეკორატიული ხელოვნებისაგან განსხვავებულ სუფთა ხელოვნებას ჰქონდა. გარკვეული დეტალები ნიჭით აღბეჭდილობის გამო, საკულტო შამანური ხელოვნება, მაგიურობის საკრალურ დანიშნულებას ატარებდა. ადამიანთა საზოგადოებაში ტრადიციული კულტურული გარსის დარღვევას შეუძლია ზედაპირზე ამოიტანოს გავარვარებული ქაოსის სახიფათო ენერგია. ასეთივე საფრთხის შემცველია უძრავობით გაქვავებული ტრადიციული ნორმებიც, რომელიც კულტურის განვითარების რაღაც ეტაპზე დრომოჭმული და პროგრესისათვის ხელისშემშლელი ხდება (ჩვენი მეტაფორის მიხედვით, იგი შეიძლება შევადაროთ ღობის პროცესს ვაშლის კანზე, რომელიც ასევე იწვევს რღვევას) თუმცა, კულტურა დღემდე ახერხებს იმას, რომ დარჩეს ოქროს შუალედში ანუ ვაშლის თხელი კანის მთლიანობის მდგომარეობაში და კაცობრიობის უმეცრებისა და ცხოველური საწყისების ტყვეობასა და ქაოსში შთანთქმა არ დაუშვას. ანტროპოლოგიურ მეცნიერებათა უმეტესობა და ფსიქონალიზის ფუძემდებელი ზიგმუნდ ფროიდი თავის წიგნში „ტოტემი და ტაბუ“ ხომ სწორედ კულტურული ტაბუების გაჩენას უკავშირებს იმ ნაბიჯს, როდესაც ადამიანი ცხოველზე ამადლდა და გაადამიანურების საფეხურზე ავიდა (ტოტემ ანდ თაბოო ბყ შიგმუნდ რეუდ).

## 2.2 პირველყოფილი კომუნიკაციისა და კულტურის წარმოშობა

ისეთ ფუნდამენტურ მკვლევარებზე დაყრდნობით, როგორებიც არიან რუსეთში – ბ. ბარტკინი, ლ.ნ. გუმილიოვი, მ.ს. კოგანი, მ.ვ. ივანოვი, ი. პომერანეცი, ნ. რომანოვი, დასავლეთში კი – ჯ. მაგოვანი, ბ. რასელი პ. სოროკინი, ს. ჰანტინკტონი, ო. შპენგლერი, ჟ. ფურსტიე და სხვები; რუსი მეცნიერი ნ. ბ.

კირილოვა<sup>13</sup> განვიხილავს სხვადასხვა ტიპის კულტურების ევოლუციის პროცესებს. პირველყოფილი კულტურა დაიბადა ოთხი მილიონი წლის წინათ. ომო აბილის, რომელმაც დაიწყო შრომის იარაღების დამზადება და ომო შაპიენს, რომელმაც ათიათასი წლის წინ დაიწყო უძველესი სახელმწიფოების შექმნა (პირველი სახელმწიფო წარმონაქმნი კი ჩვ.წლ.აღ-მდე IV-III საუკუნეებში, წყნარი ოკეანის კუნძულებზე უკვე ჰქონდათ იქ დამკვიდრებულ ტომებს), იმას ნიშნავს, რომ დაიწყო კულტურული ადამიანის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის ეპოქა. ინფორმაციის შეგროვება საზოგადოებაში და კულტურული განვითარების შედარებით ნელი ტემპი დაიწყო იმ პერიოდში, როდესაც ენა ძალზე პრიმიტიული იყო, ხოლო ვერბალური კომუნიკაცია მცირე. კულტურის მთავარი არსი იყო ყოფითი, ბუნებრივი ბიოლოგიური აქტივობა, პრიმიტიული შრომითი საქმიანობა, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა პრაგმატული და ინფორმაციული ასპექტები. აზრის გადაცემისა და ათვისების მეთოდი არავერბალური, უსიტყვო მიბაძვა, „გამოჯავრება“ იყო. ფუნქციონალიზმის ტერმინებში რომ აღვწეროთ, ყველა ის ქცევა, რომელიც ფუნქციური და შედეგიანი იყო, ხდებოდა განმეორებადი და ყალიბდებოდა ფუნქციონალური ქცევების ნაკრებად ანუ ტრადიციად. ფრედი პერლმანის „ყოველდღიური რეპროდუქციის თეორიას“<sup>14</sup> თუ მოვიშველიებთ, „ტომის წევრთა ყოველდღიური საქმიანობა საკუთრივ ტომის კვლავწარმოებასა და შენარჩუნებას ახდენს. კვლავწარმოებაში მოიაზრება, არამხოლოდ ფიზიკური რეპროდუქცია, არამედ – სოციალური კვლავწარმოებაც. ტომის წევრები „სოციალური ფაქტების“ კვლავწარმოებას ახდენენ, რომლის ფარგლებშიც ადამიანთა ეს ჯგუფი სპეციფიკურ მოქმედებებს ასრულებს. სოციალური ფაქტი, ემილ დიურკჰაინის განსაზღვრებით, არის ქმედებათა ყოველი წესი, – მდგრადი ან არამდგრადი, რომელსაც ძალუძს მოახდინოს ინდივიდზე გავლენა გარემოებების საშუალებით ან სხვაგვარად: რაც გავრცელებულია მოცემული საზოგადოების მთელ სივრცეზე და იმავდროულად გააჩნია საკუთარი, თავისივე ინდივიდუალური გამოვლინებებისგან დამოუკიდებელი არსებობა. ტომის წევრების სპეციფიკური „სოციალური მოქმედებები“ (მაქს ვებერის განსაზღვრებით, სოციალურ მოქმედებად უნდა იწოდოს ადამიანის

<sup>13</sup> . Н. Б. Кириллова Медиакультура: от модерна к постмодерну <http://www.ifap.ru/library/book380.pdf> გვ.33

<sup>14</sup> [The Reproduction of Daily Life by Fredy Perlman](http://www.spunk.org/texts/writers/perlman/sp001702/repro.html)  
<http://www.spunk.org/texts/writers/perlman/sp001702/repro.html> გვ.1

ქცევა, მაგრამ სოციალური მოქმედება უნდა ეწოდოს ისეთს, რომელიც მოქმედის ან მოქმედთა მიერ ნაგულისხმევი სუბიექტური საზრისის მიხედვით მიმართულია, მიპყრობილია სხვათა მოქმედებებზე) არ არის ადამიანის ბუნებრივი მახასიათებელი იმ სახით, როგორაც, ვთქვათ, თაფლის წარმოებაა ფუტკრისთვის ბუნებრივი მახასიათებელი. ტომის წევრების მიერ ყოველდღიური ცხოვრების ფორმის შენარჩუნება, კონკრეტულ მატერიალურ და ისტორიულ პირობებზე სოციალური პასუხია. მონების ყოველდღიური მოქმედება მონობის კვლავწარმოებას ახდენს. ამით მონები არა მხოლოდ ფიზიკურად კვლავწარმოებენ საკუთარ თავსა და მათ ბატონებს, არამედ იმ ინსტრუმენტებსაც, რომელთა მეშვეობითაც ბატონები ახდენენ მათ რეპრესიას და აყალიბებენ საკუთარ ჩვევას, რომ დაემორჩილონ ბატონის ავტორიტეტს. ადამიანისათვის, რომელიც მონების საზოგადოებაში ცხოვრობს, ბატონი-მონის დამოკიდებულება ბუნებრივ და მუდმივ ურთიერთობად აღიქმება. თუმცა, ადამიანები არ იბადებიან ბატონებად და მონებად. მონობა არის სპეციფიკური სოციალური ფორმა და ადამიანები მას მხოლოდ კონკრეტულ მატერიალურ და ისტორიულ პირობებში ემორჩილებიან. სახელფასო ანაზღაურების მქონეთა ყოველდღიური აქტივობა სახელფასო შრომისა და კაპიტალის კვლავწარმოებას ახდენს. ყოველდღიური სოციალური მოქმედებების მეშვეობით, „მოდერნული“ ადამიანები კვლავ აწარმოებენ ყოველდღიური ცხოვრების სოციალურ ფორმებს, ისევე როგორც ტომის წევრები და მონები ახდენენ მათი საზოგადოების წევრების, სოციალური ურთიერთობებისა და ღირებულებების კვლავწარმოებას.

სოციალური აქტივობის ადრეული ფორმებისგან განსხვავებით, ყოველდღიური ცხოვრება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სისტემატურად ახდენს იმ მატერიალური პირობების ტრანსფორმირებას, რომელსაც კაპიტალიზმი შეესაბამება. ადამიანური აქტივობის ზოგიერთი შეზღუდვა თანდათანობით ექცევა ადამიანის კონტროლის ქვეშ. ინდუსტრიალიზაციის მაღალ დონეზე, პრაქტიკული ქმედება ქმნის საკუთარ მატერიალურ პირობებს, ასევე იძენს საკუთარ სოციალურ ფორმებს. ამიტომაც ანალიზის სუბიექტი არ არის მხოლოდ ის, თუ როგორ კვლავწარმოებენ კაპიტალისტურ საზოგადოებას პრაქტიკული ქმედებები, არამედ ისიც, რომ ეს ქმედებები/აქტივობები აქრობენ მატერიალურ პირობებს, რომლებსაც კაპიტალიზმი შეესაბამება. სწორედ ამ აზრს აყალიბებს ფრედ პერლმანი თავის ნაშრომში „ყოველდღიური

რეპროდუქციის თეორია“. “დასწავლის ძირითადი საშუალება და ქმედებები, რომლებსაც თუნდაც უმცირესი ეფექტურობა ჰქონდა, ყალიბდებოდა ქცევად და მოქმედებად, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ქმნიდა შემდგომი განვითარების წინაპირობას. მრავალრიცხოვანი ადათების შესრულება იმ პერიოდში რაციონალურად აუხსნელი იყო. ამ ქმედებების მაგიური ხასიათი მკვიდრდებოდა პირველყოფილი ადამიანების ყოფაში. მაგიური რიტუალები გვევლინებოდა აუცილებელ და ეფექტურ საშუალებად შრომითი და კომუნიკაციური აქტივობის განსახორციელებლად. ამ ეტაპზე პირველყოფილი კულტურის ჩამოყალიბების ნიშნებად გვევლინება მაგიური რიტუალები”, – წერს კირილოვა.<sup>15</sup>

ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ პირველყოფილი ადამიანების, მხატვრების მიერ გამოქვაბულების კედლებზე შესრულებული ნახატები, რომლებიც ძირითადად ნადირობის სცენებს ასახავს და მაგიური რიტუალის ნაწილია (სავარაუდოდ, მონადირეს უნდა მოუტანოს წარმატება), არის იმ ტრადიციის საფუძველი, რომელზეც აღმოცენდა ანტიკური კულტურა, როგორც მეთოდი ოლიმპიელი ღმერთების გულის მოგებისა და მაგიური რიტუალისა. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტურა და ხელოვნება თავისი დასაბამიდან ატარებს გარკვეული მისტიკური რიტუალის ნაწილის ხასიათს. სწორედ ეს მაგიური ხასიათი თანდათან რელიგიად ჩამოყალიბდა. ძველი ელინები ჯერ მსხვერპლშეწირვით ცდილობდნენ ღმერთების გულის მოგებას, შემდგომში კი მათთვის ხმის მიწვდენას ტაძრების ანუ საკულტო ნაგებობების შექმნით, სიმღერით და ცეკვით. ღმერთების შესახებ ცოდნას თაობებს გადასცემდნენ ზეპირსიტყვიერი თხრობით და ამ პროცესში შექმნილი ხელოვნება აღიარებულია თანამედროვე ხელოვნების თითქმის ყველა მიმართულების საფუძველად. ელინური გლობალიზაცია, აკადემიურ მეცნიერებაში მიღებული ისტორიული ცოდნის მიხედვით, იყო პირველი ევროპული გლობალიზაცია. აღექსანდრე მაკედონელის მიერ წარმოებული დაპყრობითი ომების საშუალებით ელინური კულტურა და რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა გავრცელდა მთელს მაშინდელ მსოფლიოში. შედეგად მივიღეთ ელინური კულტურის გლობალური გავლენა ყველა იმ კულტურაზე, რომელიც მაშინდელ მსოფლიოში არსებობდა. კულტურული გაცვლა და უცხო კულტურების გავლენა შუა საუკუნეების და შემდგომდროინდელი

<sup>15</sup> <http://www.ifap.ru/library/book380.pdf> გვ.34

მსოფლიოს კულტურებსა და ტრადიციებსაც ახასიათებდა და გამონაკლისი არც ქართველური ერები ყოფილა. ასე რომ, ადამიანები, რომლებიც დღეს უფროსიან გლობალიზაციას და უძველესი დროიდან ტრადიციულ-ქართული ღირებულებათა შენარჩუნებისთვის იბრძვიან, არ უფიქრდებიან იმას, რომ თანამედროვე ევროპის კულტურასა და ტრადიციაში არსებული სატყვათა უმეტესობა და ადამიანების სახელებიც კი ელინური ან არამეულ-ბიზანტიური წარმოშობისაა, რომ არაფერი ვთქვათ ტერმინებზე.

კაცობრიობის კულტურის ისტორიას თუ გავყვებით, გლობალიზაციის მეორე ტალღად შეიძლება მივიჩნიოთ ბიზანტიურ-ქრისტიანული კულტურის ევროპაში გაგრძელება, რაც ასევე არამეული კულტურის მნიშვნელოვან კომპონენტსაც მოიცავდა. მეორე ტალღის გაგრძელებად მოიაზრება ჯვაროსნული ლაშქრობები აღმოსავლეთისკენ, რომლის პროცესშიც ხდებოდა კულტურული გაცვლაც. ნაპოლეონის მიერ წარმოებული დაპყრობითი ომები, ბრიტანელების მიერ ინდოეთის, ხოლო ფრანგების მიერ აფრიკის კონტინენტის დიდი ნაწილის კოლონიზაცია, ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტების აღმოჩენა-დასახლება ევროპელთა მიერ – ყველა ამ მოვლენის თანამდევ კულტურული განვითარების პროცესი ხანგრძლივი მეორე ტალღის გლობალიზაციის გავლენით ხასიათდება. კულტურული გლობალიზაციის მესამე ტალღად კი შეგვიძლია მივიჩნიოთ ინფორმაციული ადამიანის სამყაროსათვის დამახასიათებელი პოსტმოდერნული მედიაკულტურის გლობალიზაცია ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიების რევოლუციური, ინოვაციური განვითარებით. ანუ ის, რასაც მარშალ მაკლუენმა წინასწარ უწოდა „გლობალური სოფელი“ – ანუ კომუნიკაციური ტექნოლოგიებით და გლობალური ქსელის ბადით ათვისებული მთელი დედამიწა, როდესაც ადამიანის ინფორმაციული წედომის ფარგლები ისე გაფართოვდა, რომ პრაქტიკულად მყისიერი კავშირით მოიცვა მთელი დღევანდელი ინფორმაციული გლობალური ქსელი და მისი მომხმარებლების სამყარო. სწორედ კომუნიკაციის განვითარებამ მოიტანა და მედიის მეშვეობით დადგა ახალი ინფორმაციული ადამიანის ეპოქა, რომელშიც „გუტენბერგის გალაქტიკა“ „ცუკერბერგის გალაქტიკით“ შეიცვალა.

### თავი III

#### 3.1 ბეჭდური პრესის დაბადება—ინფორმაციული ადამიანის ეპოქა

მეცნიერული ცოდნისა და კულტურის მასობრივად გავრცელების გარდა, როგორც აღმოჩნდა, ახალი ყოფითი ტრადიციების დამკვიდრებაც მედიის პრიორიტეტი გახდა (მაგ. გაზეთების კითხვა დილით ან ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვების ყურება დღის ბოლოს, რაც ისეთივე „საღამოს ლოცვად“ იქცა, როგორც ჰეგელის ენამოსწრებული შედარებით, მისი „თანამედროვე ადამიანის დღის ლოცვად“ - გაზეთების კითხვა).

თამარა კალხიტაშვილი სტატიაში „გუტენბერგის ბეჭდური რევოლუცია“<sup>16</sup> აღნიშნავს, რომ დღესაც, ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის პროცესში ვიზუალური (ხშირად - 3) კომპონენტი ისეთივე აქტუალურია, როგორც შუა საუკუნეებში იყო და ამ მოსაზრების სადემონსტრაციოდ მოჰყავს დამწერლობის წარმოშობის უამრავიდან ერთ-ერთი კონცეფციის ავტორის, დენიზ შმანდტ-ბესერატის ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დამწერლობა კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის იმ ფორმებიდან უნდა მომდინარეობდეს, რომლებიც ადრეულ მიწათმოქმედ საზოგადოებებში ჭარბი პროდუქტის აღრიცხვის საჭიროების გამო წარმოიშვა.

მისი ჰიპოთეზის თანახმად, „განსხვავებული გეომეტრიული ფორმის თიხის ფიგურებით (ინგლ. ტოკენს) ფრინველების, მარცვლეულისა თუ სხვა პროდუქტის აღწერამ კაცობრიობის ისტორიაში პირველი სიმბოლური საკომუნიკაციო სისტემა მესოპოტამიაში წარმოიშვა. იგი გავრცელებული იყო მთელ ახლო აღმოსავლეთში ძვ. წელთაღრიცხვის VII ათასწლეულიდან“<sup>17</sup>

ქართული ენათმეცნიერი თამაზ გამყრელიძე (თამაზ გამყრელიძე, "თეორიული ენათმეცნიერების კურსი", 2008) წერს, რომ ვიდრე თიხის ფიგურებს იმავე მასალის კონვერტში მოათავსებდნენ, ჯერ კიდევ რბილ ზედაპირზე ფიგურების დაჭერით აღნუსხავდნენ ფიგურების რაოდენობას და ფორმას, ანუ აღიცხვას ამარტივებდნენ ახალი სიმბოლოების შემოღებით.

<sup>16</sup>[http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=164](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=164)

<sup>17</sup>Schmandt-Besserat, How Writing Came About, 1996.

ინფორმაციის სამგანზომილებიანი ფიგურებით გამოსახვიდან ორგანზომილებიან ფორმაზე გადასვლა დამწერლობის შესაქმნელად გადადგმული პირველი ნაბიჯები იყო. “IV ათასწლეულიდან, როცა პირველი ქალაქები წარმოიშვა, თიხის ფიგურა-სიმბოლოებით აღრიცხვის სისტემა კიდევ უფრო გართულდა და ახალ საფეხურზე ავიდა. გაჩნდა დამატებითი აღნიშვნები, თიხის რბილ ფირფიტებზე გეომეტრიული ნიშნებით ანაბეჭდის დატოვების ნაცვლად დაიწყო სტილოსით - ჩხირით - წერა. აქვე თავი იჩინა ენის, მისი სადამწერლობო გამოვლინების ეკონომიურობის პრინციპმა და აბსტრაქტიზების მათემატიკურმა უნარმა: ნაცვლად იმისა, რომ, ვთქვათ, 33-ჯერ გამოესახათ ქილა - ნელსაცხებლის აღმნიშვნელი ფიგურა, სტილოსით სამჯერ გამოსახავდნენ ათეულის პირობით აღმნიშვნელს, სამჯერ - ერთეულის აღმნიშვნელს და ბოლოს - უშუალოდ ქილის სიმბოლოს. ამგვარად, 33 ნიშნის ნაცვლად მოიხმარდნენ შვიდს”.<sup>18</sup>

პროცესი პროგრესირებადი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და შინამრეწველობის ჭარბი პროდუქტის თუ შინაური ცხოველების აღსაწერად შემოდებული სიმბოლოებიდან აბრაამიანულმა რელიგიებმა, იუდაიზმმა, ქრისტიანობამ და ისლამმა ხელნაწერი წიგნის შექმნას და წარმოებას ჩაუყარეს საფუძველი. ამ პერიოდიდან კულტურა უკვე მედიაკულტურის პირველ ნიშნებს ატარებს და თანდათან მასობრივ ხასიათს იძენს.

ბეჭდური წიგნების გაჩენა კი ქრისტიანულ რეფორმაციას, პროტესტანტიზმს და იმ იდეას უკავშირდება, რომ „ადამიანს არ სჭირდება უშუალოდ დამერთთან“. პროტესტანტული იდეის გამოსატყულებად იყო მიხნეული დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“ – ასეთად მოიაზრებოდა იდეალური პროტესტანტი, ადამიანი, რომელმაც მიატოვა ცოდვილი სამყარო, რათა ყველაფერი ხელახლა დაეწყო, თან კი ერთადერთი წიგნი, ბიბლია ჰქონდა. თითოეულ პროტესტანტს თითო ბიბლია სჭირდებოდა. ცოტაოდენი ტექნიკური პროგრესი და პირველი საბეჭდი პრესის გამოგონება და მასობრივი ბეჭდვის პროცესის დაწყება გარდაუვალი გახდა. თავად ლუთერის 95 თეზისის გავრცელებაში ფასდაუდებელი როლი შეასრულა ბეჭდვამ. მათი გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ორი წლის შემდეგ გერმანიასა და მთელ ევროპაში თეზისების უკვე 300 000 ბეჭდური ასლი არსებობდა.

<sup>18</sup>Schmandt-Besserat, The History of Counting, 1999.

თუ მედიის გაჩენის პირველი ნაბიჯები ინდუსტრიალიზაციისა და საწარმოო იარაღების განვითარების პერიოდს ემთხვევა, აქედან შემთხვევითი არ არის პირველი მედიასაშუალების, ბეჭდური მედიის სახელი პრესა ( ა პრესს – ვაჭერ, ვპრესავ), რომელიც ტირაჟირებული ნაბეჭდი ფურცლის პრესის მეშვეობით ბეჭდვას ანუ მისი წარმოების მეთოდის დასახელებიდან მომდინარეობს, რაც სრულიად შეესაბამება ინდუსტრიული პერიოდის მსოფლმხედველობაში მექანიცისტური დამოკიდებულების პრიორიტეტს.

შემდგომ ეპოქებში დამკვიდრდა გამაერთიანებელი სახელი მედია, რომელიც მოიცავს როგორც ბეჭდურ, ასევე აუდიო-ვიზუალურ სემანტს ანუ ელექტრონულ მედიასაც და, რომელიც ამ ფენომენის მედიატორულ, შუამავალ ფუნქციასაც უსვამს ხაზს. ამდენად, იგი პოსტინდუსტრიული პერიოდის ფუნქციონალური გაგებით ცვლის ინდუსტრიული მექანიცისტურ სულისკვეთებას.

ტერმინი მედია ფუნქციონალურ მხარეზე აკეთებს აქცენტს და ზუსტად ასახავს იმ ფენომენს, რასაც ემსახურება ამ სახელწოდების ქვეშ გაერთიანებული ინსტრუმენტები, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში რეალური სამყაროს სახე-ხატების და სიმბოლოების, მითებისა და მეტაფორების შექმნისა და ჩამოყალიბების ახალი საშუალებაა. მანამდე ეს ფუნქცია რელიგიას, მის ინსტიტუტებსა და ლიდერებს ეკუთვნოდათ და ამასვე ემსახურებოდა მისი ინსტიტუტები, სამლოცველოები, რომლებიც კონკრეტული რელიგიის გავრცელების მთელ გეოგრაფიულ არეალში იყო მოფენილი და მლოცველთა შორის ავრცელებდა რელიგიურ მსოფლმხედველობას, ცოდნას ქადაგებდა და განუმარტავდა მრევლს საღვთო კანონს და ასევე აძლევდა რჩევებს ყოფითი ქცევის ავ-კარგიანობის შესახებ, რითაც რელიგიური ცნობიერების კვლავწარმოებას ახდენდა. ამგვარი ქადაგებების საფუძველზე წლების განმავლობაში ყალიბდებოდა ყოფითი ტრადიციები. ახალი სამყაროს ადამიანის ცხოვრებაში ცოდნისა და იდეების გამავრცელებლად იქცა მედია. შესაბამისად, ბევრი მკვლევარის აზრით, თანამედროვე ადამიანის წარმოდგენაში, არსებული სამყაროს სურათის შექმნისას მედია ყველაზე მნიშვნელოვანი მონაწილეა. ამას გარდა, ჩვენი კვლევისათვის საინტერესოა ის ფაქტიც, რომ XX საუკუნეში დედამიწის 1/6 ნაწილის მოსახლეობაზე განხორციელდა უდიდესი მასშტაბის სოციალური ექსპერიმენტი, რომელიც 1917 წელს ათეისტური ტოტალიტარული, მსოფლიოს

დანარჩენი ნაწილისგან „რკინის ფარდით“ გამიჯნული – „საბჭოთა კავშირის“ შექმნით დაიწყო და ამ პირობებში აღნიშნული ქვეყნის საზოგადოების 70 წლიანი არსებობის შემდეგ, ამ სახელმწიფოს კოლაფსითა და მასში შემავალი სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა. საგულისხმოა ისიც, რომ იმ პერიოდში ერთდროულად განხორციელდა შეტევა მედიაზე (ცენზურის სახით) და ეკლესიაზეც (პირდაპირი ძალადობით). საბჭოთა კავშირში ტოტალურად გაბატონებული მსოფლმხედველობა იყო აგრესიული ათეიზმი, შესაბამისად რელიგიურ ინსტიტუტებზე, როგორც მსოფლმხედველობის შემოქმედებსა და გამავრცელებლებზე, ქვეყანამ მთლიანად უარი თქვა, ხოლო ახალი, კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრება და გავრცელება, მთლიანად სახელმწიფოს ტოტალური იდეოლოგიური კონტროლის ქვეშ მოქცეულ აუდიო-ვიზუალურ და ბეჭდურ მედიასა და მწერლობას დააკისრა. მაგრამ მედიის მეშვეობით ახალი კომუნისტური მსოფლმხედველობის ათეისტი ადამიანის შექმნის ეს ექსპერიმენტი კრახით დასრულდა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მოსახლეობათა უმეტესობა, თავისუფლების მოპოვებისთანავე კვლავ ტრადიციულ რელიგიურ მსოფლმხედველობას დაუბრუნდა. ამ მოვლენის მიზეზების ძიებასაც და განმარტებასაც შევეცდებით წინამდებარე ნაშრომში. საგულისხმოდ მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ერთი საუკუნის განმავლობაში მეორედ დადგა ახალი მსოფლმხედველობისა და მენტალობის ადამიანის შექმნის საჭიროება, ამჯერად უკვე იმისათვის, რომ ტოტალიტარული წნეხის გავლენის ქვეშ აღზრდილი, ტოტალურ პროპაგანდას მიჩვეული ადამიანები დამოუკიდებელი მედიის პრინციპების გამზიარებელ ახლებურ მედიაურთიერთობებზე გადასულიყვნენ. ეს ეხებოდა როგორც მედიის მომხმარებლებს, ასევე მედიის სფეროს მუშაკებსაც. ისინი ერთად უნდა მომზადებულიყვნენ დემოკრატიული ცხოვრების პირობებისათვის, რაც ხანგრძლივი და რთული პროცესი აღმოჩნდა. ცხადია, მედია ამ პროცესშიც მონაწილეობს, როგორც დღევანდელი ადამიანის სამყაროს სურათის ძირითადი შემოქმედი და ამ ფუნქციას ართმევს რელიგიურ ინსტიტუტებს.

ამიტომ წინამდებარე ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ საბჭოურ და პოსტსაბჭოურ აუდიო-ვიზუალურ მედიაზეა გამახვილებული, ხოლო თავად ნაშრომი იწყება ჯერ მედიაკულტურის ტრადიციულ

კულტურასთან შედარებით და ტრადიციული კულტურის შექმნის ისტორიით, შემდგომ კი ბეჭდური მედიის დაბადებით, ანუ, გუტენბერგის სამყაროს შექმნით. აკადემიურ წრეებში მიღებულია, რომ თანამედროვე მედიაკულტურა იწყება გუტენბერგის მიერ ბეჭდვის ტექნოლოგიის გამოგონებიდან და პირველი ტექსტის დაბეჭდიდან, ანუ პირველი ნაბეჭდი ტექსტის გაჩენის დღიდან. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ გუტენბერგის მიერ დაბეჭდილი პირველი წიგნი სწორედ ბიბლია იყო.

როგორც თამარა კალხიტაშვილი სტატიაში „გუტენბერგის ბეჭდური რევოლუცია“ აღნიშნავს: „გუტენბერგმა ევროპაში პირველად გამოიყენა მოძრავი მეტალის ანბანი, რომლითაც აწყობდნენ ყოველ ახალ სიტყვას, წინადადებას, გვერდს. ცნობილია, რომ იგივე ტექნიკა, სრულიად დამოუკიდებლად, 1045 წლისთვის ჩინეთში გამოიგონა ბი შენგმა, თუმცა მის ნაბეჭდ მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია. მეტალის მოძრავი ლიტერებით შექმნილი უძველესი ტექსტი, ბუდისტური საგები, 1377 წლით თარიღდება და საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება. და მაინც, მოძრავი მეტალის ანბანი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იხმარებოდა, ევროპულ სინამდვილეში გუტენბერგის სახელს უკავშირდება. საფიქრებელია, რომ გუტენბერგის გამოგონებას, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შემთხვევამაც შეუწყო ხელი. საგამომცემლო საქმიანობის წამოწყებამდე გუტენბერგმა ბევრი რამ მოსინჯა, იწვინა ფინანსური მარცხიც: 1439 წელს აახენში წმინდა რელიკვიების გამოფენა უნდა გამართულიყო, გუტენბერგმა გაპრიალებული მეტალისგან, სარკეები დაამზადა, რომლებსაც ზეციური წმინდა ნათელი უნდა აერეკლა; სამწუხაროდ, ქალაქში წყალდიდობის გამო, გამოფენა გადაიდო, გაწეული ხარჯი კი არ ანაზღაურდა. ამის შემდეგ გუტენბერგი ერთხანს სტრასბურგში ცხოვრობდა, ეცნობოდა და ცდიდა ბეჭდვის სხვადასხვა ტექნიკას, 1450 წლისთვის კი თავისი საბეჭდი პრესით გერმანული ლექსები დაბეჭდა (John Klooster, *Icons of invention: the makers of the modern world from Gutenberg to Gates*, 2009) და დაარწმუნა მდიდარი მოქალაქე იუჰან ფუსტი, საგამომცემლო საქმიანობაში 800 გულდენი დაეხანდებინა. ახალწამოწყებულ საქმიანობას შეუერთდა პეტერ შიოფერი, რომელიც მოგვიანებით ფუსტის სიძე გახდა. შიოფერს პარიზში გადამწერად მუშაობის გამოცდილება ჰქონდა და გუტენბერგის პრესისთვის ლითონის ლიტერების

შექმნას მას მიაწერენ. სახელოსნომ ბინა ჰოფ ჰუმბრეხტში დაიდო, რომელიც გუტენბერგის შორეულ ნათესავს ეკუთვნოდა.

უცნობია, როდის დაიწყო გუტენბერგმა მუშაობა თავის ყველაზე ცნობილ გამოცემაზე – ბიბლიაზე. ვიცით, რომ ამ საქმისთვის მან 800 გულდენი ისესხა ფუსტისგან. 1455 წლისთვის ბიბლია მზად იყო. მასზე მუშაობის პარალელურად, 1450-55 წლებში, გუტენბერგის სტამბაში კომერციულად მომგებიანი ინდულგენციები და ლათინური ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებიც იბეჭდებოდა. გუტენბერგმა მის ხელთ არსებულ მეღანსა და პრესს მუშაობის პროცესში დეტალები დაუმატა. ბიბლია ორი ფერის - შავი და წითელი - მეღნით დაიბეჭდა. წითელი ტექსტი, ე.წ. რუბრიკაცია, გამოიყენებოდა თავის დასაწყისის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილების აღსანიშნავად. ჯერ შავ ტექსტს ბეჭდავდნენ, მერე კი გამოტოვებულ ადგილებზე რუბრიკაციებს სვამდნენ. მოგვიანებით ამ ადგილების ხელით შევსება დაიწყო. მინიატურებისა და თავკიდური ასოების დამატებაც ამავე წესით ხდებოდა. გუტენბერგმა მანუსკრიპტებისთვის განკუთვნილი, წყალზე დამზადებული მეღანი ზეთის საფუძველზე გარდაქმნა, რაც მეტალის ასოების გამოყენებით იყო ნაკარნახევი.

სულ დაიბეჭდა ბიბლიის 180 ეგზემპლარი, უმეტესობა - ქაღალდზე, ნაწილი კი პერგამენტზე. გუტენბერგის ბიბლია წარმოადგენდა ვულგატის ნაბეჭდ ვერსიას. სრული ან მეტ-ნაკლებად სრული სახით დღემდე 48 ცალმა მოაღწია და ყველაზე ძვირადღირებული ბუკინისტური იშვიათობაა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ასლი 1978 წლის შემდეგ არ გაყიდულა. გუტენბერგის ბიბლია მოძრავი მეტალის ასოებით აწყობილ პირველ სრულყოფილ წიგნად იქცა. მან დაუდო სათავე გუტენბერგის რევოლუციას და ბეჭდური წიგნის ხანას დასავლეთში.<sup>19</sup>

თუმცა, ამ ხანას გუტენბერგის რევოლუციის გარდა, შეიძლება ვუწოდოთ ურბანიზაციის ეპოქაც, რადგან სწორედ ამ პერიოდში, მრეწველობის განვითარებამ მოშალა მანუფაქტურები, რამაც ოჯახის ერთად ცხოვრების აუცილებლობა მოხსნა დღის წესრიგიდან, რის გამოც ადრეულ ეტაპზე ოჯახების გაყოფა დაიწყო. ოჯახიდან გამოსულმა ახალმა თაობამ, დამოუკიდებელი ცხოვრების მოსაწყობად, ახალ საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებს – ინდუსტრიულ ქალაქებში მიაგნო.

<sup>19</sup> [http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=164](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=164)

სწრაფმა ურბანიზაციამ და მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოდან დაწყებულმა ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა კვლავ ბიძგი მისცა ინდუსტრიალიზაციის განვითარებას და გააჩინა წარმოებისა და კომუნიკაციის ახალი საშუალებების მოთხოვნილება. ასე დაიწყო ახალი საკომუნიკაციო საშუალებების გაჩენის და პროგრესის, ასევე მედიის სწრაფი განვითარების პროცესი, რომელსაც მარშალ მაკლუენი „ადამიანის გარე გავრცობის“ (გაფართოების) პროცესს უწოდებს.

### 3.2 იდეოლოგიები და რიტუალები აუდიოვიზუალურ მედიაში

წინამდებარე ნაშრომის კვლევისათვის XX საუკუნის არჩევა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით: ჯერ ერთი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სწორედ ამ საუკუნის დიდმა აღმოჩენებმა კომუნიკაციის სფეროში შეუწყო ხელი სამაუწყებლო აუდიო-ვიზუალური მედიის, რადიოსა და ტელევიზიის შექმნას, მეორე კი ის, რომ სწორედ XX საუკუნეში შეიქმნა ფოტოგრაფია და კინემატოგრაფი. ამ მიმართულებით იწინასწარმეტყველა მარშალ მაკლუენმა 1980-იან წლებში კომუნიკაციური “გლობალური სოფლის” არსებობა, რაც 10 წლის შემდეგ განხორციელდა კიდევ – ახალი ვირტუალური საკომუნიკაციო მედია სამყაროს, ანუ ციფრული მაუწყებლობისა და ინტერნეტის შექმნით. ეს საუკუნე, გარდა ორი მსოფლიო ომისა, ასევე გამოირჩეოდა დედამიწის 1/6 ტერიტორიაზე განხორციელებული უზარმაზარი ექსპერიმენტით - მემარცხენე კომუნისტური იდეოლოგიის სახელმწიფოს შექმნით, რომელშიც ახალი კომუნისტური აზროვნების ადამიანის შექმნა სახელმწიფოს პრიორიტეტად გამოცხადდა, მედია კი – ამ ქმედების პროცესის მთავარ მონაწილედ, ანუ ადამიანის სულის ინჟინრად. ათეისტურ საბჭოთა კავშირში დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო ყველაფერი, რაც ქრისტიანულ კულტურაზე დაფუძნებული, კულტურული ტრადიციის შემადგენელი ნაწილი იყო. აკრძალა არა მხოლოდ რელიგიური რიტუალები და დღესასწაულები (მაგალითად: ნათლობა, ჯვრისწერა და შობა-ახალი წლის აღნიშვნა), არამედ საახალწლო ნაძვისხის მორთვაც კი, რომელიც რუსეთის იმპერიაში გერმანიიდან შემოსული და უკვე დამკვიდრებული ტრადიცია იყო. ოჯახებში ნაძვისხის მორთვა და ახალი წლის აღნიშვნა, როგორც კაპიტალისტური სამყაროს ფუფუნება, კომუნისტური იდეალების მიმდევარისთვის სამარცხვინო და მიუღებელი იყო. ბოლშევიკური სახელმწიფოს პირველ წლებში ყოფით კულტურაში სამარცხვინო ბურჟუაზიულ ფუფუნებად ითვლებოდა არათითზე ნიშნობის ოქროს ბეჭდის ტარებაც. იმ დროის ბოლშევიკი აქტივისტები ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგაც კი ილაშქრებდნენ, ვინაიდან ნამდვილ კომუნისტს

არ უნდა ჰქონოდა რაიმე პარტიული ამხანაგებისგან გამოცალკევებული, მათ შორის, არც ოჯახი. დღემდე შემორჩენილი ზეპირი ვერსიით, XX საუკუნის 20-იანი წლების ეს დამოკიდებულებები ოჯახის ინსტიტუტის მიმართ, პირველ კომკავშირულ კომუნებში იქამდე მივიდა, რომ რუსულ იუმორისტულ ფოლკლორში გაგრძელებული იყო ასეთი ისტორია: პირველი კომკავშირლების წესდებაში, თითქოსდა იყო პუნქტი, რომ კომკავშირელმა ქალმა არ შეიძლება უარი უთხრას კომკავშირელ მამაკაცს მის არც ერთ შემოთავაზებაზე (იგულისხმება ეროტიკულიც), თუკი ეს მამაკაცი წესიერად და რეგულარულად იხდის კომკავშირულ საწევრო გადასახადს. ამ ფაქტის ისტორიული დოკუმენტი ამჟამად არსად მოიპოვება. ვინაიდან, არსებობდა ამ წესების მრავალი ვერსია, თითოეულ მცირერიცხვოვან კომუნას წესების საკუთარი ვერსია ჰქონდა და მათი მხოლოდ მცირე ნაწილია შემონახული. ამდენად, შეუძლებელია ამ ვერსიის გადამოწმება. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ იმ პერიოდის კომუნის ცხოვრების პირობებში, მსგავსი საკითხი კომკავშირის პირველი ორგანიზაციის კრების მსჯელობის საგანი გამხდარიყო, როგორც ამას ზეპირსიტყვიერი გადმოცემები იუწყება. ამ პროცესებს ეძღვნება პოსტსაბჭოთა რუსეთში გადაღებული დოკუმენტური ფილმი Советская антирелигиозная пропаганда. Фильм "От тьмы к свету", 1961

(<https://www.youtube.com/watch?v=XXQ6jj9uSQ>) ისიც უდავოა, რომ ამგვარი თავისუფლების ექსპერიმენტმა სხვაგან არსად გაამართლა და პირველი კომკავშირული კომუნების ახალგაზრდული სუბკულტურის გარდა, საყოველთაოდ ვერსად მოიკიდა ფეხი. ევროპული სახელოვნებო ბოჰემაც, ამ პერიოდში, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობების მაქსიმალური თავისუფლების მომხრე იყო, რაც იმ პერიოდის პირველი ფემინისტური მოძრაობის სულისკვეთებასთან თანხვედრაშიც იყო. მაგრამ, მიუხედავად ევროპაში განხორციელებული სექსუალური რევოლუციისა, ოჯახის ინსტიტუტი დღემდე მთელ მსოფლიოში აქტუალურია. პირველი პროლეტარული სახელმწიფოს კომუნისტურ სისტემაში ოჯახის შექმნის წესად, ეკლესიაში ჯვრისწერის აღტერნატივად, ქორწინების ადმინისტრაციულ ორგანოში რეგისტრირება დადგინდა. კინორეჟისორ გიორგი დანელიას სადიპლომო ნამუშევარში "მე დავაბიჯებ მოსკოვში" (1963 წ.) ("Я шагаю по Москве") აღწერილია ახალგაზრდების ლაღი დამოკიდებულება ქორწინების დარეგისტრირების მიმართ. იმავე ფილმის ერთ კადრში ჩანს, რომ მოსკოვის ცენტრში მოქმედი ეკლესიაა და იქ წირვის რიტუალიც ტარდება, თუმცა ახალგაზრდა წყვილს, რომელიც მთელი დღე ცდილობს მოასწროს ქორწინების დარეგისტრირება ოფიციალურ ადმინისტრაციულ ორგანოში, ახრადაც არ მოსდის, რომ ქორწინება ჯვრისწერითაც შეიძლება გაფორმდეს.

ამავე დროს ახალგაზრდები არც ქორწინების რეგისტრაციას აღნიშნავენ ნათესავეებთან ერთად ზეიმით და არც მშობლებისგან დალოცვას ელოდებიან, როგორც ეს ტრადიციული და რელიგიური წესით იყო დადგენილი. ისიც აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რეჟისორის, გიორგი დანელიას მიერ რელიგიური რიტუალის ნეიტრალურ კონტექსტში წარმოჩენა, დოკუმენტურ ეპიზოდურ კადრად ჩვენება, გაბედული ნაბიჯი იყო, ვინაიდან XX საუკუნის საბჭოურ კინემატოგრაფში 60-იან წლებამდე ეკლესია და ეკლესიის მსახური, როგორც წესი, უარყოფითი პერსონაჟი უნდა ყოფილიყო, ხოლო წირვა-ლოცვის დოკუმენტურ კადრებს ვერსად შეხვდებოდით. ისიც ფაქტია, რომ 60-იანი წლებიდან ეს აკრძალვა შედარებით შესუსტდა და მოგვიანებით, რევაზ ჩხეიძის ფილმში „ღიმილის ბიჭები“ (1969წ.), ასევე გამოჩნდა რელიგიური მსახურებისა და სანთლებით ხელში ლოცვის კადრები. ხოლო მოძღვარი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი გმირის მამაა, ფილმში წარმოჩენილია, როგორც გონიერი ადამიანი და კეთილი მრჩეველი.

1917 წლის ბოლშევიკურმა რევოლუციამ და მის საფუძველზე შექმნილმა, აგრესიული ათეიზმის მიმდევარმა სახელმწიფომ, კულტურული და ყოფითი ტრადიციის გაუქმებას აქტიურად მიჰყო ხელი. როგორც ცნობილია, ქრისტიანული ტრადიციით, ქორწინება ორი ადამიანის მიერ გამოთქმული თანაცხოვრების სურვილის ოფიციალურად გაფორმების გარდა, ჯვრისწერის საიდუმლოსთან ზიარებაა, ხოლო ყოფითი ტრადიცია, გარდა რელიგიური რიტუალისა, ასევე წყვილის ორივე წევრის სანათესაოს საზეიმო სუფრაზე გაცნობა-დაახლოებასაც გულისხმობს. საქორწილო ნადიმის გამართვა რელიგიურად აუცილებელი არ არის, მაგრამ ტრადიციით დამკვიდრებული წესია. თუმცა, პირველმა ახალგაზრდა ბოლშევიკებმა ტრადიციული ოჯახური ერთგულებაც დრომოჭმულ შეხედულებად გამოაცხადეს, მაგრამ ოჯახური ერთგულების ტრადიცია ძალზე მყარი გამოდგა. როგორც დამკვიდრებული ღირებულება, ქორწილის სუფრის ტრადიცია, ასევე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. სულ მალე ქორწინების ზეიმით აღნიშვნის ტრადიციული წესი დაბრუნდა ყოფაშიც და რასაკვირველია, აისახა კინემატოგრაფშიც. ამიტომაც არ არის გასაკვირი უნდობლობა და შიშისანი დამოკიდებულება, რასაც საზოგადოების ნაწილი ავლენს დღევანდელ ახალგაზრდულ გადაცემებში ქორწინებამდე სექსის შესახებ თავისუფალი საუბრების მიმართ. საზოგადოების კულტურასა და ყოფაში ძალზე სენსიტიურია

დამოკიდებულება ოფიციალური რიტუალებისა და მათი თანამდგევი მოღვებით და სუფრით აღნიშნული დღესასწაულების მიმართ. საგულისხმოა, რომ კომუნისტურმა საზოგადოებამ, იმის მიუხედავად რომ ჯვრისწერის აღტერნატივად ქორწინების რეგისტრაცია მიიღო, ქორწილის ტრადიციულ სუფრას ვერ შეეღია. ასევე მაღე, XX საუკუნის 30-იან წლებში, კვლავ დაბრუნდა ახალი წლის ოჯახებში საზეიმო სუფრასთან აღნიშვნის ტრადიციაც. საბჭოურ სოც.რეალისტურ ყოფაში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (50-იან წლებში) ამ დღესასწაულის სახლის გარეთ გატანის და საერთო ზემით აღნიშვნის ტრადიციის დამკვიდრების სურვილიც გაჩნდა. გაჩნდა მცდელობა, რომ ეს საოჯახო დღესასწაული კოლექტიურ ზემად ქცეულიყო, საახალწლო ნაძვისხეც, თავდაპირველად ოჯახის გარდა, უკვე ღიად, სამუშაო ადგილებსა და სხვა ოფიციალურ ორგანიზაციებშიც დადგეს და ახალი წლის მეჯლისებით აღნიშვნაც დაიწყეს, რაც კინემატოგრაფშიც აისახა. 1956წ. რეჟისორმა ელდარ რიაზანოვმა გადაიღო მხატვრული ფილმი "საკარნავალო ღამე" ("Карнавальная ночь"). ეს ფილმი პირველად საახალწლო ეთერში, ახალი წლის ღამეს, საკავშირო ტელევიზიით გადაიცა. ახალი წელი, როგორც ოფიციალური საყოველთაო დღესასწაული იატაკქვეშეთიდან მედიამ და ტელევიზიის შექმნამ საბოლოოდ გამოიყვანა, ვინაიდან ელექტრონული მედიის შექმნისთანავე გაჩნდა ახალი ტრადიცია ტელევიზიით ახალი წლის ნაძვისხის თანხლებით საზეიმო წვეულებაზე აღნიშვნისა (ე.წ. Голубой огонек 1962 წ.)<sup>20</sup> ამ გადაცემის ჩაწერაზე დასწრებაც კი სახელმწიფოს უმაღლეს ელიტასთან მიკუთვნების მიმანიშნებელი იყო – ცისფერ ეკრანზე, სტუდიაში სტუმრად მიწვეული პერსონის გამოჩენა მის დიდ საზოგადოებრივ გავლენას გამოხატავდა. გადაცემის სტუმრები, როგორც წესი, იყვნენ კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, შრომის მოწინავენი, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები და კოსმონავტები. გადაცემას თავისი ყურადღებით ანებივრებდა პარტიული ელიტაც. საზოგადოებაში გაჩნდა საახალწლო გადაცემების ნახვის და შემდეგ სამეზობლოსა თუ სამეგობროში მისი განხილვის ტრადიცია. ტელევიზორი კი თანამედროვე ადამიანისთვის, ისეთივე აუცილებელ ყოფით საგნად იქცა,

<sup>20</sup>[http://www.vokrug.tv/product/show/Goluboi\\_ogonek/](http://www.vokrug.tv/product/show/Goluboi_ogonek/)

როგორცაა უთო, ნათურა ან სხვა ნებისმიერი ყოველდღიური მოხმარების ნივთი. შემდგომში იგი, მნიშვნელოვანწილად კომპიუტერმა ჩაანაცვლა, რაც თავისი არსით, კიდევ უფრო დახვეწილი, მრავალფუნქციური აუდიო-ვიზუალური მედია საშუალებაა.

### 3.3 ქართული, როგორც ევროპული ტიპის, კულტურის განვითარება ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძველზე

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის დაახლოებისა და ერთიანი ქვეყნის შექმნის საქმეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ჩვ.წ.ად-ის მეოთხე საუკუნეში უაღრესად დიდი როლი შეასრულა. ამიტომ იგი, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ნამდვილად პროგრესული მოვლენა იყო. ამას გარდა, ქრისტიანობა, როგორც წიგნიერი რელიგია, ხელს უწყობდა ერთიანი ქართული დამწერლობის მქონე კულტურის, ენისა და საერთო ქრისტიანული კულტურის სახელმწიფოს განვითარებას, რაც მას კულტურულად აახლოებდა გეოგრაფიულად მოშორებული ქრისტიანული ევროპის მსოფლმხედველობის ქვეყნებთან და უპირისპირებდა უახლოეს მეზობელ მუსულმანურ სამყაროს მსოფლმხედველობას, რითაც ხელს უწყობდა საქართველოს განსხვავებული, თვითმყოფადი კულტურის ქვეყნად ჩამოყალიბებას და ერთიანი ქვეყნის ფარგლებში სახელმწიფოებრივი აზროვნების პირველი ჩანასახის გაჩენას.

ქართულმა სახელმწიფომ და ეკლესიამ, მრავალსაუკუნოვანი არსებობისას მანძილზე, უაღრესად რთული და ძნელი გზა განვლო. გასათვალისწინებელია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობაც: იგი იყო ერთგვარი "ბუფერი" ევროპულ ქრისტიანულ სამყაროსა და მუსლიმურ სამყაროს შორის. ამ მიზეზით, ძლიერი მუსლიმური სახელმწიფოების ინტერესი ყოველთვის დიდი იყო საქართველოს მიმართ. ამ დიდ მუსლიმურ ქვეყნებთან მეზობლობა და მათი გეოპოლიტიკური ინტერესი პატარა საქართველოს გამუდმებული საბრძოლო მოქმედების არენად აქცევდა. ამ უთანასწორო ბრძოლაში ქვეყანა თავის იდენტობასა და განსხვავებულ

კულტურას სწორედ ქრისტიანული ეკლესიის წინამძღოლობით მისი სულიერების წიაღში ინარჩუნებდა. საბჭოთა ძალმომრეობის პერიოდშიც, კომუნისტების იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, ისევე როგორც მისი არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში, საქართველოს სახელმწიფომ და ეკლესიამ დიდი მსხვერპლი გაიღო, რათა სახელმწიფოს – დამოუკიდებლობა, ეკლესიას კი, თავისი სიწმინდეები დაეცვა და ავტოკეფალია შეენარჩუნებინა. ქართული ეროვნული და რელიგიური იდენტობათა ურთიერთგადაჯაჭვულობის დასტურია ისიც, რომ XX საუკუნეში ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა არა მხოლოდ ამ საუკუნეში მოღვაწე საეკლესიო პირები – პატრიარქები: ამბროსი ხელაია და კირიონ II, რომლებიც ბოლშევიკური ტერორის მსხვერპლი გახდნენ, არამედ ასევე გამორჩეული საერო მოღვაწენიც. მათ შორის, დიდი მამულიშვილი ილია ჭავჭავაძე, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართული ენის გამდიდრება-მოდერნიზებაში, საადგილმამულო ბანკისა და პირველი ქართული გაზეთის შექმნაში. საგულისხმოა, რომ მას თავისი დროის ქართული კონსერვატიული საზოგადოება ზედმეტ ლიბერალობასაც კი საყვედურობდა. დღეს, უკვე საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდგომ, იგი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული, როგორც წმინდა ილია მართალი. ამას გარდა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ქართული სახელმწიფოს წინაშე დვაწლმოსილი და მისთვის თავგანწირული კიდევ არა ერთი ადამიანია საერო თავდადების გამო გამორჩეული. მათ დვაწლს სახელმწიფო – საბჭოთა საქართველო არად ავდებდა. პირიქით, ჩქმალავდა კიდევ. ასევე წმინდანად არის შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ ბოროტმოქმედით გარიყა, რის გამოც მასთან ურთიერთობა ისეთ საფრთხედ იქცა, რომ უკანასკნელ გზაზე იგი მხოლოდ ოთხიოდე ათეულმა გაბედულმა ადამიანმა გააცილა. როგორც ცნობილია, ექვთიმე თაყაიშვილმა (ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ), საქართველოდან გატანილი და საფრანგეთში გაქცეული მთავრობის მიერ მისთვის მიბარებული ქართული განძი (უძვირფასესი ხელოვნების ნიმუშები, ქართული კულტურული რელიკვიები), მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა, სრულად შეინახა, ფაშისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის რთული

პერიოდში გამოიარა და ხელუხლებელი, ისევე შეფუთული, როგორც საქართველოდან გატანისას იყო, დაუბრუნა მაშინ უკვე საბჭოთა რესპუბლიკად ქცეულ საქართველოს და ქართველ ერს. დღეს მას საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესსა და ქართულ სინდისს უწოდებენ და ეს ეპითეტებიც იმის დასტურია, თუ რამდენად ძვირფასია ეს თვალსაჩინო მამულიშვილი და მისი ღვაწლი ქართველთათვის. დღეს ექვთიმე თაყაიშვილი, დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეების უმეტესობის რჩეული ისტორიული გმირია, თანაც იგი ამჟამად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა პანთეონშია. შესაბამისად, სათაყვანო წმინდანიც არის, ხოლო მის მიერ გადარჩენილი განძის დიდი ნაწილი საქართველოს მუზეუმში ინახება, მეორე ნაწილი კი მაშინ მოქმედმა ეკლესია-მონასტრებმა შეიფარეს. ასე გადაურჩა კომუნისტი ჩინოვნიკების მადას საქართველოს საგანძური. აღსანიშნავია, რომ დღესაც რუსეთის სახელმწიფოს მუზეუმებში მრავლადაა ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის პერიოდში გატანილი ქართული კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები.

ამ მაგალითებიდანაც ცხადია, რომ ბოლშევიკური საბჭოეთის ბატონობის პერიოდში შევიწროებული ქართული ეკლესია მაინც ახერხებდა ეტვირთა ქართული სულიერების შენარჩუნებისა და მატერიალური კულტურის გადამრჩენის მისია. ეკლესიის ამ ღვაწლის ხსოვნა ცოცხალია ერის კულტურულ მემკვიდრეობაში. ქრისტიანული ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის გაფრთხილების საკითხებში ახალი თაობის გარკვეული ნაწილიც აქტიურად არის ჩართული და ძალიან სენსიტიურია ამ თემებთან მიმართებაში.

### 3.4 კულტურულ ფასეულობათა ჭიდილი ქართულ მედიაში

ღირებულებათა კონფლიქტის საკითხზე სიღრმისეულად მსჯელობა ქართულ საზოგადოებაში არსებული განსხვავებული მოსაზრებების დემონსტრირებითაა შესაძლებელი. ამ საკითხის ირგვლივ საყურადღებოა ორი პუბლიკაცია. 2006 წელს ჟურნალ “მნათობის” პირველ ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით “მედროვეები და დრო”, სადაც ქართველი კლასიკოსის

ოთარ ჭილაძის მეტად საინტერესო მოსაზრებებია დაბეჭდილი. “მთავარია, საზოგადოება იყოს მტკიცე და იოლად არ იცვლიდეს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ აზრს მარადიულ ცნებებზე. საზოგადოება, რომელიც პატივს არ მიაგებს, ვთქვათ, ღირსეულ შემოქმედს და, თუნდაც, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ფარზე შესვამს მედროვეს, რასაკვირველია, ჯანსაღ საზოგადოებად ვერ ჩაითვლება

მე განსაკუთრებულად ჩემი, ქართველი ახალგაზრდა მეცოდება – უნიჭიერესი და უვიცი, არასწორი წარმოდგენებისა და ფუჭი ილუზიების ტყვე. შენ რომ არ გისმენს, არაფრად რომ აღარ გაგდებს, ეს კიდევ არაფერი, ამას შენც მოინელებ და, რა თქმა უნდა, აპატიებ, მაგრამ შეიძლება მართლა გაგისკდეს გული, როცა საკუთარი თვალთ ხედავ, როგორ ბრმად ენდობა ნებისმიერ სულგაყიდულ, სინდისგარეცხილ მედროვეს, რომელიც აშკარად პირადი გამორჩენის მიზნით, ანდა კიდევ უარესი, სხვა, უფრო დიდი მედროვის ფარული მითითებების შესაბამისად, დაუნანებლად სვრის, ბილწავს, ასახინრებს ირგვლივ ყველაფერს; აკნინებს, აბითურებს წმინდა ცნებებს; ეჭვის ქვეშ აყენებს საუკუნეობით დადგენილსა და დაკანონებულს პირუტყვეულ თავისუფლებას ქადაგებს ზნეწამხდარ ოჯახებსა და ფუნქციონირებულ სკოლებში. ვიდრე არსებობს დრო, აუცილებლად მედროვეც იქნება”.<sup>21</sup>

ქართულ მედიაში ღირებულებათა სიღრმისეული კონფლიქტის საინტერესო მაგალითია ფილოსოფოს გიორგი მაისურაძის სტატია “პოლარიზაცია”, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. იგი თავისი პათოსით და აგრესიული შემართებით გამორჩეულია და XX საუკუნის დასაწყისის კომკავშირლების მსგავსად, ზიზღიანი დამოკიდებულებით არის განმსჭვალული ყოველივე ტრადიციულის მიმართ. ამონარიდი სტატიიდან: “საქართველოში რომ აკრძალო სადღეგრძელოები, ტერმინი „სამარხულო“, ქალიშვილებს არ დართო ქორწინების უფლება, აკრძალო „მარშუტკებში“, საერთოდ, ტრანსპორტში პირჯვრის წერა, ჰელოვინი ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადო, თავისუფლების მოედანზე ინდირა განდის ძეგლი დადგა (ისე, თბილისში არ უნდა იდგეს ინდირა განდისა და ჯავაჰარლალ ნერუს ძეგლები? ორივე ხომ ნამყოფია საქართველოში...). მაგრამ, ვინაიდან ეს ყველაფერი არარეალურია, ერთადერთი, რაც შეიძლება

<sup>21</sup> ჟურნალი "მნათობი, 2006 წ. №1

საქართველოში მოხერხდეს, იტალიის მსგავსად, საზოგადოების პოლარიზაციაა. იტალიაში, რამდენადაც ძლიერია მაფია, ეკლესია, ნეოფაშისტები, იმდენადვე ძლიერ წინააღმდეგობას უწევს მათ რაოდენობრივად უმცირესობაში მყოფი მემარცხენე პოლიტიკური და ინტელექტუალური სპექტრი. ხელოვნება, აკადემიური სფერო, ლიტერატურა, კინო, – მთლიანად პროკომუნისტური ან პროსოციალისტურია. შესაბამისად, მემარცხენე პროფესურა სეკულარული და განმანათლებლური პრინციპების გავრცელებას უწყობს ხელს. მაგრამ ეს პროცესი მძაფრი საზოგადოებრივი დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. ხოდა, ასეთი რამ, უკეთეს შემთხვევაში, საქართველოშიც შესაძლებელი მგონია, გამომდინარე არა მხოლოდ ტემპერამენტების მსგავსებიდან, არამედ საზოგადოების სტრუქტურულიდანაც. თუმცა კი საქართველოში მემარცხენე თუ სეკულარული უმცირესობა იმდენად უმცირესობაშია, რომ ჯერჯერობით თითქმის საერთოდ არ ჩანს, მაგრამ მას გაშლისა და გაფართოების პოტენციალი აქვს. უფრო მეტიც, ის იძულებულიც კია, რომ გააქტიურდეს, გარადიკალურდეს, ბევრად უფრო ორგანიზებულ და გაბედულ ქმედებებზე გადავიდეს, რაც მისი გადარჩენის ერთადერთი შანსი იქნება! ყველა სხვა შემთხვევაში მათ წალეკავს ობსკურანტთა უმრავლესობა, რომელიც გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადება. კი, ძალიან მარტივი და პრიმიტიულია მათი იდეოლოგია, მაგრამ მას არაფერი უპირისპირდება. პრიმიტივიზმი კი კარგად მუშაობს. ჰელოფინის დარბევა, გადაცემების დახურვა, მეფე და ა.შ. მხოლოდ შესავალია, პატარა უვერტიურებია, – ოთხმოქმედებიანი ოპერა ჯერ არ დაწყებულა. ხოდა, ერთადერთი ძალა, რომელსაც ამ ოპერის საბოტაჟი შეუძლია, - სწორედ ეს მემარცხენეობის ემბრიონია და არა ლიბერალიზმი ან ნეოლიბერალიზმი, რომლის კრახის შედეგაცაა დღევანდელი ობსკურანტიზმის ტაშ-ფანდური. ეკლესიამ დაიწყო იმის რადიკალიზაცია ან აბსოლუტიზაცია, რაც მონოლითურ ქართულ საზოგადოებაში უკვე ჩადებული იყო. ეკლესია და მის ირგვლივ გაერთიანებული ულტრაკონსერვატორი პოლიტიკური ძალები უბრალოდ უკვე ღიად მოითხოვენ ტოტალურ ძალაუფლებას: მათ უნდათ კოლბაში გამოიყვანონ მეფე, ანუ მთავარი ზომბი, რომლის მეშვეობითაც და მისი ნიმუშის მიხედვით მთელი საზოგადოება პოლიტიკურად დაიზომბება. ამავე დროს, არ უნდა დაუშვან, ჩანასახშივე უნდა მოსპონ სეკულარიზმის და თავისუფალი ცნობიერების ემბრიონი, რომლის მიმართაც მათ პანიკური შიში

აქვთ და ინტუიციით ხვდებიან, რომ მხოლოდ ამ თითქმის უხილავ არსებას შეუძლია მოზღვავებული სიბნელის შეჩერება. ამიტომაც ამ ემბრიონმა უნდა დაიწყო საზოგადოების პოლარიზაცია, ანუ მთელი ღირებულებათა სისტემის დაუნდობელი გადაფასება; ალტერნატიული რეალობის, სააზროვნო პრინციპების, ცხოვრების წესების შექმნა და დანერგვა. ეს არის ის, რასაც ფილოსოფოსი მიშელ ფუკო "სამოქალაქო ომს" უწოდებს, რომლის ფონზეც სამოქალაქო საზოგადოება წარმოიქმნება და ვითარდება და არა მალევე თუ ბოდიშების მოხდით. ბრძოლით გატანა და დამკვიდრება საკუთარი აზრებისა თუ ცხოვრების წესებისა და შეგუება იმასთან, რომ ეს ბრძოლა არასდროს დამთავრდება"<sup>22</sup>.

ფიქრობ, შეუძლებელია დღეს ქართული საზოგადოებისათვის ასეთი ტიპის „მემარცხენე აზროვნების“ თავსმოხვევა იმ ყოველივეს შემდეგ, რაც მან გადაიტანა „მემარცხენე“ იდეოლოგიის შედეგად, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში (20-იანი წლების ახალგაზრდობაში) პროგრესულად ითვლებოდა, შედეგად კი „ბოლშევიკური ტერორი“, ამ ტერორის პერიოდში დახვრეტილი უამრავი ადამიანი და 70-წლიანი ტოტალიტარული მმართველობა მოიტანა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემათა ციკლის „კედელი“ ერთი გადაცემა (2008.03.12), რომლის შესახებაც ზემოთაც ვისაუბრეთ, მიეძღვნა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ გამართულ საპროტესტო აქციას და ხსენებული ახალგაზრდული გადაცემის წინააღმდეგ პროკურატურის მიმართ გავრცელებულ განცხადებას. ამ განცხადებაში ისინი უკმაყოფილებას გამოხატავენ იმ „გამხრწნელი“ გავლენის გამო, რომელსაც, მათი აზრით, გადაცემა ახალგაზრდა თაობაზე ავრცელებს. ისინი ამ ზემოქმედებას ეროვნული ღირებულებებისა და ფასეულობების წინააღმდეგ მიზანმიმართულ საწინააღმდეგო ქმედებად მიიხსენებენ, ვინაიდან მათი აზრით, გადაცემაში ხშირად საუბრობენ მოზარდ თაობასთან ისეთ თემებზე, რომელიც „არ შეიძლება ახალგაზრდებს შორის საჯარო განსჯის საგანი იყოს“. როგორც ეთერში მოწვეულმა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ლიდერმა, ავთანდილ უნგიაძემ განაცხადა, ამგვარი საუბრები მიზანმიმართული იდეოლოგიური ზემოქმედებაა, რომელიც რყვნის გადაცემის მიზნობრივ აუდიტორიას – ახალგაზრდებს. შეუფერებელი თემატიკის მაგალითად მან მოიტანა

<sup>22</sup> ჟურნალი „ცხელ შოკოლადი“, 2009 წ. №2 გვ.14

დისკუსიები პატრიოტიზმისა და ქორწინებამდე სექსის, ასევე საუბრები უსაფრთხო სექსის შესახებ და ახალგაზრდა აუდიტორიისათვის პრეზერვატივების შეთავაზება, რის გამოც ლიბერალებს გლობალიზაციის მომხრეები და შესაბამისად, ქართველების გამრავლების მტერი, ქართული ეროვნული იდეის მოწინააღმდეგეები უწოდა. ჟურნალისტმა ნინია კაკაბაძემ გაიხსენა მაგალითი საქართველოს ისტორიიდან იმასთან დაკავშირებით, რომ თავისი ეპოქის კონსერვატიული მამათა თაობა ქართველ ეროვნულ გმირსა და გამოჩენილ მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოაზრეებს ჭია-ღუებად და ასევე ლიბერალებად მოიხსენიებდა. ბატონ ავთანდილ უნგიაძეს კი შესთავაზა გაეხსენებინა დიდი ქართველი მწერლის, ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური ნაშრომი „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“, რომელშიც ავტორი გარე სამყაროს მიმართ ღიაობისა და ისეთი სახის პატრიოტიზმის მომხრეა, რომელსაც ადამიანი, მსოფლიო კოსმოპოლიტური ჰუმანური იდეალების გაზიარებასა და ამ იდეების მსახურებაში გამოხატავს. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც გადაცემაში გამოჩნდა, ბატონი ავთანდილ უნგიაძისა და მისი თანამოაზრე „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ პოზიციას იზიარებს სტუდიაში მისული ახალგაზრდების ნაწილიც. ამ პოზიციის მომხრეა საზოგადოების ის ჯგუფიც, რომელსაც კარგად ახსოვს საბჭოთა ტერორის სიმძიმე ეკლესიის მიმართ და ქართული ეკლესიის ის მოწამეებიც, რომლებიც ამ ტერორთან შეურიგებელ წინააღმდეგობას იჩენდნენ და ბრძოლას შეეწირნენ. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საბჭოეთის მმართველობის პერიოდში კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველ დისიდენტებსაც, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განმავლობაში, საზოგადოების მიმხრობის მიზნით, წარმატებით იყენებდნენ საკუთარ რელიგიურობას. XX საუკუნის 90-იან წლებში ეროვნული მოძრაობის ლიდერები თავიანთ ემოციურ გამოსვლებს მრავალათასიანი მიტინგების წინაშე ხშირად დაასრულებდნენ ხოლმე სიტყვებით: „ჩვენთან არს ღმერთი“. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის (დღემდე საბჭოეთის პერიოდიდან მისთვის კარგად ნაცნობი რუსულ ენობრივ ველში დარჩენის გამო), ინგლისური და სხვა ევროპული ენების უცოდინარობის მიზეზით, შეუძლებელია ინგლისურენოვანი ან სხვა ევროპული ლიტერატურისა თუ ინტერნეტსივრცის ათვისება. სამაგიეროდ, მათთვის იოლად ხელმისაწვდომია რუსულენოვანი

ელექტრონული მედია. პუტინის მმართველობის პერიოდის რუსული პოლიტიკური მედია ცდილობს ქართულ-რუსული სარწმუნოებრივი ერთობა საქართველოს დასავლური ორიენტაციის წინააღმდეგ პროპაგანდისა და ქართული აუდიტორიის აზრით მანიპულირების მექანიზმად გამოიყენოს, ვლ. პუტინისა და მისი ხელისუფლების გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის და იმისათვის, რომ მართლმადიდებელი მოსახლეობის თვალში დასავლეთი ქრისტიანული მსოფლმხედველობის მტრად წარმოაჩინოს. ამ პროპაგანდით ხსენებული მედია ასევე ცდილობს გააღვივოს აუდიტორიაში ქსენოფობიური დამოკიდებულება თანამედროვე დასავლური კულტურისა და ცხოვრების წესის მიმართ. ეს ზრახვები უფრო იოლად განხორციელდება, თუ საქართველოში მედიის სივრცე დახურული იქნება მოსახლეობის იმ ჯგუფისათვის, რომელიც ტრადიციის და ქრისტიანობის დამცველად ცდილობს საკუთარი თავის პოზიციონირებას. მედიის მხრიდან მათი მარგინალიზების ნებისმიერი მცდელობა კი მათ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის თვალში, ქართული და ქრისტიანული ღირებულებების დაცვისათვის წამებულ გამირებად აქცევს. გადაცემაში „კედელი“ მიწვეული საზოგადოების („მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“) ქსენოფობიური დამოკიდებულება ახალი, დასავლური პოსტმოდერნისტული სამყაროს ცხოვრების წესის მიმართ და საზოგადოების ამ ნაწილის სურვილი – ჩაკეტონ ქართული საზოგადოება ტრადიციულ დოგმებში ისე, რომ არ დაუშვან სხვა კულტურების მასზე ზემოქმედება, ამჟამინდელი გლობალური სამყაროს ისტორიულ მოცემულობაში სრულიად განუხორციელებელი და ფუჭია. სამაგიეროდ, იოლად ხერხდება მათი გულწრფელი მისწრაფებების გამოყენება ინტერესთა ჯგუფებისა და ანგარებიანი პიროვნებების მიზნებისათვის, ვინაიდან, ისევე როგორც ნებისმიერ ქსენოფობიურ საზოგადოებას, ამგვარი შიში მათაც აქცევს ძალზე მოწყვლადებად სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების გავლენის მიმართ. სწორედ საზოგადოების ფობიებს იყებებენ ანგარებიანი სუბიექტები, როგორც იარაღს საკუთარი ზრახვების განსახორციელებლად. მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ 2013 წლის 17 მაისის აქციის დარბევა, რომელმაც მსოფლიო და ქართული მედიის ყურადღება მიიქცია და საქართველო აგრესიული ჰომოფობების ქვეყნად წარმოაჩინა მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოების თვალში. ამ მოვლენებიდან ორი წლის შემდეგაც კი პასუხგაუცემელი დარჩა

შეკითხვა: ვის ინტერესში იყო ამგვარი პროვოკაციის მოწყობა და რეალურად ვინ იყო ამ საშინელი დარბევის ინიციატორი.

2015 წლის 14 მაისს, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გადაცემაში „სხვა რაკურსი“<sup>23</sup> სტუმრები კვლავ მსჯელობდნენ იყო თუ არა 17 მაისის პროვოკაციის მოწყობის ინიციატორი საქართველოს ლგბტ უფლებათა დაცვის ორგანიზაცია „იდენტობის“ ლიდერი ირაკლი ვაჭარაძე, რომელსაც მისი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ გაცხადებული ლგბტ უფლებადაცვითი მიმართულების მიუხედავად, როგორც გადაცემაში მიწვეულმა ერთ-ერთმა სტუმარმა აღნიშნა, 17 მაისამდე არასდროს დაუცავს ამ თემის წევრების უფლებები. ხსენებულ გადაცემაში ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, თითქოს ვაჭარაძის ორგანიზაცია „იდენტობაში“ ამ დარბევის შემდგომ ძალზე დიდი ოდენობის საერთაშორისო საგრანტო დაფინანსება მოიპოვა და მიიღო. როგორც წესი, ანგარებიანი ადამიანები და მათ უკან მდგომი ფინანსური ინტერესის ჯგუფები, ქსენოფობიურ საზოგადოებას, რომელიც მათთვის იოლად სამართავი და მანიპულირებადია, თავისი მიზნების განხორციელების იარაღად იყენებენ. ისეთი ჰუმანური რელიგიის სახელით, როგორც არის ქრისტიანობა, რომელიც კაცთმოყვარეობასა და ადამიანთა შორის სიყვარულს, გულმოწყალებასა და მიტევებას ქადაგებს, საზოგადოების ერთი ნაწილი – ქართული მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მრევლის გაცილებით მრავალრიცხოვანი ნაწილი, სასტიკად გაუსწორდა ლგბტ თემის წარმომადგენლების მცირერიცხოვან აქციას, რომლებიც ლგბტ თემის მხარდაჭერის დღეს აღნიშნავდნენ.

სწორედ ასე და კიდევ ბევრად უფრო მძაფრად აქცევს ქსენოფობიურობა აგრესიული ინტერესთა ჯგუფის ტერორისტი რადიკალების სამიზნედ კიდევ ერთი ტრადიციული რელიგიის – ისლამის მიმდევრებს. ამ რელიგიის დაცვის მომხრეთა უსაფუძვლო შიში ანუ ქსენოფობიურობა აძლევს საშუალებას ისლამისტ რადიკალებს გავლენა იქონიონ სხვადასხვა კონფესიის ახალგაზრდა მუსლიმებზე და გამოიყენონ, როგორც ტერორისტული მიზნებისათვის, ასევე სხვადასხვა დაპირისპირების გასაღვივებლად. ისეთი დაპირისპირებების, რომლებიც ამ წრეების ფინანსურ ან სხვა სახის ანგარებიან ინტერესებში შედის.

<sup>23</sup><https://www.youtube.com/watch?v=zb2YvgA4LwM>

გადაცემაზე „კედელი“ განსაკუთრებულად იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ დაპირისპირებული მხარეების ერთად დასხდომისა და მაყურებლისათვის უადრესად საინტერესო ხანგრძლივი განსჯის შემდგომ დაპირისპირება შენედა და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ გამართული აქციაც შეწყვიტა, რაც თავისთავად დადებითი ფაქტი იყო.

ჩვენი კვლევის ფოკუსირება ძირითადად ელექტრონულ და არა ბეჭდურ მედიაზე შეჩერდა, რადგან ახალი ტექნოლოგიური ცივილიზაციის პირობებში გამოიკვეთა, რომ ელექტრონული მედია გაცილებით მასშტაბურია და უფრო აქტიურად ვითარდება, ვიდრე ბეჭდური. შესაბამისად, უფრო გავლენიანიც არის და მრავალფეროვანიც. გარდა ამისა, საინტერესოა, თუ რამდენად დიდია მედიის მიერ ახალი კულტურული ღირებულებების შექმნის შესაძლებლობები და როგორ ანაცვლებს მედია ამ პროცესში რელიგიას, რომელიც მედიაკულტურის ჩამოყალიბებამდე ცხოვრების ყოფით წესებს, ეთიკასა და ცხოვრების მორალს, ანუ კულტურულ ღირებულებებს უდგენდა საზოგადოებას და ამ ფუნქციის ტრადიციული განმახორციელებელიც იყო.

### 3.5 განსხვავებული კულტურების ღირებულებათა კონფლიქტი და ტერორიზმის საფრთხე

რელიგიური ინსტიტუტები, როგორც ტრადიციული ცხოვრების წესის განმსაზღვრელნი და კულტურული ღირებულებების შემქმნელნი, საუკუნეთა განმავლობაში ფუნქციონირებდნენ და სწორედ ეს ინსტიტუტები იყო განათლებისა და ცოდნის ერთადერთი დამგროვებელი და მსოფლმხედველობრივი პრიორიტეტების განმაპირობებელი. გარკვეულ მომენტში, სამყაროს სურათის მატერიალისტური მსოფლმხედველობის ეტაპზე გადასვლისა და გაბატონებული სოციალური პარადიგმის ცვლილების გამო, რელიგიურმა ინსტიტუტებმა ეს პოზიცია თანდათან დათმეს.

მულტიკულტურულ სამყაროში კულტურათა კონფლიქტის ტრაგიკული შედეგის მაგალითია პარიზში განხორციელებული ტერაქტი, რომლის საბაზი

სატირულ გამოცემაში გამოქვეყნებული კარიკატურული ნახატები ანუ მუსლიმური სიწმინდეების გაშარება გახდა. საინტერესოა კულტურულ-მსოფლმხედველობრივი შეუთავსებლობის კონტექსტში გავანალიზოთ პარიზში სატირული გამოცემის Charlie hebdo-ს წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის (რომლის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა) სიღრმისეული ღირებულებათა კონფლიქტის და ამ ტერორისტულ აქტზე საზოგადოების შემდგომი გამოსმაურების სოციო-კულტურული ასპექტები.

პარიზში 2014 წლის 7 იანვარს ფრანგულ სატირულ ჟურნალ Charlie Hebdo-ზე განხორციელებული თავდასხმა სამწუხარო მაგალითია იმ საფრთხის, რომლის აცილებას თანამედროვე სამყაროში არსებული მედია-რეგულაციები ვერ უძკლავდება. ტრაგედიით გამოწვეული ვნებათაღელვა შედარებით განელდა, ბევრი ანალიტიკური სტატიაც დაიწერა და ვფიქრობ, უკეთ არის შესაძლებელი მშვიდი გონებით ამ მძიმე ფაქტის გაანალიზება. Charlie Hebdo-ზე განხორციელებულმა თავდასხმამ და მასობრივმა მკვლელობამ მთელი ევროპა შეძრა და მცირე ხნით ზედაპირზე ამოიტანა ის სიღრმისეული პრობლემები, რომელიც მულტიკულტურულ გლობალურ სამყაროში არსებობს.

გაბრიელ აღმონდი და სიდნი ვერბა აყალიბებენ სამოქალაქო კულტურის წიაღში არსებულ ურთიერთშეუთავსებელ პოლიტიკურ ორიენტაციებს, რომლებიც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მოთხოვნილებას ყველაზე მეტად შეესაბამება და საბოლოო ჯამში, განაპირობებს მის სტაბილურ ფუნქციონირებას.

სამოქალაქო კულტურის განმსაზღვრელი პარამეტრებია: ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას, აქტიურობასა და პასიურობას, თანხმობასა და უთანხმოებას, რაციონალურ და ირაციონალურ ქცევებსა და ქმედებებს შორის ბალანსი. ამ განსაზღვრებით, სამოქალაქო კულტურა ზომიერი, გაწონასწორებული და დაბალანსებულია, სადაც რადიკალური ქმედებები გამოირიცხება და აქცენტი კეთდება მშვიდობიან, კონსესუალურ პოლიტიკურ პროცესზე, რომელშიც მაღალია თანხმობის ხარისხი დემოკრატიის ძირითადი საბაზისო ღირებულებებისა და „პოლიტიკური თამაშის წესების“ ირგვლივ; ერთი მხრივ – პოლიტიკურ ძალებს, მეორე მხრივ – საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის.

დემოკრატიულ სამყაროში ადამიანებს მინიჭებული აქვთ რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება და ამავდროულად, აღიარებულია სიტყვისა და გამოსატყვის თავისუფლებაც. რამდენად შესაძლებელია ამ ორი უფლების შეთავსება, თანაარსებობა და კოჰაბიტაცია იმ მულტიკულტურულ გარემოში, რომელშიც ქვეყნების მხოლოდ ნაწილი აღიარებს დემოკრატიის პრიორიტეტს, არსებული წესებითა და ეთიკის კოდექსით მოქმედი მედია კი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ყველგან ერთ-ერთი გავლენიანი ფაქტორია. მოკლედ რომ ვთქვათ, დღეს არსებული ჟურნალისტური სტანდარტი და ეთიკის კოდექსი რამდენად ახერხებს ისე დაარეგულიროს მედიის საქმიანობა, რომ მედია, თავისდაუნებურად, ფრონტის ხაზზე არ აღმოჩნდეს ანუ მანიპულატორების ხელში არ იქცეს არც ტერორიზმის მაპროვოცირებლად და არც ტერორიზმის მსხვერპლად.

აღნიშნული ტრაგედიით გამოწვეული მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციების მიზანი, პირველ რიგში, ფრანგული საზოგადოების არაქსენოფობიურობის ხაზგასმა იყო, თუმცა ამ აქციების ძირითადი სლოგანი – „ჩვენ ვგმობთ ტერორიზმს და არა ისლამს“, ორმაგად შეიძლება წავიკითხოთ. პროტესტის მონაწილენი დაუშვებლად მიიჩნევენ რომელიმე რელიგიასთან (ამ შემთხვევაში, ისლამთან) დაპირისპირებას, რაც დემოკრატიული სამყაროს ფუნდამენტური პრინციპია და ამავე დროს, ისინი, რატომღაც, დასაშვებად მიიჩნევენ იმ აზრს, რომ აგრესიული ძალადობის და საზოგადოებისათვის ძვირფასი კარიკატურისტებისა და ცნობილი ადამიანების მკვლელობის გამო გამოწვეული მათი გულწრფელი მასობრივი პროტესტი, ვინმეს შეიძლებოდა მიეჩნია მოქალაქეთა რელიგიური გრძნობების, კონკრეტულად კი ისლამის წინააღმდეგ გამოსვლებად. არც ამგვარი სიფრთხილე და არც ასეთი ვარაუდია შემთხვევითი. დასავლური მედია, ნებისთ ან უნებლიედ ამკვიდრებს ისლამის, როგორც ზოგადად აგრესიული რელიგიის ხატს, რაც ტერორისტული აქტების უმეტესობაში მუსლიმური ექსტრემალური ორგანიზაციების მონაწილეობის მუდმივ ხაზგასმაში გამოიხატება. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი იუმორისტის, Jeff Dunham-ის ძალზე პოპულარული შოუ სახელწოდებით Achmed The Dead Terrorist<sup>24</sup>. ვიდეოში ტერორისტს განასახიერებს თოჯინა, რომელსაც მუსლიმთა შორის გავრცელებული სახელი ჰქვია და თავზეც

<sup>24</sup> <https://www.youtube.com/watch?v=IL357BrwK7c>

ჩაღმა აქვს მოხვეული. ამ ვიდეოს სოციალურ ქსელ you tube-ში ათობით მილიონი ნახვა აქვს. ნამდვილად ნიჭიერი კომიკოსის მიერ შექმნილი ტერორისტის ეს პორტრეტი იმდენად სასაცილო და შთამბეჭდავია, რომ სავარაუდოდ, მის უამრავ მნახველს დიდი ხნით ჩარჩება მესხიერებაში და საფუძველს არაა მოკლებული მოსაზრება, რომ მაყურებლის წარმოდგენაში ტერორისტისა და მუსლიმის სახე ერთმანეთთან ასოციაციურად დაკავშირდება. ამ მაგალითით ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ეს მედიაპროექტი, რამდენადაც ცნობილია, არც ერთ მუსლიმს, სახელად ახმედს არ მიუჩნევია ისეთ შეურაცხყოფად, რომ რაიმე სახის პროტესტის აქტიურად და მასობრივად გამოსატვა მიეჩნია საჭიროდ. ეს მაგალითი იმათ საპასუხოდ დამჭირდა, ვინც მიიჩნევს, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა შეიძლება გააიგივო ვეგეტარიანელთა გრძნობებთან, როდესაც ისინი ხორცპროდუქციის პლაკატებსა და ტელერეკლამას ხედავენ. ჩემი აზრით, ამგვარი შედარება შეუსაბამოა, ვინაიდან, არც მუსლიმები და არც სხვა კონფესიების მორწმუნე ადამიანები მოითხოვენ სხვა კულტურის ქვეყნებში მათთვის მისაღები რელიგიური და ყოფითი წესების დაცვას, წირვაზე დასწრებას, ჩადრის ტარებას და ა.შ. ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ შოუს მუსლიმი ფუნდალისტების აგრესიული რეაქცია არ გამოუწვევია, რადგან იგი ამასხარავეს ადამიანს და არა ღმერთს. მორწმუნე ადამიანებს ისიც კარგად ესმით, რომ სამყაროს წარმოშობის მატერიალისტური თეორიის მიმდევართა მოსაზრებები, რომლებიც არ იზიარებენ სამყაროს უფლის მიერ შექმნის ბიბლიურ ვერსიას, არ შეიძლება შეურაცხყოფად მიიღონ. ასე რომ, ვიდრე თანამედროვე დემოკრატიული სამყაროს ეთიკა დასაშვებად მიიჩნევს რელიგიური გრძნობების არსებობას და იცავს კიდევ რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლებას, ახალი მედიაშითების შეთავაზება ორთოდოქსული რელიგიური და თანამედროვე სამყაროს ღირებულებათა კონფლიქტის ბეწვის ხიდზე გადის. ამდენად, იმისათვის, რომ ჟურნალისტის საქმიანობა მეხანძრის და ფრონტის წინა ხაზზე მყოფი ჯარისკაცის საქმიანობაზე უფრო მეტი რისკის შემცველი არ გახდეს, შესასწავლი და დასადგენია ეთიკის რა ნორმები უნდა განსაზღვრავდეს მედიაში სენსიტიური რელიგიური თემების ნებისმიერი სახით გაშუქებას, და მუშაობს თუ არა ასეთი საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტური ეთიკის დადგენილი ნორმები. კულტურა, როდესაც იგი ასეთი

მასობრივი და გლობალური ხდება, შესაძლოა თუ არა იზიარებდეს მოსაზრებას, რომ ხელოვნებასა და მედიაში გამოხატვის თავისუფლებას არ შეიძლება რაიმე სახის საზღვრები (რასაკვირველია, იგულისხმება მხოლოდ ეთიკური და არავითარ შემთხვევაში საკანონმდებლო შეზღუდვები) დაუწესდეს, გარდა კონსტიტუციით აღიარებული რწმენისა და აღმსარებლობის პატივისცემის მოთხოვნისა. სწორედ ღირებულებათა კონფლიქტით გამოწვეული ტერაქტებისა და ტრაგიკული შემთხვევების პასუხად მედიის წარმომადგენლებს ებაძებათ შეკითხვა: იქნებ, დადგა დრო გადაიხედოს ეს მოსაზრება და რწმენის საკითხების გაშუქებისას, უფრო დახვეწილი და გააზრებული ეთიკური საზღვრების შემოღება იყოს მიზანშეწონილი, როგორც ეს არასრულწლოვანთა და უმცირესობათა უფლებების შესახებ მეტად სენსიტიური საკითხების გაშუქებისას უწესდება მედიას, მაგრამ აქვე ცხადი ხდება პასუხიც ამ შეკითხვაზე: არ შეიძლება დიდი შრომისა და დანაკარგების ფასად მოპოვებული გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვა, ვინაიდან სწორედ ეს უფლებაა პოსტმოდერნისტული სამყაროს ფუნქციონირების მთავარი ღერძი, მისი ძირითადი მახასიათებელიც და მონაპოვარიც.

სამყაროსთან რაციონალურ და რელიგიურ დამოკიდებულებას შორის ამ სიღრმისეული კონფლიქტის გადრმავებას, ამ ორი ტიპის აზროვნების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის პრობლემების შექმნას ხელს უწყობს ამავე ექსტრემისტული ორგანიზაციების ლიდერების აგრესიული განცხადებების ტირაჟირება მედიის მიერ, რაც არის კიდევ ამგვარი ექსტრემისტული ჯგუფების მიზანი, რომელიც გულისხმობს მათი უკიდურესი სისასტიკის საფრთხისა და ძლევამოსილების მითის ტირაჟირებით შიშის ქვეშ ამყოფოს პოსტმოდერნისტული ეპოქის ადამიანები. ამით მძაფრდება ქსენოფობია და საფრთხე ექმნება მრავალი განსხვავებული სუბკულტურის თანაარსებობის იდეას, რაც პოსტმოდერნისტული კულტურის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია. საზოგადოებაზე იმავე ზემოქმედებას ახდენს სენსაციის მაძიებელი მედიის გაძლიერებული ყურადღება ექსტრემისტების მიერ ინტერნეტში განთავსებული მათივე დანაშაულებისა და სისასტიკის უძიმესი დოკუმენტური კადრების მიმართ და ამ კადრების ტირაჟირება. სოციალური ქსელიც უხვად შეიცავს კონკრეტული აგრესიული ჯგუფების მიერ ჩადენილ სიკვდილით დასჯისა და შარიათის სამართლის სისასტიკის ამსახველ

ვიდეოებს. ამ კულტურების არსში ღრმად ჩაუხედავი, ზედაპირული მაყურებლისთვის საშინელებისა და ბოროტების ხატი მთელი კულტურის სიმბოლოდ განზოგადდება. ასე გადაიქცევა ერთი რადიკალური ექსტრემისტული ჯგუფის მიერ ჩადენილი სიმხეცე კონკრეტული რელიგიის ან კულტურის მიმართ შაბლონურ წარმოდგენებად და კლიშეებად.

საუკუნეთა განმავლობაში რელიგია, თავისი ინსტიტუტების მეშვეობით, ქმნიდა წარმოდგენებს კეთილისა და ბოროტის, ცოდვისა და სათნოების, დანაშაულის, სისასტიკისა და გულმოწყალების შესახებ, ამკვიდრებდა ყოფით წეს-ჩვეულებებს, ქცევის დასაშვებობის სისტემას, იძლეოდა ზნეობის და უზნეობის განმარტებას და ა.შ. ჩვენს დროში ამ ინსტიტუტს პოზიციების თანდათანობით დათმობა უწევს, რისი მაგალითიცაა, თუნდაც კათოლიკური ეკლესიის მიერ ერთსქესიანთა ქორწინების დაშვება და სხვა რეფორმები.

სეკულარულ საზოგადოებაში ფასეულობების ფორმირებისა და საარსებო კულტურული გარემოს ჩამოყალიბებისა და განმსაზღვრელის ფუნქცია ხელოვნებამ და მედიამ იტვირთა. შესაბამისად, ახალი რაკურსით დგება შედეგებზე მისი პასუხისმგებლობის საკითხიც. შედეგებზე პასუხისმგებლობა მედიას, ამ ეტაპზე მოქმედი ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის მიხედვით, არა აქვს, მაგრამ ამის მიუხედავად, ჟურნალისტი ვაღდეულებია არ დაუშვას მედიაში ეროვნული და რელიგიური შუღლის წახალისება, უმცირესობათა გრძნობების შეურაცხყოფა. მაშ, რატომ არ უნდა არსებობდეს რეგულაციები მედიისათვის, როდესაც იგი რელიგიურ გრძნობებს ეხება, ამგვარი რელიგიური გრძნობების ქონის (მათ შორის ფანატიკურისაც) უფლება დაცულია კანონით და ადამიანის უფლებათა დეკლარაციით.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს საყოველთაოდ არ აღიარებენ მულტიკულტურული სამყაროს ერთიან სისტემად. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოთა ერთობის ერთი ან რამდენიმე წევრი პრაქტიკულად უარყოფს საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ხასიათს და თეორიულადაც კი სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთადერთ ნორმად საკუთარი ჯგუფის (იქნება ეს ერი, პარტია, კლასი, ეკლესია თუ სახელმწიფო) ძალაუფლებას გამოაცხადებს, ამ სისტემის საყოველთაო შინაარსი აზრს კარგავს, ქცევის ფორმალურ ნარჩენებთან ერთად, მთელი ერთიანი კულტურული სისტემა იღუპება და

საზოგადოება არქაული კულტურის დონეზე დაბლა ეცემა. კვლავ მძლავრობს ძალის პრიორიტეტი.

როცა თავისუფლების ფანატიზმი უპირისპირდება რელიგიურ ფანატიზმს, სიცოცხლე საფრთხეშია. ამის მწარე გაკვეთილი იყო 2014 წლის 7 იანვარს პარიზში მომხდარი ტრაგედია. შეგახსენებთ, Charlie Hebdo-ს ტერაქტის შემდგომ ბევრი ანალიტიკური სტატია დაიწერა, მაგრამ ტრაგედიის ადამიანურ მოტივებზე, ვფიქრობ, ჯეროვნად არ გამახვილებულა ყურადღება.

ექსტრემიზმის მსხვერპლი იყო არა მხოლოდ დაღუპული 12 ადამიანი, არამედ ის ახალგაზრდა ტერორისტებიც, რომლებმაც ასეთი სასტიკი დანაშაული ჩაიდინეს და რომელთა კანონმორჩილ ადამიანებად ჩამოყალიბება ვერ უზრუნველყო პოსტმოდერნული სამყაროს ცხოვრების წესმა, რომელშიც, კულტურული თავისებურებიდან გამომდინარე, ნებადართულია ნებისმიერი სახის რელიგიური გრძნობების ქონა, მათ შორის ფანატიკურიც, რაც უზრუნველყოფილია დეკლარირებული აღმსარებლობის თავისუფლებით და ამავე დროს, არც ვინმეს უკრძალავს შეურაცხეოს ეს გრძნობები თვითგამოხატვის თავისუფლების დაცვის უფლების გამოყენებით. ამავდროულად, ამ წინააღმდეგობრივი მორალისა და თავისუფლების პირობებში, შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ ამ ადამიანების (ტერორისტების) მიერ ჩადენილ დანაშაულში კონკრეტული დამნაშავე ტერორისტული ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის უკან მდგომი ჯგუფების ფინანსური თუ პოლიტიკური ინტერესის სიცოცხლისუნარიანობა მატულობს ყოველი ახალი დანაშაულის შემდგომ. ცივილიზებული სამყარო მოვალეა არა მხოლოდ დასაჯოს დამნაშავე, არამედ შეიმუშაოს პრევენციული ზომები, რათა აღკვეთოს დანაშაული. გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას “მეოთხე ხელისუფლება”, ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს, პასუხგასაცემი შეკითხვები: – რა მიზეზით უჩნდება ადამიანს, რომელიც დემოკრატიულ, ცივილიზებულ სამყაროში დაიბადა და აღიზარდა, ტერორისტული ორგანიზაციის იარაღად ქცევის მოტივაცია და რა მიზეზით უპირისპირდება ეს იარაღი უშუალოდ მედიას? მათზე პასუხის გასაცემად, საინტერესოა იმ ნიშნების აღწერა და კვლევა, რაც რელიგიურ, ანუ რწმენის დომინანტობის (პირობითად, გულისმიერ ირაციონალური მიმართების) ადამიანს განასხვავებს გონისმიერი (ანუ რაციონალური დამოკიდებულების) ადამიანისაგან. რა

გავლენა აქვს მორწმუნის ფსიქიკაზე მისი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას მიუღებელი სატრიკოსების მიერ, რა გავლენა აქვს ადამიანის ფსიქიკაზე მის რელიგიურ გრძნობებს, როგორია ამ გრძნობების ბუნება, როგორ და რას აღიქვამს ადამიანი ამ გრძნობების ისეთ უკიდურეს შეურაცხყოფად, რაც მძიმე დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს?

ცნობილია, რომ ადამიანი, ფიზიკურის გარდა, სოციალურ სხეულშიც არსებობს და ამ მეორე იპოსტასში არსებობისას მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ღირებულებათა სისტემა, რომელიც მას ხდის მოწყვლადს და ასევე უქმნის დაცულობის განცდას. „შენ მე სულში ჩამაფურთხე“, – ამ სიტყვებით აღწერს რამდენიმე განსხვავებული კულტურის ადამიანი სოციალურ სხეულზე მიყენებული ტკივილის განცდას. ტყვეობაში ჩავარდნილი მემორები წამების პასუხად მიფურთხებას იყენებდნენ საკუთარი განრისხების გამოსახატად და მტრისთვის შეურაცხყოფის მისაყენებლად, თუმცა ეს ქმედება მათ ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ, მაგრამ მაინც ასე იქცეოდნენ. რეალურად მწამებლისადმი ზიზღის ამგვარი გამოხატვით ისინი მხოლოდ საკუთარ სიცოცხლეს აგდებენ საფრთხეში, მაგრამ იმის განცდა, რომ მათ აქვთ თუნდაც ეს იარაღი საკუთარი ღირსების დასაცავად, ამაღ უღირთ.

წამების მეთოდადაა მიხნეული გარკვეული ქმედებები, რომელიც შესაძლოა, ფიზიკურად ადამიანს არ ვნებს, მაგრამ მისი კულტურისთვის ან იმ სოციალური ჯგუფისთვის, რომლის წევრადაც იგი თავს აღიქვავს, მძიმე შეურაცხყოფად ითვლება და ამიტომ ადამიანის ფსიქიკისთვის აუტანლად მტკივნეულია. არცთუ იშვიათია მოზარდებში შეურაცხყოფელი ქმედებების მსხვერპლთა შორის სუიციდის შემთხვევებიც. არის თუ არა ყველა მუსლიმისთვის ალაჰის კარიკატურული გამოსახულებების ნახვა წამება, როდესაც მას, თავისი რწმენის მიხედვით, საერთოდ აკრძალული აქვს უფლის სახის დახატვა და ეს მისთვის საშინელ მკრეხელობად ითვლება? აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო სამართალში, წამების აკრძალვა ადამიანის აბსოლუტურ უფლებად ითვლება. უტრირება რომ მოვახდინოთ, კითხვა ასეც შეგვიძლია დავსვათ: არღვევს თუ არა კარიკატურული სატირა წამების არდაშვების აბსოლუტურ უფლებას, როდესაც იგი ადამიანის რელიგიურ გრძნობებს სატირული კარიკატურების ფორმით ეხება? დღევანდელი საერთაშორისო კანონმდებლობა, სიცოცხლის ხელყოფაზე

უფრო მძიმე დანაშაულად წამებას მიიჩნევს. შესაბამისად, მედია უნდა დაფიქრდეს, თუ რა აზრი იგულისხმება ტერმინში „წამება“, რადგან თუ წამება ადამიანისთვის ემოციური ტკივილის მიყენებაც არის, ალბათ მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, არის თუ არა ადამიანის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა მისი წამება.

კვებას თუ არა ტერორიზმს მედია? –ეს არის შეკითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც თანამედროვე საზოგადოებისთვის მთავარი გამოწვევაა. ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. მომხდარმა ტრაგედიამ ამგვარი დისკუსიის ველი გახსნა და ალბათ, საჭიროა ამ შეკითხვას დამკვიდრებული შაბლონების გვერდის ავლით გაეცეს პასუხი.

ვიდრე ცივილიზებულ სამყაროში სამხედრო მეთოდებით მოქმედება გამართლებული და დასაშვებია და იგი შესაძლებლად მიაჩნიათ გარკვეული სახელმწიფოების ლიდერებს და ინტერესთა ჯგუფებს, მოწინააღმდეგე მხრიდან ასევე მოიძებნება ფინანსური და ადამიანური რესურსი, რომელიც მზადაა თავისი მიზნებისთვის ტერორიზმი გამოიყენოს.

როგორც ჩანს, ტერორიზმის საკვები წყარო არსებობს მანამ, ვიდრე დემოკრატიულ სამყაროში მიზნის მისაღწევად სამხედრო ძალის გამოყენება დასაშვებია და პოლიტიკური მიზნის მისაღწევად კვლავ აქტუალურია ომის წარმოება. ასეთ პირობებში ტერორიზმის სულის დამარცხებაც შეუძლებელია. გამოდის, რომ საკუთარი იდეების და რწმენის დამკვიდრების გზად ექსტრემიზმი და უკიდურესი რადიკალიზმი მისაღებია და ბრძოლა მიმდინარეობს მხოლოდ ცალკეული ტერორისტების წინააღმდეგ. ძალთა დღეს არსებული ბალანსი ჰუმანისტურ ღირებულებებსა და აგრესიული მეთოდებით თვითდამკვიდრებას შორის ძალიან მყიფეა და როგორც ჩანს, უვარგისია ამ მულტიკულტურულ, მრავალპლასტიან, გლობალურ სოციუმში უსაფრთხოდ არსებობისთვის და პროგრესული, ჰუმანური საზოგადოების განვითარებისთვის.

როგორ პასუხობს მედია ამ გამოწვევებს? ხომ არ ხდება იგი უნებლიე იარაღი აგრესიული ძალების ხელში? ღია საზოგადოების მთავარი მიზანი ხომ, პირველ რიგში, განსხვავებული კულტურის, რწმენისა და ღირებულებების ადამიანების მშვიდობინი თანაცხოვრებაა და არა საზოგადოების რომელიმე სეგმენტის უპირატესობის დამტკიცება სხვებთან შედარებით.

Charlie Hebdo-ც, ისევე როგორც ნებისმიერი მედია-საშუალება, გაველენის იარაღია, მაგრამ კალაშნიკოვის ავტომატისგან განსხვავებით, ფიზიკურ სხეულს კი არ კლავს, არამედ სწორედ სოციალურ სხეულზე (სტატუსზე) ზემოქმედებს მომაკვდინებლად, და თუ ჟურნალისტური ეთიკის გვერდის ავლით, რომელიმე გაველენის ჯგუფის მანიპულაციის იარაღად იქცევა, ახდენს ადამიანთა და იდეათა გარკვეული ჯგუფის მარგინალიზებას, აჩენს შაბლონებს და ხშირ შემთხვევაში უფრო ქმედითია, ვიდრე სასიკვდილო იარაღი. რა მოაქვს ამ ქმედებას საზოგადოებისთვის – სიკეთე თუ ზიანი?

დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე Charlie Hebdo-ს რედაქტორის პასუხი კითხვაზე უნდა იბეჭდებოდეს თუ არა პრესაში კარიკატურები რელიგიურ თემებზე, ასეთი იყო: „საგნები ამით უკეთესი არ ხდება, მაგრამ მე ვხატავ პირველ რიგში იმისთვის, რომ უფრო მსუბუქად გადავიტანოთ ეს სამყარო“.

მიუხედავად Charlie Hebdo-ს ხალისიან თანამშრომელთა სამყაროსადმი მსუბუქი დამოკიდებულებისა, მათმა ტრაგიკულმა დაღუპვამ სხვადასხვა სერიოზულ თემებზე განსჯას მისცა იმპულსი. ის ფაქტი, რომ გამოცემამ გააგრძელა სიცოცხლე, ხაზს უსვამს რამდენად ფასეულია ევროპული საზოგადოებისთვის გამოსატვის თავისუფლება, მათ შორის ასეთი ტიპის სარკასტული კარიკატურის არსებობაც. ამდენად, სავარაუდოა, რომ მედიას ღირებულებათა კონფლიქტით პოლარიზებულ სამყაროში კვლავ მოუწევს ახალ გამოწვევებთან გამკლავება.

„მირჩევნია მოვკვდე ფეხზე მდგომი, ვიდრე დახოქილი“, –წერდა Charlie Hebdo-ს გამოცემის მთავარი რედაქტორი სტეფან შარბონიე, იგივე „შარბი“ ტერაქტამდე მცირე ხნით ადრე. მან იცოდა, რომ „აღ-ყაიდას“ მთავარი სამიზნეების სიაში იყო, აღსანიშნავია, რომ მას ამის გამო პოლიცია იცავდა. შარბის პოზიციას იზიარებდნენ დანარჩენი კარიკატურისტებიც: კაბიუ, ვოლინსკი, ონორე და ტინიუ.

რა იგულისხმება ტერმინ ფეხზე დგომის უკან - ის ხომ არა, რომ გამოსატვის თავისუფლება ის იდეალია, რომლის დასაცავად მთელი რედაქცია მზად არის საკუთარი სიცოცხლე გასწიროს? ხომ არ ჰგავს თავისი რადიკალიზმით და ფანატიზმით ეს გამონათქვამი შაჰიდი კამიკაძეების ქმედების მოტივს, რომლის არსი ასეთია: დაე მოვკვდე მეც და სხვებიც, ოღონდ არ მიადგეს ჩრდილი იმ იდეალს, რომლისაც მჯერა და მწამს.

ამგვარი ნონკონფორმისტების მდგომარეობა თანამედროვე სამყაროში ძალიან პირობითა. ერის ფრომის აზრით, საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილი იღებს რეალურად დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. ძირითადად კი, რაკი ყველა სოციუმის შვილები ვართ და მოგვწონს თუ არა, გვიწევს ვიცხოვროთ მისი წესებით. შეუძლებელია ვიცხოვროთ საზოგადოებაში და თან ვიყოთ მისგან დამოუკიდებელი. გარემოს გავლენა დიდია. გარშემომყოფები გვეუბნებიან როგორ უნდა მოვიქცეთ, გვასწავლიან ცხოვრებას საზოგადოების წესებით, ეს ყველაფერი კი დაღს ასვამს ჩვენს ხასიათსა და ინდივიდუალობას. ადამიანთა უმრავლესობას სჯერა, რომ საკუთარი ნების შესაბამისად მოქმედებს და ვერ აცნობიერებს, რომ თავად ეს ნება მათზე თავს მოხვეულია და რომ საზოგადოებაც, ისევე როგორც მისი გაცნობიერებული როლური იდენტიფიკაციაც ოსტატურად მანიპულირებს ინდივიდის ქცევით (იხ. ზიმბარდოს ექსპერიმენტი). ჩვენ ვერ ან არ ვხვდებით ამას, ვგუბით ყველაფერს და არ გამოვდივართ საკუთარი „კომფორტის ზონიდან“. სწორედ კომფორტის ზონის მასშტაბი განსაზღვრავს თავისუფლების ჯაჭვის სიგრძეს.

საინტერესოა იმ მოვლენის კვლევა, როგორ ექცევიან ადამიანები ალყაიდას მსგავსი ორგანიზაციების გავლენის ქვეშ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინიც მსხვერპლი არიან და მათ მკვლელობის იარაღად აქცევენ. რამდენად მონაწილეობს ამ პროცესში ელექტრონული მედია და მაგალითად, ტელეკომპანიები "ალ-ჯაზერა" და "ალ-არაბია", რომლებიც ზოგიერთი აგრესიული მუსლიმი იმამების მიერ გამოცხადებული ჯიჰადის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ, ან თუნდაც დასავლური კულტურისათვის კარგად ნაცნობი და ახლობელი მედიასაშუალებები, რომლებიც დემოკრატიის სახელით წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს პირდაპირ ეთერში გადასცემენ. აღნიშნული სამხედრო მოქმედებათა შედეგად კი უამრავი ადამიანი (მათ შორის მშვიდობიანი) იღუპება. დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიას მოხსნილი აქვს პასუხისმგებლობა მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შემდგომ შედეგზე. მთავარი პრინციპია დაცული იყოს ინფორმაციის სიზუსტე და მედიასაშუალება ინფორმაციის გავრცელებით გამოწვეულ შემდგომ მოვლენებზე პასუხს არ აგებს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება.

Charlie Hebdo-ს რედაქციის თანამშრომლებს კარგად ესმოდათ ის სასიკვდილო საფრთხე, რომელიც მათ საქმიანობას ახლდა თან. მიუხედავად იმისა, რომ Charlie Hebdo სულაც არ იყო განსაკუთრებულად პოპულარული გამოცემა, თავად მასობრივი მკვლელობის ფაქტმა მთელი ევროპა შეძრა და მილიონიანი საპროტესტო აქციების მიზეზად იქცა. ამ აქციებზე სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური ისტებლიშმენტები ხელი-ხელ ჩაკიდებულები იდგნენ. „დღეს მე ვარ შარლი“ – ამ სლოგანს დაუზარებლად ტირაჟირებდა მსოფლიო მედია და ის პოლიტიკური ლიდერებიც კი, რომელთაც თავადვე უცდიათ საკუთარი პოლიტიკური გავლენის გამოყენებით, დაებლოკათ ამ გამოცემაში მათ წინააღმდეგ მიმართული სატირული მასალების გამოქვეყნება.

ტერაქტს გადარჩენილმა გამოცემის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, 73 წლის ჰოლანდიელმა მხატვარმა, ბერნარ ჰოლტროპმა, რომელიც „ვილემის“ ფსევდონიმითაა ცნობილი და Charlie Hebdo-ს გარდა ასევე გაზეთ Liberation-თან თანამშრომლობს, დასცინა მათ, ვისაც ჟურნალი აშარუებდა და ტერაქტის შემდგომ გამოცემის მეგობრობა დაიბრალა. (მისი სიტყვების ციტირებას ჰოლანდიური გამოცემა Volkskrant-ი ახდენს).

„ჩვენ უამრავი ახალი მეგობარი გამოგვიჩნდა. რომის პაპი, დედოფალი ელისაბედი და პუტინი. ჩემთვის ეს სასაცილოა“, – განაცხადა კარიკატურისტმა. ვილემმა ფრანგი ნაციონალისტების ლიდერი, „ეროვნული ფრონტის“ ხელმძღვანელი ჟან-მარი ლე პენიც გააკრიტიკა. „მას უხარია, როდესაც ისლამისტები სროლას იწყებენ. გული მერევა ყველა იმ ადამიანზე, რომლებიც უცებ ჩვენი მეგობრები გახდნენ“, – აღნიშნა მან.

ამ თემასთან დაკავშირებით, საინტერესოა დისკუსია, რომელიც გაიმართა ქართულ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „მთელი კვირა“. „შენ ხარ დღეს შარლი?“ – ჰკითხა ერთ-ერთმა წამყვანმა (ეკა ხოფერია) მეორეს (ნანიკო ხაზარაძე). „მე არა ვარ შარლი“, – იყო ცხადი და ერთმნიშვნელოვანი პასუხი მეორე წამყვანისგან. ჩემი აზრით, არც შეკითხვა და არც პასუხი არ იყო შემთხვევითი. ეს მცირე მაგალითი იმის ხაზგასასმელად დაგვჭირდა, რომ მთელ მსოფლიოში ორივე პოზიციას ჰყავდა მიმდევრები. შეკითხვის ავტორი ეკა ხოფერია დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საინფორმაციო-პოლიტიკურ გადაცემებში, იყო საინფორმაციო სამსახურის უფროსი. შესაბამისად, სხვადასხვა ევროპულ ორგანიზაციაში გადიოდა ტრენინგებს, ესწრებოდა სემინარებს და კარგად ესმის ევროპული მედია-

პოლიტკორექტურის შინაარსი, კარგად იცნობს სამოქალაქო საზოგადოების ქცევის წესებს და იზიარებს მათ. მეორე წამყვანი, ნანიკო ხაზარაძე, წლების განმავლობაში გასართობი გადაცემების წამყვანია და შესაბამისად, უფრო მეტად თავისუფალია გლობალური მედია-შაბლონების გავლენისაგან. იგი ჩვეული გულწრფელობით შეეკამათა კოლეგას. აქვე საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა კონსერვატიული ტრადიციებისაა და ისტორიულად, საუკუნეების განმავლობაში, მის მოქალაქეებს მუდმივად უწევდათ განსხვავებული რწმენის მიმდევართა ღირებულებებისადმი ანგარიშის გაწევა მშვიდობიან გარემოში თანაცხოვრებისათვის. ამ მყიფე წონასწორობის შესანარჩუნებლად ნებისმიერი სახის ექსტრემიზმი დამღუპველია.

აღბათ ამიტომაც, მაგალითად, საქართველოს ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, საზოგადოება, რომელიც უფრო კონსერვატიულია, ფრთხილად ეკიდება ახალს და მტკივნეულად ემშვიდობება ტრადიციულ ღირებულებებს. შესაბამისად, საზოგადოება უფრო მეტად ქსენოფობიურია, ვიდრე ახალგაზრდა, გაბედული მედია, რომელიც ძირითადად დასავლურ გამოცდილებასა და ღირებულებებზე აღიზარდა და ჩამოყალიბდა.

მედიაში რელიგიის თემის გაშუქებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ ღირებულებით განსხვავებებს, რომელიც ტრადიციების მიმდევარ და მორწმუნე ადამიანს აქვს დანარჩენებთან შედარებით და გავითვალისწინოთ ის სულიერი ტკივილი, რასაც მისი რწმენის შეურაცხყოფა აყენებს რელიგიურ ადამიანს. ნებისმიერი მორწმუნისათვის პრიორიტეტი იმქვეყნიური მარადიული ცხოვრებაა. ამ ქვეყნად ყოფნას იგი აღიქვავს, როგორც დროებითს და მოსამზადებელს მარადისობისთვის. ამიტომ თავად ფიზიკური სიცოცხლე მისთვის ისეთი ღირებულება არ არის, როგორც სოციალური სიცოცხლე, რასაც იგი ღირსებას ეძახის. აქ მხოლოდ დროშია განსხვავება, თორემ სწორედ ევროპაში, მათ შორის, საფრანგეთში, ღირსებისათვის დუელებს შეეწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე. მაჰიდს, რომელიც მზად არის თავი აიფეთქოს, მისი აზრით, დაკნინებული ღირსების გამო და არად დაგიდევს საკუთარ სიცოცხლეს, რთულია გააგებინო რა საშინელ დანაშაულს ჩადის. იგი ძნელად თუ მიხვდება, რა ძვირფასია სხვა ადამიანების სიცოცხლე, განსაკუთრებით იმ კულტურისთვის, რომელიც ამ ცხოვრების განმავლობაში

ჭარბ მოხმარებასა და ამქვეყნიურ სიკეთეებზეა ორიენტირებული და რომლისთვისაც ყველაზე დიდი ფასეულობა ამქვეყნიური არსებობის გახანგრძლივება, მისი სიკეთეების და სიამოვნებების მაქსიმალურად შერგებაა და არა იმქვეყნიური სამოთხე. რასაკვირველია, კონკრეტული რადიკალური შემთხვევების განზოგადება არ შეიძლება არც რელიგიებზე, არც რწმენასა და არც კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებზე. მაგალითად, ბრევიკის მიერ ჩადენილი მასობრივი მკვლელობა (ტერორისტული აქტი) ვერაფრით ჩაითვლება მისი ქვეყნის მოქალაქეების დამოკიდებულებად უცხოელი სტუდენტებისადმი, ისევე როგორც ორი კონკრეტული მუსლიმი ფუნდამენტალისტის მიერ რედაქციაში ჩადენილი მასობრივი მკვლელობა ვერ ჩაითვლება ზოგადად ისლამის დამოკიდებულებად და ზოგადად ისლამურ ტერორიზმად სიტყვის თავისუფლებისადმი და მედიისადმი. სწორედ ამიტომ გასაგებია მოპროტესტე მილიონობით ადამიანის ლოზუნგი „ჩვენ ვებრძვიტ ტერორიზმს და არა ისლამს“.

თითოეული განხორციელებული ტერორისტული აქტი და დაუსჯელი მოძალადე ახალისებს იმ ექსტრემალური განწყობების ადამიანებს, ვისაც სურთ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის სახელით, შიშის ზარი დასცენ თავისუფლების ნებისმიერ გამოვლინებას. გთავაზობთ კახეთის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე 2015 წლის 23 ივნისს გამოქვეყნებულ სტატიას სახელწოდებით – “კარიკატურის გამოქვეყნების გამო საქართველოში ჟურნალისტებს სიკვდილით ემუქრებიან”<sup>25</sup>, რომელიც ეხება ინფორმაციას, რომ ექსტრემისტულად განწყობილი ადამიანი საქართველოს მოქალაქე, ეთნიკურად აზერბაიჯანელი დაემუქრა ჟურნალისტებს, მუსლიმური აღმსარებლობის დაცვის საბაბით. აღსანიშნავია ისიც, რომ მუქარა, გამომცემლობის აზრით, სრულიად ეთიკური კარიკატურის გამოქვეყნებას მოჰყვა. კარიკატურაში დახატულია გამონგრეული გალია, რომლის წინაც წიგნებით ხელში დგანან ახალგაზრდა ჟურნალისტები. მუქარის ავტორმა კარიკატურა მეჩეთის დანგრევად აღიქვა და იმის მიზეზად მიიჩნია, რომ ჟურნალისტებს, ალაჰის დაფიცებით, დახოცვით დამუქრებოდა. საქართველოში მუქარა კანონით ისჯება და ეს კანონი უნდა იყოს ქმედითი იმის მიუხედავად, არის თუ არა ქმედებაში ჩართული რელიგიური გრძნობები. ფაქტს მაშინვე გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა

<sup>25</sup><http://ick.ge/articles/22461-i.html>

ასოციაცია” და სამართალდამცველებს კანონის აღსრულებისკენ მოუწოდეს. მუქარის კონკრეტული ფაქტის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია კი ასეთია:

"თუ ამ კარიკატურას არ წაშლით, თუ ამ შეურაცხყოფას გააგრძელებთ, ალაჰს ვფიცავ, რომ თქვენი სისხლი დაიდვრება. ვფიცავ იმ დმერთს, რომლისაც არ გვამს, ჩემი ხელებით წაგაცლი თავს. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სისხლი უფრო ძვირფასია, ვიდრე თქვენი კალმის მეღანი“ – ამ მუქარის ადრესატები საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანულენოვანი საიტის renessans.ge-ს ჟურნალისტები არიან, მუქარის ავტორი საქართველოს მოქალაქე, მარნეულის იმამ ალის სახელობის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე ჯავიდ გურბანოვია. საიტი renessans.ge საქართველოს მოქალაქეებმა, ეთნიკურად აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა 2015 წლის იანვარში შექმნეს. პროექტის მიზანი ეთნიკური აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებული პრობლემების აქტუალიზაცია, სამოქალაქო განათლების და ინტეგრაციის ხელშეწყობაა. ინტერნეტგამოცემის ერთ-ერთი ჟურნალისტის, აიდა ტაგიევის თქმით, ცოტა ხნის წინ, გამოცემამ მხატვრის, გუნდუზ ალაევის მიერ შექმნილი კარიკატურა გამოაქვეყნა, რომელიც „რენესანსის“ ჟურნალისტების საქმიანობის მიზანს ასახავდა. აიდა ტაგიევის თქმით, კარიკატურაზე ასახულია გაღია, რომელიც ახალგაზრდა ჟურნალისტებმა გაარღვიეს და წიგნებით ხელში გარეთ გამოვიდნენ. ტაგიევა ამბობს, რომ „კარიკატურის გამოქვეყნებას საქართველოში მცხოვრები რადიკალური ისლამისტების გაღიზიანება მოჰყვა“. მისივე თქმით, ზოგიერთმა მუსლიმმა კარიკატურაზე მოცემული გაღია მეჩეთად აღიქვა. „ეს არ ყოფილა ჩვენი მასალა ან სარედაქციო ნამუშევარი. ეს იყო ჩვენი მეგობარი მხატვრის მიერ შექმნილი კარიკატურა, რომელიც გამოვაქვეყნეთ. არ გვიფიქრია, რომ კარიკატურაზე მოცემულ გაღიას მეჩეთად აღიქვამდნენ. ვინმეს შეურაცხყოფის მიზანი არ გვქონია და არც ახლა მივიჩნევთ, რომ კარიკატურა ვინმეს შეურაცხყოფს, თუმცა მკითხველებს შორის განსხვავებული მოსაზრებებია“, – ამბობს აიდა ტაგიევა. მისივე თქმით, საქართველოს მოქალაქემ, მარნეულის იმამ ალის სახელობის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარე ჯავიდ გურბანოვმა ჯერ საიტის პუბლიცისტს, ეინარ მახმუდოვს, შემდეგ ჟურნალისტს, აიდან იუსიბოვას, რედაქტორს, ნუგზარ ჯაფაროვს და მას მუქარის შეტყობინებები გაუგზავნა. „ჩვენ მასაც

განუმარტო, რომ ეს იყო გალია და არა მეჩეთი. ჩვენ ჩაკეტილი სივრცის გარღვევას ვცდილობთ. მკითხველმა ეს შეიძლება სხვადასხვანაირად აღიქვას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მისი გამოქვეყნების უფლება არ გვქონდა და სიკვდილით უნდა გვემუქრებოდნენ“ – აღნიშნავს აიდა ტაგიევა. „რენესანსის“ ჟურნალისტებმა ინტერნეტგამოცამა “კახეთის საინფორმაციო ცენტრს” მუქარის დამადასტურებელი ჩანაწერებიც მიაწოდეს: „ვფიცავ იმ ღმერთს, რომლისაც არ გწამს, ჩემი ხელებით წაგაცლი თავს. სიკვდილიც ვიცით და მოკვლაც. პოლიციით ჩემი შეშინება, თევზის წყლით შეშინებას ჰგავს. ეს ჩემი მიმოწერა პოლიციას აჩვენე. იგივე სიტყვებს მაგათაც ვეტყვი. შენი სახელი შავ სიაშია!“ – ემუქრება ჯავიდ გურბანოვი „რენესანსის“ ჟურნალისტ ეინარ მაჰმუდოვს. „შეწვიტეთ რელიგიის შეურაცხყოფა. ჩვენს მოთმინებასაც საზღვრები აქვს. თუ ამ კარიკატურას აზრი აქვს, ახსენით, თუ ვიღაცეების დავალებით ასრულებთ, მაშინ ამაზე უარი თქვით, თუ არადა ეს ძვირად დაგიჯდებათ. ისლამი განათლების წინააღმდეგ არ არის, მაგრამ თუ ამ შეურაცხყოფას არ წაშლით და გააგრძელებთ, ალაჰს ვფიცავ, რომ თქვენი სისხლი დაიდვრება. ეს სიტყვები ყველა შენს თანამშრომელს უთხარი“. – ჯავიდ გურბანოვმა მუქარის შემცველი ეს შეტყობინება გამოცემის კიდევ ერთ ჟურნალისტს, აიდან იუსუბოვას „ფეისბუქში“ გაუგზავნა. მარნეულის იმამ ალის სახელობის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარემ კარიკატურასთან დაკავშირებით განმარტება აიდა ტაგიევასაც მოსთხოვა. ჯავიდ გურბანოვი: „მეჩეთის დანგრევა და შიგნიდან წიგნების გამოსვლა რა აზრს ატარებს? თქვენ კითხვას აქვთ ამით თუ მეჩეთს გმობთ?“ აიდა ტაგიევა: "ბატონო ჯავიდ, ამ საკითხთან დაკავშირებით ერთხელ გაჟღერდა კითხვები და ჩვენ გავეცით პასუხი". ჯავიდ გურბანოვი: "მე არ ვგაგარ იმ 100 კაცს. შენთვის თუ უაზროა, ჩემთვის წმინდა საკითხია. არ მიცნობ. როცა პასუხს გაგებინებ შენს საქციელზე, მაშინ გამიცნობ. ეს არის ჩემი ბოლო შეტყობინება, ან წაშალეთ ის სურათი, ან ვნახათ ვინ ვინ არის. თქვენ ადამიანურ ენაზე არ გესმით. თქვენ სხვაგვარად უნდა გელაპარაკოთ". აიდა ტაგიევა: "ბატონო, კითხვა თუ გქონდათ, მოსულიყავით „რენესანსის“ ღონისძიებაზე და დაგესვათ კითხვები. თქვენ საკუთარ თავზე შესაძლოა დიდი წარმოდგენა გაქვთ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ამ ქვეყანაში მუქარა ისჯება". ჯავიდ გურბანოვი: "თქვენ ცდებით, მე არ გემუქრებით, მაგრამ გარწმუნებთ, რომ განანებთ, გაფრთხილებთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სისხლი უფრო

ძვირფასია, ვიდრე თქვენი კალმის მეღანი. ჩვენს ფასეულობებს საზღვრები არ აქვს. მუქარას სასჯელი აქვს და ფასეულობების შეურაცხყოფას არ აქვს? რით მაშინებ? ჩემი ბოლო გაჩერება სიკვდილია, რისიც თქვენ გეშინიათ. ვნახავთ ვინ რისი გამკეთებელია და სადამდე წვდება. ასე რომ ლაპარაკობ, უფრო ამძაფრებ ჩემს რისხვას და იმას, რასაც გაგიკეთებ“.

„რენესანსის“ ჟურნალისტებმა პოლიციას დახმარებისთვის 17 ივნისს მიმართეს. „ჩვენ გაგვიჩნდა მუქარის განხორციელების შიში. მოვითხოვთ, რომ ეს საქმე გამოიძიონ და ჯავიდ გურბანოვი დასაჯონ“, – ნათქვამია გამოცემის განცხადებაში. ჟურნალისტებს, რომლებსაც მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში გაუჩნდათ, პოლიციიდან ჯერ არავინ დაკავშირებია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, სალომე წერეთლის განცხადებით, საქმეზე მოკვლევა მიმდინარეობს ისანი-სამგორის განყოფილებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოძიებაც კი არ არის ჯერ დაწყებული.

ჩვენ მუქარის ავტორს, ჯავიდ გურბანოვსაც დავუკავშირდით, მაგრამ მან განმარტება არ გააკეთა.

მუქარა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით დასჯადი ქმედებაა. „სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოცსაათამდე დღით, ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“<sup>26</sup>, – წერს ინტერნეტგამოცემა “კახეთის საინფორმაციო ცენტრი”.

ეს ფაქტი მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ დაუშვებელია სიტყვის თავისუფლება შეიზღუდოს რელიგიური გრძნობების სახელით, ვინაიდან ეს შესაძლებელია კვლავ ექსტრემალური განწყობების უფრო მეტად წახალისების მიზეზი გახდეს. რაც შეეხება კარიკატურას, იგი სატირასაც კი არ შეიცავს, სიძულვილიც კი არსად არ არის მინიშნებული და არც ალაჰის და არც მუჰამედის შესახებ რაიმე სახის გამოსახულებას არ წარმოადგენს. გალია კი, მიუხედავად იმისა არის თუ არა მეჩეთი, ღმერთის შეურაცხყოფად

<sup>26</sup><http://ick.ge/rubrics/humanrights/22478-i.html>

ვერ ჩაითვლება. შესაძლებელია მხოლოდ ცოდნის პრიორიტეტის ხაზგასმად ჩაითვალოს და არა რელიგიის ან რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფად.

Charlie habdo-ს თანამშრომლების მიმართ განხორციელებული ტერაქტი და ონლაინ გამოცემა “რენესანსის“ ჟურნალისტების მიმართ მუქარა იმის მაგალითად გამოდგება, რომ რელიგიური გრძნობები, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ საბაბია იმ ექსტრემალურად განწყობილი ადამიანებისთვის, ვინც ამ გრძნობების შებღალვის სახელით ილაშქრებს გამოსატვის თავისუფლების წინააღმდეგ. გამოსავალი კი უსაფრთხოების სამსახურების მიერ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით აქტიური მოქმედებაა და არა რაიმე სახის ახალი რეგულაციების შემოღება.

### 3.6 რელიგიისა და ტრადიციის კომპონენტი კულტურაში.

#### მედიაკულტურის ჩამოყალიბების წინაისტორია

რელიგიებმა და მისმა ინსტიტუტებმა (ეკლესია-მონასტრებმა, მეჩეთებმა, სინაგოგებმა, ბუდისტურმა დაცანებმა და ა.შ.) მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და ცოდნის დაგროვება-გავრცელების ფუნქცია თანდათან დათმო და ეს მისია თავის თავზე აიღო მეცნიერებამ, ხოლო XX-საუკუნის მეორე ნახევრიდან – ელექტრონულმა და ბეჭდურმა მედიამ. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა და გავლენის განაწილება, მათ შორის ისტორიულად, რეგულირდებოდა ეპოქის შესაბამისი დათქმებითა და წესებით. ამ განაწილების საკითხზე სიღრმისეულ კონფლიქტს ზოგჯერ შეიარაღებულ ძალადობამდეც კი მიყავს საზოგადოება. როგორც კი მედიამ იტვირთა ე.წ. „მეოთხე ხელისუფლების“ როლი და მსოფლმხედველობითი პოზიციების შექმნა საკუთარ თავზე აიღო, მას მემკვიდრეობით ერგო ის გამოწვევებიც, რასაც ეკლესია, როგორც სულიერი წინამძღვარი, ატარებდა და რის გამოც შუასაუკუნეებში სარწმუნოებრივი ომები ხორციელდებოდა. იგი მეტისმეტად მიმზიდველი გახდა ძალაუფლების განმახორციელებლებისთვის და, ზოგიერთ შემთხვევაში, მედია პირდაპირ შეიარაღებული დაპირისპირების ბრძოლის ველზე აღმოჩნდა. (მაგ. ქართული ტელეკომპანია „იმედი“ 2007 წელს და ფრანგული გამომცემლობა „Charlie hebdo“ 2015 წელს). ერთ შემთხვევაში

სახელმწიფოს მმართველმა ძალამ, რომელსაც ავტორიტარიზმის ნიშნები ახასიათებდა, იარაღით განახორციელა ზეწოლა მედიაზე და არასათანადოდ დიდი ძალა გამოიყენა ტელეკომპანიის წინააღმდეგ. ამის საბაზად ხელისუფლებამ გამოიყენა ის, რომ „იმედის“ საინფორმაციო პროგრამა "ქრონიკის" გამოშვების პირდაპირ ჩართვაში ჟურნალისტმა, მათი აზრით, წინასწარი განზრახვით გაავრცელა თითქოსდა მცდარი ინფორმაცია, რომ საპროტესტო დემონსტრაციის დასაშლელი ღონისძიების ფარგლებში სპეცდანიშნულების რაზმები დაიძრნენ სამების საკათედრო ტაძრისკენ, რომელსაც თავი შეაფარეს დარბეულმა მომიტინგეებმა. იმდროინდელი ხელისუფლების აზრით, ამ განცხადებით ტელეკომპანიას სურდა გამოეწვია მასობრივი სახალხო მღელვარება. ხოლო მეორე შემთხვევაში, ტერორის განმხორციელებელია ფუნდამენტური ისლამისტური დაჯგუფების ორი წევრი. ორივეგან საქმე გვაქვს ტერორთან. ერთ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ტერორთან, თითქოს სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვის საბაბით, რეალურად კი გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად, მეორე შემთხვევაში – იმავე მიზნით ტერორისტული დაჯგუფება მოქმედებს რელიგიის სახელით. მულტიკულტურულ სამყაროში ის ფაქტიც მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ყველგან ერთი მოდელით არ არის მოწესრიგებული და დღემდე სეკულარიზმი არ არის ყველა სახელმწიფოს მიერ არჩეული მართვის მოდელი.

მაგრამ, რასა და რას შორის არის მედიატორი მედია? პრიმიტიული იქნება განმარტება, რომ მხოლოდ მოვლენასა და საზოგადოებას შორის მედიატორობაზე ვისაუბროთ. მედიას აქვს ფუნქცია გაუხსნას საჯარო სივრცე დაპირისპირებულ პოზიციებს და აქვს ეთიკური ვალდებულება დაიცვას ბალანსი ამ პოზიციების წარმოჩენის პროცესში. მაგრამ, როგორც წესი, ნებისმიერ შემთხვევაში, მედიის სოციალური შუამავლობა ხორციელდება იმის მიხედვით, თუ როგორია პრიორიტეტები ინფორმაციის გადარჩევისა და მიწოდების პროცესში. სწორედ ამ გზით ახორციელებენ გავლენიანი სოციალური ჯგუფები მარეგულირებელ ზეგავლენას თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაზე და ამგვარად ქმნიან თანამედროვე ადამიანის სამყაროს სურათს, მათ მიერ დასახული პრაგმატული მიზნების შესაბამისად. ამგვარად, მედიასაშუალებებით განხორციელებული მედიაცია მიუკერძოებელი შუამავლობის ნაცვლად წარმოადგენს თანამედროვე ინფორმაციულ

საზოგადოებაზე სასურველი გავლენის განხორციელების ხერხს კომუნიკაციური საშუალებების მიზანდასახული გამოყენებით. შესაბამისად, მედიას, როგორც ინფორმაციული ფუნქციის მატარებელს. ყველა სხვაზე უფრო მეტად სდევს ის საფრთხე, რომ იგი სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებმა (პოლიტიკურმა) მანიპულაციის საშუალებად გამოიყენონ და საკუთარი სურვილისამებრ დაამახინჯონ რეალობის სურათი ადამიანის ცნობიერებაში. სწორედ ამ საფრთხისაგან საზოგადოების დაცვას ემსახურება ჟურნალისტური ეთიკის წესები. პირველ რიგში კი ის, რომ საინფორმაციო პროგრამებში ჟურნალისტი მოვლენებს მაქსიმალური სიზუსტით უნდა აწვდიდეს საზოგადოებას და გაშუქებისას უნდა იცავდეს ბალანსს. ასევე მედია არის მედიატორი ისტებლიშმენტებსა და საზოგადოებას შორის. მედიას ახასიათებს საზოგადოების შემეცნებისა და გართობის ფუნქციაც. ამ სეგმენტიდანაც ცდილობენ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები აუდიტორიას საკუთარი მსოფლმხედველობა თავს მოახვიონ. ინფორმაციისაგან განსხვავებით, მსოფლმხედველობრივ პოზიციებს შორის ბალანსის დაცვაზე კონტროლის განხორციელება აქ ბევრად უფრო რთულია.

რა იგულისხმება ამ შემთხვევაში შემეცნებაში, სწორედ ის სფერო ხომ არა, რასაც მანამდე მხოლოდ რელიგია და მისი გავრცელების ინსტიტუტები ემსახურებოდნენ? მათ წიაღში იქმნებოდა სახელოვნებო (არქიტექტორული, ფერწერული, მუსიკალური) შედეგები. სწორედ რელიგია და მისი ინსტიტუტები აძლევდნენ ადამიანებს ცოდნას სამყაროს წარმოშობისა და მისი თვისებების შესახებ, განუმარტავდნენ და უღგენდნენ ყოფით უნარ-ჩვევებს, შეხედულებებსა და ტრადიციებს. მედიამ, როგორც აჯანყებულმა პრომეთემ, ელიტური ცოდნისა და განათლების ცეცხლი მასობრივი გახადა. ტელე-რადიო ელექტრონული მედიის მომხმარებელს ამისათვის წერა-კითხვის საბაზისო ცოდნაც კი არ ესაჭიროება. ნებისმიერი განვითარების ადამიანს ესმის აუდიო-ვიზუალური ნიშნები მისი განვითარების დონის შესაბამისად. აქედან მომდინარეობს რეკლამის, აუდიო-ვიზუალური ხატების ასეთი შეუზღუდავი და მასობრივი გავლენა საზოგადოებაზე.

#### თავი IV

#### 4.1 მედიაკულტურა ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ ეპოქაში

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, განსაკუთრებით კი აუდიოვიზუალური მედია XX საუკუნეში საზოგადოების ცნობიერების, მსოფლმხედველობისა და ღირებულებითი ორიენტირების ფორმირების ეფექტურ ინსტრუმენტად და, ამავე დროს, კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ტრადიციულ წარმოდგენაში, მედიაკულტურა აერთიანებს აუდიოვიზუალური ხელოვნების ყველა სახეს. თანამედროვე ცივილიზაციაში აუდიოვიზუალური ინფორმაციის დომინანტური როლის შესახებ აღნიშნავენ და მედიაკულტურის ფენომენის შესწავლა-კვლევაში სერიოზული წვლილი მიუძღვით ისეთ თეორეტიკოსებს, როგორებიც არიან: როლან ბარტი, ვალტერ ბენიამინი, ორტეგა ი გასეტი, კენეტ სილვერმანი, ჟან ბოდრიარი, მიშელ ფუკო, ჟაკ დერიდა, ჟილ დერლიოზი, პოლ ვირილიო, მარშალ მაკლუენი და სხვები.

მათი აზრით, მედიაკულტურა დინამიკური სახე-ხატების ტრანსლაციასთან დაკავშირებული კულტურის სფეროა, რომელმაც თანამედროვე გამოსახულებისა და ხმის ციფრული და ჩამწერ-გამავრცელებელი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებისა და დახვეწის გამო, გავრცელებისა და მასობრიობის უდიდეს მასშტაბებს მიაღწია.

კულტურის მედიალურ მხარეს სარკაზმით ეკიდება სოციალური ფსიქოლოგიის ცნობილი წარმომადგენელი ერის ფრომი. თავის წიგნში „გაქცევა თავისუფლებიდან“ იგი მაგალითად იღებს სარეკლამო რგოლს და მედიას ადანაშაულებს იმაში, რომ ის „აპელირებს გრძნობებზე და არა გონებაზე“. როგორც ჰიპნოტური შთაგონების შემთხვევაში, მედიაც ცდილობს თავის ობიექტებზე ინტელექტუალური ზემოქმედება მოახდინოს. რეკლამაში არის „ოცნების კოშკები“, ელემენტი, რომლის ხარჯზეც რეკლამას გარკვეული სიამოვნება მოაქვს ადამიანისათვის (სწორედ ისევე, როგორც კინოს), მაგრამ ამავე დროს, აძლიერებს მის განცდას საკუთარი უძლურების

და მცირედი მნიშვნელობის შესახებ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეკლამა ან კინო, ან პროპაგანდა ღიად აღიარებენ ინდივიდის უმნიშვნელობასა და უძღვრებას: სულ პირიქით, ისინი ეპირფერებიან ინდივიდს, ასიამოვნებენ მას და თითქოს მისსავე თვალში მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამენ ხაზს. ისინი ისე ექცევიან ობიექტს, თითქოს მისი კრიტიკული განსჯის იმედი აქვთ და მართლაც სჯერათ, რომ ინდივიდს შეუძლია ნებისმიერ საკითხზე ჰქონდეს საკუთარი თვალსაზრისი. მაგრამ ეს არის მხოლოდ ხერხი, იმისათვის რომ ინდივიდის ეჭვი გააძლიერონ და მიეხმარონ მას მოიტყუოს თავი, თითქოს იგი გადაწყვეტილებებს „დამოუკიდებლად“ იღებს. ამ სუბესტიური (შთაგონების) მეთოდების ზეგავლენის სპეციფიკა სწორედ ისაა, რომ ისინი ქმნიან თავდავიწყების ატმოსფეროს, რომელშიც ადამიანს თან სჯერა და თან არც სჯერა იმისა, რაც ხდება. იგი კარგავს რეალობის განცდას.

#### 4.2 თანამედროვე მედიაკულტურის ჩამოყალიბების ისტორიული წინამძღვრები საქართველოსა და სხვა პოსტაბჭოთა ქვეყნებში

საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდგომ შეიქმნა სპეციფიკური, მედიაშეკვლევარისათვის მეტად საინტერესო, გარკვეული მოსაზრებით, უნიკალური პირობებიც კი იმაზე დასაკვირვებლად, თუ რა გავლენა აქვს საზოგადოების ცნობიერებაზე მედიას, კონკრეტულად კი, მედიაში კულტურის ასევე რელიგიისა და ტრადიციის გააზრებასა და გაშუქებას.

როდესაც კულტურასა და მის განვითარებაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ ვახსენოთ ის ისტორიული გარემო, რომელშიც ეს კულტურა ვითარდება. ისტორიული ეპოქა კი, რომლის კვლევაც არის ჩვენი მიზანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადად კულტურის, კერძოდ კი მედიაკულტურის განვითარების კვლევისათვის და მედიაში რელიგიისა და ტრადიციის სეგმენტის ახლებური გააზრებისათვის, უნიკალურია.

პირველ რიგში, ხსენებული ისტორიული ეპოქის უნიკალურობა გამოიხატება პარადიგმის რადიკალური ცვლილებით, რომელიც შუა საუკუნეების შემდგომ დაიწყო, სამყაროს გეოცენტრული სურათის ჰელიოცენტრული სურათით შეცვლის პროცესით და რომელიც XX

საუკუნეში საბოლოოდ გაფორმდა, როგორც სრულიად ახალი, მატერიალისტური წარმოდგენები სამყაროს შესახებ.

ამ წარმოდგენებმა სამყაროს წარმოშობის შესაქმისეული ვერსია ეჭვქვეშ დააყენა მაშინდელი მსოფლიოსათვის. ამ ყოველივემ დისფუნქციური გახადა ქრისტიანული მსოფლმხედველობრივი და კულტურული შეხედულებები, ღირებულებები და ტრადიცია. ამას გარდა, ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისათვის. ხსენებული ისტორიული ეპოქა გამოირჩეოდა იმითაც, რომ XX საუკუნეში შეიქმნა ფოტოგრაფია, კინემატოგრაფი და ელექტრონული მედია, ანუ რადიო და ტელემაუწყებლობა. თანაც, რაც ასევე საინტერესო მომენტია ჩვენი კვლევისათვის, სწორედ ამავე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა და საუკუნის ბოლოს არსებობა შეწყვიტა დედამიწის ტერიტორიის 1/6 -ზე არსებულმა ათეისტურმა სახელმწიფომ – საბჭოთა კავშირმა, – იმპერიამ, რომელმაც სულ 70 წლის განმავლობაში იარსება და აქედან 50 წელი დანარჩენი მსოფლიოს უმეტესი ნაწილისგან თითქმის სრულ პოლიტიკურ და კულტურულ იზოლაციაში იცხოვრა. შესაბამისად, მასში როგორც დახურულ ექსპერიმენტულ სივრცეში, საინტერესო გარემო იყო მედიის განვითარებაზე დასაკვირვებლად. დედამიწის ამ ნაწილში არსებული სახელმწიფო – იმ პერიოდის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოების კავშირი - სსრკ (და შესაბამისად, მასში შემავალი სახელმწიფოები) ენციკლოპედიებში, ისტორიულ და პოლიტიკურ ლექსიკონებში, დანარჩენი სამყაროსგან „რკინის ფარდით“ გამოჯნულ ქვეყანად არის მოხსენიებული.

და მეორეც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რკინის ფარდით“ იზოლირებულ საბჭოთა სახელმწიფოს რესპუბლიკებში მცხოვრებმა ადამიანებმა, ამ ქვეყნის შექმნის და შემდგომ დაშლის გამო, XX საუკუნის განმავლობაში ორჯერ გადაიტანეს უდიდესი მასშტაბის მენტალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კატაკლიზმი.

პირველი კატაკლიზმი იყო ის კულტურულ-ტრადიციული და ისტორიული განვითარების (მემკვიდრეობითობის) მასშტაბური, ძალადობრივი წყვეტა, რამაც იმპულსი მისცა რუსეთის იმპერიის დაშლის დეზინტეგრაციულ პროცესს. პოლიტიკურ-სოციალური რევოლუციით რუსეთის იმპერიის დამხობის შემდგომ ამ იმპერიაში შემავალმა დაპყრობილმა სახელმწიფოებმა ისარგებლეს ისტორიულ მომენტში შექმნილი სიტუაციით და თავდაპირველად

დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამ ფაქტს, უმეტეს შემთხვევაში (მათ შორის საქართველოს შემთხვევაშიც), მოჰყვა ერთა ლიგის მიერ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ცნობა და ხსენებულ ლიგაში მათი გაერთიანება. მცირე ხნის შემდგომ კი განვითარდა უდიდესი მასშტაბის ასევე ძალადობრივი ინტეგრაციული პროცესი: წითელმა არმიამ, სამხედრო ინტერვენციის ძალით, შეიყვანა ხსენებული სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის სახელით ცნობილ გაერთიანებაში და ამგვარად, XX საუკუნის დასაწყისში ცოტა ხნით დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნები (რუსეთის იმპერიაში რევოლუციამდე შემაგალი ტერიტორიები და ერები), კვლავ აღმოჩნდნენ ერთიან იმპერიაში.

მცირე ხნით თავიდან მოპოვებული დამოუკიდებლობის კვლავ დაკარგვის შემდგომ, ხსენებულ სახელმწიფოებში ინტელექტუალურ ელიტებს დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლო ოცნებად დარჩათ იმ საუკუნეში ერთხელ თავიდან მოპოვებული და შემდგომ კვლავ დაკარგული დამოუკიდებლობა ისევ აღედგინათ. ამ ვითარებაში ერთიანი საბჭოთა სამშობლოს გამაერთიანებელი იდეოლოგიის შექმნა, რომელსაც მიზნად ისახავდა მმართველი კომპარტიის ნომენკლატურა, იოლი არ აღმოჩნდა. ამგვარი იდეოლოგიის შემქმნელები ხომ სწორედ მოკავშირე რესპუბლიკების კულტურული ელიტები უნდა გამხდარიყვნენ. ისინი კი საბჭოთა იდეოლოგიის მიუღებლობისა და სამშობლოს დამოუკიდებლობაზე ოცნების მიზეზით შინაგანად ეწინააღმდეგებოდნენ მათ მიმართ სახელმწიფოსაგან დაკისრებულ ვალდებულებას, გულწრფელად ემსახურათ პროლეტარიატის სოლიდარობისა და ერთობის “დიადი იდეისათვის“. სწორედ ამას მოითხოვდა მათგან ტოტალიტარული რეჟიმი კომუნისტური იდეოლოგიის დასამკვიდრებლად. ამდენად, თუ რუსეთში წინააღმდეგობა მხოლოდ კომუნისტური იდეოლოგიის მიმართ ჰქონდა კულტურულ ელიტას, დანარჩენი რესპუბლიკების ელიტები შინაგანად ეწინააღმდეგებოდნენ რეჟიმსაც და რუსულ ენობრივ სივრცესა და კულტურაში ასიმილაციასაც. ეს იმ დროს, როდესაც რეჟიმს მათი დანიშნულება წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც თანამედროვე საბჭოთა ადამიანის „სულის ინჟინრების“ საქმიანობა. სწორედ „სულის ინჟინრები“ უწოდა ი.ბ. სტალინმა ე.წ. კულტურულ ინტელიგენციას, რომელიც, ამ “ინჟინრობის” ნაცვლად, შეფარულად ცდილობდა საკუთარი რესპუბლიკების ისტორიული ეროვნული იდენტობის დისკურსის ენის შემოტანას. მაგალითად, საბჭოთა პერიოდის ქართველი

პოეტის მურმან ლებანიძის ლექსი “უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ ამგვარი დამოკიდებულების კარგი მაგალითია. ლექსის რეფრენია: “არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია“. ამ სიტყვებში პოეტი ერთადერთ სამშობლოდ, სწორედ თავის სამშობლოს, საქართველოს აღწერს, ხოლო სიტყვებში “არ გამაჩნია” საბჭოთა სამშობლოს უარყოფა იგულისხმება, როგორც „სხვა სამშობლოსი“.

ასეთი შემთხვევა სხვაც ბევრი იყო. უცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე საზოგადოების ადამიანები ახალი ადამიანის შექმნის ექსპერიმენტის მონაწილეებიც ორჯერ აღმოჩნდნენ ერთი საუკუნის განმავლობაში.

შესაბამისად, სოციალური სტრესი და სოციო-კულტურული შოკიც ორჯერ გადაიტანეს. პირველად, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციად წოდებული სისხლიანი გადატრიალების შემდეგ, როდესაც ახალი სახელმწიფოს მიზნად კომუნისტური იდეალების ახალი ადამიანის შექმნა გამოცხადდა, მეორედ 1985 წელს, „პერესტროიკის“ ფინალში, როდესაც მათ თავაღწინ დაიშალა უზარმაზარი სუპერსახელმწიფო ოფიციალურად აღიარებული ათეისტური მსოფლმხედველობით და მის ტერიტორიაზე დამოუკიდებლობადაბრუნებულმა სახელმწიფოებმა ბოლშევიკური მმართველობის წინანდელი საზოგადოებების პერიოდის კულტურულ-ტრადიციული მემკვიდრეობისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მოდელის მემკვიდრეებად გააცნობიერეს თავი, თუმცა თითოეულ ამ სახელმწიფოში მთავლიტის ცენზურიდან საბოლოო გათავისუფლებასა და ახალბური მედიის შექმნამდე კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი. ამ მიზნის მისაღწევად კი დემოკრატიული სამყაროს მშენებლობასა და ევროპულ კულტურასთან დაახლოების პროცესში ჩაერთნენ. სწორედ ამ პერიოდის საქართველოს მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ახალი ადამიანის შექმნა მეორედ, ამჯერად უკვე XXI საუკუნეში 2003 წლის ვარდების რევოლუციით მოსულმა ხელისუფლებამ, კვლავ სახელმწიფო პოლიტიკის მიზნად გამოაცხადა.

საუკუნეთა განმავლობაში ადამიანის სამყაროს შესახებ წარმოდგენების ანუ მსოფლმხედველობის შექმნის მთავარ ინსტრუმენტს – რელიგიასა და მის ინსტიტუტებს კარგად ესმოდათ, რაოდენ ძლიერია მის მსახურთა გავლენა და ამიტომ იერარქიულ კიბეზე ჯერ ბერს, ან მორჩილს, ხოლო შემდგომ მღვდელსა და უმაღლეს პოზიციებზე მყოფ სამღვდლოებას

ხანგრძლივი გზის გაგლა და საკრალური ხელდასმის რიტუალი ესაჭიროებოდა, რათა კარგად გაეცნობიერებინა ის პასუხისმგებლობა, რასაც ადამიანებთან უფლის შუამავლის ფუნქცია აკისრებს. მედიის გაგლენის მასშტაბი და ის შარავანდედი, რაც ხალხის თვალში ეთერში მომუშავე ტელევიზიისა და აუდიო-ვიზუალური მედიის თანამშრომლებს ენიჭებოდათ, კარგად ესმოდა საბჭოურ ცენზურას. თითოეული ადამიანი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ჭანჭიკი იმ დიდი მანქანისა, რომელიც აშენებდა “კომუნისტურ სამოთხეს”, თანაც ისე, რომ კომპარტიის ლიდერების გარდა სხვა ყველა უჩინარი დარჩენილიყო. შესაბამისად, საბჭოური ტელემედია არ გამოირჩეოდა ე.წ. “ვარსკვლავების” ინდუსტრიით, ამიტომ აუდიოვიზუალურ მედიაში, განსაკუთრებით კი ტელევიზიაში მომუშავე ადამიანები გრძელ გზას გადიოდნენ და კეთილსაიმედოობაზე ღამის გამოცდას აბარებდნენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. თავად ტელევიზიასაც სახელმწიფო ტელერადიოკომიტეტი ერქვა. მხოლოდ ხელისუფლებისადმი ღოილობის ნიშნით არჩეულ ადამიანებს ენიჭებოდათ იმის უფლება, რომ პირდაპირ ეთერში გამოჩენილიყვნენ. ეს ეხებოდა არა მხოლოდ თანამშრომლებს, არამედ ეთერში მოწვეულ ნებისმიერ სტუმარს შრომის მოწინავეებიდან ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეთა ჩათვლით. საბჭოთა კავშირის პარტიული ცენზურის პირობებში განსაკუთრებულად კონტროლდებოდა სწორედ მედიის კონტენტი. ცენზურა მუშაობდა არა მხოლოდ უშუალოდ პარტიული პლენუმებისა და სხვა პოლიტიკური დონისძიებების გაშუქების, არამედ ხელოვნებისა და კულტურის, განსაკუთრებით კი აუდიოვიზუალური მედიისა და ლიტერატურის მიმართულებით. შეიქმნა კიდევ ამ კულტურის სრულიად განსხვავებული მიმდინარეობა – “სოცრეალიზმი”. ამგვარი კონტენტი სრულიად ამახინჯებდა მედიის, როგორც მედიატორის არსსა და პარტიული პოლიტიკური ინტერესის განმახორციელებელ ინსტრუმენტად განიხილავდა მას. საბჭოთა კავშირში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ჩამოყალიბება სრულიად ლოგიკური იყო, რადგან საბჭოთა მთავრობას სჭირდებოდა მხოლოდ ბედნიერ და უზრუნველ მომავალზე ორიენტირებული ხელოვნება, რომელშიც რეალობის ანალიზს წარმატებით ჩაანაცვლებდა კომუნიზმისა და პარტიის რწმენა, რომელშიც არ იქნებოდა ავანგარდიზმის ადგილი, ხოლო რეალისტური ხელოვნება დაემორჩილებოდა სოცრეალისტურ კანონს. სოცრეალიზმი იყო მეთოდი, რომელიც აბსოლუტურად ჰარმონიულად

უპასუხებდა საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნებს და გაატარებდა საბჭოთა პოლიტიკას კულტურის სფეროში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, როგორც საბჭოური პერიოდის მედიის პოლიტიკურ იარაღად ქცევის ისტორიამაც გვაჩვენა, კონტენტს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მედიის შესწავლისას, ისევე როგორც თავად ამ გამორჩეული ფენომენის შესწავლას. ასე რომ, მედიის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარის, კანადელი მარშალ მაკლუენის მოსაზრების მიუხედავად, რომ მედია არის თავისთავად საინტერესო შესასწავლი, როგორც მედიუმი და ასევე, როგორც თავად მესიჯი, უდავოდ საინტერესოა, მაგრამ კონტენტის უყურადღებოდ დატოვება ნამდვილად არ შეიძლება. მართალია, მარშალ მაკლუენმა (1911-1980) დიდი ხნით ადრე, ვიდრე ინტერნეტი შეიქმნებოდა (1990 წ.), იწინასწარმეტყველა “ადამიანის გარე გაფართოება” (გავრცობა) და სამყარო, როგორც ერთიანი, ინფორმაციული გლობალური სოფელი, რამაც მოიტანა ის, რომ საინტერესოა თავად მედია, როგორც ფენომენი და არა მისი კონტენტი, რომელიც ინტერნეტში სრულიად ინდივიდუალურია, მაგრამ ვიდრე არსებობს სამაუწყებლო აუდიო-ვიზუალური მედია, რომლის უკან მხოლოდ გარკვეული ინტერესის გატარების მიზნით დახარჯული ფული, ან კონკრეტული ფულიანი ადამიანების ინტერესი დგას, მისი კონტენტიც და მისი შემოქმედი კონტიგენტიც მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, საჭიროა თუნდაც, გარკვეული ასაკობრივი ცენზის დაწესება (ხელდასმის მაგივრად) იმ ადამიანებისათვის, ვინც მსოფლმხედველობას ავრცელებს და კონკრეტულ ღირებულებებს ამკვიდრებს; ალბათ მაინც საჭიროა, რათა ამ ფუნქციის ადამიანები ასაკობრივად მზად იყვნენ იმ პასუხისმგებლობისთვის, რასაც მათ მასკომუნიკაციის საშუალებებში მუშაობა აკისრებთ ანუ ბრმა იარაღად არ იქცნენ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის ხელში. ბევრ დასავლურ ტელევიზიაში მიღებულია გამოცდილი – 30 წელს მიტანებული და უფროსი ასაკის წამყვანების მუშაობა ეთერში და არა მხოლოდ დაწერილი ტექსტის სხაპასუხით წამკითხავენის.

XX საუკუნის პირველი ქართული ექსპერიმენტული ტელევიზია, რომელმაც რუსული პროექტის “Взгляд”-ის მსგავსად დაარღვია მიღებული წესი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ასევე კულტურული გადაცემების წამყვანებად 17-18 წლის ახალგაზრდები დასვა, იყო “იბერვიზია”, რომლის მაშინდელი წამყვანი გიორგი თარგამაძე, მოგვიანებით, დაახლოებით ათ

წელიწადში, ჯერ აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელი, შემდეგ საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გახდა, მოგვიანებით კი ტელეკომპანია “იმედის” საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების მთავარ პროდიუსერად დაინიშნა და ამავე დროს კვირის შემაჯამებელი გადაცემის ავტორი და წამყვანი იყო. მისი მაღალრეიტინგული ტელეჟურნალი “დროება” ხშირად უთმობდა ეთერს სხვადასხვა ოკულტურ თემებზე მსჯელობას; სრული სერიოზულობით გვიამბობდა ჯადოებსა და მკითხავეებზე, რასაც რამდენიმე კრიტიკული წერილი მიუძღვნა ჟურნალისტმა ქეთევან სადღობელაშვილმა ჟურნალ "ლიბერალში". გიორგი თარგამაძე ამ ორივე წამყვან პოზიციაზე ერთდროულად დაინიშნა, ხოლო ტელეკომპანია "იმედის" დახურვის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნებში იყარა კენჭი და მიუხედავად პოლიტიკური გამოუცდელობისა, მისმა “ჟურნალისტების პარტიამ” პირველივე ჯერზე გადალახა სადეპუტატო მანდატისათვის საჭირო ბარიერი.

იმისათვის, რომ პროგრესული სამყაროს მიერ ახალი ქვეყნების მედიისთვის გაწეული დახმარების პროცესში ყურადღების ფოკუსირება არ მოხდეს მხოლოდ საინფორმაციო გადაცემებზე, აუცილებელია ტელე-რადიო სამაუწყებლო მედიის ყურადღება ასევე მნიშვნელოვნად დაეთმოს შემეცნებით სემინტსაც, რომელსაც უპირატესად საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს, იმისათვის, რომ მესამე ქვეყნების ადამიანებმა, ტექნოლოგიებთან ერთად, ბუნებრივ ტემპში მიიღონ ცოდნა სამყაროს ახალი სურათისა და ახლებური მსოფლხედველობის შესახებ და გაიზიარონ ეს ცოდნა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მსოფლმხედველობრივი და განათლების დონეებს შორის განსხვავების უფსკრული რადიკალურმა ძალებმა არ გამოიყენონ კონფლიქტების გაღვივებისათვის, – მარშალ მაკლუენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის გარეგან გაფართოებას და ამ გაფართოების არეალის მედიის დღევანდელ გლობალურ სოფლამდე გაზრდასაც სჭირდება გარკვეული დრო.

მეორე მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში მსოფლიოში ფეხი აიდგა ტექნოლოგიურად ახალმა ელექტრონულმა მედიამ – ქსელურმა რადიომ და ტელევიზიამ. საბჭოთა კავშირშიც ეს ტექნოლოგიური სიახლე მაშინვე ამუშავდა. თუმცა, აქ მისი დანიშნულება იმთავითვე განსხვავდებოდა დასავლეთისგან, სადაც მედიას ძირითადად გართობის ფუნქცია ჰქონდა და ამიტომ პაბებში სპორტული შეჯიბრებისა და მატჩების ტრანსლაციით

იწყებოდა, რასაც მეპატრონისათვის კომერციული მოგება მოჰქონდა. კომერციული რეკლამა კი, რომელიც ამ ეთერებში გადიოდა, მწარმოებელს პროდუქტის უკეთ გაყიდვაში ეხმარებოდა. საბჭოური ტელერადიო მაუწყებლობის, ისევე როგორც საერთოდ საბჭოური მასკულტურის დანიშნულება მხოლოდ ბოლშევიკური მსოფლმხედველობის პოპულარიზაცია და აუდიტორიისთვის თავზე მოხვევა იყო. ეკონომიკური კონკურენციის არარსებობის პირობებში მას არავითარი კომერციული დანიშნულება არ გააჩნდა და მხოლოდ პოლიტიკური პროპაგანდის განხორციელებას ემსახურებოდა. იმავე პერიოდში მკვეთრად პროპაგანდისტული დანიშნულება ჰქონდა რადიომაუწყებლობას საბჭოთა კავშირის მთავარი მტრისათვის, ასევე ტოტალიტარული ფაშისტური გერმანიისათვის, რომელსაც ერთპიროვნულად მართავდა ნაციონალ-სოციალისტური პარტია ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით. სწორედ ფიურერის ექსცენტრიულ-პროპაგანდისტულ გამოსვლებს ეთმობოდა გერმანული რადიოეთერის ძირითადი დრო. ფაშისტური გერმანია, რომელმაც ევროპაში ომი წამოიწყო, დასავლურმა სამყარომ საკუთარი მშვიდობიანი განვითარებისათვის უფრო საშიშ მტრად მიიჩნია, ვიდრე კომუნისტური საბჭოთა კავშირი და ფაშიზმთან ომში საბჭოთა კავშირის მოკავშირე გახდა. სამი დიდი ქვეყნის – დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ლიდერების იალტის შეხვედრის ამსახველი ისტორიული ფოტო, სადაც იოსებ სტალინი, ფრანკლინ დელანო რუზველტი და უინსტონ ჩერჩილი ერთად არიან გამოსახული, აქტიურად ტირაჟირდებოდა დასავლურ ბეჭდურ მედიაში. ცხადია, ეს ფოტო აქტიურად იყო გამოყენებული საბჭოური პროპაგანდისათვის, რომელმაც წარმატებით იმუშავა საბჭოთა კავშირში. ზემოთ ჩამოთვლილმა მოვლენებმა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ფაშისტურ გერმანიაზე მოკავშირეებთან ერთად მოპოვებულმა გამარჯვებამ, შემდგომ კი აღმოსავლეთ ევროპის გარკვეული ნაწილის სოციალისტურ ბანაკში შემოერთებამ, დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრაციის სურათი დახატა და გარკვეული ვადით ქვეყნის შიგნითაც ნებაყოფლობითი ერთობის ილუზიაც კი გააჩინა. ამ ილუზიის გამო აღნიშნულ პერიოდში სსრკ 15 რესპუბლიკიდან ღია წინააღმდეგობას რუსული კულტურული ექსპანსიის მიმართ მასობრივად გაცხადებულად მხოლოდ ბალტიის სამი ქვეყანა – ლიტვა, ლატვია და ესტონეთი გამოხატავდა. ამ ქვეყნების მოსახლეობის

უმეტესობა ცდილობდა არ ელაპარაკა რუსულ ენაზე და ასე გამოეხატა აშკარა პროტესტი საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. ისინი თავს მუდამ ევროპის ნაწილად მიიჩნევდნენ, ასევე აღიქვამდნენ მათ დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკებიც. ეს გასაგები იყო ისტორიული კონტექსტითაც, ვინაიდან ბალტიის ქვეყნები მსოფლიო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოსწყდნენ ევროპას და აღმოჩნდნენ საბჭოთა კავშირში. ამ მიზეზით, სხვებისგან განსხვავებით, მათი ისტორიული მეხსიერება ევროპასთან კულტურული კავშირის შესახებ უფრო ცოცხალი იყო. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ მათი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლიდან სულ მალე, 1956 წელს კომპარტიის XX ყრილობაზე გამოცხადდა ე.წ. „პიროვნების კულტის დაგმობის“ პოლიტიკა, როგორც “მმართველი კომუნისტური პარტიის ახალი კურსი“. ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდის დროინდელმა ე.წ. “ოტტეპელმა“, ცენზურის წნეხის გაქრობის იმედი გააჩინა. წნეხი არ გამქრალა, თუმცა ამ პერიოდში საბჭოთა ისტებლიშმენტმა ხელოვანთა ცხოვრების პირობები შედარებით შეამსუბუქა. ხსენებულმა პროცესებმა შედარებით შეამცირა ცენზურის გავლენა კულტურაზე, რამაც გაამრავალფეროვნა იგი, ხოლო საბჭოთა კავშირს რამდენიმე ათეული წლით გაუხანგრძლივა სიცოცხლე. ამ ყოველივემ, გარკვეული ხნით, თითქოს მსოფლმხედველობრივადაც გააერთიანა ძალადობრივ სუპერსახელმწიფოში შემავალი, განსხვავებული რელიგიის, კულტურისა და ისტორიის ქვეყნები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური წნეხის შესუსტების პროცესი არ იყო მყისიერი. მაგალითად, საქართველოში, იოსებ სტალინისადმი ეთნიკური სოლიდარობით გამოწვეული მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია სასტიკად დაიხვრიტა 1956 წლის 9 მარტს. ამას მოჰყვა მხატვრების დარბევა მოსკოვში ანუ ე.წ. “ბულდოზერული გამოფენა”(Бульдозерная Выставка). „ოტტეპელის“ მიერ მოტანილი ილუზიები დაიმსხვრა. ამ დემონსტრაციის მასობრივი დახვრეტა და მხატვრების გამოფენის სასტიკად დარბევა არ უხსენებია ახლადფეხადგმულ საბჭოთა და არც ქართულ საბჭოთა მედიას. ამ პერიოდის საბჭოთა კავშირში ერთადერთი განსხვავებული აზრი მსოფლიო მცირერიცხოვანი დისიდენტური მოძრაობის პოზიციად დარჩა და, პირველ ეტაპზე, საზოგადოების დიდი ნაწილის მსოფლმხედველობაზე მისი გავლენა ძალზე სუსტი იყო. შემდგომში კი თანდათან მოძლიერდა და ზემოდან

დაწყებულ რეფორმებს ხალხიდან წამოსული უკმაყოფილების დიდი ტალღა აჰყვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ყოველივემ ერთად, სსრკ-ს ძალადობრივ გაერთიანებას ბოლო მოუღო 1991 წელს. სსრკ-ს შექმნას, ტერორი და საზოგადოების უდიდესი (მოაზროვნე) ნაწილის ფიზიკური განადგურება მოჰყვა, რადგან მაშინ ამ ქმედების მიზანი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის წაშლა (შეიძლება ითქვას, ე.წ. “კულტურული რევოლუცია”) იყო. დაშლის პროცესსაც, ისევე როგორც ზემოთაღწერილ შექმნის პროცესს, კვლავ მსხვერპლი მოჰყვა: გაჩაღდა მრავლობითი ლოკალური სამხედრო კონფლიქტი, რამაც კვლავ მრავალი ადამიანური ტრაგედია გამოიწვია. სისხლიანი სამხედრო დაპირისპირებების გადატანის შემდგომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, უკვე პოსტსაბჭოთა მცირე სახელმწიფოების სახით, ცდილობდნენ დროებით დაკარგული სუვერენული ქვეყნის ტრადიციულ-კულტურულ და ისტორიულ ფესვებს დაბრუნებოდნენ, აღედგინათ თითქმის წაშლილი ისტორიული მემკვიდრეობა, განესაზღვრათ საკუთარი იდენტობა, როგორც დამოუკიდებლობა აღდგენილ ახალი ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოებს და არსებობა განეგრძოთ, როგორც დანარჩენი სამყაროს ნაწილს, გაეროს წევრი სუვერენული, დემოკრატიული ქვეყნების სახით. ამ პროცესებს საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთის მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობა და რევანშის სულისკვეთებაც ახლდა, რაც XXI საუკუნეშიც გაგრძელდა.

უმეტეს პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ჩატრებული სახალხო რეფერენდუმების მეშვეობით გაცხადდა მათი მოქალაქეების მისწრაფება ჰქონოდათ კულტურულ-ტრადიციული და ისტორიული განვითარების საკუთარი არჩევანი, დამოუკიდებლად განესაზღვრათ თავისი ადგილი მსოფლიოს ახალ გეოპოლიტიკურ რუკაზე, შეენარჩუნებინათ თვითმყოფადობაც და თანაც ჩართულიყვნენ ახალი გლობალური სამყაროს კულტურულ და ისტორიულ განვითარებაში. ეს ძალზე რთული და, ხშირ შემთხვევაში, ადამიანურ ტრაგედიებთან დაკავშირებული პროცესები, რასაკვირველია, მედიაკულტურის განვითარებაზეც ტოვებდა უნიკალურ კვალს, რის გამოც ასევე საინტერესოა კულტურის და მედიის განვითარების სოციალურ-კულტურული ასპექტების კვლევისათვის.

სიტუაციის უნიკალურობის მესამე ნიშანი კი არის ის, რომ ამ ტერიტორიაზე ასევე ორჯერ განხორციელდა ახალი ადამიანის შექმნის სოციალური ექსპერიმენტი, რომელმაც ვერც ერთხელ ვერ მოიტანა შედეგი. მაგრამ, რასაკვირველია, კვალი დაატყო ზოგადად კულტურის და, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში, მედიაკულტურისა და კინოკულტურის განვითარებას.

### 4.3 კულტურა, რელიგია და მედია პოლიტიკური წნეხის ქვეშ

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის პრობლემა დღესაც მეტად აქტუალურია. განსაკუთრებული სიმწვავეით დგას საკითხი სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შესახებ. რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ერთ-ერთი პირველი დეკრეტი, რომელიც 1918 წლის 23 იანვარს ვ.ი. ლენინმა გამოსცა იყო „სინდისის თავისუფლების შესახებ“, რომელიც რელიგიური ორგანიზაციების უფლებებსა და მათ სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვრავდა. ამ დეკრეტით უფლებრივად გათანაბრებული გახდა ყველა რელიგიური, საეკლესიო ორგანიზაცია. 1921 წლის 15 აპრილს, ამ დეკრეტის შესაბამისად, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმაც გამოსცა ანალოგიური დეკრეტი „სინდისის თავისუფლების შესახებ“. მოქალაქეს უფლება მიეცა ელიარებინა ნებისმიერი რელიგია ან გამხდარიყო ათეისტი. დეკრეტით, აკრძალული იყო რელიგიურ საზოგადოებათა წევრების მიმართ ძალდატანებითი ზემოქმედება. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 31-ე მუხლში ნათქვამია: „ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს“<sup>27</sup>.

ბოლშევიკური სახელმწიფოს ხელისუფლებას XX საუკუნის პირველ ნახევარში კარგად ესმოდა, თუ რა ძალა აქვს რელიგიის გავლენას ყოფითი ტრადიციების ფორმირებაზე და რელიგიურ ინსტიტუტებს ადამიანის

<sup>27</sup>[http://constcourt.ge/files/const\\_1921.pdf](http://constcourt.ge/files/const_1921.pdf) გვ41

მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში. ამიტომ კანონით დეკლარირებული აღმსარებლობის თავისუფლად არჩევის უფლების მიუხედავად, 1917 წლის რევოლუციის პირველივე წლებში გამოცხადდა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. მთელ საბჭოთა კავშირში (მათ შორის საქართველოშიც) ბოლშევიკი-აქტივისტები ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, გუმბათებიდან და სამრეკლოებიდან ხსნიდნენ ჯვრებსა და ზარებს. ამ პერიოდის ბოლშევიკების ათეისტურ ქმედებასთან დაკავშირებით გავრცელებული ერთი მითი ქართული ანეკდოტური ფოლკლორიდან ძალიან კარგად ასახავს ამ ბრძოლის არსს: ერთმა ბოლშევიკმა აქტივისტმა, საქართველოს ერთ-ერთ მხარეში – გურიაში, სამრეკლოდან ზარი ჩამოაგდო და ამ ვანდალური აქტის შემსწრე შეშფოთებულ კლესიის მსახურს მედიდურად მიმართა: –სადაა ახლა შენი ღმერთი, რატომ არ მსჯისო?! – ამაზე მეტი რაღა უნდა დაგსაჯოს, გაუგიუებიახო, – მიუგო ათეისტ მოძალადეს გურულმა მორწმუნემ.

პრიმიტიული იქნება დღევანდელ სამყაროში სხვათა რწმენის შეურაცხყოფის აქტების შინაარსიც ამ განმარტებაში რომ ვეძებოთ. სად არის თქვენი ალაჰი? რატომ არ გესჯის, როცა მას შეურაცხყოფთ? – ჩემი აზრით, ეს მოტივი ნამდვილად არ არის იმ შემოქმედების მიზანი, ვინც მისდა უნებურად შეურაცხყოფას აყენებს რელიგიურ ადამიანებს. სინამდვილეში წინააღმდეგობას აჩენს ახალი თავისუფალი სამყაროს გამოხატვის თავისუფლების პრიორიტეტი და ასევე მედიაკორპორაციების გამუდმებული ორიენტირება მატერიალურ მოგებაზე. Charlie hebdo-ს კერძო შემთხვევაში ტირაჟის გაზრდა არის მიზანი და არა ალაჰის შეურაცხყოფა, როგორც ეს ჰქონდათ მიზნად ბოლშევიკებს და როგორც ამის საკუთარი აგრესიული მოქმედებების გასამართლებლად წარმოჩენა სურთ მუსლიმ ფუნდამენტალისტებს. იგივე გამოცემა ასევე სარკასტულად აშარჟებს რომის პაპს და თავისუფალი სამყაროს სხვა სიწმინდეებსაც.

თუმცა აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ როდესაც ბოლშევიკები ტრადიციულ სიწმინდეებს აყენებდნენ ზიანს და შეურაცხყოფას, მიზნად ჰქონდათ, მორწმუნეებს შორის რელიგიური ღირებულებებისა და საიდუმლოს საკრალურობაზე თუ უფლის ყოვლისშემძლეობაში ეჭვი შეეტანა, ტრადიციული რწმენებისაგან დაცლილი საზოგადოება ახალი კერპების თაყვანისცემისათვის მოემზადებინათ, რათა ტრადიციული რელიგიური

გრძნობების გაქრობის შემდგომ თაყვანისცემის ახალი ობიექტებით ჩაენაცვლებინათ. ამიტომ მკაცრად ისჯებოდა ყველა, ვინც ამ იდეალების თაყვანისცემას ეჭვკვეშ დააყენებდა. ევროპულ კულტურასთან მიახლოებული აზროვნების კვალის აღმოჩენისთანავე, ხელოვანი დეკადენსის იდეების გამავრცელებლად ითვლებოდა და იდეენებოდა კულტურული სივრციდან ან უბრალოდ ფიზიკურად ნადგურდებოდა. იმ პერიოდის ყველა ხელოვანი თავის შემოქმედებაში იძულებული იყო ხარკი გადაეხადა იდეოლოგიის ქურუმი ცენზორებისათვის, რომ გადარჩენილიყო, როგორც შემოქმედი და ელემენტარულად, ცოცხალი დარჩენილიყო. ამიტომ იმ დროის მედიაკულტურის შესახებ საუბრისას აუცილებელია კონკრეტული ისტორიული პერიოდის უმძიმესი ფიზიკური და ფსიქოლოგიური წნეხის გათვალისწინება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იმ პერიოდში არ იქმნებოდა კულტურის ნამდვილი შედეგები. დღევანდელ სამყაროში ცენზორი, ისეთი როგორიც იყო ტოტალიტალურ საბჭოეთში, აღარ არსებობს, აღარ არსებობს ასეთი თანამდებობა და საშტატო ერთეული არც გაზეთის რედაქციაში, არც ტელე-რადიო მედიაში, არც კინოწარმოებაში, სამაგიეროდ არსებობს მთავარი მოძალადე – რეიტინგი, რომელიც განაპირობებს კომერციულ წარმატებას ნებისმიერ ფასად, რისი აუცილებელი პირობაცაა სენსაციას დახარბებული აუდიტორიის ინტერესი, რამაც უახლეს მასმედიაში სიყვითლისა და იაფფასიანი გართობის მოძალაბა გამოიწვია და სრულიად მიჩქმალა შემეცნების კომპონენტი, ახალი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ახლადფეხადგმულ მედიასაშუალებებში. ასეთი სურათია საქართველოშიც. ეს სურათი კარგად ჩანს „სიყვითლის“ ელემენტების შემოტანაში საინფორმაციო და შემეცნებით ნაწილშიც კი, რომლის მიმართ მთავარი მოთხოვნა ამ დრომდე მაქსიმალური სიზუსტე იყო, თანდათან დასაშვები გახდა მხატვრული გაზვიადება და შოუს ელემენტები. ამგვარი ტენდენცია თანამედროვე მედიას მთელ მსოფლიოში შეეჭყო. სწორედ ტირაჟის გაზრდის მისწრაფების გამო ცეცხლს ეთამაშებოდნენ ფრანგი კარიკატურისტები და ხომ არ ემსგავსება ეს, ტირაჟისათვის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა ფუნდამენტალისტი რელიგიური თავგანწირული მოწამეების არჩევანს? არის კი თავისუფალ სამყაროში ფანატიზმის ადგილი? თუ არა, მაშინ სად მთავრდება გამოსატვის თავისუფლება და სად იწყება გამოსატვის თავისუფლების ფანატიზმამდე მისული რწმენა? ხომ არ იქცევა რელიგიური ტიპის ბრძოლად

მსხვერპლშეწირული ფანატიკოსების ქმედებები მორწმუნე საზოგადოების სულიერი წონასწორობის დასარღვევად? ახალი ძალადობის აქტები კვლავ ხდება აუდიტორიისთვის საინტერესო, იზიდავს მას, რისი მაგალითიცაა Charlie Hebdo-ს 250 000-იანი ტირაჟის ტერორისტული აქტის შემდგომ დღეებში მილიონამდე გაზრდა. მიზანი მიღწეულია, მაგრამ რის ფასად და რა საბოლოო შედეგით? თუ, იქნებ, სწორედ ეს სამკედრო-სასიცოცხლო წინააღმდეგობაა ის საწვავი, რომელიც ადვილებს სეირსმოწყურებული აუდიტორიის ინტერესს და ასე აცოცხლებს თანამედროვე მედიას დღევანდელ კონკურენტულ გარემოში. როგორია დემოკრატიული სამყაროს ახალი რწმენის, გამოხატვის თავისუფლების უზენაესობისა და მისთვის შეწირული ახალი წმინდანების ქმედების შინაარსი კონკურენტულ ბრძოლაში – ტრადიციულ რელიგიებსა და გამოხატვის თავისუფლების ფანატიკურ რწმენამდე აყვანილ მსახურებას შორის. კონკურენციის არსი იქნებ, სწორედ ეს არის – მედიის ხვედრი გამუდმებით ცეცხლის ხაზზე ყოფნისა.

ჩინური კულტურული რევოლუცია, რომელიც ტრადიციული კულტურის სრული ამოძირკვისა და გაქრობის მცდელობა იყო, ვერაფერს გახდა. თანამედროვე ჩინეთს კვლავ ერთპარტიულად მართავს კომუნისტური პარტია, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს ქვეყანა აქტიურად ჩაერთო თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებში და ტურისტული ბიზნესის განვითარებისა და მატერიალური სიკეთეების მოსაზიდად დიდი წარმატებით იყენებს ჩინურ კედელს, რომელსაც კულტურული რევოლუციის პროცესში ალბათ, მისი მასშტაბურობის გამო, ბოლო არ მოუღო. დღევანდელ ჩინეთში სწორედ ეს კედელია ჩინური ტურიზმის სიმბოლო, რომელსაც მომხმარებელს მედია რეკლამის სახით სთავაზობს. ტრადიციების თანამედროვე განვითარებასთან შერწყმის შესანიშნავი მაგალითია იაპონია, რომელშიც სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებისთვის ტრადიციულ კულტურაზე უარის თქმა სულაც არ გამხდარა საჭირო.

დღევანდელი, მატერიალურ მოგებაზე ორიენტირებული სამყაროს პირობითად ახალი, „თავისუფლების რელიგიის“ განმარტება და არსი ასე შეიძლება გამოიყურებოდეს: არ არს ღმერთი, გარდა სარგებლის მიღების თავისუფლებისა და მედია არის მისი მოციქული, გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლება კი მისი წმინდა წერილია.

მედიაკულტურის გენეზისი, მისი სოციალური ფუნქცია, როგორც სრულიად ახალი სააზროვნო და სოციალურ-ფსიქოლოგიური კონსტრუქციების, ახალი ნიშნებისა და განსხვავებული კოდების სამყარო, აგრეთვე ვირტუალური მითებისა და ახალი სოციოკულტურული სივრცის შემოქმედი, განსაკუთრებულად სპეციფიკური და საინტერესო შესასწავლია იმგვარ გარემოში, შემთხვევაში, რომელიც ზემოთაა აღწერილი და იდეოლოგიური ნიშნით მთელი დანარჩენი მსოფლიოსაგან ანტაგონისტური და გარკვეული პერიოდის განმავლობაში „რკინის ფარდით“ გამიჯნული იყო. როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, ბოლშევიკების მიზანი – სრულად ჩაეკეტათ ქვეყანა გარე გავლენისაგან – განუხორციელებელი აღმოჩნდა. სოციალურ-პოლიტიკური სივრცე მაინც არ იყო სრულიად გამიჯნული დანარჩენი სამყაროს გლობალური კულტურული ტენდენციებისაგან. ისინი ძნელად, მაგრამ მაინც აღწევდა და გარკვეულ კვალსაც ტოვებდა საბჭოურ კულტურაზე. ასე შეიქმნა ალტერნატიული საბჭოთა კულტურა ანუ საბჭოთა ავანგარდი. ავანგარდმა, როგორც ახალმა გზამ კულტურაში, მოიცვა ყველა სახელოვნებო სფერო XX საუკუნის ევროპულ კულტურაში.

პოეტი არტურ რემბო ტრადიციულ კულტურაზე უარის თქმის აუცილებლობას ერთ ფრაზაში განმარტავს: «Il faut être absolument moderne»<sup>28</sup> (უნდა იყო აუცილებლად თანამედროვე).

ავანგარდის ქართული შესატყვისია წინა ხაზი. უკვე ამ განმარტებიდანაც ცხადია, რომ ის ბრძოლის პათოსს შეიცავს. XVIII-XX საუკუნეები მთელ მსოფლიოში გამოირჩეოდა ევოლუციური განვითარებიდან რევოლუციური განვითარების ნახტომისებურად გადასვლის ეტაპებით, როგორც მეცნიერებასა და საზოგადოების ცხოვრებაში, ასევე ხელოვნებაში. თავად ტერმინი ავანგარდიც ხომ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომდროინდელია და ნიშნავს ძველ არქეტიპებზე, ტრადიციით გამყარებულ კულტურულ-კონსერვატიულ მიდგომებზე უარის თქმას.

საფრანგეთიდან ავანგარდის იდეებმა საქართველოშიც შემოაღწია. ფრანგულ კულტურას ნაზიარები დავით კაკაბაძისა და მისი თანამედროვე არტისტების, პოეტებისა და ლიტერატორების სახით. ტოტალიტარულ სახელმწიფოში, რომელშიც ერთადერთი ხელოვნება ე.წ. „სოციალისტური

<sup>28</sup><http://www.mag4.net/Rimbaud/poesies/Adieu.html> "Une Saison en Enfer"

რეალიზმი“ ბატონობდა, ყოველივე მისგან განსხვავებული სასტიკად იდევნებოდა და სასიკვდილო საფრთხესაც შეიცავდა. დავით კაკაბაძემ სოციალისტური პარადის ამსახველ ტილოში შექმლო ავანგარდისტული სიმბოლოებისა და კოდების ჩადება. ცენზურა რომ გაეელო, კაკაბაძემ იმერეთის „ხალიჩისებრ“ პეიზაჟებში ჯერ ელექტროსადგურის გამოსახულება ჩართო, როცა ესეც არ მოუწონეს – სოციალიზმის მშენებლები არ ჩანანო, მან ერთ-ერთ სურათში, იმერეთის მთის ქვეშ, დემონსტრანტები წარმოადგინა ტრანსპარანტებით ხელში. („მიტინგი იმერეთში“, 1942 წ.). ლენინის, სტალინის და ბერიას პორტრეტები იყო გამოსახული ტრანსპარანტებზე, რომელიც დემონსტრანტებს ხელში თავს ზემოთ ეჭირათ. ტრანსპარანტები ბელადების პორტრეტებით ტილოზე ადამიანებზე გაცილებით დიდია, მაგრამ ამ ყოველივეს თავზე ადგას მოდერნისტულ მანერაში შესრულებული მთა, როგორც მარადიულობის სიმბოლო, მის ძირში კი წარმავალი ადამიანები და ბელადები მოჩანს. ეს წარმავალობა ისტორიამაც დაადასტურა და, როგორც მას სჩვევია, საკმაოდ ირონიულადაც – სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ხრუშჩოვმა ბრძოლა გამოაცხადა „პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ, მუზეუმის საცავში, კაკაბაძის ტილოზე, ბერიასა და სტალინის პორტრეტები საღებავებით გადაფერეს.

ამ ტენდენციების უკეთ აღსაწერად მნიშვნელოვანია ევროპული კულტურული ტრადიციისა და ახალი მიმდინარეობის ასახვა ჩვენი კვლევის შესაბამის ისტორიულ პერიოდში, ანუ იმის გააზრება, თუ რას ნიშნავდა მოდერნისა და პოსტმოდერნის ეპოქისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ტენდენციები, როგორცაა მასკულტურისა და ალტერნატიული კულტურის გამიჯვნა.

70 წლის განმავლობაში ამ სივრცეში „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბების აუცილებლობა სახელმწიფო დონეზე იყო დეკლარირებული, ხოლო ხელოვნება და საბჭოთა კავშირში კულტურის მუშაკები „ადამიანთა სულის ინჟინრებად“ იწოდებოდნენ და მათ პირდაპირ მოვალეობად ითვლებოდა რევოლუციამდელი, ძველი სამყაროს ადამიანის მენტალიტეტში კორექტივების შეტანა და ახალი საბჭოთა მენტალობის ადამიანის შექმნა. კინოკულტურაში, სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურაში ეს პერიოდი, ენციკლოპედიებისა და სახელმძღვანელოების მიხედვით, „სოციალისტური რეალიზმის“ ხანადაა ცნობილი.

1920–იანი წლების საბჭოთა კინომატოგრაფის ძირითადი პრინციპი საბჭოთა რეჟისორმა, ესეელოდ პუგოვიკინმა (1926 წელს გამოცემულ წიგნში „დრო კინემატოგრაფში“) აღწერა, როგორც „იდუის დიქტატურა“. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სიტყვა „დიქტატურა“, რომელიც დღევანდელი დემოკრატიული განვითარების ცივილიზაციის ადამიანისათვის ერთმნიშვნელოვნად უარყოფით კონტექსტს მოიცავს, იმ პერიოდში ასე არ განიხილებოდა. ლენინის შეთავაზებული „პროლეტარიატის დიქტატურა“ სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ პირობად და საყოველთაო სიკეთედ იყო გამოცხადებული.

ახალი ბოლშევიკური სახელმწიფოს იდეოლოგებს კარგად ჰქონდათ გააზრებული მედიის გავლენის ძალა, ისევე, როგორც XX საუკუნის დასაწყისში ეკლესიის და მისი დადგენილი საკრალური სიმბოლოების გავლენის ძალა საზოგადოების შეხედულებებზე და ის საფრთხე, რომელსაც ათვისტურ მსოფლმხედველობას უქმნიდა რელიგიური შეხედულებები, საკრალური ნიშნები და სიმბოლოები. სწორედ მეფის და მისი შთამომავლების მირონცხებულობის რწმენის შიშით გასცა ლენინმა რომანოვების მთელი ოჯახის, მათ შორის არასრულწლოვანი, ჰემოფილით მძიმედ ავადმყოფი უფლისწულის დახვრეტისა და კვალის წაშლის მიზნით, მათი ცხედრების დაწვის განკარგულება. მიუხედავად ლენინის მიერ გამოცემული დეკრეტისა „სინდისის თავისუფლების“ შესახებ, რომელიც საბჭოთა ადამიანს ვითომდა რწმენის თავისუფლად არჩევის უფლებას ანიჭებდა, მედიასა და კულტურაში საერთოდ არ იყო რელიგიის ადგილი.

რაც შეეხება მეფის მირონცხებულობის რწმენას და რუსული საზოგადოების ცნობიერებაში მისი მნიშვნელობის გავლენას, ლენინს ეს შეფასება არ გაუზვიადებია და მისი შიში ნამდვილად რეალისტური იყო. ერთი საუკუნის შემდეგაც, ეს თემა რეიტინგულია. რუსეთის ტელევიზიების გადაცემები ეძღვნება რომანოვების ოჯახის სასტიკი, არაადამიანური გზით განადგურების ფაქტებს, რომელთაც არაერთხელ უბრუნდება რუსული კინოლოკუმენტალისტიკა და საერთოდ მედია. ასევე დღემდე პოპულარულია უცხოეთში გაქცეული რომანოვთა გვარის გადარჩენილი შთამომავლის მოძიება და მათი ცხოვრების ისტორიების ჩვენება ტელეეთერით. ერთ-ერთმა ქართულმა სააგენტომაც გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის სამეფო ოჯახი სამშობლოში მოიწვიეს. რომანოვების საიმპერატორო

ოჯახის რუსეთში დაბრუნების ინიციატივით ლენინგრადის ოლქის საკანონმდებლო საბჭოს დეპუტატი ვლადიმერ პეტროვი გამოვიდა. ოფიციალური წერილით მან მარია და დიმიტრი რომანოვებს ესპანეთსა და დანიაში მიმართა. დეპუტატის მტკიცებით, მეფის შთამომავლებს სამშობლოში დაბრუნების სურვილი თავადაც აქვთ.<sup>29</sup>

ოქტომბრის რევოლუციიდან თითქმის საუკუნის შემდეგ საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის მმართველობის მოდელზე ალაპარაკდნენ. თუმცა მედიას ეს საკითხი, როგორც ჩანს, მხოლოდ როგორც შოუ ისე აინტერესებს და ძირითადად სამეფო წყვილის გაყრა-შერიგების სკანდალურ ისტორიებს აშუქებს. ამავე დროს, მედიის ყურადღების მიღმა დარჩა მონარქიის აღდგენის მომხრეთა მოსაზრებები ქვეყნისათვის ბაგრატიონთა მირონცხებული გვარის უწყვეტობის მნიშვნელობის შესახებ. მირონცხებულობის რწმენის შიშის ფაქტორმა, როგორც ჩანს ამ შემთხვევაშიც ითამაშა თავისი როლი, ხელისუფლებამ სტრატეგიული კონკურენტი დაინახა ამ „პროექტში“, თუმცა პატრიარქის ხელდასმული ეს წამოწყება დეკლარირებულად, მხოლოდ სამეფო გვარისთვის, როგორც უწყვეტი მემკვიდრეობისთვის „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის“ მინიჭებას მოიაზრებდა და რაიმე პოლიტიკური მიზანი გაცხადებული არ ყოფილა.

საბჭოთა ეპოქას თუ დაეუბრუნდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ კომუნიზმის მშენებლობის ზეიდეა, რომელსაც უნდა განემსჭვალა „სოცრეალიზმის“ ეპოქის მსატვრული ნაწარმოები, თანხვედრაში უნდა ყოფილიყო ქვეყნის ძირითად – კომუნისტურ იდეოლოგიასთან. ამ მოთხოვნაზე მკაცრი კონტროლი ხორციელდებოდა ოფიციალური ცენზურის სახით.

საბჭოთა კავშირს (და შესაბამისად, ხსენებული პერიოდის საქართველოს) დანარჩენი სამყაროსგან კიდევ ერთი ნიშანი განასხვავებდა: აქ ასევე სახელმწიფო დონეზე იყო დეკლარირებული აგრესიული ათეიზმი და ყოველგვარი რელიგიური აქტივობა მკაცრად გაკონტროლებული, შეზღუდული ან სულაც აკრძალული იყო. ვფიქრობ, სწორედ ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, საინტერესო უნდა იყოს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქაში მედიის ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ და კულტურულ პლასტებზე ზემოქმედების ანალიზი, როგორიცაა საზოგადოების ორიენტაციული

<sup>29</sup><http://ghn.ge/com/news/view/133215>

ღირებულებები, კულტურის განვითარება, ენის, რელიგიის, ტრადიციისა და ეთნოკულტურის ტრანსფორმაცია მედიის მეშვეობით. ამ მხრივ საგულისხმოდ მივიჩნით ყურადღების გამახვილება შემდეგ თემებზე:

•ათეისტურ-ტოტალიტარული ეპოქის კულტურულ-მენტალური ტრადიციები, ახალი ავტორიტეტებისა და ღირებულებების შექმნის მცდელობები, რელიგიისათვის ზნეობრივი ავტორიტეტის ფუნქციის მოშლის იდეოლოგიური მიზანი და საბჭოური მედია.

•საქართველოს უახლეს ისტორიაში (XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში) რელიგიის თემატიკის შემოსვლა და ხელახალი დამკვიდრება მედიაკულტურაში – რელიგიური ინსტიტუტების ავტორიტეტის ზრდა, მსოფლმხედველობრივ პოზიციათა რადიკალიზაცია.

ვიდრე ზემოთნახსენებ საკითხებს გავიაზრებდეთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო კულტურაში XX საუკუნის დასაწყისი შევიდა, როგორც რელიგიური იდეების ეჭვქვეშ დაყენების, ღირებულებათა ტოტალური გადაფასებისა და სამყაროს ახლებური სურათის დაბადების ხანა.

ფრიდრიხ ნიცშეს დეკლარირებული „ღმერთი მოკვდა“, ზიგმუნდ ფროიდის შემოთავაზებული „ქვეცნობიერი“, როგორც ადამიანის ქცევის ძირითადი განმპირობებელი, ახალი ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები, ბურჟუაზიული მორალის მარქსისტული გააზრება ნიჰილიზმისა და დეკადენსის ნიშნით აღბეჭდილი ხელოვნების საფუძველი ხდება. ეჭვქვეშ დგება რელიგიური დოგმატიზმი, ტრადიციული მორალი, რაც ცხადია, აისახება კიდევ დასავლურ ხელოვნებაში, მათ შორის კინემატოგრაფში. მაგრამ, თუ დანარჩენ მსოფლიოში ეს პარადიგმის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი პროცესია და ინტელექტუალების (ფილოსოფოსების, მწერლების, მხატვრების) ძიებაა ძველი ღირებულებების მსხვერვის ნიშნით აღბეჭდილ რეალობაში, საბჭოთა კავშირში – ეს უპირველესად მმართველი წრეებიდან წამოსული ინიციატივა და დაკვეთაა მასკულტურისა და მედიისთვის იმ მიზნით, რომ ფილოსოფიური აზრი თუ ხელოვნებაში შექმნილი ძიებები თავის სასარგებლოდ და ძალადობრივი ხელისუფლების განსახორციელებლად გამოიყენონ.

თავისებურ პოლიტიკურ მითად და იმავდროულად ახალ რელიგიად იქცა კომუნიზმის იდეა, რომელიც თანდათან ყალიბდებოდა და იხვეწებოდა. რევოლუციის შემდგომ ბოლშევიკებმა ხელისუფლება არა მხოლოდ

რეპრესიებით შეინარჩუნეს. მათ ესმოდათ, რომ მხოლოდ ძალადობით დიდხანს ვერ დაიჭერდნენ სიტუაციას. მათ ადამიანების რწმენისადმი სენსიტიურობა გამოიყენეს და შექმნეს ახალი „რელიგიური კულტი“, რომლის ცენტრალური ფიგურა იყო ლენინი. ჯერ კიდევ პროლეტარული რევოლუციის ბელადის სიცოცხლეში ლენინის პერსონამ შეიძინა ზეადამიანის, ღვთაების სახე, ციკლურობის ტიპური ნიშნებით: მესიანური მიზანი, ხალხისათვის წამებული, ადამიანთა ახალი ერთობის შექმნაში გამარჯვებული. ბოლშევიკებმა შექმნეს კვაზირელიგიური კულტი, რომელშიც ლენინი იყო მამადმერთი, სტალინი კი – მისი საქმის გამგრძელებელი, რომელსაც მემკვიდრეობით, ეგვიპტელი ფარაონების მსგავსად, ლენინის ღვთაებრივი ბუნება ხვდა წილად. ფორმულის მიხედვით „სტალინი – ლენინია დღეს“<sup>30</sup>, – ამ პათოსის სტატია ბელადის, იოსებ სტალინის დაბადებიდან 60 წლის იუბილეს მიეძღვნა მთავარ საკავშირო გაზეთში “პრავდა”.

ცივილიზაციის მიერ მოტანილი ყოფითი სიკეთეებიც კი ლენინის პერსონას მიეწერებოდა. მაგ. საბჭოთა კავშირში „ილიჩის ნათურას“ უწოდებდნენ ედისონის გამოგონებას – ელექტრონათურას, რასაც ჰქონდა თავისი განმარტებაც: მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმა, ლენინის მმართველობის პერიოდში წამოწყებული ე.წ. „გოელროს“ გეგმის სახელით იყო ცნობილი და განხორციელდა კიდევც. ამ განმარტების ავტორები შეგნებულად იფიქრებდნენ, რომ ქვეყნის ელექტროფიკაციაც და ელექტრონული განათებაც ახალი ცივილიზაციის პროდუქტი იყო და პოლიტიკური ისტებლიშმენტისათვის მისი მიწერა, უბრალოდ პროპაგანდისტულ ხრიკს წარმოადგენდა.

ბოლშევიკებს არ შეეძლოთ საკუთარი იდეოლოგიის გასამყარებლად ეკლესიის გამოყენება, ისინი მკვეთრად დაპირისპირებული იყვნენ ეკლესიასთან. კულტურის ძეგლების – ტაძრების აფეთქება უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე საუკუნეებით ჩამოყალიბებულ რელიგიურ აზროვნებასთან დაპირისპირება და უკვე ტრადიციით გამყარებული რელიგიური რიტუალების სრული ამოძირკვა. ათეისტი ბოლშევიკების მიზანი არსებული რწმენის ახალი კვაზირელიგიური კულტით ჩანაცვლება გახდა. ამისთვის კი ყველა მათ ხელთ არსებული საშუალება გამოიყენეს. მათ შორის მედიაც. იმ პერიოდის

<sup>30</sup>Сталин — это Ленин сегодня — ციტატა სტატია-პანგეირიკიდან, რომელიც 1939 წელს გაზეთ “პრავდაში” ანასტას მიქოიანის ავტორობით დაიბეჭდა.

ევროპული კულტურისა და მეცნიერული აზრის შებრუნება სამყაროს მატერიალისტური გაგებისკენ, პარადიგმის ცვლილება პროგრესის სახელით, რუსეთის იმპერიაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც მისი შემოქმედების მხრიდან დიდი ოქტომბრის მემარცხენე სოციალისტურ რევოლუციად მოინათლა, ახალ პარადიგმას ძალიან კარგად მოერგო ათეისტური მსოფლმხედველობით. თუმცა, ათეისტი ბოლშევიკები, გნოსტიკოსებისგან განსხვავებით, კატეგორიულად უარყოფდნენ ყოველგვარ რელიგიურობას და ამ იდოლოგიის საბურველქვეშ სრულიად ახალი კულტის შექმნას ცდილობდნენ. ამ კულტს უფრო მეტი საერთო ჰქონდა სამყაროს პირველყოფილ რწმენებთან, ვიდრე ცივილიზაციის პროგრესში უფრო განვითარებულ ჰუმანურ რელიგიებთან. სწორედ ამ მიზნით მუშაობდა მედიაც. განხორციელებული სოციალური სლოგანი – „ლენინის სამარე – კაცობრიობის თავისუფლების აკვანია“, გამოიხატებოდა „ახალი რელიგიის“ მიმდევარ „მომლოცველთა“ უზარმაზარი მასების ლენინის მავზოლეუმის წინ მუდმივ რიგში დგომაშიც და იმ იდეის მეთოდურად განვითარებაშიც, რომ ამ საკრალური სამარიდან ეყრება საფუძველი ახალ ეპოქას, ახალ სამყაროს.

მარქსიზმის კლასიკოსების: მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის შექმნილი „წმინდა წიგნების“ ჭეშმარიტება არ შეიძლებოდა ეჭვქვეშ დამდგარიყო. მათი „სწავლება“ გამოცხადდა ერთადერთ სწორ შეხედულებად და ადამიანური აზრის მწვერვალად. მარქსიზმ-ლენინიზმის „კლასიკოსთა“ რევოლუციური თეორიები ახალი რწმენის დოგმატებად იქცა. სტალინის ეპოქაში ნამდვილად მოხერხდა საკმაოდ გავლენიანი კვაზირელიგიური კულტის ჩამოყალიბება, თავისი მითების სისტემით. ამ მითების ტირაჟირება და პოპულარიზაცია სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებისა და მედიის მეშვეობით ხორციელდებოდა. ახალი ადამიანი უყოყმანოდ უნდა შემდგარიყო ამ ახალი „რწმენის“ გზაზე, დაევიწყებინა წარსული, დაეძლია მისი „გადმონაშთები“ – რელიგია, ტრადიცია, კულტურა, რომელიც დისონანსში მოდიოდა ახალ რწმენასთან.

ყველა, ვინც „ბოლშევიკური პროგრესის“ მეცნიერულ და ცენზურის მიერ კულტურაზე დაწესებულ, აღიარებულ იდეოლოგიურ ჩარჩოებში არ ჯდებოდა, ამ მოთხოვნებს არ იზიარებდა, ცხადდებოდა ბურჟუაზიული დეკადენსის გამავრცელებლად, „ხალხის მტრად“ და ეჭვმდებარებოდა განადგურებას. სწორედ იმიტომაც, რომ „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა

მონებად“, ყველა ტრადიციული რწმენა მცდარად და მავნედ გამოცხადდა და ამ იდეის მედიაში, ახალ კულტურაში დამკვიდრება ხელისუფლებიდან ნაკარნახებ აუცილებელ მოთხოვნად იქცა.

თუმცა ეს არ იყო მხოლოდ ძალდატანება, რადგან რევოლუციის შემოქმედები, ოციან წლებში, თავადაც ათეისტები არიან და მათთვის ისედაც აქტუალურია ძველი ღირებულებების გადასინჯვა, ტრადიციული ყოფის ინსტიტუტების, მათ შორის ქორწინების, ოჯახის ერთგულების, მონოგამური სიყვარულის და ა.შ. მაგრამ შემოქმედ ადამიანებს, ამის გარდა სხვა გზა არც აქვთ, სხვაგვარი დამოკიდებულება ისჯება და მისი მატარებელი ხელოვანი, უკეთეს შემთხვევაში, სოციუმის გარეთ დარჩენისთვის, უარეს შემთხვევაში კი – სასიკვდილოდაა განწირული.

ამის დამადასტურებელი ისტორიული ფაქტები აქვს მოყვანილი პროფესორ ნანა გაფრინდაშვილს თავის ნაშრომში „სოცრეალიზმის ეპოქის ქართული სალიტერატურო ცხოვრება ლიტერატურული კომპარატივისტიკის თვალსაზრისით“. "1930 წლის 18 ოქტომბერს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ქართველ პროლეტარ მწერალთა ასოციაციის ღია წერილი ლიტერატურაში დამკვრელი მუშების გაწვევის შესახებ. მუშათა გაწვევა მწერლობაში იყო საბჭოთა იდეოლოგიის მეტად სპეციფიკური „მიზნება“, რომელზეც დიდ იმედს ამყარებდა. ეპოქის სულისკვეთების გამომხატველია კრიტიკოს ვალერიან ლუარსაბიძის მოსაზრება: “პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაცია და რიგების გამუშურება ჩვენი გენერალური ღოზუნგია, დამკვრელ მუშათა ბირთვის ზრდა – ამოცანათა ამოცანაა, ამ მიზნითაა წამოწყებული დამკვრელი მუშების გაწვევა პროლეტარულ ლიტერატურაში“ (ლუარსაბიძე, 1931: 123) მწერალთა რიგების „გამუშურებით“ ბოლშევიკები ებრძოდნენ „უპარტიო მწერლებს“. ამ უკანასკნელს აკაკი ბაქრაძე ასე განმარტავს: „დღევანდელმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მაშინდელი პოლემიკის ენაზე „უპარტიო მწერალი“ ნიშნავს ნამდვილ მწერალს. დასკვნა მკაფიოა: მწერალთა რიგებში მუშების გამრავლებით უნდა მოეკლათ ნამდვილი მწერლობა. ნათლად არის გამოხატული მრწამსი. მწერლობა არ არის ნიჭიერება. არ არის აზროვნება. იგი არის პროპაგანდა. პროპაგანდა კი შეუძლია ყველას, ვინც იცის წერა-კითხვა და ესმის მოცემული ღირებულების

აზრი და მიზანი. მწერლობას ენიჭებოდა სკკპ აგიტპუნქტის ფუნქცია (ბაქრაძე, 1990: 43)".<sup>31</sup>

1950-იანი წლების მეორე ნახევარი წარმოადგენს ახალ ეპოქას XX საუკუნის საბჭოთა კულტურაში. ხელოვნების ორგანული განვითარება ფარული განვითარების სტადიიდან გადავიდა აშკარა განვითარების სტადიაში და გარკვეულწილად შესაძლებელი გახდა როგორც ავანგარდული, ასევე რეალისტური ხელოვნების ფუნქციონირება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჭეშმარიტ კულტურულ ფასეულობებთან დაბრუნების პროცესს ჰქონდა მეტიმეტად დამუხრუჭებული და წინააღმდეგობრივი ხასიათი. პარტიული აპარატი ხან აღუნებდა ყურადღებას, ხან კიდევ მთელი ძალით აგრძელებდა ზეწოლას ხელოვნებასა და ლიტერატურაზე.

საბჭოთა პერიოდის ლიტერატურა ხასიათდება სამი ტიპის ხელოვნების თანაარსებობით: ავანგარდიზმი, რეალიზმი და, ბუნებრივია, სოციალისტური რეალიზმი. 1950-80-იან წლებში სოციალისტური რეალიზმი უკვე აღარ იყო ერთადერთი შემოქმედებითი მეთოდი, მაგრამ ჯიუტად ცდილობდა, შეენარჩუნებინა ათწლეულების განმავლობაში მოპოვებული პოზიციები და არ დაეთმო თავისი პრინციპები.

სოცრეალიზმის თავისებურებები არსებითად განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ ბოლშევიკური პოლიტიკის უმკაცრესი მოთხოვნის შესაბამისად, ხელოვნება მთლიანად უნდა დაქვემდებარებოდა იდეოლოგიას. ხელოვნებას კი არ უნდა წარემართა ერის სულიერი ცხოვრება, არამედ პარტიის პოლიტიკას უნდა დაედგინა და განესაზღვრა ხელოვნების ქმნილებების ფორმა და შინაარსი. ბოლშევიკების იდეურ-ესთეტიკური კონცეფციის გატარება ხელოვნებაში ნიშნავდა იმას, რომ ხელოვნება ქცეულიყო მხატვრული ფორმებით “მოაზროვნე” იდეოლოგიად, რაც რიგ შემთხვევაში ასეც მოხდა. ეს პოზიცია არაერთხელ გაუმძლავრებიათ მხატვრულ ლიტერატურაში.

„სოციალისტური რეალიზმი“ მოწოდებულია გაამართლოს ბოლშევიკების დიქტატურა, ეკლესიების შემუსვრა, არისტოკრატის, როგორც კლასის განადგურება. განსხვავებულად მოაზროვნე შემოქმედთა განდევნა

<sup>31</sup>ნანა გაფრინდაშვილი-სოცრეალიზმის ეპოქის ქართული სალიტერატურო ცხოვრება ლიტერატურული კომპარატივისტიკის თვალსაზრისით- <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/81>

სახელოვნებო სივრციდან სულ იოლად მართლდება იდეოლოგიური პოზიციიდან. „ხედავდე და გესმოდეს ცხოვრება, შენიშნო მისი ზიგზაგები და გარდატეხები, გესმოდეს ბებერი ძვლების ხრაშუნი რევოლუციური წნეხის ქვეშ, თვალი მიადევნო ახალგაზრდა საბჭოთა ორგანიზმის ზრდას, დააფიქსირო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ცალკეული მოვლენები, მოაქციო ისინი ერთ მთლიან კანონზომიერებაში, ექსტრაქტში, დასკვნაში – ეს არის ჩვენი უახლესი ამოცანა...“<sup>32</sup> „ჩვენ განვამტკიცებთ კინემატოგრაფის მომავალს, მისი აწმყოს უარყოფით“, – წერდა საბჭოთა კინოს კლასიკოსი, რეჟისორი და თეორეტიკოსი, მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ძიგა ვერტოვი (დავიდ კაუფმანი) ხელოვანთა უკრაინული ჯგუფის, „კინოკის“ მანიფესტში ("Воззвания начала 1922 года")<sup>33</sup>. ერთი საინტერესო ფაქტი: 1941 წლის შემდეგ კინოცენზურამ ამ ნიჭიერი რეჟისორის ყველა კინოპროექტი დაიწუნა და იგი სიკვდილამდე კინოუურნალ „დღის სიახლეების“ მონტაჟის რეჟისორად მუშაობდა. 2010 წელს რეჟისორ ძიგა ვერტოვის 1929 წელს გადაღებულმა ექსპერიმენტულმა ფილმმა „ადამიანი კინოაპარატით“ უურნალ Entertainment Weekly-ს რეიტინგში, „12 დოკუმენტური ფილმი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო“ მეთერთმეტე ადგილი დაიკავა.

კიდევ ერთი ფორმულა, ამჯერად სერგეი ეიზენშტეინის: „დაამსხვრიო შენში, მოცემული, ამორფული, ნეიტრალური, მიუკერძოებელი ყოფიერება, ყოფა ან მოვლენა, იმისთვის რომ შემდგომში თავიდან გააერთიანო, შენი მის მიმართ შეხედულებისამებრ, იმ შეხედულების, რომელსაც მკარნახობს „ჩემი“ მასთან დამოკიდებულება, განპირობებული ჩემი იდეოლოგიით, მსოფლმხედველობით, რაც ჩვენს იდეოლოგიას, ჩვენს მსოფლმხედველობას წარმოადგენს“<sup>34</sup>.

ამ „ჩემისა“ და „ჩვენის“ აუცილებელი თანხვედრა ათქმევინებს შემდგომში რევოლუციური ეიფორიიდან გამოსულ ეიზენშტეინს თავის ცნობილ აფორიზმს სოცრეალიზმისა და „ცხოვრების სიმართლის“ შესახებ – „ჩვენს ცხოვრებაში სიმართლე ყოველთვის ზეიმობს, მაგრამ ცხოვრება ხშირად არასაკმარისია“<sup>35</sup>. ნოვატორი საბჭოთა რეჟისორის, სერგეი ეიზენშტეინის ფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ 1952 წელს ბელგიური

<sup>32</sup>[http://klassikakino.blogspot.com/2011/11/blog-post\\_4948.html](http://klassikakino.blogspot.com/2011/11/blog-post_4948.html)

<sup>33</sup>ოქკე

<sup>34</sup>Эйзенштейн С. М. Избр. произв. В 6-ти тт. — Т. 3. — М., 1964. — გვ. 584.

სინემატიკის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, 58-მა ევროპელმა და ამერიკელმა რეჟისორმა საუკეთესო ფილმად დაასახელა.

XX საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოურ კინემატოგრაფში რელიგიასთან დაკავშირებული თემატიკის გაშუქებაში გარდატეხის მნიშვნელოვან საფეხურად შესაძლოა მივიჩნიოთ 1930 წელს გადაღებული მუნჯი ფილმი „წმინდა იორგენის დღესასწაული“. დანიელი მწერლის ჰარალდ ბერგსტედტის (Bergstedt, 1877–1965) ანტირელიგიური ნაწარმოები “წმინდანების ფაბრიკა” 1924 წელს ითარგმნა რუსულ ენაზე, ხოლო 1930 წელს მისი მიხედვით, მუნჯი კინოკომედია "წმინდა იორგენის დღესასწაული" გადაიღო რუსმა რეჟისორმა იაკობ პროტაზანოვმა. სუბტიტრები კომედიისთვის ილფმა და პეტროვმა დაწერეს. ფილმმა საბჭოთა ქვეყანაში მალე მოიხვეჭა პოპულარობა და ისე მოეწონა საბჭოურ ცენზურას, რომ 1935 წელს გამოვიდა მისი ხმოვანი ვარიანტი. ამ ფილმში პირველად გამოჩნდა საეკლესიო რეფორმაგაველი ევროპული ქვეყნების ფოლკლორისათვის დამახასიათებელი კათოლიკური ეკლესიის მსახურის, მღვდლის კომედიური პერსონაჟი. კომედიაში ეკლესია დახატულია, როგორც მომხვეჭელი და ხალხის სიცრუით დამორჩილების ინსტიტუტი, რომელშიც შარლატანები მსახურობენ. ამგვარი სახე ძალზე ტიპურია მთელი შემდგომი საბჭოური კინემატოგრაფისათვის, თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებებიც ეკლესიისა და ტრადიციის მიმართ დამოკიდებულებაში 1920-იანსა და 1960-იანი წლების (ლ.ბრეჟნევის უძრავობის ხანის პერიოდში იდეოლოგიური წნეხი შედარებით შესუსტდა და სადამსჯელო ღონისძიებები სხვაგვარად აზროვნებისათვის აღარ იყო მეტისმეტად მკაცრი) კინემატოგრაფს შორის.

შესაძლებელია ითქვას, რომ 1966 წელს ანდრე ტარკოვსკის გადაღებული „ანდრე რუბლიოვი“ იწყებს რელიგიასთან ახლებური დამოკიდებულების პერიოდს საბჭოთა კინემატოგრაფში. „ტარკოვსკის მეთოდი უდავოდ ეიზენშტეინის ინტელექტუალურ-ფილოსოფიური კინოდან მოდის, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვნად განსხვავდება. ეიზენშტეინი ათეისტია, მისი რელიგია მარქსიზმია, მისი მრწამსი რევოლუციის იდეებია, მისი დევიზია: „რევოლუციით – ხელოვნებისკენ, ხელოვნებით – რევოლუციისკენ“.

ტარკოვსკი კი რელიგიურია, მისი რწმენა მართლმადიდებლობაა<sup>36</sup>, – კინომცოდნის, ს. პ. ფრელიხის ამ მოსაზრებას იზიარებს მედიაკულტურის რუსი მკვლევარი ნატალია კირილოვა.

ეფიქრობ, სრულიად მართებულად ჩაითვალოს სწორედ სამოციანი წლები წყალგამყოფად, რადგან ამ პერიოდიდან იწყება საბჭოური აუდიოვიზუალური მედიის განვითარების მეორე ეტაპი, მეტი შემოქმედებითი თავისუფლებისა და იდეოლოგიური წნეხის შედარებით შესუსტების ეტაპი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა მორიგი დიდი გარდატეხა, რომელიც პარტიის XX ყრილობასა და „პიროვნების კულტის“ დაგმობას მოჰყვა, სწორედ საკრალური ფორმულის „ლენინი, სტალინი განსხეულებული“ მსხვერველი გაჩნდა პირველი ბზარები „კომუნიზმის ახალ რწმენაში“ და ნელ-ნელა მედიაშიც შეადგინა კომუნისტური დოგმატების იგნორირების ტენდენციამ.

რაც შეეხება პირველ ეტაპს, ცხადია, რომ XX საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოთა პერიოდის უდავოდ ნიჭიერ ხელოვანთა შემოქმედებას, განსაკუთრებით მძიმე წნეხისა და კონკრეტული, სპეციფიკური ისტორიული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე ვერ განვიხილავთ.

მიხეილ კალატოხიშვილის ფილმი „ჯიმ შვანთე“ („მარილი სვანეთს“ 1930 წ.) რეჟისორის ოსტატობის, ინოვაციური გამომსახველობითი ტექნოლოგიის, თემის ეგზოტიკურობის, სიმბაფრისა და სხვა მრავალი ღირსების გამო, მისი იდეოლოგიური დატვირთვის მიუხედავად, სამართლიანად ითვლება ქართული საბჭოთა კინოს შედეგად.

დროის სულისკვეთების გათვალისწინებით, სრულიად გასაგებია, ზემოხსენებულ ფილმში ეკლესიის სახედ ჯვარზე დაყრილი ფულის წარმოსახვა, ხოლო ეკლესიის მოწოდებით სამარეში ჩასახტომად მორბენალი ბრბო, საბჭოთა კინომცოდნეების მიერ განმარტებულია, როგორც ევროპული ავანგარდისტული აზრის გამოძახილი, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ საგულისხმოა ის დაკვირვებაც, რომ ხსენებული კადრები ზუსტ თანხვედრაშია კარლ მარქსის რელიგიისადმი დამოკიდებულებასთან. ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ეპიზოდი ფილმიდან მარქსის და ლენინის მიდგომის – „რელიგია ოპიუმია ხალხისათვის“, ინტელექტუალური მონტაჟის ხერხით გადმოცემული ეკრანული ასახვაა. ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ,

<sup>36</sup> Н. Б. Кириллова Медиакультура: от модерна к постмодерну - <http://www.ifap.ru/library/book380.pdf> გვ.265

რომ აღწერილი ორი კულტის – ლენინიზმის, როგორც სამყაროსათვის თანასწორობისა და სამართლიანობის მიწაზე განხორციელების საშუალება (ანუ კომუნიზმის რწმენა, როგორც მიწიერი სამოთხის მიღწევის იდეოლოგიისა) და ტრადიციული ეკლესიის თანაარსებობა, შეუძლებელი შეიქმნა. ეს პროცესი მედიასა და კინემატოგრაფში მძაფრად აისახა. ტრადიციული ეკლესიის ამოძირკვას ბოლშევიკური ხელისუფლება შეუდგა, როგორც პირდაპირი, უხეში ძალადობით, ასევე აღზრდიდან და ცნობიერებიდან მისი წაშლის მეშვეობით. ფილმში – „ჯიმ შვანთე“ გააკრიტიკებული და მეტისმეტად უტრირებულია მთის ტრადიციების სიმკაცრე, ხაზგასმულია თემის წინამძღოლების და ეკლესიის როლი ხალხის ჩაგვრაში. მნახველს, რომელსაც ეკრანზე ჩვილის დაღუპვის საშინელი ამბის უშუალო მოწმე ხდება, მაშინვე უჩნდება პროტესტი მთის დაუნდობელი ტრადიციების მიმართ. ამავე დროს იგი ეკრანზე ხედავს გზის მშენებლობის ოპტიმისტურ კადრებს, ანუ იმას, თუ როგორ იკვალავს ბოლშევიკური ხელისუფლების დახმარებით, ცივილიზაცია ფართო გზას სასტიკი ადათებით დატანჯული სვანეთის მოსახლეობისაკენ.

ფილმის მიხედვით, სვანები მთის ადათის შესაბამისად, სახლიდან აგდებენ მშობიარე ქალს იმის გამო, რომ ამ დროს სოფლის ერთ-ერთი გავლენიანი თავკაცის გასვენებაა. ეს ფაქტი მოწოდებულია ისე, თითქოს ასეა მიღებული, დამკვიდრებული სვანური ადათის შესაბამისად (მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამგვარი ადათის არსებობის მეცნიერულ, დოკუმენტურ დადასტურებას ვერსად მივაკვლიე). უყურადღებოდ მიტოვებული მშობიარე ქალის ტანჯვა, გადმოცემული კინემატოგრაფიული ხერხების ოსტატური გამომსახველობით, მაყურებელს სვანური ტრადიციების უჩვეულო სისასტიკის სურათებს ისეთი სიმძაფრით უშლის თვალწინ, რომ მას ბუნებრივად უჩნდება პროტესტი დრომოჭმული ადათისა და ამ ყოფის ნაწილის – აგრესიული, მომხვეჭელი ეკლესიის წინააღმდეგ. მოგვიანებით კინემატოგრაფში მკაცრი, სატირული განწყობები თანდათან ჩაანაცვლა იუმორმა.

ეკლესიის მსახურისა და არისტოკრატის კომიკური პერსონაჟები ხშირად გვხვდება XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ და სხვა საბჭოურ კომედიურ კინემატოგრაფში. ეკლესიისა და არისტოკრატის მიმართ იუმორისტულ-სატირული დამოკიდებულება დამახასიათებელია არა მხოლოდ კინემატოგრაფისთვის, ამას ემსახურება იმ პერიოდის სხვა პროპაგანდისტული

მედიაც, მაგრამ კომედიური კინემატოგრაფი და ჩვენ მიერ აღწერილი მღვდლის სახასიათო პერსონაჟი, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავდა საბჭოთა ანტირელიგიური სატირული პლაკატების მღვდლის ტიპაჟს, შეიძლება ითქვას, რომ კომედიური კინემატოგრაფის აუცილებელი ეპიზოდური გმირი ხდება.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამ შემთხვევაში, არ იგულისხმება მხოლოდ პროპაგანდისტული, სოცრეალისტური, კომედიური კინემატოგრაფის ტიპური პროდუქცია, რომელსაც ე.წ. უდარდულობის ხანის საბჭოური კინემატოგრაფი რეგულარულად აწარმოებდა, არამედ ნამდვილად ნიჭიერად გადაღებული, შესანიშნავი კინოკომედიები, სადაც რეჟისორები ერთი მხრივ, რელიგიის მიმართ საკუთარ ირონიულ დამოკიდებულებას ავლენდნენ და მეორე მხრივ, ხარკსაც უხდიდნენ საბჭოურ ცენზურას, რათა არაპროპაგანდისტული ე.წ. ლირიკული კომედიების თავისუფლად გადაღების უფლება მოეპოვებინათ და ამ ფილმებს ეკრანებზე გამოსვლის შანსი ჰქონოდა. ასე რომ, ეს ფილმები უფრო ათეისტური მრწამსის ხელოვანების თავისუფალი სულის გამოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე ტიპურ, საბჭოურ პროპაგანდად. მიუხედავად ყოველივეს გათვალისწინებისა, საბჭოთა კომედიური კინემატოგრაფის ნიუანსებზე დაკვირვების საფუძველზე, მაინც შეიძლება ითქვას, რომ გამოკვეთილად ხორციელდებოდა ანტირელიგიური პროპაგანდის სახელმწიფო დაკვეთა კომედიურ კინემატოგრაფში.

გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, მიხეილ ჭიაურელის მიერ 1931 წელს გადაღებული სატირული კომედია „ხაბარდა“ თბილისის საზოგადოების იმ „ვიწრობურჟუაზიულ“ ნაწილს ამასხარავენს, რომელიც ქალაქის მშენებლობის პროცესში ეკლესიის დანგრევას აპროტესტებს. ფილმის ავტორი ავითარებს იდეას, რომ ეს პროტესტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, თუ კონკრეტულ ეკლესიას რაიმე მხატვრულ-ისტორიული ღირებულება ექნებოდა. მოულოდნელად აღმოჩნდება, რომ შენობა სულაც არ არის ისტორიული ღირებულებისა და მოქალაქეთა მოპროტესტე ნაწილი სასაცილო მდგომარეობაში ვარდება. ეკლესიას, როგორც რელიგიურ, საკულტო დანიშნულების ნაგებობას, ბოლშევიკურ რეალობაში, რასაკვირველია, არავითარი ფასი არა აქვს და მისი დანგრევა არც მაყურებელს აკვირვებს და არც ფილმის ავტორებს.

რეჟისორ სიკო დოლიძის 1934 წელს გადაღებულ ფილმში „უკანასკნელი ჯვაროსნები“ მთის სასტიკი ადათი – სისხლის აღების წესია დაგმობილი. მთავარი გმირი პროგრესული ადამიანია. იგი უარს ამბობს სისხლის აღებაზე, თუმცა ამის გამო თემი ზურგს შეაქცევს. შეუპოვარი გმირი თავის სიმართლეს ამტკიცებს. საბჭოური ფილმის ტრადიციის გათვალისწინებით, რეტროგრადული და დრომოჭმული იდეების გამტარებლებად თემის თავკაცები, შეძლებული და შთამომავლობით გამორჩეული ადამიანები გვევლინებიან.

ნიჭიერი ქართველი რეჟისორის, დავით რონდელის 1937 წელს გადაღებული ფილმი „დაკარგული სამოთხე“ ამასხარაეებს ეკლესიასა და სამოთხის რწმენას. ამ ფილმშიც, რელიგიის მსახური, ადგილობრივი ეკლესიის მღვდელი, შარლატან აზნაურ მიქელა კალმახიძესთან ერთად ატყუებს ხალხს და ფულს სცინცლავს.

არსებობს რამდენიმე გამონაკლისი ამ პერიოდის კინემატოგრაფში: დავით რონდელის 1958 წელს გადაღებული „მამლუქის“ პერსონაჟი მღვდელი, რომელსაც ბავშვის გამტაცებლები მოკლავენ, კეთილშობილი და სათნო ადამიანია. 1922 წელს რეჟისორ ვლადიმერ ბარსკის ფილმი „მოძღვარი“ ალექსანდრე ყაზბეგის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული. ამ ფილმში მოძღვარი ქრისტიანული ზნეობისა და მორალის – აღსარების საიდუმლოს დაცვის გამო, არ გათქვამს დამნაშავეს. მას ციმბირში გადასახლებას მიუსჯიან და იქ დაიღუპება კიდევ, ისე რომ გამართლების ქაღალდი ვერ ჩაუსწრებს. საგულისხმოა, რომ ორივე ფილმი ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციაა და თანაც, 1922 წელი ძლიერ ადრეა იდეოლოგიური წნეხის სრული ძალით ასამოქმედებლად, 1958 წელი კი უკვე სტალინური ეპოქის დასასრულია.

დაახლოებით ამ პერიოდიდან იწყებს მაუწყებლობას საქართველოს ტელევიზია (გაიხსნა 1956 წელს, ყოველდღიური გადაცემებით ეთერში გავიდა 1961 წლიდან), რომლის რელიგიასთან დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანია: მაყურებელმა კარგად იცის, რომ აღდგომის ღამეს საბჭოთა საქართველოს ტელევიზია პოპულარულ უცხოურ ფილმებს აჩვენებს – ეკლესიაში წასვლის ნაცვლად ხალხი ტელევიზორებს რომ მიეჯახვოს.

1960-იანი წლებიდან საქართველოშიც იწყება კინოში რელიგიის თემის შედარებით განსხვავებული პოზიციებიდან გააზრება, რომელიც შემდგომი კვლევისა და გაანალიზების თემაა.

#### 4.4 “ჯავშნოსანი პოტიომკინიდან” “მონანიებამდე”

პირველი ცნობილი ფილმი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციას ეხებოდა და დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მსოფლიოში განთქმული კინოკრიტიკოსების მხრიდან, სერგეი ეიზენშტეინის „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ იყო. ბოლო ფილმი კი, რომელიც ასევე მსოფლიო კინომცოდნეთა ყურადღების ობიექტი გახდა და ზუსტად საბჭოთა კავშირის კოლაფსის წინ (1986წ) გამოვიდა ეკრანებზე, თანაც ეს კოლაფსი გარკვეულწილად იწინასწარმეტყვალა კიდევ, არის ქართველი რეჟისორის თენგიზ აბულაძის ფილმი „მონანიება“. ამ ორივე ფილმის შესახებ ვისაუბრებთ ნაშრომში და სწორედ მათ და ასევე სხვა მაგალითებზე დაყრდნობით მიმოვიხილავთ საბჭოურ კინემატოგრაფს, როგორც იმ პერიოდის მედიაკულტურის, კერძოდ კი ელექტრონული მედიის პირველ ჩანასახს.

საინტერესოა „მონანიების“ ტელეეკრანზე პირველად გამოსვლის ისტორია. როგორც რეჟისორი ნანა ჯანელიძე იხსენებს, თენგიზ აბულაძემ „მონანიება“ 1984 წელს გადაიღო, თუმცა მაყურებელთა ფართო წრისათვის ფილმი ხელმისაწვდომი მხოლოდ 1986 წელს გახდა, ერთი წლის შემდეგ კი კანის ფესტივალის გრან-პრი მოიპოვა. არადა, ნანა ჯანელიძის თქმით, საბჭოთა წლებში წარმოუდგენლად მოჩანდა „მონანიების“ სცენარით ფილმის გადაღებაც კი. „რეზო ჩხეიძემ, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, მოიფიქრა ასეთი ეშმაკობა: საქართველოს ტელევიზიას ჰქონდა თავისუფალი ორი საათი, რომელიც არ კონტროლდებოდა ცენზურის მიერ და ეს ორი საათი ფინანსდებოდა საქართველოს რესპუბლიკის და არა მოსკოვის მიერ. ზუსტად იმ ორ საათში ჩასვეს „მონანიება“, როგორც სატელევიზიო ფილმი. ცნობილია, ამ ფილმს რაც გადახდა თავს. ის იყო დაპატიმრებული და ა.შ. რა გააკეთა ბატონმა რეზომ? „მონანიება“ ჩააწყო ყუთებში, დააწერა მას „მშობლიურო ჩემო მიწავ!“ – ის ფილმი, რომლითაც მან მიიღო ლენინის ორდენი – და ამ სათაურით ჩუმად გააპარა ფილმი მოსკოვში და აჩვენა ცნობილ რეჟისორს ელემ კლიმოვს, რომელიც მაშინ არჩეული იყო

კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარედ და პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ის, რომ თქვა, დაპატიმრებული ფილმები უნდა გავათავისუფლოთ. ფილმის ნახვის შემდეგ კი თქვა, რომ ჩემ სიცოცხლეს დავდეგ იმის სანაცვლოდ, რომ ეს ფილმი ნახოს ხალხმა. ანუ ეს იყო რეზო ჩხეიძის გმირობის ტოლფასი ეშმაკობა“.<sup>37</sup>

სერიოზული ნერვიულობა შეხვდა საკავშირო ცენტრასთან რეზო ჩხეიძის კინო-შედევრს – “ჯარისკაცის მამას”. ფილმი საკავშირო კულტურის მინისტრმა დაიწუნა და რომ არა სამხედრო გენერალიტეტის ამ ფილმით აღტაცება, შესაძლოა დიდ ეკრანზე არც გაეშვათ. ამ ამბავს თავად რეზო ჩხეიძე ასე იხსენებს:

“დასრულებული ფილმი მოსკოვში 31 დეკემბერს ჩავიტანეთ. კვირადღე იყო და რედკოლეგია, რომელიც სურათს იბარებდა, არ იყო. ჩვენებას მხოლოდ კულტურის მინისტრი რომანოვი და მისი მეუღლე ესწრებოდნენ. მათ გარდა, მე და ხმის ოპერატორი – დავით ლომიძე ვიყავით და ორი კაციც ხმის აპარატურასთან იჯდა. ჩვენება რომ დაიწყო, ამ რომანოვს შევატყვევ, უინტერესოდ უყურებდა. ხან ფეხებს აბაკუნებდა, ხან საათს დახედავდა, ხან მეუღლეს დაელაპარაკებოდა. ის ქალი კი ფილმს ინტერესით უცქერდა. ჩვენების დასრულების შემდეგ რომანოვი ჩემთან მოვიდა და მითხრა:

– ამხანაგო ჩხეიძე, ამ სურათს საბჭოთა ხალხი არ ნახავს!

– რატომ, ბატონო მინისტრო? – შევეკითხე ისე, რომ მისი სახელი არც ვიცოდი, რადგან ახალი დანიშნული იყო. ძველი რომ ყოფილიყო, ასეთ რამეს არც მეტყოდა.

– იმიტომ, რომ თქვენი გმირი, მახარაშვილი, საბჭოთა ოფიცერს ხელს არტყამს. ეს არის წითელი არმიის წესდების დარღვევა. ჩვენ უფლება არ გვაქვს, კინემატოგრაფიის საშუალებით ამას აგიტაცია გავუწიოთ. ასე რომ, ამ ფილმს არ მივცემთ იმის რეკომენდაციას, რომ ფართო მასებმა ნახონ! რომანოვმა ეს რომ თქვა, ეგრევე წავიდა. საშინელ ხასიათზე დავდექი. ახალი წელი თენდებოდა და მთელ ჯგუფს ქართველ მეგობრებთან ერთად იქაურ ქართულ რესტორან "არაგვში" უნდა გვექეიფა. ბევრი ადამიანის დაპატიჟებას ვაპირებდით, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ ფილმს შეაქებდნენ და მიიღებდნენ. მინისტრის ასეთმა შეფასებამ კი ყველას ნერვები მოგვიშალა და

<sup>37</sup><http://www.radiotavisupleba.ge/content/rezo-chkheidze/27002058.html>.

რესტორანში აღარ წავსულვართ. სასტუმროში დაგბრუნდით და დავიძინეთ. 4-5 დღის შემდეგ "ჯარისკაცის მამის" კიდევ ერთ ჩვენებაზე მიგვიწვიეს. კარი გაიღო და გენერალ-პოლკოვნიკი და 15-მდე გენერალი შემოვიდნენ. მისალმებაზევე მივხვდი, რომ ისინი რომანოვის ტყუილებით იყვნენ გატყუნილი, მაგრამ პირველივე ეპიზოდთან რომ დაიწყეს გენერლებმა ტაშის კვრა და ოვაციები, ბოლომდე ასე გაგრძელდა. თან ხელით გვანიშნებდნენ, მაგარიას. დასრულების შემდეგ მე და ხმის ოპერატორს შემოგვეხვივნენ. გენერალ-პოლკოვნიკმა გვკითხა:

- გვითხარით, რა არ მოსწონს თქვენს მინისტრს?
- ჩვენი ქართველი მინისტრი თვლის, რომ ეს საჭირო საბჭოთა სურათია, - ვუპასუხე გენერალ-პოლკოვნიკს.
- არა, არა, მე მხედველობაში მყავს ამხანაგი რომანოვი.
- რომანოვს არ მოსწონს ის, რომ სამხედრო ხელს არტყამს საბჭოთა ოფიცერს.

- აი, თქვენი მინისტრი ვერაფერს მიხვდა. ის არ არის სამხედრო, ის მამაა. მამას კი ყოველთვის აქვს უფლება, ასე მოექცეს შვილს. სურათსაც იმიტომ ჰქვია "ჯარისკაცის მამა". მას მთელი ქვეყანა უყურებს. გისურვებთ წარმატებას! - ასე თბილად გამოგვემშვიდობა გენერალ-პოლკოვნიკი. დანარჩენი გენერლები ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, ნახე, როგორი სილა გააწნაო.

ამის შემდეგ ფილმი ვინ აღარ ნახა, მათ შორის ლეონიდ ბრეჟნევმა და ეს საკითხი აღარავის წამოუწვია. თუმცა, ერთხელ, ჩემმა აზერბაიჯანელმა მეგობარმა, რომელიც მოსკოვში "დომ კინოში" დავპატიჟე, სადაც ფილმის ჩვენება გაიმართა, სიცილით მითხრა: - მომისმინე, ეს რუსები სულელები არიან, არა? ისინი ვერ მიხვდნენ ნამდვილ აზრს ამ ეპიზოდთან დაკავშირებით.

- ეგ მეორედ აღარ თქვა, - ვუთხარი და ორივეს გაგვეცინა<sup>38</sup>.

ნამდვილი ხელოვნებისა და კულტურის დიდი ძალის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ იაპონიაში, ამ ფილმის ჩვენების შემდეგ, მაყურებელი აცხადებდა, რომ სერგო ზაქარიაძის გმირში მათ საკუთარი კულტურის წარმომადგენელი გლეხი კაცი ამოიცნეს. ერთი საგულისხმო ფაქტი, დიდი ქართველი რეჟისორის დაკრძალვის დღეს (20015 წ. 7 მაისი) დამოუკიდებელი

<sup>38</sup><http://lady.mcvane.ge/main/chrelachrula/22642--.html>

საქართველოს სეპარატისტულმა რეგიონმა – აფხაზეთმა მას პატივი მიაგო იმით, რომ აფხაზეთის ახალგაზრდული ცენტრის სპორტის კომიტეტის შენობაში „ჯარისკაცის მამის“ ფერადი ვერსიის ჩვენება გაიმართა დე-ფაქტო პრეზიდენტის რაულ ხაჯინბას განკარგულებით.

ამ კონკრეტული მაგალითით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტურას დიდი მისიის შესრულება შეუძლია შეიარაღებული კონფლიქტით დაპირისპირებულ ადამიანებს შორის არსებული გაუცხოების შესამსუბუქებლადაც კი.

ასევე, საინტერესოა რუსი საბჭოთა რეჟისორის, ელდარ რიაზანოვის ფილმი „აღთქმული ზეცა“ (Небеса Обетованные), რომელიც საბჭოეთში ძალზე პოპულარულმა რუსმა რეჟისორმა უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთში გადაიღო და საბჭოეთის პერიოდის ინტელიგენციის რომანტიკული ილუზიების მსხვერველს ეძღვნება. სსრკ-ს კოლაფსის შემდგომ, ცვლილებების მოსურნე და მომლოდინე დისიდენტი ინტელექტუალების საზოგადოება პირისპირ შეეჯახა ამ ცვლილებებით მოტანილ მკაცრ რეალობას, რომლის შესახებაც მას გაზვიადებული იდეალისტური შეხედულება ჰქონდა და საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა. ისტორიული პერიოდი, როდესაც ახალი ადამიანისა და ახლებური კომუნისტური ცხოვრების წესის შექმნის შეუძღვარი ექსპერიმენტების მონაწილე საზოგადოებები გამოვიდნენ იზოლაციის მდგომარეობიდან და თავიდან შეუდგნენ კიდევ ერთ ახალ ექსპერიმენტს – ევროპულ სამყაროსთან ხელახალ მენტალურ ინტეგრაციას.

ახალი გამოწვევაც ასევე საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა და თითოეული ადამიანის ბედზეც აისახა, ზოგ შემთხვევაში ტრაგიკულადაც. საბჭოთა პერიოდში პოპულარული ნიჭიერი რუსი საბჭოთა რეჟისორი ელდარ რიაზანოვი, რომელმაც კარიერის დასაწყისში ხარკი მიაგო სოცრეალიზმის მოთხოვნებს და გადაიღო ფილმი „Карнавальная Ночь“ (1956წ.), ხოლო შემდგომ იღებდა ე.წ. „ლირიკულ კომედიებს“ და სატირულ ფილმებს საბჭოთა რეალობის შესახებ, ახალ რუს კინომაყურებელთან შესახვედრად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ახალი თაობისათვის მისი ძველი, კომედიური ფილმები გაუგებარი იყო. რიაზანოვის დახვეწილი იუმორი და ტრადიციული საბჭოური ცხოვრების გამაკრიტიკებელი სატირა კი აღარ აცინებდა გამდიდრებულ, ცხოვრებით კმაყოფილ “ახალ რუსებს,” ანუ დამოუკიდებელი რუსული კაპიტალისტური სახელმწიფოს ამბიციურ კაპიტალისტურ

აუდიტორიას. სწორედ ამ გარემოების გამო თავის წიგნში “შეუჯამებელი შედეგები.”<sup>39</sup> რეჟისორი სვამს შეკითხვას: იუმორი მოკვდავია? და ამ შეკითხვას თავად ასე პასუხობს: „იუმორი, ისევე, როგორც ლამაზი ქალი, ძალზე სასიფათოა და მალე ბერდება!“ («Юмор—как женщина: очень опасен и быстро стареет!»).

დიას, დახვეწილი იუმორი, რომელიც დამოკიდებულია ისტორიულ კონტექსტზე, როგორც ავტორი ხსენებულ წიგნში ასაბუთებს, ამ კონტექსტის შეცვლისთანავე, ძალზე მალე კვდება. ამ აზრის გასამყარებლად მას მაგალითები მოჰყავს მსოფლიოს კულტურის ისტორიიდან. ჩემი აზრით, მარადიულად ირონიული რჩება სამყაროს მართლაც და იუმორისტული დამოკიდებულება ადამიანის ნამოღვაწარის მიმართ და მარად აქტუალურია ძველი აფორიზმი: „თუ გინდა გააცინო ღმერთი, უამბე მას შენი გეგმების შესახებ“ და მისი შესატყვისი ქართული ანდაზა „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“.

მართლაც, უცნაური ირონია იყო ის, რომ ქვეყანა, რომელის ახალი კულტურაც დაიწყო ეიზენშტეინის გენიალური ფილმით „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, რომელშიც ჯავშნოშან პოტიომკინზე განრისხებული მეზღვაურები იმის გამო ატეხენ ბუნტს, რომ მათ საჭმელად უვარგისი, მატლებდახვეული, გახრწნილი ხორციტ კვებავენ. ფილმში სწორედ ამ მიზეზით დაწყებული ბუნტი გადაიქცევა რევოლუციად. ამ რევოლუციის საფუძველზე შექმნილი ქვეყნის ისტორია და კულტურული ტრადიცია დასრულდა თენგიზ აბულაძის ფილმით, რომელსაც საგულისხმო სათაური ჰქონდა – „მონანიება“. ამ ფილმში პირველი ბოლშევიკური დიქტატურის ერთ-ერთი შემოქმედის, მოძალადე მამის, ვარლამის შვილი აბელ არავიძე (რეალობას შეგუებული კონფორმისტი და მორჩილი, საკუთარი პრიმიტიული არსებობით კმაყოფილი საბჭოეთის ტიპური მოქალაქე, შეძრული იმით, რომ მისმა შვილმა ბაბუამისის ცოდვების შეტყობის შემდგომ თავი მოიკლა), გამოიდვიძებს და აღშფოთებული საფლავიდან ამოთხრის საკუთარი მამის, ვარლამ არავიძის გახრწნილ გვამს და სანაგვეზე გადააგდებს. ამ მაგალითში კარგად ჩანს, რომ გაფუჭებული ხორციტ დაწყებული საბჭოთა კინემატოგრაფი გახრწნილი გვამის გადაგდებით დასრულდა. ნათელია, რომ ოქტომბრის რევოლუციის მიზანი ძალზე მიწიერი და ცხოველური, ხორციელი

<sup>39</sup>Эльдар Рязанов - Неподведенные итоги- Вагриус , Москва , 1995

იმპულსების დაკმაყოფილება იყო. ლენინის დეკლარირებული ბორკილებაყრილი მონების გათავისუფლებისა და ადამიანთა თანასწორობის იდეები კი რადიკალურად განსხვავდებოდა ავანგარდული, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული კულტურული ბოჰემისა და ფილოსოფოსების მიერ შემოთავაზებული თავისუფლების იდეებისაგან. შემოქმედის თავისუფლების ამადლებული იდეალები ძალზე შორს იყო ახლებური სოციალისტური ქვეყნის კულტურული რეალობიდან. ლენინის დეკლარირებულ თავისუფლებასა და თანასწორობაში რევოლუცია, მხოლოდ ხორციელ იდეალებსა და ქონების ვითომდა სამართლიან, რეალურად კი მის ხელახლა გადანაწილებაზე იყო ორიენტირებული, რომლის დროსაც მეტი ქონება ხვდება იმას, ვინც პირამიდის წვერზე მოექცევა და წართმეულს მისაკუთრებს. ასე რომ, რევოლუციას რეალურად კვლავ ქონების და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზანი ჰქონდა, რასაც არაფერი აქვს საერთო სამყაროს მოდერნიზმის ეპოქის თავისუფლების იდეალებთან და არც ნიციშეს იდეასთან, ანუ პირველყოფილ ცხოველურ ინსტიქტებსა და არსებობაზე ამადლებული და პრიმიტიული ბურჟუაზიული იდეალებისაგან თავისუფალი ზეკაცის ძიებასთან. ამ სიტუაციის აღწერას კარგად მიესადაგება ციცერონის აფორიზმი: „მონა არასდროს ოცნებობს თავისუფლებაზე, მისი ოცნებაა თავად ჰყავდეს მონები.“<sup>40</sup> როგორც მოვლენების განვითარებამ გვიჩვენა, ეს აფორიზმი ბოლო საუკუნეებშიც აქტუალურია.

#### **4.5. XX-XXI საუკუნის მედიაკულტურაში თაობათა დაპირისპირებისა და ფარული კულტურული კონფლიქტების ასახვის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები**

XX საუკუნეში ევროპული და ამერიკული კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიამ, ხოლო მისივე ფსიქოანალიზის პრაქტიკამ ახალ, პოსტმოდერნულ სამყაროში იმ მნიშვნელოვანი ფუნქციის აღტერნატივა შესთავაზა საზოგადოებას, რასაც მანამდე ეკლესია ასორციელებდა და გარკვეულწილად ჩაანაცვლა აღსარების საიდუმლო, რომელიც ცოდვებით დამძიმებულ ადამიანს ამ ტვირთისაგან გათავისუფლებაში ეხმარებოდა აღსარებისა და ზიარების

<sup>40</sup> <http://litafor.ru/aphorism/16152/>

მეშვეობით. ამავე პერიოდის ინტელექტუალური კინოს თემად იქცა სიზმრები, ვინაიდან ზიგმუნდ ფროიდის თეორიით, სწორედ სიზმრებში ვლინდება ქვეცნობიერი. სიზმრების გაანალიზება კი ფსიქოანალიზის პრაქტიკის მთავარი ხერხია. შესაბამისად, ადამიანის შინაგანი სამყაროს ქვეცნობიერის ეკრანული ხერხებით გადმოცემა სიზმრების ეკრანზე გატანით ხასიათდებოდა. (მაგ. ბერგმანის “მარწყვის მდელი” Wild Strawberries, 1954წ.)

ამერიკაში სწორედ ამ პერიოდში გახდა პოპულარული კულტურა და მედია, რომელიც მოზარდი თაობის პრობლემებზე იყო კონცენტრირებული. მოზარდმა თაობამ საკუთარი კულტურაც კი შექმნა XX საუკუნის 60-იან წლებში ჰიპკულტურის სახით, რომლის მთავარი იდეოლოგია პაციფიზმი და ყოველგვარი სახის ძალადობაზე უარის თქმა იყო.

საბჭოთა კავშირი, როგორც ყველაფერ დასავლურს, არც ფროიდის ფსიქოანალიზის მნიშვნელობასა და დანიშნულებას აღიარებდა. ასე რომ, საბჭოთა ადამიანი, როგორც საერთოდ ურელიგიო ადამიანი, მარტო დარჩა საკუთარ განცდებთან. თუ ლენინგარდის თეორიასაც გავიხსენებთ, პიროვნების აშლილობა განსაკუთრებით მაშინ არის გამძაფრებული, როდესაც მოზარდი პუბერტატის ასაკშია ან ცხოვრებაში რაიმე რადიკალურ ცვლილებასთან უწევს გამკლავება. ასეთი პრობლემა კი საბჭოთა სახელმწიფოს თაობებს არაერთი ჰქონდა. კიდევ ერთხელ რომ დავუბრუნდეთ ბაბუის, მამისა და შვილიშვილის ურთიერთობას და ბედისწერის გადაჯაჭვულობას, უნდა გავიხსენოთ, რომ პროლეტარიატის ბელადის, იოსებ სტალინის ხმამაღლა გამოთქმულმა დამოკიდებულებამ: „შვილი პასუხს არ აგებს მამების გამო“<sup>41</sup> (1935 წ. Сын за отца не отвечает. Слова Сталина) საბჭოთა ადამიანები მხოლოდ მამის დანაშაულზე კანონის წინაშე ვალდებულებისგან გაათავისუფლდა, თუმცა ვერ გაათავისუფლებდა სინდისის ქენჯნისა და შინაგანი განცდების სიმძიმისაგან, ვინაიდან ადამიანის ქვეცნობიერის ტვირთისგან გაათავისუფლება თვით „ყოვლისშემძლე პროლეტარიატის ბელადებსაც“ კი არ ძალუძო. ამ განცდებით გამოწვეულ ტრაგედიებზე საბჭოთა მედია მხოლოდ საბჭოთა კავშირის კოლაფსის წინ გაბედავს ხმის ამოღებას. მანამდე კი საბჭოთა პარტიული და ნომენკლატურული ელიტის დანაშაულებებზე მინიშნებაც კი სასიკვდილო საფრთხის შემცველი იყო.

<sup>41</sup>[www.bibliotekar.ru/encSlov/17/216.htm](http://www.bibliotekar.ru/encSlov/17/216.htm)

რაც შეეხება ევროპული პოსტმოდერნული სამყაროს ადამიანს, მას განცდებთან გამკლავებაში ფსიქოთერაპევტი დაპირდა დახმარებას. ვინაიდან ფსიქოთერაპია, რომელიც ძვირი და ხანგრძლივი პროცესი იყო, ვერ გახდა ისეთი მასობრივი, როგორც მასკულტურა და მედია, რელიგიის სხვა ბევრ ფუნქციასთან ერთად, ადამიანის სულიერ პრობლემებზე ზრუნვაც დასავლურმა მედიამ აიღო თავზე და ფრიად პოპულარული გახდა ამ მიმართულებით შექმნილი ტელე და რადიო პროექტები. ინტერაქტიულ რეჟიმში მაყურებლები და მსმენელები რეკავდნენ ტელე-რადიო ეთერებში და თავისი სულიერი ტანჯვის შესახებ ხმამაღლა საუბრობდნენ, რასაც გარკვეულწილად აღსარებისა და ფსიქოთერაპიული ზემოქმედების მაგვარი ეფექტი ჰქონდა. ასევე, სატელევიზიო ეთერები გადაავსო შოუებმა და გადაცემებმა, რომლებშიც ადამიანები ოჯახურ ძალადობასა და პირად ტრაგედიებზე ღიად აღაპარაკდნენ. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ოპრა უინფრის ძალზე პოპულარული შოუ, რომელშიც მოწვეულ სტუმართან საუბრისას წამყვანი ატირდა და საკუთარი ბავშვობიდან გაიხსენა, როგორ იყო თვითონაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი<sup>42</sup>. ამ გულწრფელობამ მას მაყურებელთა სიმპათია და სიყვარული, მის შოუს კი დიდი პოპულარობა მოუტანა.

ვიდრე სამაუწყებლო მედიაზე საუბარს განვაგრძობთ, დავუბრუნდეთ კინემატოგრაფს და გაგაანალიზოთ კიდევ ერთი პლასტი, რომელიც გამოიკვეთა ფილმში “მონანიება” და, რომელიც ასევე ფსიქონალიზთან არის დაკავშირებული. ტირანი ბაბუის (მამის მიერ დათრგუნული) შვილი კონფორმისტი გახდა, ხოლო შვილიშვილი – თვითმკვლელი. ფსიქონალიზის თეორიით ეს შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: ტირანი მშობელი თრგუნავს შვილის ქვეცნობიერ ლტოლვებს, რის გამოც შვილი ფრუსტრირებული ბენავი ხდება. ეს კი თავისთავად განსაზღვრავს მის კონფორმულობას. სამაგიეროდ, კონფორმული მამა, რომელიც ვერ ახერხებს შვილზე რაიმე სახის აღმზრდელობით ზემოქმედებას, თავისდაუნებურად უყურადღებოდ ჰყავს მიშვებული მოზარდი. სწორედ ეს განაპირობებს მოზარდისგან ემოციურად ლაბილური ეგოისტის, ლეონგარდი კლასიფიკაციით კი ისტერიული აქცენტუანტის ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მიდრეკილება თვითგანადგურებისკენ. ასე შეიძლება დახასიათდეს

<sup>42</sup><http://www.cosmo.ru/stars/biography/oprah-winfrey/>

ჰიპოკულტურის ადამიანთა საზოგადოება. ისტერიული აქცენტუანტისთვის უფრო ადვილია უყვარდეს მთელი სამყარო, ვიდრე პასუხისმგებლობა აიღოს ერთ კონკრეტულ საყვარელ ადამიანზე, საკუთარ შვილზეც კი, რაც ამ შვილს აგრესიულ ტირანად აყალიბებს. ეს მანკიერი ტრიადა თაობიდან თაობებში მეორდება. პიროვნების ბავშვობიდან ძალადობრივი დათრგუნვის გამო კონფორმისტად გაზრდის თემას ეხება ლეონარდო ბერტოლუჩი 1970 წელს გადაღებულ ფილმში – “კონფორმისტი” (იტალ. Il conformista)<sup>43</sup>. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ჟან-ლუი ტრენტინიანი, სტეფანია სანდრელი და სხვები. ეს იყო იტალიური, ფრანგული და გერმანული კინოკომპანიების ერთობლივი ნამუშევარი. ფილმი ფაშისტური რეჟიმის მორჩილი ძალადობისკენ მიდრეკილი ადამიანის მენტალიტეტის ერთგვარი ანალიზია. მთავარი გმირი მარჩელო კლერიცი მთელ ცხოვრებას სხვების გულის მოგებას ახმარს და იტალიის ფაშისტურ პარტიაში შედის, რათა ბრბოს შეერწყას და მისი ნაწილი გახდეს. ბერტოლუჩი თავის ფილმში იყენებს 1930-იანი წლების დეკორს, რომელიც ფაშისტურ მენტალიტეტთან და ეპოქასთან არის ასოცირებული: საშუალო კლასის საცხოვრებელ ბინებსა და მმართველი ელიტის უზარმაზარ დარბაზებს. ფილმმა კინოკრიტიკოსთა ხოტბა დაიმსახურა. 1971 წელს მას საუკეთესო იტალიური ფილმის წოდება მიენიჭა. თხრობის გართულებული სტრუქტურითა და ნოვატორული კინემატოგრაფიით "კონფორმისტმა" მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მსოფლიო კინემატოგრაფიის განვითარებაზე, გაუხსნა რა გზა ფსიქოლოგიური დრამების ახალ თაობას, როგორც იყო "ნათლიმამა" (1972) და "აპოკალიფსი დღეს" (1979)

ვინაიდან XX საუკუნის მეორე ნახევარში ფსიქონალიზი და ადამიანის სულიერ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება მსოფლიო კინემატოგრაფის მთავარი თემატიკა გახდა, კინოში ამ თემატიკის გაშუქების საკითხებზე მსჯელობისას აუცილებლად მივიჩნიეთ ფსიქიატრიული ტერმინების მოკლე განმარტება, ამისათვის კი საჭიროა გავიხსენოთ ავსტრიელი სოციალური ფსიქოლოგის, ერის ფრომის წიგნი “გაქცევა თავისუფლებიდან” და მასში გამოთქმული მოსაზრება, რომ ორგანული გარემოდან, ბუნებიდან ანუ თავისუფლებიდან ადამიანის კულტურული ცხოვრებისკენ გაქცევამ და მის მიერვე შექმნილმა ცივილიზაციამ ადამიანი ტყვედ აქცია. ადამიანის ფსიქიკა ვეღარ უძლებს მისივე შექმნილი ცივილიზაციის მიერ შეთავაზებულ,

<sup>43</sup>[https://en.wikipedia.org/wiki/The\\_Conformist\\_\(film\)](https://en.wikipedia.org/wiki/The_Conformist_(film))

ადამიანისათვის შეუფერებელ, არაბუნებრივ გარემოს, რომელთან შეგუების ხანგრძლივი ევოლუციური პროცესი ადამიანს არ გაუვლია, ამგვარ არაბუნებრივ რეალობაში ცხოვრება კი მისი პიროვნების ფსიქიკურ აშლილობას იწვევს.

ასევე მეტად მინიშვნელოვანია გერმანელი ფსიქიატრისა და ბავშვთა ფსიქოლოგის, კარლ ლეონგარდის თეორია აქცენტუირებული პიროვნებების შესახებ და მის მიერ შემოტანილი “აქცენტუირებული პიროვნებების” ცნება. ლეონგარდი, მოზარდების ფსიქოლოგიის შესწავლისას მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს პიროვნების გადახრა (აქცენტუირება) ნორმიდან პათოლოგიისკენ, რომელიც არ აღწევს პიროვნების აშლილობის ზღვარს, თუმცა წანაცვლებულია რომელიმე პათოლოგიის მიმართულებით. შესაბამისად, არის არა პათოლოგია, არამედ ნორმის ფარგლებში პიროვნების აქცენტუირება ხასიათის რომელიმე პათოლოგიის მიმართულებით. სწორედ ამ მიზეზით, პიროვნების აქცენტუაციების დასახასიათებლად, ლეონგარდმა ფსიქიატრიაში დამკვიდრებული ტერმინოლოგია გამოიყენა, ოღონდ იმ დათქმით, რომ აქცენტუაცია ნორმაა და არა პათოლოგია. ლეონგარდის მიერ შედგენილი კითხვარით ჩატარებულმა კვლევებმა ბრიტანეთის მათემატიკურ და სახელოვნებო სასწავლებლების მოსწავლეთა 80%-ში, ამა თუ იმ მიმართულებით, პიროვნების აქცენტუირება გამოავლინა. ზოგ შემთხვევაში ეს შედეგი 100%-საც აღწევდა. ეს გასაგებიცაა. როგორც ლეონგარდმა დაადგინა, აქცენტუაცია განსაკუთრებით ავლენს თავს მოზარდ და გარდატეხის ასაკებში, როდესაც პიროვნება და მისი ხასიათი ჯერ არ არის ფორმირებული და ადაპტირებული გარე სამყაროსთან. ამას გარდა, ლეონგარდის მიხედვით, აქცენტუაცია ის აქილევსის ქუსლია, რომელიც განსაკუთრებით მოწყვლადია, როდესაც პიროვნების საარსებო გარემო რადიკალურად იცვლება. ეს კარგად ჩანს მოზარდებში, როდესაც იცვლიან სასწავლებელს და უჭირთ ახალ გარემოსთან ადაპტირება. ისინი იკეტებიან საკუთარ თავში, ხშირად თავს ავლენენ, როგორც შიზოიდური აქცენტუანტები.

თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში ასხვავებენ პიპერთიმური ანუ აფექტურ-აღგზნებადი (კომპულსიური), ლაბილური, შფოთიანი, ემოციური და პედანტური, ასევე რიგიდულ-აღგზნებადი და დემონსტრაციულ-ისტეროიდული აქცენტუანტების ტიპებს. აქცენტუირებული პიროვნებათა რიცხვის ზრდა პოპულაციაში კვალს ასვამს

კულტურისა და საზოგადოების საერთო მდგომარეობასაც. სწორედ ცვლილებებმა მოიტანა დასავლური კულტურის საზოგადოებებში ნევროტული, ანუ შფოთიანი და შიშებისაკენ მიდრეკილი აქცენტუირებული პიროვნებათა მატება, რაც აისახა კიდევ კინოსა და მედიაკულტურაში. თუ ამას დავამატებთ, იმ პერიოდში მოდაში შემოსულ, ფროიდის ფსიქიანალიზის თეორიას, რომელიც მან აღწერა თავის წიგნში “სიზმრების განმარტება”, გასაგები იქნება თემატიკა, რომელმაც მოიცვა ევროპული ინტელექტუალური კინემატოგრაფი.

რაც შეეხება ფილმს – “მონანიება”: მისი გაანალიზებისას საჭიროდ მივიჩნეთ კიდევ ერთი პლასტზე გაგვემახვილებინა ყურადღება, რომელიც ძალზე მკაფიოა ამ ფილმში. ეს არის მამათა და შვილთა ბედისწერის ფატალურად გადაჭდობა ისტორიასა და კულტურაში, რომელსაც ჯერ კიდევ ლაოკონის მეტაფორა ასახავდა და აქტუალურია არა მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის, არამედ როგორც სტენლი მილგრემის ექსპერიმენტმა (ჩვეულებრივი ადამიანის მიდრეკილების შესახებ ავტორიტეტისადმი მორჩილებისკენ)<sup>44</sup> დაადასტურა, მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის. თენგიზ აბულაძის “მონანიების” ამ დამატებით პლასტში იგულისხმება სამი თაობის ბედისწერა: ტირან მამას მისი გაზრდილი კონფორმისტი შვილი თვითმკვლელ შვილიშვილს უზრდის. თაობათა მონაცვლეობის ეს ტრაგიკული ტრიადა ქრისტიანული მორალის უარყოფიდან სულ მალე გადაიქცა ცივილიზებული სამყაროს წყევლად. ჰიტლერს დამორჩილებული კონფორმისტთა შვილებს შორისაც ძალზე მაღალია თვითმკვლევების რიცხვი. დამორჩილებულმა გერმანელმა კონფორმისტებმა დემონსტრაციული ისტერიოიდი აქცენტუანტების თაობა აღზარდეს. ნარკოტიკები და თვითმკვლელობა დღევანდელი მსოფლიოს კულტურის თანმდევი პრობლემაა. ამერიკელი კონფორმისტების გაზრდილი დემონსტრაციული აქცენტუანტების ჰიპების თაობა, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს ვიეტნამის ომის დასრულებასა და ამერიკულ საზოგადოებაში ძალადობის მიუღებლობის კულტურულ პრიორიტეტად ჩამოყალიბებაში, ასევე გამოირჩეოდა სუიციდისადმი გამოხატული მიდრეკილებითა და ფსიქოდელიური ნარკოტიკების სიყვარულით. ამ მოვლენების ფესვები კვლავ

<sup>44</sup><http://www.simplypsychology.org/milgram.html>

პოსტმოდერნისტული საზოგადოების კულტურულ პრობლემებში უნდა ვეძებოთ.

აქცენტუირებული პიროვნების პრობლემების გასაშუქებლად ადგილი გამონახა მედიამაც და სულ მალე, პიროვნების სულიერი განცდების დრამატულმა თემებმა დაიპყრო ელექტრონული მედია, ანუ ტელე-რადიო ეთერი. ასე იწყებოდა ბრძოლა გამოსატყვის თავისუფლების მისაღწევად, რომელსაც პირველ ეტაპზე პიროვნების მენტალური თავისუფლების მიღწევა ჰქონდა მიზნად და პოლიტიკური თავისუფლება ამ პროცესის მხოლოდ თანმდევი იყო. ამიტომ არის დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ტაბუდადებულ თემებზე ტაბუს მოხსნის მიღწევა ასეთი აქტუალური და მოთხოვნადი. გაზრდილია აუდიტორიის ინტერესი ე.წ. “ყვითელ გადაცემებზე”. ეპითეტი “ყვითელი” მხოლოდ ნაწილობრივ ახასიათებს მოვლენის არსს. ბულვარული “ყვითელი პრესის” მთავარი მახასიათებელი სიზუსტის არარსებობაა, ანუ ჭორები, რომელსაც იგი აქვეყნებდა და ყიდდა, ხშირად არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ხოლო საქართველოში, დღეს “ყვითელს” უწოდებენ ისეთ მედიაპროექტებს, რომელშიც ადამიანები ღიად საუბრობენ აქამდე აკრძალულ, ინტიმურ თემებზე და ბედავენ იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან. ეს ხომ პოსტმოდერნულ სამყაროში არსებობის მთავარი მოთხოვნაა. ესაა ამგვარი აღიარებების მოსმენის მიმართ აუდიტორიის მაღალი ინტერესის მიზეზიც. ადამიანებს აქვთ სურვილი აღმოაჩინონ, რომ სხვებიც ისევე იტანჯებიან ტრადიციული მორალით ტაბუირებული, უკონტროლო ქვეცნობიერის გავლენით და ამავედოულად აკრძალული სურვილების სახით ზედაპირზე ამოტანილი, მოუთოკავი მისწრაფებებით, როგორც ისინი. ასეთ თემებზე საჯაროდ საუბრის შესაძლებლობა კი მათ ათავისუფლებს ამგვარი ტანჯვისაგან ანუ მორალისაგან, რომელიც დისფუნქციური გახდა ქრისტიანულ ღირებულებებზე უარის თქმის შემდგომ და მულტიკულტურულ საზოგადოებაში განსხვავებული რელიგიებისა და ტრადიციების თანაარსებობის პირობებში. თუმცა, დღევანდელ სამყაროში ტრადიციული ყოფითი მორალის სახით ქრისტიანული და სხვა ძველი კულტურების მორალი შენარჩუნებულია, ამიტომ მისი დარღვევა ან დარღვევის სურვილი ადამიანში სინდისის ქენჯნასა და მასთან დაკავშირებულ სულიერ განცდებს იწვევს. ამ ტანჯვის დაძლევაში ადრე ადამიანს ეკლესია ეხმარებოდა, ახლა კი – მედიაში ნათქვამი საჯარო

აღსარება, ან მისი მოსმენა. ზემოთაღწერილი მიზეზის გარდა, ორ მსოფლიო და ვიეტნამის ომგამოვლილ თაობებისათვის, რომელთაც მოუშუშებელი ჰქონდათ მაღალტექნოლოგიური ომის მთელი სისასტიკით მიყენებული ჭრილობები, კანონზომიერია, რომ პოპულარული გახდა გადაცემები, რომლებშიც ადამიანების ფარულ ვნებებსა და განცდებზე, მათ საიდუმლო ცხოვრებაზე იყო საუბარი. საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 70-წლიანი იზოლაციის გამო ეს ტენდენციები შედარებით გვიან გაჩნდა. ამიტომაც, მენტალური ცვლილებებისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხები დღემდე აქტუალურია ქართული მედია-კულტურისათვის.

#### 4.6 ახალი ქართული მედია და კულტურა “მონანიებიდან” “სიმინდის კუნძულამდე”

სწორედ დანარჩენ სამყაროსთან პოლიტიკურ და კულტურულ იზოლაციაში მოქცევისა და საბჭოთა სახელმწიფოდ არსებობის პერიოდში ისტორიული წყვეტის გამო, თითოეულ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყანას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოუწია ისტორიულ-კულტურული პროცესი ანუ გზა კაცობრიობის დანარჩენ დემოკრატიული მმართველობის ქვეყნებთან დასაახლოებლად. ეს გზა ძალზე მოკლე დროში უნდა გაეგლო, რათა გამკლავებოდა ეკონომიკურ და მენტალურ პრობლემებს, გადასულიყო ტოტალიტარული მმართველობიდან დემოკრატიულ მართვაზე და სოციალისტური ეკონომიკიდან კაპიტალისტურ ეკონომიკაზე; სწრაფად მოენახა საკუთარი ადგილი სამყაროს ახალ წესრიგში, რათა ორგანულად ჩაწერილიყო იმ განვითარების ლოგიკაში, რომელიც თითოეულმა სახელმწიფომ და საზოგადოებამ აირჩია. არც ეს არჩევანი აღმოჩნდა იოლი. საქართველოს მაგალითზე რომ ვთქვათ, კულტურული განვითარების ევროპული კურსის არჩევას თან ახლდა ისტორიული განვითარებისათვის რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, რაც ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის რღვევად და ტრაგიკულ კონფლიქტებად დაუჯდა. თანაც, ეს არჩევანი არ ნიშნავდა მხოლოდ ისტორიული განვითარებისა და კაპიტალისტური ურთიერთობების წესის არჩევას, იგი მოითხოვდა სოციალისტური სამყაროს ადამიანისაგან პოსტმოდერნისტული

სამყაროს ადამიანის მენტალიტეტზე გადასვლის რთული გზის თავიდან გაველას, ყველა იმ ტრაგიკული სირთულეების გაზიარებით, რაც დასავლურმა სამყარომ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, გაიარა და გადაიტანა. მენტალური სხვაობისა და ღირებულებათა გადაფასების რთულ პროცესს დრამატული მოვლენები ახლდა თან.

XXI საუკუნის ქართულ მედიაში ჯერ კიდევ მეტად აქტუალურია ოჯახური ძალადობისა და არატრადიციულ უმცირესობათა უფლებების აგრესიულად დარღვევის თემები. მოძველებური პატრიარქალური დამოკიდებულებები ოჯახში დისფუნქციური გახდა ახალი სამყაროს ადამიანის აღზრდისთვის. სახადი, რომელიც დასავლეთმა უკვე მოიხადა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დავძლიეთ. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ იმ ისტორიულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ პრობლემებზე და მიზეზებზე საუბარი, რაც მედიაში ასეთი თემების წილის გაზრდას და საზოგადოებაში ამ თემების გააქტუალურებას ახლავს თან, ვინაიდან სოციალური ცვლილებების განხორციელება შედარებით მოკლე დროშია შესაძლებელი, განსხვავებით მენტალური ცვლილებებისგან.

თენგიზ აბულაძის „მონანიების“ პირდაპირი მინიშნებებისგან განსხვავებით, რომელშიც ფილმის მთავარი გმირი ფიზიკურადაც კი ჩამოჰგავდა ლავრენტი ბერიას, რეჟისორ ელდარ შენგელაიას ფილმი “ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი” (1984 წ) ერთი კონკრეტული ორგანიზაციის – გამომცემლობის მაგალითის განზოგადებით გვიხატავს მოსალოდნელი კოლაფსის სურათს. ამ გამომცემლობაში შექმნილი სიტუაცია გვინგვენებს, თუ როგორ ამოწურა თავი საბჭოთა ბიუროკრატიულმა სისტემამ და მასში მომუშავე ადამიანებიც მხოლოდ საქმიანობის ილუზიის შექმნით არიან დაკავებულები, რეალურად კი აფერხებენ შემოქმედის ნაშრომის რეალიზაციას. ფილმის ფინალში ინგრევა შენობა ანუ საბჭოთა კავშირი, რომლის დანგრევის საფრთხეს მხოლოდ ერთი კომიკური პერსონაჟი (მარკშეიდერი) ხედავს, თუმცა მის შეშფოთებას ყურადღებას არავინ აქცევს და მონდომებით განაგრძობენ ფუჭ საქმიანობას.

რღვევის წინაშე მყოფი საბჭოთა სახელმწიფოს მოსახლეობა ჯერ ოფიციალურად გამოცხადებული გარდაქმნების, “პერესტროიკის”, “გლასნოსტისა” და ახლებური პოლიტიკური გამოწვევების გამო იყო გაურკვეველობაში და კარგავდა სოციალურ ფუნქციებს, ხოლო შემდგომ –

საერთოდ ახლებური გეოპოლიტიკური სიტუაციის შედეგად იძულებული შეიქმნა მორგებოდა სრულიად ახალ, სოციალურ ურთიერთობებსა და ეკონომიკურ გარემოს. ეს ყოველივე, როგორც აღვნიშნე, ეკონომიკურის გარდა, მენტალურ პრობლემებთანაც იყო დაკავშირებული, ამიტომ არ აღმოჩნდა ადვილად მისაღწევი. აქვე უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომიდან ცივი ომის ეტაპზე გადავიდა და მისი პროპაგანდისტული მანქანა (რასაკვირველია მედიის მონაწილეობით), დასავლური სამყაროსა და განსაკუთრებით კი ამერიკისაგან, დიდი მონღოლებით ქმნიდა მტრის ხატს, ვინაიდან ასე უფრო იოლი იყო ამერიკული აგრესიის მიმართ მუდმივი შიშის მოტივით გაეერთიანებინა განსხვავებული ეროვნების, რწმენისა და მენტალობის ადამიანები და საერთო საფრთხის წინააღმდეგ მობილიზებული ჰყოლოდა (ამ პოლიტიკას რუსეთის სახელმწიფო დღესაც განაგრძობს და ცდილობს ევროატლანტიკური ერთობის საპირწონედ შექმნას მეორე პოლუსი – ევროაზიური კავშირი). შესაბამისად, დასავლეთისადმი უნდობლობა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ახალი სამყაროს პოსტსაბჭოთა ნაწილის მოსახლეობასაც ახასიათებდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ინტელიგენციაც და პოლიტელიტაც მონღოლებით ცდილობდა შეიღებისათვის ინგლისური ენა ესწავლებინა და ანგლოსაქსური კულტურისათვის ეზიარებინა, ამიტომ შეიღების თაობა უფრო უშიშრად შეხვდა ახალ ანგლოსაქსურ კულტურულ გლობალიზაციას, მაშინ როდესაც უფროსი თაობა რუსულ ენობრივ სივრცეში დარჩა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მათი შიში გლობალიზაციის მიმართ. იზოლირებულ სამყაროში მცხოვრები ერების ელიტა, რომლებიც ერთი საუკუნისა და მეტის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიულ მისწრაფებას, მოეხდინა მათი ასიმილაცია ეროვნული თვითმყოფადობის მხოლოდ ფორმალურად შენარჩუნების, რეალურად კი მოსპობის ხარჯზე, ასიმილაციის პროცესის წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავდა საკუთარ დანიშნულებას. გასაგებია, რომ ისინი შიშითა და ეჭვით შეხვდნენ ახალ სამყაროსთან შერწყმის პროცესსაც და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამას აღიქვამდნენ დამღუპველ კულტურულ ექსპანსიად.

საჭირო გახდა შექმნილიყო სრულიად განსხვავებული მედია, რომელიც ტოტალური ცენზურის პირობებიდან პლურალისტური მედიის პრინციპების აღიარებაზე გადავიდოდა. ყოფილი საბჭოური პროპაგანდისტული

მედიისათვის ეს სერიოზული გამოწვევა იყო. ახლებური ჟურნალისტიკის ათვისებასა და გააზრებაში, ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში, ძველი პროფესიონალების გამოცდილება გამოუსადეგარი გახდა. უფროსი თაობის “მონანიება” ახალმა თაობამ საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია, მათი ახალ სამყაროში მყისიერი ინტეგრირებისათვის და აგრესიულად დაუპირისპირდა საბჭოური სახელმწიფოს კულტურულ ელიტას. საბჭოთა ხანაში აღზრდილ მშობლების თაობას გაუჭირდა მენტალურადაც. მათი მორალი და ღირსეული ქცევის კოდექსი დისფუნქციური გახდა ახალ პოსტმოდერნულ რეალობაში. ახალი ცხოვრების წესსა და ტექნოლოგიებს საშუალო ასაკის თაობის უდიდესმა ნაწილმა ალღო ვერ აუღო და სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. ამან ისინი აქტიური სოციალური ცხოვრების პროცესის მიღმა დატოვა. მათმა დიდმა ნაწილმა ე.წ. “ტრადიციის დამცველის პოზაში” მიაგნო ახალ სოციალურ ფუნქციას. ამას დაემატა ტრადიციული საბჭოური ეკონომიკურ-ტექნიკური და კულტურული კავშირების მოშლაც, რამაც ისეთი ქვეყნები, რომლებსაც მსოფლიო ბაზრისათვის შესათავაზებლად ვარგისი ბუნებრივი რესურსი არ გააჩნდა, უკიდურეს სიღატაკეში ჩააგდო. მოიშალა ინფრასტრუქტურა, რასაც დაემატა პოლიტიკური კომპონენტი – იმპერიის დროიდან დათრგუნული სეპარატისტული მისწრაფებებიც მთელი სისასტიკით ამუშავდა. თავისუფლების მოპოვებისთანავე თითქმის მთელი პოსტსაბჭოეთი სისხლიან კონფლიქტებში ჩაიძირა. საერთო რეინტეგრაციის სულისკვეთების პროცესის შეჩერება არ გამოდგა ადვილი. მულტიეთნიკურ სახელმწიფოებში მცხოვრები ეთნოსებიც შეუერთდნენ დეზინტეგრაციის პროცესს და სეპარატისტული მოძრაობები წამოიწყეს. საქართველოში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი ტერიტორიული მთლიანობის დამცველებსა და სეპარატისტებს შორის. სამხედრო კონფლიქტის პერიოდში მუსიკალური გადაცემების, კონცერტებისა და ა.შ. ტელეეთერში გაშვება დანაშაულებრივ გულგრილობად და საომარი სიტუაციისთვის შეუფერებელ საქციელად იქნა მიჩნეული. ეროვნული ინტელექტუალური ელიტა, რომელსაც იმ პერიოდის პოლიტიკური და არაპოლიტიკური გადაცემების ეთერი მთლიანად ჰქონდათ ათვისებული, ე.წ. ისტორიული სამართლიანობის გარკვევის პროცესში ჩაერთო, რის გამოც რეინტეგრაციისა და ნაციონალური იდენტობების თემებზე საუბრებით, კიდევ უფრო აღრმავებდნენ და ზედაპირზე ამოჰქონდათ სიდრმისეული კონფლიქტები. ამას ემატებოდა სათავეებში პოლიტიკურ

მართვაში გამოუცდელი, ყოფილი დისიდენტი ლიდერების მოსვლა (დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის გამოცდილების ქონა თითქმის შეუძლებელი იყო, ვინაიდან თაობას წარსულში არ გააჩნდა დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შეთვისებისა და გამოცდილების შექმნის ასპარეზი). ამ ყოველივემ გამოიწვია პროცესები, რომელსაც საკმაოდ მტკივნეული ხასიათი ჰქონდა.

საზოგადოების ნდობა სახელმწიფო ტელევიზიისა და არსებული ჟურნალისტური კორპუსის მიმართ საგრძნობლად შეირყა. განხეთქილება გაჩნდა საზოგადოებაში ომის მონაწილეთა და იმათ შორის, ვინც საბრძოლველად არ წასულა. ამგვარ საკითხებზე სატელევიზიო ეთერებში ღია მსჯელობა კიდევ უფრო მეტად აპირისპირებდა საზოგადოებას. სწორედ იმ პერიოდში გაჩნდა ტერმინი “წითელი ინტელიგენცია”, რითიც საზოგადოების ერთი ნაწილი (ყოფილი დისიდენტები და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები) მოიხსენიებდნენ საბჭოთა პერიოდში მოღვაწე კულტურის მუშაკებს. სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ ასეთი წარსულის ადამიანთა ერთმა ნაწილმა კენჭი იყარა და საქართველოს პარლამენტში მოხვდა. პარლამენტის თავმჯდომარე იმ პერიოდში სახელმწიფოს თავდაცვის საბჭოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე იყო. ეს დაპირისპირება არ განელებულა “ვარდების რევოლუციის” (2003 წ.) შემდგომაც, როდესაც ედუარდ შევარდნაძე ახალგაზრდა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა შეცვალა.

საქართველოს იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია კარგად ხვდებოდა საბჭოთა პერიოდის ინტელიგენციის საზოგადოებრივი გავლენის მნიშვნელობას და სახელოვნებო ელიტის დანიშნულებას, მაგრამ პრემიერ-მინისტრის მოულოდნელი გარდაცვალების შემდგომ, სააკაშვილმა გადაწყვიტა ახალი თაობის წიაღში მოექებნა თავისი დასაყრდენი ინტელექტუალური ელიტა და მათი შემოკრება იმ ახალგაზრდა მწერლებსა და მუსიკოსთა შორის დაიწყო, რომლებიც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ჩამოყალიბდნენ, როგორც პროფესიონალები და მხარს უჭერდნენ “ვარდების რევოლუციას”.

ამერიკული პოლიტიკური სკოლის წარმომადგენელი სკოენი წერს, რომ არც ერთი პოლიტიკური სისტემა არც ერთ ქვეყანაში არ იქნება სტაბილური, თუ იგი არ დაბადებულია იმ ქვეყანაში, როგორც საკუთარი

პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი<sup>45</sup>. ამ გამონათქვამის მცირე პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, ვერც კულტურული ღირებულებები იქნება სტაბილური, ვიდრე იგი არ იპოვის თავის ადგილს ერის ტრადიციულ კულტურასა და ტრადიციული ღირებულებების თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად, საერთო სამოქალაქო კონსენსუსის მიხედვით რეფორმირებულ სისტემაში. ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კულტურული ღირებულებების პირდაპირი ექსპორტის განხორციელებაც ადაპტაციის წინააღმდეგობრივი გზის გავლის გარეშე, შეუძლებელია. ეს ღირებულებები უნდა მიიღოს საზოგადოებამ და ყველა სიახლე მისთვის ბუნებრივი უნდა გახდეს იმ წინააღმდეგობებისა და ძველის და ახლის დაპირისპირების გადალახვის შემდეგ, რომელსაც ერი თავად გაივლის. ამიტომ, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის მონდომებული მცდელობები – რელიგიური და სხვა უმცირესობების მიმართ ტოლერანტული იყოს საზოგადოება, მხოლოდ მას შემდეგ მიიღწევა, როდესაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციულ ღირებულებებს მორგებული საზოგადოება გათავისუფლდება ახალი გლობალური სამყაროს გამოწვევების მიმართ ქსენოფობიისაგან, ანუ სიახლისა და რეფორმაციის მიმართ თავისი შიშნარევი დამოკიდებულებისაგან ემოციური და მოტივაციური გათავისუფლების შემდეგ.

მამათა და შვილთა დაპირისპირებამ ტელეეთერებშიც გადაინაცვლა. თავის მხრივ, უფროსი თაობა ეროვნული იდენტობის დამცველისა და მორალისტის პოზიციებიდან კიცხავდა ახალი თაობის აქტივობებს, რომლებიც მიმართული იყვნენ დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციისკენ. ამ სიტუაციით კარგად ისარგებლა მეზობელმა სახელმწიფომ, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური ინტერესი ამოძრავებდა და საქართველოში თავისი პოზიციის გასამყარებლად სარწმუნოებრივი ერთობის გამოყენება სცადა, რამაც ლიბერალური ღირებულებების მომხრე საზოგადოება ქართული ეკლესიის წინააღმდეგაც განაწყო.

დაპირისპირება მძაფრად გამწვავდა “ვარდების რევოლუციით” მოსული და პროდასავლური ორიენტაციის დეკლარირებით თავის დამკვიდრების

<sup>45</sup>Актуальные проблемы современной зарубежной политической науки. — М., 1990. — გვ. 10. 115

მოსურნე ახალგაზრდა რეფორმატორი ხელისუფლების პირობებში, მას შემდეგ რაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთელი ქართული საბჭოთა პერიოდის კულტურის მოღვაწეები “ჩარეცხილებად” გამოაცხადა. ეს ტერმინი შემდგომში მრავალჯერ გახდა მწვავე დისკუსიის მიზეზი არაერთ ტოკ-შოუში, რომლებშიც ძველი და ახალი თაობის კულტურის მოღვაწეები ერთმანეთს ეპაექრობდნენ. ამან და თანდართულმა ეკონომიკურმა კრიზისმა აგრესიული ეიჯიზმის აყვავება გამოიწვია. ცხადია, რომ ახალგაზრდები უფრო იაღლიანად და სწრაფად ითვისებდნენ მათი მშობლების თაობისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელმიუწვდომელ (ქვეყნის კარჩაკეტილი პოლიტიკის გამო) სრულიად ახალ, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და ბიზნესში ახლებურ ეკონომიკურ დამოკიდებულებებს.

საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა, მაუწყებელთა გაერთიანებებმა, ჟურნალისტურმა პროფესიულმა კავშირებმა და სხვა გაერთიანებებმა დროის მოკლე ხანში გაიარეს დანარჩენ მსოფლიოსთან კულტურული ინტეგრაციის გზა. პოსტმოდერნისტული მსოფლმხედველობა, განსხვავებული კულტურებისა და სუბკულტურების თანაარსებობა, დემოკრატიულ ღირებულებათა გააზრება, სახელმწიფოს სეკულარული მოწყობის პრინციპის გათვალისწინება, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობაში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მსოფლიოში აღიარებული პრინციპების, ტრადიციული შეხედულებებისა და განწყობების ახალ გარემოსთან ადაპტირება და ა.შ. – ამ საკითხებზე დისკუსიას ქართულ საზოგადოებაში უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. პროცესი დღესაც გრძელდება.

ასეთ დრამატულ პირობებში დაიბადა ახალი ქართული ელექტრონული მედია – ტელევიზია, ახლებური რადიომაუწყებლობა და სრულიად ახლებური კინემატოგრაფი, რომლებიც ახალი, მათთვის აქამდე უცხო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. კინემატოგრაფს უნდა მოეპებნა კერძო დაფინანსების წყაროები, რათა შეძლებოდა მუშაობა.

შემთხვევითი არც ის არის, რომ ახალი ქართული კინემატოგრაფის თემები ხშირად შეეხებოდა დამოუკიდებლობის პირველივე წლებში საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში გაჩაღებულ სამხედრო კონფლიქტებს მაგ. ო. იოსელიანის “ყაჩაღები”, თავი VII” (1997 წ.), რომლის გადასაღებად ქართული წარმოშობის ფრანგმა რეჟისორმა დაფინანსება საფრანგეთსა და რუსეთში მოიძია; ლ. თუთბერიძის “მოგზაურობა ყარაბაღში” (2005 წ.)

სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის ზონაში შემთხვევით მოხვედრილი ქართველების შესახებ გვიამბობს.

“მანდარინები” (რეჟისორი ზაზა ურუშაძე, გადაღებულია 2013 წ.) ესტონეთისა და საქართველოს ერთობლივი პროექტია. მიუხედავად იმისა, რომ ფილმში ომის ბატალური სცენები არ არის, სიუჟეტი აფხაზეთის ომის პერიოდს ასახავს და აფხაზეთში მცხოვრები ესტონელების შესახებ გვიამბობს, რომლებმაც ომის დროს, საკუთარი სურვილით, აფხაზეთში დარჩენა არჩიეს. ქართველებსა და ჩეჩნებს შორის მომხდარი შეტაკების შემდეგ, ერთ-ერთი ესტონელი სახლში შეიფარებს სიკვდილის პირას მყოფ ერთმანეთის მტრებს: დაჭრილ ქართველ მოხალისეს და დაქირავებულ ჩეჩენ “ბოვეიკს”. აღმოჩნდება, რომ ესტონელის შვილი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. ფილმი ესტონეთის სახელით პრემია “ოსკარის” ნომინანტებს შორის მოხვდა და მას მთელი საქართველო გულშემატკივრობდა, თუმცა პრიზი არ მიუღია.

ამერიკული კინოაკადემიის და ევროპული ოქროს გლობუსის ორგანიზატორთა ყურადღება მიიქცია 2014 წ. გადაღებულმა ფილმმა “სიმინდის კუნძული”. ფილმი კვლავ აფხაზურ-ქართული კონფლიქტის პერიოდს ეხება და არაერთი ჯილდო დაიმსახურა. კარლოვი-ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე მოიპოვა გრან-პრი „ბროლის გლობუსი“, სან-მარინოს საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღო პრიზი საუკეთესო მსახიობი ქალისთვის და პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის, მონპელიეს საერთაშორისო კინოფესტივალზე – მთავარი პრიზი „ოქროს ანტიგონე“, ასევე კრიტიკის პრიზი, პრიზი საუკეთესო მუსიკისთვის, მაყურებლის პრიზი. საქართველოს მიერ წარდგენილი იყო ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოს ნომინაციაზე უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში, თუმცა ვერ გაიმარჯვა.

ფილმში მოქმედება 2008 წელს ვითარდება. ბიუჯეტი 1,5 მილიონ ევროს შეადგენს და იგი ექვსი ქვეყნის: საქართველოს, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, ყაზახეთისა და უნგრეთის ერთობლივი პროდუქციაა. ასე დაუბრუნა ქართულ კულტურას ომის ტკივილის ხელახალმა გააზრებამ თითქმის გამქრალი და დაკარგული კინემატოგრაფი. ისიც საგულისხმოა, რომ „სიმინდის კუნძული“ ქართველი პოლიტიკოსების ერთი ნაწილის მხრიდან შეფასდა, როგორც ქართული ტრადიციული მორალის შეურაცხყოფა. პარლამენტში, დახურულ ჩვენებაზე ნანახი ფილმი, დეკლარაციებმა

პარლამენტის დერეფანშივე ხმამაღლა გააპროტესტეს და რეჟისორს შენიშვნა მისცეს ძველი საბჭოთა ცენზურის ტრადიციის სტილში, როდესაც ახალ ფილმებს ჯერ პარტიული ელიტა აფასებდა და მხოლოდ შემდეგ ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგომის უფლება ეძლეოდა. დამოუკიდებელ საქართველოში პარლამენტარების ნაწილის ამ პროტესტმა ფილმს ხელი ვერ შეუშალა, პირიქით, მან ქართული ტელემედიის ყურადღებაც მიიქცია. დეპუტატებიდან ყველაზე უკმაყოფილო გია ვოლსკი აღმოჩნდა, რომელიც მხატვრულ ფილმში „არასრულწლოვნის სექსუალობის ხაზგასმამ“ გააღიზიანა. ფილმის ჩვენებას ასევე ესწრებოდნენ მმართველი გუნდის, აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები. აფხაზეთის მთავრობის და უმაღლესი საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ ფილმში აფხაზეთის პრობლემა არასწორად არის დანახული, ქართველი კაცის სახე კი უარყოფითად არის წარმოდგენილი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, გია გვახავამ ფილმში პედოფილიის ნიშნებიც დაინახა მაშინ, როცა მთავარ გმირს ნავში მსხდომი ქართველი მებრძოლენი შეამჩნევენ და მისით მოიხიბლებიან.

ფილმში მოქმედება მდინარე ენგურზე, გაზაფხულის წვიმების შედეგად წარმოქმნილ პატარა კუნძულზე ვითარდება, სადაც გლეხები გაზაფხულის წყალდიდობის შემდეგ წარმოქმნილ კუნძულებზე სიმინდის მოსაყვანად ნოყიერი ნიადაგის მოძებნას ცდილობენ. ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის საზღვარზე, მდინარე ენგურის მიერ შექმნილ პატარა კუნძულზე, მოხუცი აფხაზი სახლდება თავის მოზარდ შვილიშვილთან ერთად, ფიცრულ ქოხს ააშენებს და სიმინდი მოჰყავს. თავად რეჟისორი ამბობს, რომ ეს არის საქართველოს უახლესი წარსულის კინოთი გაცოცხლება და ამ თემაზე კიდევ აპირებს ფილმის გადაღებას. ცხადია, რომ ამ სასტიკი კონფლიქტის ჭრილობების მოშუშებას და თავიდან გააზრებას კიდევ არერთხელ დაუთმობს ყურადღებას ახალი ქართული კინემატოგრაფი, ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომის თემაზე შეიქმნა არაერთი შედეგური და გადაფასდა ევროპის დამოკიდებულება სამხედრო ძალით პრობლემების გადაწყვეტისადმი, ხოლო ამერიკაში იგივე გზა გაიარა ვიეტნამის ომის თავიდან გაზრებამ და არაერთი ინტელექტუალური ფილმიც შეიქმნა (მაგ. ფრენსის კოპოლას “ჩვენი დღეების აპოკალიფსი”) ომის რომანტიკის შესახებ გადაღებული მასკულტურული პროდუქტის საპირწონედ. ომის თემა აქტუალურია და სერიოზულ

შემოქმედებად იქცა ახალ აზიურ კინემატოგრაფშიც. ამის მაგალითია სამი ქვეყნის ერთობლივი პროექტი: ირანულ-ფრანგულ-ერაყული ფილმი “კუსაც შეუძლია ფრენა” (2004წ.) ფილმში მოქმედება ლტოლვილთა ბანაკში ვითარდება. გმირები – ომის საშინელებას გამოქცეული ბავშვები არიან, რომელთა ცხოვრებას ომმა სასტიკი კვალი დაატყო. ამ ფილმის ნახვის შემდგომ გასაკვირი არ უნდა მოგეჩვენოთ მოსაზრება, რომ კულტურაში ყველაზე ღირებული ტკივილების გააზრებისა და მოშუშების პროცესში იქმნება.

#### 4.7 ქართული სამაუწყებლო მედია საქ.ტელე-რადიოკომიტეტიდან სოციალურ ქსელებამდე

ელექტრონულ მედიას თავად უნდა მოეპოვებინა სარედაქციო დამოუკიდებლობა იმ პირობებში, როდესაც ტელე-რადიოკომპანიების ინტერესი ძირითადად პოლიტიკური იყო და არა კომერციული. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტი განცალკევებული რედაქციების პრინციპით მუშაობდა. ცალკე არსებობდა კულტურის, ახალგაზრდულ გადაცემათა, საბავშვო, თეატრალური, მუსიკალური, ხალხური შემოქმედების რედაქციები და ა.შ. ცალკე არსებობდა საქართველოს ტელევიზიების სტუდიაც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მაღალი ხარისხის პროდუქციას ქმნიდნენ, შეზღუდული შემოქმედებითი თავისუფლების გამო, ყველგან, განსაკუთრებით კი საინფორმაციო-პოლიტიკური მიმართულების გადაცემების მიმართ, აუდიტორიის ნდობა სტაბილურად დაბალი რჩებოდა.

კერძო ტელემაუწყებლების ბაზარზე გამოჩენამ დღის წესრიგში დააყენა მცირერიცხოვანი საშტატო შემადგენლობით მომუშავე ტელევიზიის მოდელი და პირველ არხზეც რამდენიმე რეორგანიზაცია ჩატარდა უფრო მოქნილი და მობილური სტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლობისათვის შემეცნებით პროდუქტსაც მოამზადებდა და საინფორმაციო გამოშვებითაც გავიდოდა ეთერში. ამ პროცესმა შემცირებული და უმუშევრად დარჩენილი სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი თანამშრომლების მძიმე განცდები და მღელვარება გამოიწვია.

მას შემდეგ, რაც მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, 2004 წელს სახელმწიფო ტელევიზია საზოგადოებრივ მაუწყებლად იქცა. რაც შეეხება კერძო მედიას, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი ათეული წლის შემდეგ, კომერციული ინტერესი პრიორიტეტი გახდა და თავისუფლება ამ დროიდან ცენზურის ნაცვლად კომერციული ინტერესით გაკონტროლდა.

დამოუკიდებელ საქართველოში მალევე შეიქმნა კინემატოგრაფისტთა საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაცია, რომლის კომპეტენციაში ქართველი კინემატოგრაფისტების (მათ შორის საბჭოთა პერიოდში შექმნილი) პროდუქციის დაცვა შედიოდა. მათი ლობირებით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც იცავდა ქართველ რეჟისორთა საავტორო უფლებებს. სამაგიეროდ, არ არსებობდა კანონი, რომელიც შეზღუდავდა ინტერნეტმეკობრეობას. ამ მიზეზით, დაბალბიუჯეტის ქართული ტელევიზიების ეთერიდან სრულიად გაქრა ქართული კინოპროდუქცია და მთელი საეთერო სივრცე მეკობრულად მოპოვებული დასავლური მასკულტურის პროდუქციას დაეთმო. იმ ხანად გამოჩნდა ტელევიზიაში სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების გადაცემები, რომლებიც მოწადინებულნი იყვნენ ტელევიზია საკუთარი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ და არ ენანებოდათ თანხა თავიანთი რელიგიური მსოფლმხედველობის ტირაჟირებისათვის (1996-1997წწ). ასე ინახავდა, მაგალითად, “საგუშაგო კოშკის” მიერ გამოყოფილი დაფინანსება დაარსებისას ისეთ ტელევიზიებს, როგორც იმ წლებში იყო “კავკასია” და “ევრიკა”. ისინი დილის ეთერს უთმობდნენ იეპოვას მოწმეთა სატელევიზიო ქადაგებებს. გარკვეული ხნის შემდეგ, როდესაც “ევრიკას” მეპატრონეები მიხვდნენ, რომ დაფინანსების მოძიება რელიგიით შესაძლებელი იყო, რამდენიმე წლით საკუთარი ეთერი მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ტელევიზიას დაუთმეს. შემდგომში ამ ტელევიზიის ბაზაზე შეიქმნა ტელეკომპანია “ერთსულოვნება”, რომელმაც 2013 წელს შეიძინა “ევრიკას” სისშირე და ლიცენზია. ეს ტელეკომპანია ძირითადად მართლმადიდებლურ თემატიკაზე შექმნილ გადაცემებს აჩვენებს.

მედიას საზოგადოების ინფორმირების, გართობისა და განსაკუთრებით კი შემეცნებითი ფუნქციის განხორციელების შესაძლებლობა ხშირად არ გააჩნდა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით. მაღალი ხარისხის შემეცნებითი გადაცემების შექმნა ბევრად ძვირი ჯდება, ვიდრე თუნდაც,

ახალი ამბების. მიტომაც, ყველა ახალშექმნილ ტელევიზიაში 1996-2004 წლებში პრიორიტეტული იყო საინფორმაციო გამოშვებები. კულტურა ამ გამოშვებებში მხოლოდ ე.წ. მესამე ბლოკში ანუ სულ ბოლოში ხვდებოდა და ძირითადად მოვლენითი ხასიათის მოკლე რეპორტაჟებით ამოიწურებოდა. შედარებით თავისუფალი ფორმატის დილის გადაცემების ეთერის შედარებით ხშირი სტუმრები იყვნენ კულტურის (სახელოვნებო და სამეცნიერო სფეროს) მოღვაწეები. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ტელევიზიებს ჰქონდათ იმის ფუფუნება, რომ შემეცნებითი გადაცემები შეექმნათ ან გამზადებული პროექტები შეეძინათ უცხოური ტელეპროდუქციის ბაზრობებზე.

2001-2002 წლებში სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე გადიოდა საავტორო გადაცემა "ქიმერიონი". მისი ავტორი გიორგი ჩართოლანი კულტურის გამორჩეულ მოღვაწეებს ესაუბრებოდა. გადაცემა საინტერესო იყო იმიტაც, რომ წამყვანი, პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნე, კომპეტენტური იყო შეკითხვების დასმისას. "ახლანდელმა თაობამ უნდა ნახოს ჭეშმარიტი ხელოვანი, რომ არ მოხდეს ფასეულობათა ნიველირება", – ასე განმარტავს გადაცემის კონცეფციას ავტორი ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "კვირის პალიტრაში" (2002-04-01);

კულტურის თემატიკას ეხება ხელოვნებათმცოდნე გიორგი გვახარიას გადაცემა "წითელი ზონა", რომელიც "რადიო თავისუფლებისა" და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტია და მრავალი წელია პირველი არხის ეთერში გადის. ამ გადაცემის ავტორი კინემატოგრაფს განიხილავს მისი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური რაკურსით. ფილმის შესახებ ჯერ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან ერთად მსჯელობს და შემდგომ სთავაზობს მაყურებელს. თუმცა, ეს გადაცემა აუდიტორიის შედარებით მცირე სეგმენტზეა ნაგულისხმევი, ვინაიდან მისი პრიორიტეტი ინტელექტუალური კინოშედეგების ჩვენებაა.

ტელეკომპანია "რუსთავი2"-ის დამფუძნებელმა, რომელმაც სწრაფად აულო აღლო ახალ რეალობას და ძირითადად საინფორმაციო მიმართულების ტელევიზია შექმნა, 1994 წელს საქართველოში მედიისთვის განკუთვნილი საერთაშორისო გრანტების დიდი ნაწილი მოიპოვა, რამაც მის სწრაფ წინსვლას შეუწყო ხელი. ამის გამო, იგი მიმზიდველ მაგალითად იქცა სხვა ტელევიზიებისათვის. მათაც ყურადღება, ძირითადად, საინფორმაციო

პროგრამების განვითარებაზე გადაიტანეს. არანაკლებად მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ისიც, რომ პოლიტიკური ფული სწორედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებისაკენ მიემართება და არჩევნების პერიოდში ყველაზე მეტი პოლიტიკური რეკლამა სწორედ ასეთ გადაცემებში გადის. კომერციალიზაციამ მოიტანა თავისი მინუსებიც. ძირითადად განვითარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კომპონენტი, ვინაიდან პოლიტიკური ჯგუფების ინტერესი – საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებინათ მედია – ძალიან ძლიერი იყო. საკუთარი ინტერესებისთვის ისინი არ იშურებდნენ პოლიტიკურ ფულს, სამაგიეროდ ძალზე სუსტი იყო სარეკლამო ბაზარი, შესაბამისად, ასეთ სიტუაციაში კულტურისათვის მაუწყებლებს ეთერი არ ემეტებოდათ და შემეცნებითი კომპონენტი თითქმის დაიკარგა მედიასივრციდან.

კერძო ტელეკომპანიებისაგან განსხვავებით, კულტურულ სეგმენტს ეთერში ყველაზე დიდხანს ინარჩუნებს საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნილი საქტელერადიოკომიტეტი, რომელიც მიუხედავად რეორგანიზაციის პროცესში შტატების შემცირებისა, მაინც ახერხებს კულტურასა და ტრადიციასთან დაკავშირებული თემები ეთერში გააშუქოს. თამარ ცაგარეიშვილის გადაცემა “მიამბეთ თქვენზე” საზოგადოებაში ცნობილი ადამიანების ტელეპორტრეტებს წარმოაჩენდა. საუბრობდნენ როგორც კულტურაზე, ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ტრადიციებსა და განსხვავებულ ცხოვრების წესზეც.

პირველი კერძო ინტერნეტტელევიზია “არტარეა”, რომელმაც განაცხადა, რომ მთლიანად ორიენტირებულია კულტურის საკითხების გაშუქებაზე და აქვს რამდენიმე ორიგინალური შემეცნებითი პროექტი (მაგ. “ქუჩის აკადემია”) 2012 წლის მაისში შეიქმნა და ამჟამად უკვე საკაბელო არხია.

რაც შეეხება რელიგიისა და ტრადიციის თემების გაშუქებას, 2000 წლიდან ქართული არხები პირდაპირ ეთერში გადასცემენ სააღდგომო და საშობაო წირვის რიტუალებს და ასევე იერუსალიმში წმინდა ცეცხლის გარდამოსვლას, რომელსაც მედიის ერთი ნაწილი აშუქებს როგორც სასწაულს, მეორე კი როგორც იერუსალიმიდან ცეცხლის გაცემის ტრადიციულ რიტუალს. ქართველ მედიაექსპერტებს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა, რამდენად მართებულია მართლმადიდებლური სასწაულის ტირაჟირება მედიით, იმის მიუხედავად, რომ არ არსებობს მეცნიერულად

დადასტურებული ფაქტი, ხოლო გადაცემა ხდება მეცნიერული პოზიციის შესახებ ყოველგვარი დათქმის გარეშე. საგულისხმოა ისიც, რომ თუ ადრე ამ მოვლენის ტრანსლიაციას მორწმუნე საზოგადოება ძირითადად სახელმწიფო ტელევიზიის ვალდებულებად მიიჩნევდა, შემდგომში, აუდიტორიის დიდი ინტერესის გამო, კომერციული ტელევიზიებიც იბრძოდნენ იერუსალიმიდან ექსკლუზიური პირდაპირი ჩართვის უფლების მოსაპოვებლად.

“ვარდების რევოლუციით” მოსული ხელისუფლება ანგარიშს უწევდა რელიგიური რიტუალების გაშუქებისადმი მართლმადიდებელი საზოგადოების ინტერესს, ცდილობდა ამ ინტერესის დამცველად წარმოეჩინა თავი, ამიტომ, როდესაც პრეზიდენტის წარდგენით ამ პოსტზე დანიშნულმა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენდირექტორმა, თამარ კინწურაშვილმა არ ისურვა პირდაპირ ეთერში საშობაო წირვის გადაცემა, ამ ფაქტიდან რამდენიმე თვეში, სამსახურიდან გაათავისუფლეს. თუმცა ოფიციალური ვერსია ამ გაათავისუფლებას ხსენებულ ფაქტს არ უკავშირებდა, კინწურაშვილს საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის პოსტის საკუთარი სურვილით დატოვება 2008 წლის მარტის დასაწყისში მოუხდა. ოფიციალური ვერსიით, ხელისუფლებამ დააკმაყოფილა ოპოზიციის მოთხოვნა ტელევიზიის სამეურვეო საბჭოსა და ხელმძღვანელობის შეცვლის თაობაზე, მაგრამ ჟურნალისტურ წრეებში ამ საკითხზე არსებობდა ვარაუდი, რომ მმართველი პარტიიდან ერთ-ერთი პარლამენტარი უშუალოდ ჩაერთო ამ გაათავისუფლების პროცესში და საზოგადოებრივი ტელევიზიის დირექტორის, თამარ კინწურაშვილის კარიერა შეეწირა იმას, რომ არ ისურვა წირვის პირდაპირ ეთერში გადაცემა, რითაც ძალიან განარისხა გავლენიანი მორწმუნე პარლამენტარები. დღეს კომერციული ტელევიზიების ნაწილი ერთმანეთს ასწრებს, რომ იერუსალიმიდან სრულყოფილი სატელევიზიო სიგნალის მიღება უზრუნველყონ, ვინაიდან დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ტრანსლირება მათ მაღალ რეიტინგს მოუტანს.

ტელეკომპანია “ტაბულაში” არსებობს გადაცემა “საუბრები რელიგიაზე”, რომლის წამყვანი არის ლევან სუთიძე. გადაცემაში ასევე საუბრობენ მოწვეული სტუმრები – ფილოსოფოსები, თეოლოგები და ა.შ. სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობებზე, ასევე იმაზე, თუ, მათი აზრით, რამდენად სწორედ აქვთ გააზრებული ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და მის მრევლს ქრისტიანულ ღირებულებათა არსი. აღსანიშნავია,

რომ ტელეკომპანია “ტაბულას” გადაცემის “საუბრები რელიგიაზე” სტუმრები ძირითადად არიან მართლმადიდებლური ეკლესიისადმი ნეგატიურად განწყობილი ინტელექტუალები და წამყვანიც ხშირად ავლენს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ, თუმცა იგი ხაზს უსვამს იმასაც, რომ პოზიტიურად ეკიდება ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჰუმანისტურ ფილოსოფიურ ღირებულებებს. ამგვარი გაორება და რელიგიასა და მისი ინსტიტუტების მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულება პოსტსაბჭოთა სამყაროსათვის ძალზე დამახასიათებელია. ვფიქრობ, ამას აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, აქვე აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში, თბილისის მასშტაბით 24 საათის განმავლობაში მაუწყებლობს საპატრიარქოს ტელევიზია ”ერთსულოვნება,” რომელიც მთლიანად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციისა და შეხედულებების პოპულარიზებას ემსახურება.

საბჭოთა კავშირის კოლაფსისთანავე დაიწყო კულტურულ ღირებულებათა გადაფასების მტკივნეული და გარდუვალი პროცესი. საქართველოს მაგალითზე რომ ვთქვათ, გაჩნდა ბზარი ბოლშევიკური ტერორის შიშგამოვლილი უფროსი თაობის ფრთხილ სახელოვნებო ელიტასა და უშიშარ, ახალ თაობას შორის, რომელიც სიამოვნებით ესწრაფოდა მისთვის მოსაწონი თავისუფალი სამყაროს ინტერესისა და ღირებულებათა შემოსვლას თავის ქვეყანაში. განვითარების ამ ეტაპზე 1992-98წწ. საქართველოს, ბალტიის ქვეყნებსა და უკრაინას, ისევე როგორც შუა აზიის ქვეყნებსა და ბელორუსს, ევროპული თანამეგობრობა და პარტნიორი ქვეყნები ეხმარებოდნენ, მაგრამ ისინი პირველ რიგში მედიის სფეროშიც და საერთოდ სახელმწიფოს მართვაშიც უფრო ინსტიტუციონალურ ცვლილებებზე იყვნენ ორიენტირებული, ვინაიდან აცნობიერებდნენ, რომ მოშლილი ტოტალიტარული მართვისა და მედია ინსტიტუტების ადგილზე გაჩენილ სიცარიელეს ახალი სტრუქტურებით ჩანაცვლება ესაჭიროებოდა. ცხადი იყო, რომ ამ პროცესში – ახლებურ პირობებში მუშაობისათვის, შესაფერისი პროფესიონალი კადრების დეფიციტიც იჩენდა თავს. ამ პრობლემის გადასაჭრელად უცხოელი პარტნიორები პირველივე წლებიდან პოლიტიკური ისტებლიშმენტისა და ჟურნალისტთა ახალი თაობის ტრენინგებსა და გამოზრდაზეც იყვნენ ორიენტირებული. ამ მიზნით, პარტნიორი ქვეყნები, პირველ ეტაპზე ქართველ პოლიტიკოსებსა და მედიის მუშაკებს გამოცდილებას უზიარებდნენ

და ეხმარებოდნენ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაში. მათივე დახმარებით და მონაწილეობით გაჩნდა სამოქალაქო სექტორის პირველი ჩანასახი, რომელსაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ საერთაშორისო მედიანსტიტუტები, დონორი ორგანიზაციები და შესაბამისად, დემოკრატიული სამყაროს დახმარებაც ძირითადად აქეთ იყო მიმართული. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დასავლელი პარტნიორები საკუთარი სტრატეგიული ინტერესის გატარებაზე ზრუნავდნენ, ამდენად მათთვის პრიორიტეტული იყო ამ ქვეყნების დასავლური სამყაროს სტანდარტებთან მიახლოება და დამოუკიდებელი მედიის არსებობისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. ამ მიზნის განსახორციელებლად ისინი ახალ სახელმწიფოებს ინსტიტუციონალური ცვლილებების გატარებასა და დემოკრატიულ პრინციპებზე მომუშავე მედიის შექმნაში ეხმარებოდნენ, ასწავლიდნენ ჟურნალისტებს სხვადასხვა სახის სემინარებსა და ტრენინგებზე, თუ როგორ შეექმნათ თავისუფალი სამყაროს ეთიკის დაცვით მედია-პროდუქტი – ახალი ამბების რეპორტაჟებიდან დაწყებული ჟურნალისტური გამოძიებით დამთავრებული. ამ ყოველივეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დემოკრატიული გარდაქმნებისა და სხვა სახის რეფორმების პროცესისთვის. პროფესიონალი რეპორტიორების ტრენინგებზე კი ადამიანის უფლებების დაცვაზე ამახვილებდნენ ძირითადად ყურადღებას. ამ პროცესში წარმატებით მონაწილეობისათვის კი საჭირო იყო ინგლისური ენის ცოდნა და ამიტომ, ახალი თაობის პირველი წარმატებული ჟურნალისტები უცხო ენის სპეციალისტები ან ინგლისურის კარგად მცოდნე ჟურნალისტები გახდნენ (მაგ.: მარგარიტა ანთიძე, ნინა ივანიშვილი, თათია ნიკოლაიშვილი (იგივე ელენა ბედველი). პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნეები მაშინდელ ჟურნალისტურ კორპუსში ძალზე ცოტა იყო, შესაბამისად, კულტურა ზერელედ შუქდებოდა და უმეტესად ე.წ. კულტურის დაიჯესტებში მოვლენების საინფორმაციო მიმოხილვით შემოიფარგლებოდა.

პარტნიორი ქვეყნებისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ქართული ისტებლიშმენტისათვის დემოკრატიული მართვის გამოცდილების გაზიარება. დასავლელი პარტნიორები მნიშვნელოვნად მიიხნეოდნენ ასევე ახალ სახის კომერციული მედიის ჩამოყალიბებას. დონორები დაინტერესებულები იყვნენ, ძირითადად ახალი ამბების გაშუქებით, ვინაიდან მეგობარი საერთაშორისო ორგანიზაციები გამოცდილების გაზიარების

პროცესში, გამორჩეულად იმ დარგების განვითარებაზე ზრუნავდნენ, რომლებიც ახალი სახელმწიფოების დემოკრატიულ, მრავალპარტიულ, ახლებურ მართვაზე გადასვლას შეუწყობდა ხელს. შესაბამისად, აუდიო-ვიზუალურ მედიაში რეპორტაჟებსა და საინფორმაციო გამოშვებებში სიზუსტისა და ბალანსის დაცვაზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

ამ პერიოდში გამოცოცხლება შეეცო კულტურის სფეროსაც. დაარსდა რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალი. მაგ. თეატრალური ფესტივალი “საჩუქარი”, ჯაზფესტივალები და შეიქმნა საპროდიუსერო ორგანიზაციები, რომლებსაც უცხოელი პოპვარსკვლავები თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ჩამოყავდა (მაგ. “ისტერნ პრომოუშენი”). ყველა ეს აქტივობა, რასაკვირველია, შექდებოდა ტელევიზიით. 1998-2000 წლებში ჟურნალისტიკა საქართველოში ერთ-ერთი იყო პოპულარულ პროფესიათა შორის და უკვე მაღალი ნდობით სარგებლობდა.

1994-1996 წწ. ქართული ტელევიზიის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა სატელევიზიო ფესტივალი “მანა”, რომელიც პირველად 1994 წელს ჩატარდა. მისი ფუნქცია ძალიან მარტივი იყო – ქართულ ტელევიზორცეში მომუშავეთა ერთად შეკრება და მათი ღვაწლის რაღაც ფორმით აღნიშვნა. ფესტივალი 1995 წელსაც ჩატარდა. 1996-ში კი უკვე საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. იმ წელს ნომინაციების უმრავლესობაში რუსულმა ტელეკომპანიებმა და ტელესტუდიებმა აიღეს მთავარი პრიზები. ამავე პერიოდში ჩაიწერა ფესტივალ “მანას” ე.წ. “ჰიმნი”. ასეთი იყო პირველი ტელეპროდუქტი, სადაც ახალგაზრდა თაობის ტელეჟურნალისტები ერთად მდებოდნენ. ჰიმნის კლიპის იდეა 1985 წელს ჩაწერილი სიმღერის We Are the World (disambiguation) ასლი იყო და მიზნად ისახავდა ახალი თაობის ჟურნალისტების პოპულარიზაციას. ეს მოვლენა ფართოდ გაშუქდა სახელმწიფო ტელევიზიის პირველ და მეორე არხებზე.

სახელმწიფოს დაქვემდებარებული ტელე-რადიომაუწყებლის პარალელურად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა, უფრო გამოცდილი დასავლელი მეგობრების დახმარებით, ახალი ყაიდის მედიამაუწყებლები შექმნეს და გაიზარდა მოთხოვნილება ამგვარ კერძო მაუწყებლებზე, დამოუკიდებელ ტელე-რადიო მედიაზე. ამ ვითარებაში შეიქმნა და განვითარდა რამდენიმე კომერციული ტელევიზია; პარალელურად ბაზარზე გაჩნდნენ ინტერნეტპროვაიდერები, სატელიტური და საკაბელო კომპანიები. მაგ.

საქართველოში 1994-2004 წწ. საბჭოური პერიოდიდან არსებული სახელმწიფო საქტელერადიოკომიტეტი თანდათან გადაიქცა საზოგადოებრივ მაუწყებლად და კანონით განისაზღვრა მისი ბიუჯეტიდან დაფინანსების დემოკრატიული სამყაროსთვის აპრობირებული წესი. ყველა დანარჩენი კერძო ტელევიზიის დაფინანსების ძირითად წყაროდ იქცა შედარებით მოძლიერებული სარეკლამო ბაზარი. ამჟამად ხორციელდება ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულზე სრული გადასვლის პროცესი, რაც გაათანაბრებს მაუწყებლობის სასტარტო პირობებს და საშუალებას მისცემს ახალ მაუწყებლებს შეავსონ ელექტრონული მედიის მრავალფეროვნება.

მედიაში ინტერნეტ მედიის წილის გაზრდამ კიდევ უფრო გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ტრადიციული ელექტრონული მედიასექტორი, ამასთან, ინდივიდუალური შემოქმედების მედია-პროდუქტის რეალიზების სრულიად ახალი და აქამდე მიუწვდომელი შესაძლებლობებიც გააჩინა. ამ მხრივ აღსანიშნავია ორი ასპექტი: თანამედროვე ინტერნეტპუბლიცისტი ანუ ბლოგერი დამოკიდებული აღარ არის არც საწარმოო კაპიტალზე (გამომცემლობა, მაუწყებლობა), არც კონკრეტული გამომცემლის გემოვნებასა და პოლიტიკურ სიმპათიებზე, არც კონკრეტული ქვეყნისა და ენობრივი გარემოს საგამომცემლო და სამაუწყებლო ინდუსტრიაზე, ვინაიდან მისი შემოქმედების მედია-პროექტის ინტერნეტში გავრცელებაზე საზღვრებს ვერც სახელმწიფო აწესებს (იშვიათი გამონაკლისების გარდა, რომელთა მცდელობები, შეავიწროვონ გლობალური ქსელი საკუთარი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, ხანმოკლე და უშედეგოა). გლობალური ქსელის არსებობამ და მისი შეზღუდვის ტექნიკურმა სირთულემ შესამჩნევად გაზარდა ელექტრონული მედიისა და შემოქმედის თვითგამოსატვის თავისუფლების ხარისხი. ასე რომ, გლობალური ქსელი არა მხოლოდ პროდუქტია პოსტინდუსტრიული ხანის სამყაროში, არამედ მისი განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტიც. შეიძლება ითქვას, გლობალური ქსელი თავად არის ახალი შესაძლებლობების სამყარო, რომელშიც საკმარისია ტექნიკური მოხმარების საფუძვლების ცოდნა, რათა თვითრეალიზებულად წარმოაჩინო საკუთარი შემოქმედებითი პროდუქტი. გლობალური ქსელი ყოველდღიურად ახალ-ახალ ტექნოლოგიებს გვთავაზობს იმისათვის, რომ ახლებური მედიაპროდუქტის შექმნა ტექნოლოგიურად უფრო გამარტივდეს (მათ შორის, მონტაჟი და გადაღება, რომლის მაღალი ხარისხიანობა უკვე ტელეფონითაცაა

შესაძლებელი). მიუხედავად იმისა, რომ ჟან ბოდრიარის მოსაზრებით, ინტერნეტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეოთხე რიგის სიმულაკრი, იგი გვთავაზობს იმგვარ სიმულაციას, რომელიც ადამიანის თვითრეალიზებას ემსახურება, ანუ მის ერთ-ერთ უმთავრეს ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უწყობს ხელს. ამდენად, აღარც იმას აქვს მნიშვნელობა რა ეხმარება ადამიანს, რეალური გარემოდან შეთავაზებული მხარდაჭერა თუ სიმულაკრი. რასაკვირველია, თუ ამგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მისი ფსიქიკური სიჯანსაღისთვის არის საჭირო.

ვინაიდან ელექტრონულ მედიას განვიხილავთ თანამედროვე კულტურის მნიშვნელოვან კომპონენტად, წინამდებარე ნაშრომში ვიკვლიეთ ის, თუ რა წილი უკავია და რა საზოგადოებრივი გავლენა, ან განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს კულტურის, რელიგიისა და ტრადიციის ფორმირებაში მედიაკომპონენტს. საზოგადოებრივ ცნობიერებასა და კულტურაში მომხდარი ცვლილებების შესწავლისა და დაკვირვებისათვის, ჩემი აზრით, საინტერესოა, შევისწავლოთ, თუ როგორ შექდება და რა ფორმითაა წარმოდგენილი ელექტრონულ მედიაში, რელიგია და ტრადიცია, როგორც კულტურის შემადგენელი და მისი განვითარების ისტორიულად განმსაზღვრელი კომპონენტი, ანუ როგორ შექდება ზოგადად კულტურა.

მედიაკვლევარ ნინო კვირიკაშვილის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა, სახელწოდებით – „მედია მონიტორინგი – პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მედიის განვითარებისთვის“<sup>46</sup>, ერთ-ერთია იმ რეპრეზენტაციულ კვლევათა შორის, რომელიც ქართულ მედიაში კულტურის საკითხების გაშუქებას ეხება. აღნიშნული კვლევა 2011 წლის 10 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე განხორციელდა „მედიის განვითარების ფონდისა“ და ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით. კვლევის ავტორმა კულტურის თემაზე გამოქვეყნებული საგაზეთო პუბლიკაციებისა და სატელევიზიო სიუჟეტების განხილვის შედეგად, ქართული ჟურნალისტიკის მთავარი პრობლემები გამოკვეთა. მათ შორის: თემების ზედაპირულად, არასიღრმისეულად წარმოჩენა, მასალების გასკანდალურება, პროპაგანდისტული შინაარსი, წყაროების არასანდლობა, თემების ერთფეროვნება,

<sup>46</sup>[http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis\\_sakitxebis\\_gashukeba\\_qartul\\_mediashi.pdf](http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis_sakitxebis_gashukeba_qartul_mediashi.pdf)

გამოქვეყნებული მასალები მის მიერ გაანალიზებულია შემდეგი კრიტერიუმებით: საკითხის მნიშვნელოვნება, სიზუსტე, ბალანსი, წყაროების რაოდენობა და სპეციფიკაცია, წერის სტილი, მასალის სტრუქტურა, ციტატები, ლიდი, ვიზუალური მასალის შესაბამისობა.

მკვლევარი მონიტორინგის პერიოდში ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-ის, „იმედის“, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „მაესტროსა“ და „კავკასიის“ მთავარ გამოშვებებში კულტურის შესახებ გასული სიუჟეტების რაოდენობრივ მონიტორინგს აღწერს – „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ლიდერობს 60 მასალით, ბოლო ადგილზე კი 3 სიუჟეტით ტელეკომპანია „კავკასიაა“. რაოდენობრივი მონიტორინგის მიხედვით, ქართული ტელევიზიები უმეტესად მუსიკასა და კინოს უთმობენ ყურადღებას; შემდეგ კი სიუჟეტებს თეატრსა და მხატვრობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებელს“, ასევე ტელეკომპანია „იმედს“ კულტურა ცალკე რუბრიკად აქვთ გამოყოფილი, თემატური მრავალფეროვნებით მაინც არ გამოირჩევიან.

კვლევის თანახმად, ჟურნალისტები სტატისტიკის როლს ითავსებენ კულტურის შესახებ თემების გაშუქებისას და სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ინფორმაციის მიმწოდებლის როგორც პოზიციას, ასევე მიდგომას. განსხვავებული დამოკიდებულება არც ერთ მასალაში არ დაფიქსირებულა. კულტურის თემატიკის სიუჟეტების გაშუქება ძირითადად მის რეკლამირებას ემსახურება და არა შეფასებას ან ანალიზს. “კვლევამ აჩვენა, რომ ქართული მედია, ერთი მხრივ, კულტურის საკითხებისადმი დიდ ინტერესს ავლენს, თუმცა, საკითხების სპექტრის, მრავალფეროვნების და ჟურნალისტიკის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით მრავალ ხარვეზს შეიცავს. მაგალითად, თემატიკა ხშირად აბსოლუტურად ერთფეროვანია – ხშირია თემების დამთხვევა, ("მოამბის", "კურიერის" და "ქრონიკის" მაგალითზე), ზოგჯერ არა თუ მარტო თემის, მთლიანად სიუჟეტები იმეორებენ ერთი მეორეს. ვხვდებით სხვადასხვა არხებზე გასულ სიუჟეტებში ერთსა და იმავე რესპოდენტებს, ერთსა და იმავე სინქრონებს და ხშირად კადრებსაც კი, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია სწორედ მაშინ, როცა საქმე კულტურის საკითხის გაშუქებას ეხება. მოგეხსენებათ, ამ თემატიკაზე შექმნილ სიუჟეტს უფრო მეტად მოეთხოვება ავტორების მხრიდან ორიგინალური მიდგომა და კრეატიულობა, ვიდრე ნებისმიერ სხვა თემაზე გაკეთებულ რეპორტაჟს”, –

აღნიშნავს მკვლევარი ნინო კვირიკაშვილი. „ზოგჯერ იმდენად სჭარბობს სარეკლამო სტილი, რომ კულტურის თემატიკაზე შექმნილი საინფორმაციო სიუჟეტები პროპაგანდას ემსგავსება“ - ნათქვამია მონიტორინგის ანგარიშში.

გაზეთების რაოდენობრივი ანალიზის მიხედვით, 2011 წლის 10 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე ამ გაზეთებში კულტურის თემაზე გამოქვეყნებული იყო: გაზეთ „რეზონანსში“ – 10 სტატია (თუ არ ვიგულისხმებთ „რეზონანსის“ ყოველკვირეულ დამატებას „გალაქტიონი“, რომელიც უფრო ლიტერატურული დამატებაა, თუმცა კულტურის სხვა სფეროებსაც აშუქებს). გაზეთი “24 საათი” – 38 სტატია; “კვირის პალიტრა” – 24 სტატია. შინაარსობრივი სტრუქტურის მიხედვით, მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ გაზეთებში გაცილებით მეტია კრიტიკული სტატიები და თუნდაც ანალიზი, ვიდრე ტელევიზიების სიუჟეტებში. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, კულტურის თემა პოლიტიკურ კონტექსტშია განხილული და არა წმინდა კულტურულ კონტექსტში. მაგალითისთვის ნინო კვირიკაშვილს მოჰყავს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაცია. 2011 წლის 27 ოქტომბერს „რეზონანსში“ დაბეჭდილი სტატია „უნიკალური სვანური საგანძურის განადგურების საფრთხე გაიზარდა“. საუბარია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ საგანძურზე, რომელიც რეკონსტრუქციის მიზნით 28 ივნისიდან კონტეინერებშია ჩაკეტილი. ავტორი ცდილობს მაქსიმალურად გვაჩვენოს, თუ რა საფრთხეს უქმნის ეს ფაქტი თავად საგანძურს. მაგრამ თემა გარკვეულ შემთხვევაში ცდება მხოლოდ კულტურულ ჭრილში საკითხის განხილვას და პოლიტიზირებული სტატიის სახეს იღებს. სტატიის იმ ნაწილში, სადაც საუბარია პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სვანეთის საგანძურის საკითხის ირგვლივ გამართულ მწვავე დებატებზე, ვკითხულობთ: „ფრაქციის სხდომაზე ხელისუფლების წარმომადგენლები არ მისულან და რომც მისულიყვნენ, პარლამენტარ დიმიტრი ლორთქიფანიძის და გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, მინიმუმ უკან წაიღებდნენ წინა დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაკეთებულ განცხადებებს, რომ საგანძური შესანიშნავადაა დაბინავებული და აუიოტაჟის საფუძველი არ არსებობს“. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამ ტექსტში აშკარად ჩანს ავტორის დამოკიდებულება უშუალოდ მოვლენის და მოვლენაში ჩართული პირების მიმართ. მაშინ როცა საქმე მართლაც რომ პრობლემურ საკითხს ეხება, ასეთმა დამოკიდებულებამ შესაძლოა მკითხველში

უკურეაქცია გამოიწვიოს, რადგან თავისი შინაარსით ეს საინფორმაციო სტატიაა და არა რეცენზია კულტურულ მოვლენაზე, რომელშიც ავტორის (რომელიც ამავდროულად ექსპერტიც შეიძლება იყოს) პოზიცია, შეიძლება, მკვეთრად იყოს გამოკვეთილი. მნიშვნელოვანია, რომ სტატიაში არ გვხვდება ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიცია. თუმცა დასაფასებელია, რომ იმავე სტატიაში ვხვდებით უფრო კვალიფიციურ შეფასებებსაც, რომლებშიც ჟურნალისტი ცდილობს პრობლემის სიმწვავე სპეციალისტების კომენტარებით შეაფასოს, რაც მასალას უფრო მეტ დამაჯარებლობას მატებს. გაზეთ „რეზონანსში“ 7 ნოემბერს გამოქვეყნებულია წერილი – „ვაჟას კონკურსი თუ...?“ რომელიც მუსიკათმცოდნე იუნონა ავაქიძეს ეკუთვნის, მკვლევარს საინტერესოდ მიაჩნია იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ ირღვევა პუბლიკაციებში ნეიტრალური ენა და რამდენად ხშირია დაუსაბუთებელი კრიტიკა, რომელიც ზოგჯერ სიძულვილის ენაშიც კი გადადის. კონკრეტულად ამ შემთხვევაში ავტორი ლანძღავს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) პროდიუსერ მარინა ბერიძეს. ციტატა: „ქნი მარინა ბერიძე ტრაბახობს თავის განათლებით, თუმცა ვერ უკრავს. ცოტა ხნის წინ, მან გამოჩენილ მომღერალს ლონდონში კონცერტი ჩაუგდო... კონსერტვატორიის დამთავრება მან რის ვაი-ვაგლახით შეძლო“<sup>47</sup> (ციტატის დასასრული) და ა.შ. აქვე ავტორი იყენებს დამცინავ ფრაზებს “ქალბატონი ერუდიტი“, გამარჯვებულთა „შედეგები“, „უვიცები, გაუნათლებლები“ და ა.შ. “მსგავსი ენობრივი ფრაზეოლოგია და შეურაცხყოფელი გამონათქვამები სოლიდური და ანგარიშვალდებული მედიისთვის აბსოლუტურად მიუღებელი უნდა იყოს. არადა პუბლიკაციაში ამკარად კონკრეტულად და შეიძლება ითქვას, საკმაოდ კარგად არის დასმული მთავარი პრობლემა – ანუ ავტორს სურს მიიღოს პასუხი კითხვაზე – „რატომ ჩატარდა ვაჟას კონკურსი დახურულად? რატომ არ არის ცნობილი დღემდე კონკურსანტები და მათი რაოდენობა? რატომ არის ჟიურის შემადგენლობა დღემდე უცნობი?“ თუმცა სტატიის ენა და სტილი ამ პრობლემას უკანა პლანზე წევს”, – შენიშნავს ნინო კვირიკაშვილი.

“გაზეთ „რეზონანსს“ ერთვის ყოველკვირეული დამატება „გალაკტიონი“, რომელიც კვირაში ერთხელ გამოდის და მთლიანად ხელოვნებას ეძღვნება. დამატებაში გაეცნობით როგორც ლიტერატურულ სიახლეებს, ასევე რევიუს მუსიკაზე, ფოტოგრაფიაზე, მხატვრობასა და ა.შ. აქ

<sup>47</sup> [http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis\\_sakitxebis\\_gashukeba\\_gartul\\_mediashi.pdf](http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis_sakitxebis_gashukeba_gartul_mediashi.pdf) გვ9

შეხვედებით ექსკლუზიურ მასალებს და ისეთ თემებს, რომლებიც სხვაგან არც ერთ ელექტრონულ მედიაში თუ ბეჭდურ გამოცემაში არ წავიკითხავთ“, – წერს ნინო კვირიკაშვილი და საინტერესო პუბლიკაციებს შორის დასახელებული აქვს 23 ოქტომბრის „გალაკტიონში“ გამოქვეყნებული მასალა მე-19 საუკუნის ქართველ ფოტოგრაფზე, ვასილ როინიშვილზე (ავტ. მაია ყაზახაშვილი) და ოქტომბრის ნომრებში თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის შესახებ ლელა ოჩიაურის რეცენზია „მალკოვიჩი ჯოჯოხეთში ეშვება“. „პრობლემა კარგადაა დასმული ასევე „კვირის პალიტრის“ სტატიაში ოშკის შესახებ“ – მიიჩნევს მონიტორინგის ავტორი. „ოშკის გადარჩენის ეთადერთი გზა?!“ – ასე ეწოდება 24–30 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ სტატიას. ავტორი დასაწყისშივე გვამცნობს რომ „ოშკის ტაძარს გადარჩენის რეალური პერსპექტივა გაუჩნდა. ძეგლთა მსოფლიო ფონდმა ოშკი 2012 წლის სახელამხედველო სიაში შეიტანა“. ამის შემდეგ უკვე ავტორი წარმოგვიდგენს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ირინე გივიაშვილს, რომელიც ერთი მხრივ საუბრობს უშუალოდ ამ ფონდის მნიშვნელობაზე და მეორე მხრივ ყვება, როგორ შეიტანეს ფონდში ოშკის შესახებ განაცხადი. აქვე მოყვანილია მასალები თურქული პრესიდან, რომელიც საქართველოსა და თურქეთს შორის ტაო-კლარჯეთის ძეგლებზე მოლაპარაკებებს ეხება. საინტერესოა ასევე 17–23 ოქტომბრის „კვირის პალიტარში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია – „ახალი ერა ბერასაგან?!“, რომელსაც ლიდში წამძღვარებული აქვს შემდეგი სიტყვები – „რას მოუტანს „კლიპების ომი“ ქართულ შოუბიზნესს?“ სტატია იწყება ბერას კლიპის „ქართული ოცნების“ შინაარსობრივი ანუ ტექსტუალური განხილვით და შემდეგ უკვე ავტორი მის იდეოლოგიურ შინაარსზე გადადის. რეალურად ეს თემა პოლიტიკურ კონტექსტშია განხილული. იმავე „კვირის პალიტრის“ მიმოხილვისას მონიტორინგის განმახორციელებელმა მკვლევარმა საინტერესოდ მიიჩნია სპეციალური რუბრიკა – „ერთი ფოტოს ისტორია“, რომელშიც დროდადრო საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების უცნობი ფოტოარქივიდან მოძიებული ფოტოები ქვეყნდება თავისი მოკლე ანოტაციებით. ამ რუბრიკაში დაიბეჭდა, მაგალითად რეზო ინანიშვილის და თენგიზ მირზაშვილის 1970 წელს გადაღებული ფოტო, (31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი), ასევე ფოტო ფილმის – „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ გადასაღები მოედნიდან (17–23 ოქტომბერი) და ა.შ. ნინო კვირიკაშვილმა დადებითად

შეაფასა რუბრიკა „50 წიგნი“, რომელიც მედიაპალიტრის პროდუქტის თავისებური პიარიცაა, მაგრამ ამავე დროს მიზნად ისახავს აღიარებული ნაწარმოებების შესხენება-შეთავაზებას თანამედროვე მკითხველისათვის. (მაგალითად, 24–30 ოქტომბრის „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა სტატია ჯორჯ ორუელის ნაწარმოების – „1984“-ის შესახებ) კვლევის ავტორის დასკვნით, ოშკის თემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური იყო მონიტორინგისთვის მონიშნულ დროის მონაკვეთში ანუ 10 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე. გაზეთ „24 საათში“ ავტორი, სოფო კილასონია სტატიაში – „დავიწყებული ოშკის პერსპექტივა“ პირდაპირ სვამს შეკითხვას – „გადაარჩენენ თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციები ქართულ ძეგლს?“ და ამ რიტორიკულ შეკითხვას თვითონვე პასუხობს: “მაშინდელი პათეტიკაც და სიხარულიც მეცნიერების საკუთრებად დარჩა, ერთმანეთისთვის გაცვლილ სიტყვებად ანდა სადმე ფურცლებზე დარჩენილ ტექსტებად“. მას იქვე გამოაქვს ასეთი დასკვნაც – „მაგრამ პროცესი კიდევ ერთხელ და უფრო დიდი ხნით შეჩერდა“. ავტორი სტატიის დასაწყისში ჯერ ხელოვნებათმცოდნე ირინე გიგიაშვილის შესახებ საუბრობს, რომელიც ერთ-ერთი ინიციატორი იყო მსოფლიოს ძეგლთა ფონდში ოშკის შესახებ დოკუმენტაციის წარდგენისა და ამის შემდეგ გეთავაზობს ინტერვიუს მარია დიდებულიძესთან, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელთან. ესაა ერთგვარი შეფასება და პროგნოზი იმისა, თუ რა ბედი ელის მომავალში ოშკის ძეგლს და რამდენად რეალურია მისი გადარჩენა. კვლევის თანახმად გამოიკვეთა, რომ გაზეთებში გაცილებით მეტია კრიტიკული სტატიები, ვიდრე სატელევიზიო სიუჟეტებში. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, კულტურის თემა პოლიტიკურ კონტექსტშია განხილული და არა წმინდა კულტურულ კონტექსტში.

15 ოქტომბრის „24 საათში“ გამოქვეყნებული სტატია – „მიმინო – ლამაზი ძეგლი თბილისში“ – მკვლევარის აზრით, ყველაზე სრულფასოვანი შეფასებითი მასალაა არამარტო ძეგლის, როგორც მხატვრული ღირებულების, არამედ თავად ამ ძეგლის დადგმის ფაქტისაც. როგორც ნინო კვირიკაშვილი აღნიშნავს, ჟურნალისტი კრიტიკას არ იშურებს მიმინოს ძეგლის ავტორის, ზურაბ წერეთლის მიმართ და მოჰყავს რამდენიმე ციტატა: „თუკი პოლიტიკოსების აზრს არ გავითვალისწინებთ, რომ ეს არის ლამაზი მონუმენტი და თანამეგობრობის სიმბოლო, სხვა აღარც არაფერი დაგვრჩება

მისი დადგმის „კეთილ“ არგუმენტად...“ „დააკვირდით როგორი გაშეშებულია ფიგურები, როგორი ფრონტალურად აღქმადია ეს მრგვალი ქანდაკება.... რამდენად კიჩური და სასაცილოა ამ ადამიანების გამომეტყველება...“ "პაკრიშკებით" ხელდამშვენებული ფრუნზიკა მათდამი (იგულისხმება ეთნიკური სომხები) პატივისცემის გამომხატველი ვერ გახდება და არც უნდა გახდეს...“

ნინო კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში “ესაა კრიტიკა, თუმცა ვერც ერთ ამ ფრაზას ვერ დავარქმევდით შეურაცხყოფელს რომელიმე პიროვნებისადმი და ვერც სიძულვის ენაში დავადანაშაულებთ ავტორს. და მაინც, “აქაც თავს იჩენს ერთი პრობლემა – ჟურნალისტი მთლიანად თავის თავზე იღებს კრიტიკოსის და საზოგადოებრივი აზრის გამომხმოვანებლის ფუნქციას. გასაგებია და გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ავტორი ჟურნალისტური მოღვაწეობის გარდა, ხელოვნებათმცოდნეა, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა სხვა კოლეგების კომენტარიც მოეშველიებინა. მით უმეტეს მაშინ, როცა სტატიაში ის მოგვითხრობს იმ საპროტესტო აქციაზე, რომლის მთავარი ლოზუნგი იყო “STOP ZURA” და რომლის თანხლებითაც გაიმართა ძეგლის გახსნა.<sup>48</sup>

ნინო კვირიკაშვილის ეს მოსაზრება, ვფიქრობ, საკამათოა, რადგან ერთი სპეციალისტის, ხელოვნებათმცოდნის, საავტორო ანალიტიკურ სტატიაში კრიტიკულ აზრად მხოლოდ საკუთარი პოზიციის საზოგადოებისთვის გაცნობაც საკმარისად და საინტერესოდ მიმაჩნია და არ მგონია, აუცილებელი იყოს მის მიერ სხვა ხელოვნებათმცოდნე კოლეგების აზრის იქვე გამოქვეყნება. ასე დისკუსიას ზედაპირული სახე მიეცემა, ვინაიდან საკუთარი აზრის კარგად დასასაბუთებლად ავტორებს არ ეყოფათ ერთი საგაზეთო სტატიის ფორმატი. ასე რომ, თუ მათ აქვთ განსხვავებული მოსაზრება, სავარაუდოა, რომ ეს მოსაზრება იქნებოდა გამოთქმული რომელიმე სხვა მედიაგამოცემაში, ან თუნდაც იმავე გამოცემის ახალ, საპასუხო პუბლიკაციაში. რასაკვირველია, გაზეთმა ამგვარი პუბლიკაციები არ უნდა შეზღუდოს, მაგრამ რომელიმე დარგის პროფესიონალი ავტორის სიდრმისეული მოსაზრება, ამა თუ იმ პუბლიკაციაში, სხვა შემთხვევაში შეიძლება საპირისპირო ოყოს მისი კოლეგების მიერ უკვე გამოთქმული თვალსაზრისებისა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პოლემიკა და გახსნას

<sup>48</sup> [http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis\\_sakitxebis\\_gashukeba\\_gartul\\_mediashi.pdf](http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis_sakitxebis_gashukeba_gartul_mediashi.pdf) გვ11

დისკუსიის ველი შემდეგ ნომრებში ან სხვა გამოცემებში. თუმცა, ეს უკვე სულ სხვა ფორმატია. იმ შემთხვევაში კი, თუ საექსპერტო-ანალიტიკური სტატიის ავტორი სხვა კოლეგების მოსაზრებებს მოიხმობს საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად, ეს შეიძლება აქციის "STOP ZURA" მიტინგური პათოსის გაზეთში გაგრძელებას დაემსგავსოს. ჩემი აზრით, სხენებული აქცია მხოლოდ საინფორმაციო საბაზად გამოიყენა ავტორმა საკუთარი შეხედულების წარმოსაჩენად კონკრეტული ძეგლის შესახებ; ამდენად, აუცილებელი არ არის კოლეგების განსხვავებული მოსაზრებებიც გამოქვეყნებინა, ვინაიდან ამგვარი ვალდებულება საექსპერტო სტატიის ავტორს, ჟურნალისტური ეთიკით არ გააჩნია. მაგრამ, თუ მოცემულ სტატიას წავიკითხავთ, როგორც საინფორმაციო ცნობას მიტინგის შესახებ, ამ შემთხვევაში, რაოდენობრივი კვლევის ავტორის, ნ. კვირიკაშვილის შენიშვნა სტატიის ავტორისადმი, სრულიად მართებულია, ვინაიდან საინფორმაციო მიმოხილვის ავტორი ვალდებულია იმავე სტატიაში წარმოადგინოს სხვაგვარად მოაზროვნე კოლეგების შეხედულება, რათა დაცული იყოს ბალანსი და არ დაიხატოს ისეთი სურათი, თითქოს ძეგლის ესთეტიკური მხარის წინააღმდეგი მხოლოდ მოცემული სტატიის ავტორია, როგორც პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნე და არ მიჩქმალოს სხვათა პოზიცია, მათ შორის იმათიც, ვინც უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატად აქციაზე მივიდა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩემი აზრით, საექსპერტო-ანალიტიკური სტატიის ავტორის გადასაწყვეტია, სჭირდება თუ არა სხვათა მოსაზრებების გამოქვეყნება საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად. რაც შეეხება საინფორმაციო სტატიას მოვლენის შესახებ, ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის მიხედვით აუცილებელია სიზუსტის დაცვა და როცა საინფორმაციო მიმოხილვა აქციას აღწერს, საჭიროა აქციის მონაწილე სხვა ხელოვნებათმცოდნეების აზრის გამოქვეყნებაც. აი, რას წერს კვლავ სხენებული სტატიის შესახებ რაოდენობითი მედიაკვლევის ავტორი ნ. კვირიკაშვილი: “ზემოთ ჩვენ ამ სტატიას სრულფასოვანი შეფასება იმიტომ ვუწოდეთ, რომ სხვა პუბლიკაციებისგან განსხვავებით აქ მეტ-ნაკლებად, საკითხის როგორც ღირებულებითი, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტია გადმოცემული. ზოგადად გაზეთ „24 საათის“ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ გამოცემა ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისია, რომელიც საქართველოში მიმდინარე თანამედროვე ხელოვნების თითქმის არც ერთ

მნიშვნელოვან მოვლენას გვერდს არ უვლის – იქნება ეს თანამედროვე არტი, კინო თუ მუსიკა. არ გამორჩენია ჟურნალისტ ია ვეკუას გიორგი მასხარაშვილის ფილმი „მესაათეც“, რომლის პრემიერა თბილისში ოქტომბერში შედგა. ("24 საათი", 24 ოქტომბერი). რუბრიკაში „რევიუ“ განხილულია გიორგი მასხარაშვილის ახალი ფილმი, რომლისგანაც სტატიის ავტორი აშკრად მეტს ელოდა და საბოლოოდ, მისი თქმით, ხელში შერჩა ფილმი, რომელშიც „მაყურებელი ბევრს ვერაფერს იღებს, მეტიც, ფილმის შუაში ხვდები რომ აღარც ის გაინტერესებს, რაც უკვე ნახე და არც ის, რაც შეიძლება ფინალში მოხდეს“. იქვე ავტორი კიდევ ერთ ახალ ფილმს ახასიათებს: გია კაჭარავას „თოჯინების სახლი“, რომლის ტრეილერიდანაც ია ვეკუას თქმით, ჩანს რომ „ის უფრო ცუდია, ვიდრე „მამაჩემის გერლფრენდი“, „გოგონა სლაიდიდან“ ან „მაიტა ნასოსი“. ამ მოსაზრებების გასამყარებლად ავტორს მოჰყავს ისეთი არგუმენტები, როგორცაა მსახიობთა „რობოტული“ მეტყველება, უაზროდ ბევრი ლაპარაკი, გაჭიანურებული სცენარი და ა.შ. საბოლოოდ კი ჟურნალისტი ასკვნის – “მესაათეში“ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, როგორც წესი, იმაზე, რაც მაყურებელმა უბრალოდ უნდა დაინახოს, მიხედვს, გაიგოს – კინო ხომ ვიზუალური ხელოვნებაა და არა გაზეთში დაბეჭდილი სტატია“<sup>49</sup>. განსხვავებულად აფასებს იგივე ავტორი, „24 საათის“, 9 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიაში ქეთი მაჭავარიანის ფილმს – „მარილივით თეთრი“. ამჯერად ავტორი უფრო პოზიტიურადაა განწყობილი ამ ნამუშევრის მიმართ, რომელმაც კოტბუსის ევროპული კინოს ფესტივალზე 2 ჯილდო მიიღო – საუკეთესო დებიუტისთვის და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. ჟურნალისტის და ჟიურის აზრი, როგორც ჩანს, ერთმანეთს ემთხვევა – "ფილმის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ჩამოყალიბებული, პრაქტიკულად ბოლომდე გახსნილი პერსონაჟებია". "24 საათს" აქვს დამატება, რომელიც ასევე მხოლოდ კულტურულ მოვლენებს აშუქებს, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც გაზეთის მთავარი გამოშვება ჩამოუვარდება მას მთავარი კულტურული მოვლენების გაშუქების თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი „არტისტერიუმი“, რომელიც საქართველოში მოღვაწე თანამედროვე არტისტებისთვის მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, პრესაში და მათ

<sup>49</sup> [http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis\\_sakitxebis\\_gashukeba\\_gartul\\_mediashi.pdf](http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis_sakitxebis_gashukeba_gartul_mediashi.pdf) გვ12

შორის „24 საათში“ სრულყოფილად გაშუქდა. 2 კვირის განმავლობაში გამართულ არტისტერიუმს გაზეთი რეგულარულად უძღვნიდა პუბლიკაციებსა და სტატიებს. პირველი პუბლიკაცია 1 ნოემბერს გამოქვეყნდა სათაურით – “თავისუფალი ვარდნა თავისუფალი სივრცის ასათვისებლად“, სადაც, როგორც სათაურიდანაც ჩანს, საუბარია არტისტერიუმის მნიშვნელობასა და იმ სივრცის დანიშნულებაზე, რომელიც აშკარად ასათვისებელია საქართველოში თავისუფალი არტისტების მიერ. სტატიაში ჩართულია ინტერვიუ არტისტერიუმის კურატორთან, მაგდა გურულთან. საინფორმაციო წყაროები და ჟურნალისტური სტანდარტები ბეჭდურ მედიაში მიუხედავად იმისა, რომ თემატიკა კულტურას ეხება, მონიტორინგის პერიოდში, ხშირად სტატიაში ავტორიტეტად, წყაროდ წარმოჩენილია რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ან პოლიტიზირებული პიროვნება, რომელიც საკითხს პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს. მაგალითად, სვანეთის საგანძურის შესახებ მასალაში, (გაზეთი „რეზონანსი“, 27 ოქტომბერი) ძირითადი წყარო არის მედიაკავშირ „ობიექტივის“ ჟურნალისტი, რომელიც როგორც თვითმხილველი, ისე ყვება ამბავს. დამატებით წყაროებად კი ავტორი იმოწმებს საგანძურის გადასარჩენად შექმნილი სპეციალური ჯგუფის წევრების კომენტარებს, რაც მკვლევარის აზრით, მისასაღმებელია, მაგრამ ეს დაინტერესებული მხარეა. როგორც ნინო კვირიკაშვილი შენიშნავს, “ალბათ უმჯობესი იქნებოდა თავად ჩასულიყო ადგილზე და საკუთარი თვალით ენახა კორესპონდენტს სვანეთის საგანძურის მდგომარეობა ანუ ფაქტი გადაემოწმებინა ან ადგილზე ან, ნეიტრალურ პერსონებთან. ხშირია შემთხვევები, როცა ავტორები მთლიანად ერთი მხარის გავლენის ქვეშ ექცევიან და საერთოდ უგულებელყოფენ მოპასუხე მხარეს. ასევე შეინიშნება წყაროს მოხსენიება განზოგადებულად, მაგალითად, “ამბობენ“, „როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა“, „სპეციალისტთა განცახდებით“ და ა.შ.”<sup>50</sup> მონიტორინგის დასკვნაში აღნიშნულია, რომ სატელევიზიო სიუჟეტები, მიუხედავად იმისა, რომ პრობლემების განხილვა ან ანალიზი არ ხდება, უფრო დაბალანსებულია და ამდენად, ახლოსაა პროფესიულ სტანდარტებთან, განსხვავებით საგაზეთო პუბლიკაციებისაგან. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებისგან ქართული ჟურნალისტიკის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შორსაა.

<sup>50</sup> [http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis\\_sakitxebis\\_gashukeba\\_gartul\\_mediashi.pdf](http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis_sakitxebis_gashukeba_gartul_mediashi.pdf) გვ13

ქართული ტელემედიის სამაუწყებლო ბადეში კულტურის, რელიგიის და ტრადიციის თემას მიძღვნილი გადაცემების წილმა საქართველოს ტელეეთერებში იმატა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი გადაცემების რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა “ვარდების რევოლუციის” შემდგომ. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ხელისუფლება გამკაცრდა პოლიტიკური გადაცემების მიმართ და ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები, რომლებიც აკრიტიკებდა ხელისუფლებას, დაიხურა. სამაგიეროდ, იმ დროს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პოპულარობისათვის ანგარიშგაწევის გამო, არავის შეუშლია ხელი საპატრიარქოს არხისათვის, რომელიც გაძლიერდა კიდევ, ვინაიდან სხვადასხვა გადაცემის დახურვის შემდეგ სამსახურებიდან გათავისუფლებულმა მედიამუშაკებმა და ჟურნალისტების უმეტესობამ ამ არხს მიაშურა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ ქართულ მედიაში მეტად სპეციფიკური ვითარება შეიქმნა: ერთი მხრივ, სოციალისტურ ეპოქაში მოქმედი ჟურნალისტური კორპუსი აღარ იყო მზად ახალი რეალობისათვის, ახალი თაობა კი საკუთარი ძიებებითა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებით სემინარებისა თუ კონფერენციების მეშვეობით იძენდა პროფესიულ უნარ-ჩვევებს. ახალი თაობა სწავლობდა დემოკრატიული ქვეყნების ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკას. ამავე დროს სახელმწიფო ტელევიზიებმა დათმეს პოზიციები და მედიაბაზარზე გაჩნდა კერძო სამაუწყებლო კომპანიები (“საქართველოს ხმა”, “თამარიონი”, “იბერვიზია” „კავკასია“ მაუწყებლობით თბილისის მასშტაბით, „ვერიკა“, „რუსთავი 2“ და „იბერია“). სარეკლამო ბაზარიც ამ პერიოდისთვის (1995 -2000 წ.წ) ჯერ ძალზე სუსტად იყო ფორმირებული. მედიაკომპანიების უმეტესობა ყალიბდებოდა, როგორც სხვა არამედიაბიზნესების დანამატი და მათი ბიზნესის ან სხვა ინტერესთა დაცვის ერთგვარი საშუალება ანდა იარაღი პოლიტიკური მიზნების მქონე ჯგუფებისათვის. შესაბამისად, მედია საშუალებებს დაფინანსებაც ძალზე მწირი ჰქონდათ. ვინაიდან იმ დროს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ მოქმედებდა აუდიო-ვიზუალურ პროდუქტზე საავტორო უფლებების დაცვის ქმედითი მექანიზმი, ტელეკომპანიები ძირითადად ინფორმაციასა და მეკობრული გზით მოპოვებულ აუდიო-ვიზუალურ პროდუქციას გადასცემდნენ ეთერში.

მეტნაკლებად დაცული (საქართველოს კინოწარმოების ძალისხმევით) აღმოჩნდა „ქართული ფილმისა“ და სხვა ქართული სტუდიების მიერ გადაღებული კინოპროდუქცია. შესაბამისად, ტელეკომპანიების მფლობელები ამჯობინებდნენ უცხოური სატელევიზიო კომპანიებიდან, მეკობრული გზით, ჩამოწერილი სერიალებითა და ვიდეოკლიპებით შეევსოთ ეთერი. დაახლოებით ამავე პერიოდში, საქართველოში აიკრძალა რუსულენოვანი არხების ჩვენება. რუსეთსა და საქართველოს შორის განვითარებული კონფლიქტური ვითარების გამო, ტელეკომპანიები ცუდ ტონად მიიჩნევდნენ საბჭოთა პერიოდში გადაღებული რუსული ფილმების ჩვენებასაც. ამ პერიოდში გაიზარდა თაობა, რომელსაც თითქმის არ ჰქონდა წარმოდგენა არც ქართულ და არც სხვა საბჭოურ კინოშედეგებზე. ეს ფილმები ვერც შემდგომში იქცევდნენ ახალგაზრდა აუდიტორიის ყურადღებას უხარისხო ტექნიკური ჩანაწერის გამოც, ვინაიდან ქართული საბჭოთა კინოარქივის ხარისხიანად აციფვრა ძვირადღირებული ტექნოლოგიური ფუფუნება იყო. ფილმების ორიგინალი ფირები მოსკოვის კინოფონდის არქივს დარჩა. საქართველოში კი მხოლოდ ვიდეოფირით შემონახული ტექნიკურად მდარე ასლები შემორჩა და თანამედროვე მომხმარებლის მაღალი ხარისხის ციფრულ გამოსახულებაზე გაჩვეული თვალისთვის არ იყო საინტერესო. ამავე პერიოდში დაიწყო ძირეული ღირებულებების, მათ შორის რელიგიისადმი დამოკიდებულების ტოტალური გადაფასებაც.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეები, რომელთაც ჰქონდათ კონფორმისტული დამოკიდებულება ერთადერთი მმართველი პარტიის ავტორიტეტთან, ამ ავტორიტეტების მსხვერველსა და გადაფასების ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ. ამ მდგომარეობაში ათეისტურ გარემოში გაზრდილმა ახალგაზრდობამ ახალ ავტორიტეტად ეკლესია მიიჩნია და მნიშვნელოვნად იმატა მრევლმა ახალგაზრდებსა და მშობელთა თაობაშიც, აგრეთვე ყოფილ კომუნიტებს შორისაც. ჟურნალისტიკის ვორქშოპებზე სასაუბრო თემად ხშირად ირჩევდნენ ეკლესიასა და მედიას შორის ურთიერთობის საკითხებს. აქვე ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მედიაპროდიუსერების უფროსი თაობა, საკუთარი ათეისტური წარსულის გამო, არ მიიჩნევდა თავს კომპეტენტურად რელიგიის საკითხებში და რელიგიასთან დაკავშირებული თემების გასაშუქებლად უპირატესობას ანიჭებდა ისეთ რეპორტიორებს, რომლებიც ეკლესიურები, შესაბამისად პროდიუსერების აზრით,

კომპეტენტურები იყვნენ. ეს რეპორტიორები რელიგიური თემების გაშუქებისას რჩევას ეკითხებოდნენ საკუთარ მოძღვრებს, რომლებიც, ცხადია, ეკლესიის პოზიციის გამტარებელი იყვნენ და აქედან გამომდინარე, ამ საკითხების გაშუქებისას, რეპორტიორები გარკვეულ მიკერძოებას იჩენდნენ. ამ სიტუაციას საკუთარ გადაცემაში “საუბარი რელიგიაზე” (ტელეკომპანია “ტაბულა” თემაზე “მედია და რელიგია – ფილოსოფოსი ლევან ღამბაშიძე”), რომელიც 2014 წლის 30 ივნისს აიტვირთა youtube –ზე, წამყვანი ლევან სუთიძე ასეთი ლიდით წარადგენს: “რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამბიონზე ამდღეული ჟურნალისტების რელიგიურ პროპაგანდას; რატომ წარმოგვიდგენს პრესა სასწაულებს ფაქტად, ხოლო ირაციონალურ რწმენა-წარმოდგენებს ემპირიულ ჭეშმარიტებად; კათალიკოს-პატრიარქისა და სასულიერო პირთა განდიდებაში დამცრობილი პროფესია, რომლის წარმომადგენლებიც, წლების მანძილზე, პროზელიტიზმს ეწეოდნენ და ეწევიან”<sup>51</sup>;

ამ შესავალიდანაც ცხადია, რომ ლევან სუთიძე მართლმადიდებელი ეკლესიის მოწინააღმდეგის პოზიციიდან აკეთებს კომენტარებს. აქვე განვმარტავ, იმასაც, რომ მას, როგორც საავტორო გადაცემის წამყვანს, ჟურნალისტური ეთიკა არ უკრძალავს კომენტარის უფლებას. თუმცა, ჩემი აზრით, იგი ამ კომენტარებში ხაზგასმით რადიკალურია. შესაბამისად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გადაცემის წამყვანი და ტელეკომპანია “ტაბულა” მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგოდ რადიკალურურად ნეგატიურ პოზიციას უწევს ტირაჟირებას. რაც შეეხება საავტორო გადაცემის – “საუბრები რელიგიაზე” – განსხვავებას სხვა ამ თემატიკისადმი მიძღვნილი გადაცემებისგან, მისი ნიშაა წარმოაჩინოს სხვადასხვა დარგის სპეციალისტი-ინტელექტუალების, მეცნიერების შეხედულებები რელიგიასთან დაკავშირებით. ამ ნიშნით ირჩევს სტუმრებს გადაცემის ავტორი. ტელეკომპანია “ტაბულა” თავს მიუკერძოებელ არხად მიიჩნევს. საპირისპიროდ, გამოხატულად პოზიტიურია ტელეკომპანია “ერთსულოვნებას” დამოკიდებულება მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ცხოვრების წესის მიმართ. იგი გაცხადებულად საპატრიარქოს ტელევიზიას და შესაბამისად, მისი გადაცემების დიდი ნაწილი სწორედ მართლმადიდებელი ეკლესიის და საპატრიარქოს პოზიციის პოპულარიზატორია.

<sup>51</sup>[https://www.youtube.com/watch?v=OMZ8YsoSS\\_4](https://www.youtube.com/watch?v=OMZ8YsoSS_4)

## თავი V

### კვლევა – ჩართული დაკვირვება

წინამდებარე პროექტის ფარგლებში, ოთხი წლის (2008-2012წ.წ.) განმავლობაში ჩავატარე და დავასრულე სოციალურ-ფსიქოლოგიური მცირე ექსპერიმენტი – ჩართული დაკვირვება. შევისწავლე ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტების დამოკიდებულება რელიგიასთან და ასევე ის, თუ როგორი გავლენა აქვს საბჭოთა კინემატოგრაფს საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდგომი ეპოქის ახალგაზრდებზე.

იდეა მიკარნახა იმ გარემოებამ, რომ სტუდენტების უმრავლესობას, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური პრობლემებისა და მედიის მდგომარეობის გამო, ასევე რუსული ენის უცოდინრობის მიზეზით, ხელი არ მიუწვდებოდა საბჭოთა კინოპროდუქციაზე. მათ ნანახი არ ჰქონდათ საბჭოური კინოშედევრების უდიდესი ნაწილი. ექსპერიმენტის ჩატარებისთვის მოსახერხებელი კიდევ ერთი გარემოება იყო - ის, რომ იმ სასწავლებელში, რომლის ბაზაზეც ჩატარდა კვლევა, იკითხებოდა საგანი - კინოს ისტორია, როგორც სასწავლო დისციპლინა და მის ფარგლებში სტუდენტები პირველად ეცნობოდნენ ამ პროდუქციას. ჩართული დაკვირვების მიზანი იყო გაგვეჩვენა როგორი გავლენა აქვს ახალგაზრდა მაყურებელზე საბჭოურ კინოპროდუქციას, რომელიც ეკლესიის მსახურის კომედიური პერსონაჟის სპეციფიკური ტიპაჟის დამკვიდრებით ხასიათდება.

ცხადია, როგორც ზოგადად კვლევის ეს ფორმა – ჩართული დაკვირვება, ეს დაკვირვებაც შეიცავს სუბიექტურობის მომენტს. ამიტომ ამ შემთხვევაში, ვისაუბრებთ მხოლოდ ტენდენციებზე და არა კონკრეტული რაოდენობრივი მონაცემების შედარების ზუსტ შედეგებზე. სუბიექტივიზმის ხარვეზების მინიმუმამდე დასაყვანად კვლევა წარმოებდა ოთხი აკადემიური წლის განმავლობაში, რამაც გაზარდა ექსპერიმენტის მონაწილეთა (ცდისპირების) რაოდენობა. ექსპერიმენტი და ჩართული დაკვირვება მიმდინარეობდა შემდეგნაირად: გამოიკითხა 120 სტუდენტი საცდელ ჯგუფში და ამდენივე საკონტროლო ჯგუფში, სულ 240 სტუდენტი ოთხი წლის

განმავლობაში. ჯგუფი დაკომპლექტდა ერთგვაროვანი ასაკის და განათლების დონის სტუდენტებით. ყველას ჩაბარებული ქონდა ეროვნული გამოცდები და სწავლას აგრძელებდა ჟურნალისტიკის, რეჟისურის ან ოპერატორის პროფესიის დასაუფლებლად მედიისა და აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სასწავლებელში.

დაკვირვება წარმოებდა 2008-2012 წლებში. მედიისა და აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სასწავლებელის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ყოველწლიურად შემოდის დაახლოებით 70-დან 90-მდე თინეიჯერი. ამ კონტინგენტიდან შეირჩა ორი ჯგუფი: იდენტური ასაკობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობით (დაახლოებით, 30-მდე სტუდენტი საცდელ და იმავე ასაკის (17-18 წლის) ამდენივე სტუდენტი საკონტროლო ჯგუფებში, სქესს არ ენიჭებოდა მნიშვნელობა. ისიც უნდა აღნიშნოს, რომ უმეტესი ნაწილი გოგონები იყვნენ, ვინაიდან ძირითადი კონტინგენტი იყო ჟურნალისტიკის ფაკულტეტიდან და ვაჟები შედარებით იშვიათად აბარებდნენ ხსენებულ ფაკულტეტზე.

ამ ჯგუფების შესადგენად თავდაპირველად შეირჩა A, B და C შეხედულების ქვეჯგუფები; ვინაიდან კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორი გავლენა აქვს აუდიო-ვიზუალურ მედიას ადამიანის რწმენასა და მის დამოკიდებულებაზე რელიგიასა და რელიგიურ ინსტიტუტებთან, დაკვირვებისთვის გამოყენებული იყო სწორედ აუდიო-ვიზუალური მასალა – XX საუკუნის ქართული ფილმები, კომედიები, რომლებშიც გვხვდება საბჭოთა კომედიური კინემატოგრაფისთვის დამახასიათებელი მღვდლის ტიპური, კომიკური პერსონაჟი.

ამისათვის წინასწარ გაირკვა რამდენი სტუდენტი შეიძლებოდა მოხვედრილიყო A ტიპის ჯგუფში, ანუ სტუდენტები, რომლებიც გამოხატავდნენ კატეგორიულად დადებით დამოკიდებულებას ქრისტიანული ეკლესიის მიმართ. აცხადებდნენ, რომ არიან ამ ეკლესიის მრევლი, ასევე მკრეხელობად მიიჩნევენ, მოძღვრის კურთხევის გარეშე საჯარო დისკუსიას რელიგიის შესახებ.

იმავე მეთოდით შეირჩა B და C შეხედულებების ქვეჯგუფების შემადგენლობები. B ტიპის შეხედულების სტუდენტები ნაკლებად კატეგორიულები იყვნენ რელიგიურ საკითხებზე მსჯელობასა და შესაბამისად, კამათთან დაკავშირებითაც, ისინი თავს მართლმადიდებელ ქრისტიანებად

მიიხნევენ, მაგრამ არ ჰყავდათ მოძღვარი და დასაშვებად მიიხნევენ იმ საკითხებზე მსჯელობას, თუ როგორი უნდა იყოს ურთიერთობა სეკულარულ სახელმწიფოში სახელმწიფოსა და ეკლესიას, ასევე ეკლესიასა და მედიას შორის.

რაც შეეხება C ტიპის შეხედულების ქვეჯგუფს, ისინი კატეგორიული ე.წ. "სეკულარისტები", ანუ ის სტუდენტები იყვნენ, რომლებიც მყარად იზიარებდნენ ე.წ. "პოზიტიური ათეიზმის" პრინციპებს. აცხადებდნენ, რომ საეკლესიო დღესასწაულებთან და მისი სხვა აქტივობების გაშუქებასთან არაფერი ესაქმება მედიას და სახელმწიფოსგან სრულიად გამიჯნული უნდა იყოს ეკლესია. ამავე ქვეჯგუფში შევიდნენ ის სტუდენტებიც, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებდათ რელიგიის საკითხები, იყვნენ არარელიგიური ან საერთოდ არ ჰქონდა დამოკიდებულება მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მიმართ.

აღწერილი დამოკიდებულების მიხედვით ჯგუფების დაყოფა იმისათვის გახდა საჭირო, რომ გარკვეულიყო მათი თვალსაზრისი ერთი შეხედვით სრულიად უმტკივნეულო შეკითხვაზე: არის თუ არა ვალდებული საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ ეთერში სრულად გადასცეს ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელოვანი დღესასწაულები? ეს კითხვა იმ პერიოდის ქართულ მედიაში მეტად აქტუალური იყო, ვინაიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის მაშინდელმა დირექტორმა, თამარ კინწურაშვილმა, რომელიც ემხრობოდა ე.წ. C პოზიციას და პირდაპირ ეთერში არ გაუშვა საშობაო წირვა, მოკლე ხანში თანამდებობა დატოვა.

აი, რას წერდა თამარ კინწურაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებამდე პორტალი <http://www.media.ge>, რომელიც საქართველოში მედიასთან დაკავშირებულ თემატიკას აშუქებს: "საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი თამარ კინწურაშვილი უარყოფს საპატრიარქოს ბრალდებას ტელევიზიაში თანამშრომლების რელიგიური ნიშნით შევიწროვების შესახებ. კინწურაშვილი წუხს, რომ საპატრიარქოს არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. მისი აზრით, საზოგადოებრივი მაუწყებლიდან დათხოვნილი თანამშრომლები ამ თემით სპეკულირებენ. კინწურაშვილმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი პრიორიტეტი ეროვნული თვითშეგნების გამყარებაა და ტელევიზიის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს ამისთვის. არც ერთ რელიგიურ

კონფესიას, მით უმეტეს მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩვენს არსზე არ შექმნია საკუთარი პოზიციის გამოთქმასთან დაკავშირებით პრობლემა, თქვა კინწურაშვილმა. გენერალურმა დირექტორმა ასევე უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს 7 იანვრის ღამეს, მან უარი თქვა პირდაპირ ეთერში საშობაო ლიტურგიის ტრანსლიაციაზე. კინწურაშვილის თქმით, ტელევიზიის ხელმძღვანელობას უარი არ უთქვამს პირდაპირ ტრანსლიაციაზე, "უბრალოდ დაწყებამდე ტექნიკური პრობლემები შეიქმნა, რომელიც ლიტურგიის მსვლელობისას გამოსწორდა"... "ეს იმ ადამიანების ინსინუაციებია, რომელთაც ტელევიზიის დატოვება მოუხდათ, სამწუხაროდ, ისინი არასწორ ინფორმაციას აწვდიან ეკლესიას. მზად ვარ განვიხილო ეს თემა, ნებისმიერ, დაინტერესებულ პირებთან"<sup>52</sup>, განაცხადა თამარ კინწურაშვილმა.

საპატრიარქოს წარმომადგენელმა დეკანოზმა მიქაელმა (ბოტკოველი) 14 მარტს საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელობა რელიგიური შეხედულებების მიხედვით თანამშრომელთა დისკრიმინაციაში დაადანაშაულა. მისი განცხადებით, მაუწყებლის ადმინისტრაცია, ტელევიზიის თანამშრომლებს სამსახურიდან ათავისუფლებს რელიგიური შეხედულებების გამო<sup>53</sup>.

A და C ქვეჯგუფებში პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო ერთ შემთხვევაში “დიახ”, და მეორე შემთხვევაში ასეთივე კატეგორიული “არა”; სრულყოფილი დისკუსია შედგა მხოლოდ B ქვეჯგუფში, მაგრამ ამ ქვეჯგუფის სტუდენტთა რიცხვი არასაკმარისი იყო საიმისოდ, რომ ორ ნაწილად გაყოფილიყვნენ საცდელი და საკონტროლო ჯგუფების შესაქმნელად. ამიტომ შედგა შერეული ჯგუფები (K –საკონტროლო და E –ექსპერიმენტული ანუ საცდელი), იმ სისტემით რომ პროცენტული შეფარდება A, B და C შეხედულებების მქონე სტუდენტებს შორის მაქსიმალურად მიახლოებულიყო და ორივე ქვეჯგუფში ეკლესიასთან განსხვავებული დამოკიდებულება პროცენტულად თანაბრად ყოფილიყო წარმოდგენილი.

მომდევნო წელიწადს კვლავ იმავე სისტემით თავიდან შეირჩეოდნენ სტუდენტები, ისევ იქმნებოდა ორივე ჯგუფი (K და E), და სასწავლო წლის დასაწყისსა და ბოლოში (წელიწადში ორჯერ), მოწმდებოდა რეალური ეკლესიის მსახურის სახე რამდენად უფრო აქტუალური იყო კინოს

<sup>52</sup> <http://www.media.ge/ge/portal/news/21424/>

<sup>53</sup> იქვე

პერსონაჟთან შედარებით. საჭიროების შემთხვევაში, ემატებოდა ტელერეჟისურის ფაკულტეტის სტუდენტებიც. საცდელ ჯგუფი ნახულობდა ფილმებს, რომლებიც კინოს ისტორიის ფარგლებში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საბჭოთა კინოკლასიკას წარმოადგენდა (ისინი არ შედიოდა სავალდებულოდ სანახავი ფილმების ნუსხაში). შესაბამისად, მათ არ ნახულობდნენ საკონტროლო ჯგუფის წევრები.

ექსპერიმენტისთვის საინტერესო ფილმების ნუსხაში შევიდა მიხეილ კალატოზიშვილის “ჯიმ შვანთე”, დავით რონდელის “დაკარგული სამოთხე”, მიხეილ ჭიაურელის “რაც გინახავს, ვეღარ ნახავ”, ბუბა ხოტივარის “ლაზარეს მოგზაურობა”, თამაზ მელიავას “ლონდრე”, თენგიზ აბულაძის “ნატვრის ხე”, გიორგი დანელიას “არ დაიდარდო”. ყველა ამ ფილმში ეკლესიის მსახური კომედიური, უმეტესად კი ეპიზოდური პერსონაჟია, რომელის კომიკურობა მაშინაც კი თვალშისაცემია, როდესაც სულ მცირე ხნით ჩნდება ეკრანზე. იგი, როგორც წესი, მსუქანი, ღიპიანი მამაკაცია, რომელიც ეკლესიის მსახურისთვის შეუფერებლად და სამარცხვინოდ იქცევა (ხან თაღლითია, ხან მთვრალია და ლოთი, ხან მრუშობს, ხან კი ძუნწია და ბრიყვი). ზოგიერთი ფილმის პერსონაჟ ეკლესიის მსახურს, ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე უარყოფითი თვისება ერთად ახასიათებს.

ექსპერიმენტის პერიოდის (ერთი აკადემიური წლის განმავლობაში) ჩამოთვლილ ფილმებს რეგულარულად ნახულობდა მხოლოდ საცდელი ჯგუფი, საკონტროლო კი – არა. ოთხ წელიწადში დაგროვდა საცდელ ჯგუფში 17-18 წლის 120 სტუდენტი, ზუსტად ამდენივე საკონტროლო ჯგუფში. წლის განმავლობაში რამდენჯერმე, ორივე ჯგუფის წევრები მსჯელობდნენ მედიასთან დაკავშირებულ თემებზე, რომელიც აქტუალური იყო საზოგადოებაში. სასწავლო წლის ბოლოს კი ტარდებოდა ცდა – “დაუსრულებელი წინადადება” და ირკვეოდა, ქონდა თუ არა გავლენა ფილმების სახე-ხატებს საცდელი ჯგუფის წევრების ასოციაციურ მეხსიერებაზე. ასევე მეორდებოდა წლის დასაწყისში დასმული შეკითხვა – “არის თუ არა სავალდებულო საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მართლმადიდებლური ქრისტიანული დღესასწაულები (აღდგომისა და შობის წირვა) პირდაპირ ეთერში გადასცეს?”, ოდნავ განსხვავებული ფორმით “რამდენად საჭიროა მაყურებლისთვის ტელევიზიით მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულების ტრანსლირება პირდაპირი ეთერით?”.

ოთხი წლის განმავლობაში იმავე სისტემით მეორდებოდა ცდაც და ჩართული დაკვირვებაც. საინტერესო თემის შესახებ გამონათქვამები კატეგორიულობის მიხედვით ხარისხდებოდა სამიგვარი მოსაზრების (A, B და C) ქვეჯგუფებში. შესაბამისად, A, B, და C მხოლოდ მოსაზრების აღმნიშვნელია და არა იმისა, თუ ვინ გამოთქვა ეს მოსაზრება. შემოთავაზებულ ცხრილებშიც დათვლილია მხოლოდ გამოთქმულ მოსაზრებათა შეფერილობა, როგორც A, B, და C კატეგორიისა და არა აღამიანები. A და C კატეგორიულობის კრიტერიუმად მიჩნეულია ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულების გამომხატველი ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: – რასაკვირველია, აუცილებლად, სხვაგვარად არ შეიძლება, არავითარ შემთხვევაში; ნეიტრალური B ქვეჯგუფის მიეკუთვნა ისეთი გამონათქვამები, რომლებიც არ იყო შეფერილი კატეგორიული ტონით ან ემოციით და სიტყვები, როგორებიცაა მაგ.: „შესაძლოა“; „რატომაც არა“; „თუ საჭიროდ ჩათვლიან“; „ეს დამოკიდებულია ტელეკომპანიაზე“; „როგორც მაყურებელს უნდა“; „რეიტინგი თუ აქვს, მაშინ მისაღებია“; „თვითონ იციან“; „გააჩნია რა შემთხვევაში“ და ა.შ.

ამ კვლევის ჩატარება გვიკარნახა რამდენიმე გარემოებამ:

ერთ-ერთი გახლდათ ის, რომ სემინარზე, ინტერვიუს ტექნიკის შესწავლისას, ვინაიდან პირველკურსელ სტუდენტებს პოლიტიკოსებისა და რეალური ისტებლიშმენტის შესახებ მწირი წარმოდგენა ჰქონდათ, შევთავაზეთ წარმოსახვითი ინერვიუსთვის მოემზადებინათ შეკითხვები მათთან, ვის შესახებაც მეტი ინფორმაცია ჰქონდათ – ლიტერატურულ გმირებთან, ისტორიულ და მითიურ პიროვნებებთან (როგორც ამჟამად ცოცხალ, მაგრამ მათთვის მიუწვდომელ რესპოდენტებთან, ასევე უკვე გარდაცვლილ, საინტერესო პიროვნებებთან, ისტორიულ, მითიურ და ლიტერატურულ პერსონაჟებთან). აგრეთვე, იყო შეთავაზება მოემზადებინათ შეკითხვები, რომელსაც დაუსვამდნენ მაცხოვარს. პასუხად, რამდენიმე სტუდენტისგან უარი მივიღეთ იმ მიზეზით, რომ ეს მკრეხელობაა. მათივე თქმით, არ შეიძლება მოძღვრის კურთხევის გარეშე ჟურნალისტმა მოამზადოს სიუჟეტი ისეთ თემაზე, რომელშიც რწმენა რაიმე სახით ფიგურირებს.

მეორე გარემოება კი იყო ის, რომ თაობას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიბადა და გაიზარდა, არ ჰქონდა ნანახი და რასაკვირველია, არც დამახსოვრებული საბჭოთა კინოპროდუქცია, მათ

შორის, არც ის კომედიური ფილმები, რომელშიც ეკლესიის მსახურის ტიპური საბჭოური კინემატოგრაფისთვის დამახასიათებელი პერსონაჟი (მთავარი ან ეპიზოდური) მონაწილეობს. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მათ, განსხვავებით მშობლების თაობისგან, ამ პოპულარული ფილმებიდან არ იცოდნენ ფრაზები (უმეტესობა ხომ ძალზე მთარული იყო და საბჭოური პერიოდის თაობის მეყვებელბაში დამკვიდრებული).

სტუდენტებს კამათში მონაწილეობის მოტივაციისთვის განემარტათ, თითქოს, ამ ვორკშოპის დანიშნულება იყო მათი ორატორული ანუ აზრის გადმოსცემის უნარების შემოწმება, იმის გაუთვალისწინებლად, როგორი იქნებოდა მათი საპასუხო შეხედულება დასმულ შეკითხვაზე. უმთავრესი იყო, თუ რამდენად გასაგებად და მკაფიოდ გადმოსცემდნენ საკუთარ მოსაზრებას. პასუხისათვის საკმარისი იყო თუნდაც ერთჯერადად მონაწილეობა კამათში. თუმცა, სასურველი იყო მონაწილეობა ორჯერ და მეტჯერაც, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სტუდენტს მისცემოდა აზრის გამოთქმის საშუალება.

კამათის განმავლობაში ჩართული დამკვირვებლის (მკვლევარის) მიერ დელიკატურად წახალისდნენ შედარებით მორიდებულ სტუდენტები, რომ აქტიურებს ძალიან არ დაეჩრდილათ ისინი. როგორც დაკვირვებამ გვაჩვენა, კამათის მსვლელობისას სტუდენტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თუ როგორ პოზიციას გამოთქვამდა არაფორმალური ლიდერი, რომელსაც ჯგუფი აღიარებდა, როგორც ჭკვიანს და განათლებულს, ან გამოარჩევდა რაიმე სხვა ნიშნით, რაც ადვილი შესამჩნევი იყო მათი კომენტარებითა თუ სხვა არავერბალური მოქმედებებით. ეს ხარვეზიც მინიმუმამდე დავიდა ახალი ცდისპირების შემოყვანით ოთხი წლის განმავლობაში.

ექსპერიმენტის დაწყებამდე სასწავლო წლის პირველივე თვეში, ორივე ჯგუფის მონაწილეებს (თითოეულში 30 მონაწილე) ფურცელზე უნდა ჩამოეწერათ ის სულიერი და გარეგნული თვისებები, რომელიც უნდა ახასიათებდეს, მათი აზრით, იდეალურ მღვდელს (ან ეკლესიის სხვა მსახურს) როგორც გარეგნული ნიშნით, ასევე სულიერად. იგივე ციკლი განმეორდა ყოველ მომდევნო წელს. ამგვარი ათვლის მიხედვით, ეს რაოდენობა უმნიშვნელოდ იცვლებოდა, ხოლო საერთო ჯამში 36-მა სტუდენტმა, ანუ 15%-მა განაცხადა, რომ მღვდლის გარეგნობას არა აქვს

მნიშვნელობა. საბოლოოდ წარმოჩინდა ეკლესიის იდეალური მსახურის ასეთი პორტრეტი: გამხდარი ანუ ასკეტური გარეგნობის, განათლებული, საღვთო წერილის ჩინებული მცოდნე, გულისხმიერი, კეთილი, ზომიერების მიმდევარი ყველაფერში, რწმენისათვის თავდადებული, გაწონასწორებული, მშვიდი და თავმდაბალი. ეს ხერხი გამოყენებული იყო იმისათვის, რომ არ მომხდარიყო ყურადღების განსაკუთრებული კონცენტრაცია მხოლოდ სახელზე და მათ კინოპერსონაჟების სხვა თვისებებიც შეენიშნათ.

ორიენტირის არჩევის შემდეგ, მიღებული დახასიათების მიხედვით, შევადგინეთ 0-დან 10-მდე შკალა, რომელზეც 10 ნიშნული შეესაბამებოდა იდეალს. იმისათვის, რომ სტუდენტებს გამოეხატათ რამდენად ახლოს არიან, მათი შეხედულებით, ეკლესიის მსახურები, რომელთა შესახებაც მათ სმენიათ, წაუკითხავთ ან უნახავთ, ამ იდეალთან, ვთავაზობდით შკალაზე მოენიშნათ ამ სიახლოვის შესაბამისი ნიშნული. 10 ბალიან შკალაზე აღნიშვნებმა უპირატესად მე-6, მე-7 პოზიცია დაიჭირა.

სურათის შედგენისას, სტუდენტებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე: თუ ვის წარმოიდგენდნენ, როდესაც იდეალური ან რეალური მოძღვარის პორტრეტს ირჩევდნენ. ამ მონაცემსაც ოთხი წლის განმავლობაში განსაკუთრებულად გამოხატული ცვლილება არ განუცდია (ჯამური მაჩვენებელი ამ წლების მიხედვით ასეთია 60 სტუდენტის ანუ 25 %-ის პასუხი იყო – პატრიარქს; 104 სტუდენტის ანუ 43,3%-ის – ისტორიულ პიროვნებებს (ქართველ პატრიარქებსა და ეკლესიის მსახურებს, რომლებიც საქართველოს ისტორიაში დამკვიდრდნენ სხვადასხვა დგაწლის გამო); 56 სტუდენტის ანუ 23,3% – სხვადასხვა ლიტერატურულ პერსონაჟებს; 20 სტუდენტის ანუ 8,3% – მათ თანამედროვე, კონკრეტულ ეკლესიის მსახურებს, იმ ადამიანებს, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონიათ;), შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარემოს ზემოქმედება ამ საკითხში, სტუდენტების პოზიციაზე, ერთნაირ ასაკობრივ ჯგუფში, რაიმე ტენდენციის გამომხატველი არ იყო. ამ ნიშნულს მკვეთრი ცვლილება არ განუცდია. ამიტომ ძირითადი ყურადღება გადავიტანე მოსაზრებების A, B და C შკლაზე.

ამავე პერიოდში, იგივე სტუდენტები, სხვა პედაგოგთან შეისწავლიდნენ ქართული კინოს ისტორიას და მათ ექსპერიმენტის პროცესში ნახეს შემდეგი ფილმები:

მიხეილ კალატოზიშვილის (1930წ.) “ჯიმ შვანთე” (მარილი სვანეთს), რეჟისორული გადაწყვეტისა და ნოვატორული ხედვის თვალსაზრისით, ნამდვილი შედეგია, რის გამოც იგი შევიდა ქართული კინოს ისტორიაში. ამ ფილმში მღვდელი ჯერ არ არის კომიკური პერსონაჟი, სამაგიეროდ, ნაჩვენებია მღვდელი და ეკლესია ადგილობრივ თავკაცებთან ერთად როგორ ჩაგრავს გაჭირვებულ მთის ხალხს;

“ლაზარეს მოგზაურობა” (რეჟისორი ბუბა ხოტივარი გადაღებულია 1973 წ.), რომელშიც ფარისეველი და მატყუარა მღვდელი ობოლ ნიჭს ჩაგრავს. იგი ღიპიანი, ხარბი, მსუნაგი და ბოროტია. მისი სიმსუქნე, როგორც ნეგატიური თვისება ფილმში ხაზიგასმულია რამდენჯერმე განმეორებული ფრაზით: – “მამაო ენუქ, ქრისტე გამხდარი იყო შენ რამ გაგასუქა?” – საჯაროდ უყვირის მას დროდადრო სხვა კომიკური პერსონაჟი, ანარქისტი ანანია, რომელსაც, ყოველი ამგვარი პროტესტისთვის სასტიკად სცემს მოძალადე, კუნთმაგარი დიაკვანი;

დავით რონდელის 1937 წელს გადაღებული ფილი “დაკარგული სამოთხე”, სადაც მღვდელი შარლატანია, რომელიც ცრუპენტელა აზნაურთან, მიქელა კალმახიძესთან ერთად ატყუებს ღვთის იმედად დარჩენილ ხალხს და ფულს სცანცლავს;

ფილმში “ლონდრს” (რეჟისორი თამაზ მეღიავა 1966 წ.), სადაც ასევე ღიპიანი და ბრიყვია კომედიური პერსონაჟი მღვდელი, რომელსაც ლონდრე იოლად გააცურებს;

რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის ფილმი – “რაც გინახავს ვეღარ ნახავ” (1965 წ.), სადაც გამასხარავებული არიან თავადები და მათი ცხოვრების წესი. ამ კომედიაშიც ტრადიციულად კომიკურია ეპიზოდური პერსონაჟი – მღვდელი, რომელსაც გულშემოყრილი კნენა ხორეშანის (ვერიკო ანჯაფარიძის გმირი) საზიარებლად მოიყვანენ. იგი ისეთი მთვრალია, რომ კნენა ხორეშანისათვის განკუთვნილ ზიარების ღვინოს თვითონ დაღვეს და საწოლზეც წამოიქცევა;

გიორგი დანელიას ფილმი – „არ დაიდარდო!“ (1968 წ.), სადაც სასულიერო პირი ეპიზოდური პერსონაჟია, რომელიც ყველა კადრში ნასვამია და სხვა პერსონაჟებს დროდადრო შერისხვით ემუქრება. ფილმის ფინალში კი სუფრასთან მჯდომი, მთვრალი, საიქიო ცხოვრების არსებობაც უარყოფს;

თენგიზ აბულაძის მიერ გადაღებული დრამა – “ნატვრის ხე” (1976 წ.), სადაც მამა ოხროხინე მრუმი და მატყუარაა, რომელიც სოფლის მოძალადე საზოგადოებას წააქეზებს და ულამაზეს, გულწრფელად შეყვარებულ მარიტას “სოფლის სამართლის” სახელით დაუნდობლად გაუსწორდებიან.

რაც შეეხება, ჩართულ დაკვირვებას, იმავე სტუდენტებს, კონკრეტულ ჟურნალისტურ რეპორტაჟებთან დაკავშირებით, შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სხვა დისკუსიებშიც. ასეთი იყო, მაგალითად, მათი ინიციატივით შემოთავაზებული საუბარი, რამდენად შეესაბამება სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებსა და გამოსატვის თავისუფლების დაცვას ერთი მხრივ, “მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის” მიერ ერეკლეს მოედანზე “ჰელოენის” აღსანიშნავი აქციის მონაწილე ახალგაზრდების დარბევა<sup>54</sup> (2008წ. 31 ოქტომბერი), მეორე მხრივ, ძალოვანი სტუქტურების მიერ, მამა ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების დროს, გლდანის ეკლესიის დარბევა<sup>55</sup> (2004წ. 12 მარტი) და ა. შ. ორივე ჯგუფის ყველა სტუდენტი მონაწილეობდა მსჯელობაში და აზრიც, მოვლენების შესახებ, დაახლოებით, თანაბარი პროპორციით გაიყო, რაც მიანიშნებდა იმას, რომ ნანახ ფილმებს საცდელი ჯგუფის მონაწილეთა რწმენაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. სამაგიეროდ, მათ ცნობიერებაში მღვდლის ხატი, რეალური პერსონის ნაცვლად, ფილმის პერსონაჟმა დაიკავა სასწავლო წლის ბოლოს. სწორედ ასეთი კომიკური პერსონაჟის სახელი გაახსენდა საცდელი ჯგუფის წევრ 12 სტუდენტს (საერთო რაოდენობა 120) მღვდლის წარმოდგენისას.

რა შედეგს გამოიღებს ამგვარი ჩანაცვლება მომავალში, ჯერ კვლევის მიღმა დარჩა. თუმცა, ამ კინოფილმებზე აღზრდილი მათი მშობლების თაობის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, რომელთა დიდი ნაწილი თავისუფალი არჩევანის მიღებისთანავე, ეკლესიის მრევლი გახდა, იმის მიუხედავად, რომ მთელი ცხოვრება მხოლოდ ამგვარ ფილმებს უყურებდა და რეალური ეკლესიის მსახურის შეცნობის საშუალება პრაქტიკულად არ ჰქონდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ: აუდიო-ვიზუალური მედიის საბჭოური სოცრეალიზმის მიერ შეთავაზებული ეკლესიის მსახურის კომიკური პერსონაჟები მხოლოდ იმ პერიოდშია მათ ცნობიერებაში აქტუალური, ვიდრე არ გამხდარან ეკლესიურები ან არ უსაუბრიათ ამგვარ თემებზე მათთან, ვინც

<sup>54</sup>[http://www.tolerantoba.ge/tolerantoba\\_jurnali/27.pdf](http://www.tolerantoba.ge/tolerantoba_jurnali/27.pdf) გვ7

<sup>55</sup><http://www.civil.ge/geo/article.php?id=6217>

ეკლესიურია და, შესაბამისად, რწმენის სასარგებლო არგუმენტები აქვს. ეს ვარაუდი ხსენებული 12 სტუდენტის შემთხვევაში გადავამოწმეთ ერთი წლის შემდეგ, როდესაც ისინი უკვე მეორეკურსელები გახდნენ. 12-დან 7-მა აღარ დაასახელა კინოს პერსონაჟი, 5-მა კი გაიმეორა.

ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში, მათი განწყობის სხვადასხვაობას ჰქონდა მნიშვნელობა და გარკვეული დროის შემდგომ, ალბათ იმ 5 სტუდენტსაც გაუქრებოდა ფილმებით შექმნილი განწყობა.

ფილმების ნახვის მერე კვლავ, სასწავლო წლის დასასრულისკენ, ორივე ჯგუფს უტარდებოდა ასოციაციური ტესტი (“დაასრულე წინადადება”) და მიუხედავად იმისა, რომ სიტყვათა წყობას “ეკლესიის მსახურს ჰქვია ...” საცდელი ჯგუფის (ფილმები უკვე ნანახი ჰქონდათ) საშუალოდ, 20% აგრძელებდა სიტყვებით ”მამაო ენუქ” ან “მამა ოხროხინე”. ეს ასოციაცია არ ასახულა ვორკშოპებზე მსჯელობისას. ტენდენცია კი გამოიკვეთა შემდგენაირად: როგორც საცდელ, ასევე საკონტროლო ჯგუფებში იმატა ზოგადად დისკუსიაში მონაწილეთა აქტივობამ, ამას გარდა, შეიმჩნეოდა პროზიციის შერბილება გამოსატულად რადიკალურიდან – შედარებით ზომიერისაკენ, რაც იმითაც შეიძლება ავსხნათ, რომ სტუდენტებმა ერთმანეთი უკეთ გაიცნეს და ცდილობდნენ, უფრო ლოიალურები ყოფილიყვნენ და ანგარიში გაეწიათ განსხვავებული მოსაზრებებისთვის. აღნიშნული ტენდენცია საცდელ ჯგუფში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ოდნავ ჭარბობდა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩატარებული "ჩართული დაკვირვების" ექსპერიმენტის გავლენა, საცდელი ჯგუფის წევრების თავისუფალ ნებაზე უმნიშვნელო და დროებითია და შესაბამისად, არ დარღვეულა ადამიანების ქცევაზე ჩართული დაკვირვების ეთიკის ნორმა. ამას გარდა, მიმაჩნია, რომ საბჭოთა კინოს ხსენებული შედეგები აუცილებლად უნდა ნახონ მედიის ახალგაზრდა მუშაკებმა, ვინაიდან, ჩვენ მიერ გამოკვეთილი რელიგიის მსახურის პორტრეტის გარეშე, ეს ფილმები ძალზე საინტერესოა ახალგაზრდა თაობისათვის. სასარგებლოცაა, რომ იცოდნენ, თუ რა შეუქმნია გამორჩეულად ღირებული იმ მასკულტურას, რომლის მემკვიდრენი გარკვეულწილად, თვითონაც არიან.

ვორკშოპზე სპეციალურ ცხრილში ვინიშნავდით მოსაზრებების მრავალგვარობას და რაოდენობას ჩვენთვის საინტერესო თემაზე – საჭიროა, თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც თითოეული გადასახადის

გადამხდელის ჯიბიდან ფინანსდება, საქართველოს მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულებს პირდაპირ ეთერში სრულად გადასცემდეს. ამ საკითხზე კვლავ ვმსჯელობდით. ჩანიშნების დათვლის შემდეგ შეივსო შემაჯამებელი ცხრილი (იხ. შემაჯამებელი ცხრილი გვ. 170), სადაც ოთხი წლის შედეგებია დაჯამებით წარმოდგენილი.

ცხრილი ( შემაჯამებელი)

|                | E          |    |    |        |     |    | K          |     |    |        |     |    |
|----------------|------------|----|----|--------|-----|----|------------|-----|----|--------|-----|----|
|                | სექტემბერი |    |    | ივნისი |     |    | სექტემბერი |     |    | ივნისი |     |    |
|                | A          | B  | C  | A      | B   | C  | A          | B   | C  | A      | B   | C  |
| I              | 19         | 20 | 19 | 24     | 29  | 20 | 20         | 21  | 20 | 24     | 24  | 20 |
| II             | 26         | 24 | 19 | 28     | 28  | 23 | 23         | 25  | 23 | 26     | 29  | 24 |
| III            | 29         | 27 | 25 | 26     | 32  | 27 | 28         | 28  | 26 | 22     | 28  | 21 |
| IV             | 30         | 28 | 26 | 24     | 30  | 24 | 27         | 30  | 28 | 27     | 32  | 22 |
| <b>Σ(I-IV)</b> | 104        | 99 | 89 | 102    | 119 | 94 | 98         | 104 | 97 | 109    | 113 | 87 |
| <b>Σ</b>       | 290        |    |    | 315    |     |    | 299        |     |    | 309    |     |    |

ცხრილში მოცემულია ნედლი ციფრები და მათი ერთმანეთთან შედარებისათვის საჭიროა მონაცემები გადავიყვანოთ პროცენტულ მაჩვენებლებში.

ჩართული დაკვირვების ოთხივე წლის განმავლობაში სექტემბრის პირველი ვორკშოპის საცდელი ჯგუფისათვის ჯამურად გამოთქმულია 290 მოსაზრება. ხოლო ამავე პერიოდის ივნისის ვორკშოპის ჯამური მონაცემი შეადგენს საცდელი ჯგუფისთვის – 315-ს. მათი სხვაობა შეადგენს:  $315-290=25$ . სექტემბრის მონაცემი თითქმის 8%-ით გაიზარდა. რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფს, განსხვავება ასეთია:  $309-299=10$ . ანუ სექტემბრის მონაცემი გაიზარდა სულ 3,3%-ით;

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ: როგორც საცდელი, ასევე საკონტროლო ჯგუფის შემთხვევაშიც, მოსაზრებათა გამოთქმის ჯამური აქტიურობა უფრო მაღალი იყო იენისში (8% და 3,3% შესაბამისად). სასწავლო წლის განმავლობაში, ორივე ჯგუფში, დისკუსიაზე გამოთქმული მოსაზრებების ზრდის მაჩვენებელი საშუალოდ 5%-ია, რაც სავარაუდოდ იმის შედეგია, რომ სტუდენტებმა უკეთ გაიცნეს ერთმანეთი და ლექტორიც და შესაბამისად, უფრო სხარტად და გაბედულად გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს, 45 წთ-ის განმავლობაში მეტი მოსაზრება გამოთქვეს. გამოთქმული მოსაზრებების ტიპობრივი ჯგუფების (A, B, და C) მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მაჩვენებელი საცდელ ჯგუფში (119-99=20), ანუ სექტემბრის მაჩვენებელი 20%-ით გაიზარდა იენისში. რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფს, აქ მაჩვენებელი გაიზარდა (113-104=9) 9%-მდე. შესაბამისად, ამ მაჩვენებლის საშუალო ზრდა ორივე ჯგუფში 15%-მდეა.

ჩემი აზრით, პირველ რიგში, ეს ზრდა განაპირობა იმან, რომ პოზიციას მიეკუთვნებოდა ისეთი მოსაზრებები, რომლებიც უშუალოდ არ ეხებოდა დასმულ კითხვაზე პირდაპირ პასუხს “დიახ” ან “არა” და ისეთი პასუხები, რომელიც მედიის პრიორიტეტებზე (მაგ. რეიტინგი) ამახვილებდა ყურადღებას და გასაშუქებელი თემატიკის კონტენტზე. გასათვალისწინებელია ის, რომ ერთი აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში ორივე ჯგუფის სტუდენტებმა შეისწავლეს ჟურნალისტიკის საფუძვლები და გამოხატვის თავისუფლების არსი თანამედროვე სამყაროში, შესაბამისად, მათი ყურადღება, ძირითადად, მედიის დანიშნულებაზე გამახვილდა და არა მსოფლმხედველობებზე. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ჯგუფში პოზიციის ზრდის მაჩვენებელი თითქმის 2,2-ჯერ აღემატება იმავე მაჩვენებელს ჯგუფში (EB= 20% და KE=9%), ამის მიზეზი ვფიქრობ, სწორედ ის შერჩევის პრინციპია, რომელიც ფილმების არჩევის დროს იყო გამოყენებული – საბჭოთა კინემატოგრაფის ისეთი შედეგები, რომლებიც არ წარმოადგენდა უხეშ პროპაგანდისტულ პროდუქციას, არამედ უფრო ნიჭიერი რეჟისორების თავისუფალი სულის გამოვლენა იყო ხელოვნებაში, ვიდრე მუშური ნიშნით არჩეული ხელოვანთა კორპუსის სოცრეალისტური შემოქმედების პროდუქტი.

ხსენებულ ფილმებში რეჟისორებს თავისუფალ სულსა და კრიტიკული აზროვნების ამგვარ გამოვლინებებს საბჭოური ცენზურაც უწუნებდა. სწორედ

ამის გამო უწევდათ მათ ათასგვარი ხერხი მოესინჯათ, რათა ამა ფილმებს ფართო ეკრანზე გამოჩენის უფლება მოეპოვებინათ.

გიორგი დანელია ფილმის – “დავდივარ მოსკოვის ქუჩებში” განხილვის ერთ-ერთ ეპიზოდს აღწერს თავის მემუარულ წიგნში – “უბილეთო მგზავრი”<sup>56</sup>. ცენზურამ რეჟისორს სადებიუტო ფილმის ჩაბარებისას შეკითხვა დაუსვა: "რის შესახებ არის ფილმი? კარგი ადამიანების შესახებ", – უპასუხა მან. “რა ჟანრს ეკუთვნის ეს ფილმი?” – იყო დამატებითი შეკითხვა. “ლირიკული კომედიაა”, – სწრაფად მოიფიქრა პასუხი გიორგი დანელიამ. ეს ჟანრი მან ტიტრებშიც მიუთითა და ამის შემდეგ, ლირიკული კომედიების სახელით, უამრავმა კინოშედეგმა აიცილა თავიდან საყვედური იმის გამო, რომ “სოცრეალისტური” დითირამებით არ ამკობდნენ საბჭოთა ქვეყნის “ბედნიერ ყოფას”.

ფიქრობ, რომ ახალგაზრდებშიც რადიკალური დამოკიდებულებების შედარებით კრიტიკულისკენ შერბილება სწორედ ხელოვანთა ამგვარი სულისკვეთების გავლენისა და შემოქმედებითი სილადის დამსახურებაა.

ჩართული დაკვირვების ექსპერიმენტის შედეგად, დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღიაობა და განსჯაში მონაწილეობა, იმის მიუხედავად, რომ, ზემოქმედებისთვის საბჭოური პროპაგანდის მძლავრი ინსტრუმენტი – კინემატოგრაფი იყო გამოყენებული, პირველ რიგში უფრო თავისუფლად აზრის გამოთქმასა და ზოგადად კრიტიკული აზროვნებისადმი მოტივაციის გაჩენას უწყობდა ხელს და არა პოზიციის პოზიტიურიდან ნეგატიურისკენ ან, საერთოდ რაიმე სახით რადიკალურ შეცვლას, რაც ჩემი აზრით, იმის მიმანიშნებელია, რომ თავისუფალ საზოგადოებაში, ზოგიერთი პროპაგანდისტული ხერხი კარგავს თავისი გავლენის იმ პოტენციალს, რომელიც გაცილებით ეფექტურად მუშაობდა ჩაკეტილ საბჭოთა სისტემაში. ფაქტია, რომ საბჭოთა სისტემის პირობებში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ათეისტი გახდა და შემდეგაც, რაც საბჭოთა სისტემა დაიშალა, მისი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ტრადიციული რელიგიური რიტუალების მიმართ ჩამოყალიბებული უადრესად ნეგატიური განწყობა დარჩა.

ყველა შემთხვევაში, სიტუაციის აგრესიული ფონი (2008 წ. 31 ოქტომბრის “ჰელოუინის” აღნიშვნის დარბევა მმკ-ის მიერ; 2010 წლის 7 მაისს ტელეკომპანია "კავკასიაში", გადაცემა "ბარიერის" მსვლელობისას,

<sup>56</sup> <https://www.litmir.co/br/?b=6421&p=33>

რომელშიც მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა" და "სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის" წარმომადგენლები, შეიჭრნენ ახალგაზრდები, რომლებიც ამ მოძრაობათა მხარდამჭერები იყვნენ და ხელი შეუშალეს ჟურნალისტ ნინო ჯანგირაშვილს პროფესიულ საქიანობაში; აიძულეს შეეწყვიტა მათთვის არასასურველი ინფორმაციის გავრცელება, უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს იქ მყოფთ და ა.შ.) ყოველივე ამგვარი ქმედება მხოლოდ საწინააღმდეგო პოზიციის რადიკალიზმს ამწვავებს ახალგაზრდა თაობაში. მაგ. ტელეკომპანია "კავკასიაში" შეჭრის შემდგომ, დანაშაულში მონაწილეთა დაპატიმრებამ და ახალგაზრდების აზრით, არაადეკვატურად მაღალი სასჯელის გამოტანამ, ისინი რწმენისათვის წამებულების შარავანდით შემოსა და ცმცირეოდენი არგუმენტი დაუტოვა იმათ, ვინც ამ შეჭრის წინააღმდეგი იყო. შესაბამისად, პოზიციის მომხრეებს ეს არგუმენტი მოჰყავდათ იმის დასამტკიცებლად, რომ რელიგიური ადამიანებისთვის ქვეყანაში ისედაც დახურულია ტელეეთერი.

იგივე არგუმენტი მუშაობდა 2008 წლის 12 მარტამდე, ვიდრე სტუდენტების ინიციატივით ვსაუბრობდით საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ გამართულ აქციაზე, სადაც მმკ მოითხოვდა ეთერს. ხოლო მას შემდეგ, რაც მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გადაცემათა ციკლის "კედელის" ერთი გადაცემა მთლიანად ამ თემებზე ღიად საუბარს დაეთმო ყველა მხარის პოზიციის წარმოჩენით (<https://www.youtube.com/watch?v=2xXSWMw>) და ეს საკითხი სასაუბრო თემად დაწინაურდა ერთ-ერთი სტუდენტის ინიციატივით, მომავალმა ჟურნალისტებმა უმეტესად სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებთან მიახლოებული პოზიცია დააფიქსირეს და თანაბარ პირობებში ჩაყენებული რადიკალურად განსხვავებული პოზიციების წარმოჩენისას, ბალანსის დაცვის აუცილებლობის მნიშვნელობა წინა პლანზე წამოსწიეს, იმის მიუხედავად, თუ რომელი პოზიციის მოსაზრებას ემხრობოდნენ თვითონ, როგორც მოქალაქეები (სწორედ სტუდენტების ინიციატივით წამოსულმა ამ დისკუსიამ განაპირობა ღირებულებითი ცვლილებების კვლევის ის მეთოდი, რაც სტუდენტებს სასწავლო კურსის განმავლობაში, პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესწავლის გავლის შემდეგ, უყალიბდებათ და

რაც აუცილებელია მათი პროფესიული მუშაობისათვის დემოკრატიულ პოსტმოდერნულ სამყაროში.

ამ ყოველივეს შემდგომ, შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც მარშალ მაკლუენი ამბობს, “კომუნიკაცია თავად ცვლის სამყაროს” და იქ, სადაც მედიას ხელოვნური ბარიერები არ დაუწესდება რწმენასთან დაკავშირებული არც ერთი მოსაზრების გამოთქმისთვის (ინტერნეტის ან სატელევიზიო გადამცემების შეზღუდვა, სოციალური ქსელების აკრძალვა სახელმწიფოს მხრიდან), ღირებულებითი კონფლიქტების სიმწვავეც დაიკლებს.

ახალი მედიის – ინტერნეტის მულტიმედიაური ღია სივრცე, – მიუხედავად იმისა, რომ მისი აქტორები მხოლოდ მინიმალურად შეზღუდულები არიან ეთიკისა და კანონმდებლობის არსებული წესებით, – თავად შეძლებს მოაწესრიგოს ვირტუალური სივრცე საიმისოდ, რომ იგი ძალადობას კი არ ახალისებდეს, არამედ ღიაობას და კულტურათა დიალოგს უწყობდეს ხელს. დამატებითი აკრძალვები კი არაეფექტური იქნება და ზედმეტად გაამძაფრებს ინტერესს “აკრძალული ხილის” მიმართ. მით უფრო, რომ შეუძლებელია წინასწარ იმის პროგნოზირება, რა რეაქციას გამოიწვევს რადიკალური მოქმედება: დასახული მიზნის მიღწევას თუ პირიქით, საზოგადოების აღშფოთებას დასახული მიზნის მსოფლმხედველობითი პოზიციისადმი.

ტრადიციული რელიგიების გამორჩევა იმათგან, რომელთაც რომელიმე სახის კულტურული ტრადიციის შექმნასა და ჩამოყალიბებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, სრულიად მართებულია, ვინაიდან ადამიანები საკუთარ იდენტობას ძირითადად იმ რელიგიასთან აიგივებენ, რომელმაც მათი კულტურულ-ყოფითი ტრადიციები ჩამოაყალიბეს და განსაკუთრებით სენსიტიურები სწორედ ამ ტრადიციების რეფორმაციის მიმართ არიან მაშინაც კი, თუ რწმენასთან მათი დამოკიდებულება გამოსატყუელი მკაფიოდ არაა. ნებისმიერი რადიკალური ჩარევა იმ მიზნით, რომ მედიის მეშვეობით შეიცვალოს ისტორიის განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიცია, ისეთივე კრახისთვისაა განწირული, როგორც ეს საბჭოთა კავშირში მოჰყვა ახალი ადამიანის შექმნის მცდელობას.

რაც შეეხება კონკრეტულ დრომოჭმულ ტრადიციებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში კანონითაც კი იყო დაცული (მაგ. ქორწინების შემდგომ

არაქალწული საცოლის მამის ოჯახში დაბრუნების უფლება, რომელიც სასიძოს უხსნიდა ყოველგვარ ვალდებულებას ამგვარი მეუღლის მიმართ), ამ შემთხვევაშიც, ღირებულებათა გადაფასება მხოლოდ გამოსატვის თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი. მაშინ, როდესაც ეთერი ღიაა, როგორც მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისათვის, ასევე ლგბტ თემისათვის და იმ ახალგაზრდა ლიბერალი გოგონებისთვისაც, რომლებიც აქციით აპროტესტებენ "ქალწულობის ინსტიტუტის" აქტუალობას XXI საუკუნის საქართველოში. მედია საზოგადოებრივი ინტერესის სასარგებლოდ მუშაობს, როდესაც ყველას გამოსატვის უფლება დაცულია განსახილველი თემის აქტუალობის მიხედვით და ხელოვნური ბარიერები, საეთერო დროის განაწილების თვალსაზრისით, არ იქმნება. ეს შესაძლებელია მხოლოდ პლურალისტური, მრავალფეროვანი პოზიციის მქონე მედია-გარემოს პირობებში, რისკენაც მიისწრაფის ლიბერალური სამყარო.

ცხადია, რომ საბჭოთა და საერთოდ XX საუკუნის ადამიანის სუბეკსტიუტრობის დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე XXI საუკუნის ადამიანისა, ეს სწორედ მისი კრიტიკული აზროვნების დამსახურებაა. თანამედროვე ადამიანისათვის მნიშვნელობა აქვს ექსპერტულ აზრს. როგორც ხელოვნების ნიმუშის, ასევე ამა თუ იმ პროდუქტის, ან კულტურული და ტრადიციული ღირებულებათა შეფასებისას იგი ცდილობს შეამოწმოს წყაროს სანდოობა რამდენიმე წყაროს მეშვეობით. ამისათვის მას აქვს ტელე და რადიომედის ალტერნატივა – ინტერნეტი, რომლის მეშვეობითაც შეუძლია გადაამოწმოს მისთვის მიწოდებული მოსაზრებისა თუ იდეის სანდოობა, სოციალურ ქსელებში ცდილობს შეამოწმოს და მერე მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ მედია პროდუქტის ავტორიანობის შესახებ, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიტიკულობის გამო, პოსტმოდერნული ადამიანი ნაკლებად მოწყვლადი გახდა და, ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გლობალიზაციის მესამე ტალღის შეთავაზებებიდანაც აირჩევს და გაიზიარებს იმას, რაც მისთვის საუკეთესოა. შესაბამისად, უფრო დაცულია იმისგან, რომ მანიპულაციის მსხვერპლი გახდეს, ვიდრე მისი წინაპარი.

## დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე სამყაროში აუდიო-ვიზუალური მედია, აჩქარებულად ენაცვლება რელიგიურ ინსტიტუტებს, როგორც ახალი მსოფლმხედველობისა და მასზე დაფუძნებული კულტურის შემოქმედი, აგრეთვე ამ ახალი მსოფლმხედველობის გავრცელების ინსტრუმენტიც. ეს პროცესი არ არის უმტკივნეულო, ვინაიდან ამ მიმართულებით საკუთარი გავლენის დათმობა არ სურს ზოგიერთ რელიგიურ ლიდერს.

ამას გარდა, სამყაროში, რომელშიც არის ორი ურთიერთშეუთავსებელი პროექტის ერთმანეთთან შეთავსების მცდელობა (მაგ. სამყაროს რელიგიური და რაციონალური (მატერიალისტური) შემეცნების ორი განსხვავებული სურათის), ამ სიტუაციაში მედია, როგორც მსოფლმხედველობის ჩამომყალიბებელი და გამავრცელებელი მედიატორი, ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდება ხოლმე.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, ნებისმიერი ანტიდემოკრატიული სისტემა, პირველ რიგში, ერთდროულად ცდილობს დაიქვემდებაროს და უმკაცრესი კონტროლის ქვეშ მოაქციოს და გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის როგორც რელიგიური ინსტიტუტები, ისე მედია საშუალებები. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ანგარიშგასაწევია მედია მკვლევართა ერთი, საკმაოდ სერიოზული ნაწილის მოსაზრება, რომ მთავარია თავად მედია, როგორც ფენომენი და არა კონტენტი, რომელიც სრულყოფილი არ არის ყველა სისტემისთვის, ვინაიდან სწორედ კონტენტი განსაზღვრავს დღემდე არსებული სამაუწყებლო მედიის (რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში დამფინანსებლის ინტერესზეა მიბმული) აქტუალობას.

როგორც წინამდებარე ნაშრომში განვმარტეთ, საზოგადოების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, სამომავლო პერსპექტივაზე გათვლილი სტრატეგიით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა კონკრეტული მიმართულების პროპაგანდისტული საინფორმაციო კამპანიები, არამედ ისეთი გადაცემები, რომლებიც კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბებასა და ტრანსფორმაციას ისახავს მიზნად. სწორედ აქ იკვეთება დღეს ძველი და ახალი სამყაროს ღირებულებათა კონფლიქტის ხაზი და შესაბამისად, ძალიან

დიდი მნიშვნელობა აქვს არა კონკრეტული ძალაუფლების ინტერესის, არამედ საერთო საკაცობრიო ინტერესებისათვის კულტურულ სტრატეგიას მედიაში.

ამ ფენომენის კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ ათეისტური მსოფლმხედველობის საბჭოთა სახელმწიფოს გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა ცენზურის ყოველისშემძლეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოური კინოწარმოება, რომელიც ახალისებდა კომედიურ კინემატოგრაფში რელიგიური ინსტიტუტების ავტორიტეტის შელახვას, ტიპური კომიკური პერსონაჟის მეშვეობით, ამ მიმართულებით მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს აუდიტორიაზე.

